

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თამარ ათანელიშვილი

ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ
რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.).

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა: 08. 00. 02 – ეკონომიკის ისტორია, მსოფლიო ეკონომიკა
(ეკონომიკის ისტორია)

მეცნიერ-ხელმძღვანელი – ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი მიხეილ ჯიბუტი

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი.

1. ქვეყნის ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობა და თავი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.
 - 1.1. ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის ზოგადი ანალიზი.
 - 1.2. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.
2. თავი რეფორმები ვაჭრობა-მრეწველობისა და აგრარულ სექტორებში.
 - 2.1. სახელმწიფო მონოპოლიები ვაჭრობა-მრეწველობის სფეროებში.
 - 2.2. აგრარული რეფორმის ასპექტები.
3. თავი სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება.
 - 3.1. სახელმწიფო კონტროლის შექმნის წინა პირობები.
 - 3.2. სახელმწიფო კონტროლის ფუნქციები.
4. თავი სხვა ინსტიტუციური რეფორმები.
 - 4.1. ბონები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.
 - 4.2. საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსება.
 - 4.3. საბაჟო სისტემის შესახებ.
 - 4.4. სტატისტიკური აღრიცხვის ორგანოსა და უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს შექმნის შესახებ.

დასკვნა.

დანართი.

გამოყენებული ლიტერატურა.

შესავალი

თემის აქტუალურობა. საქართველომ რუსეთთან შეერთების შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე დაკარგა დამოუკიდებლად განვითარების შესაძლებლობა. რუსეთის იმპერია საქართველოს საუკუნეზე მეტ ხანს მართავდა, როგორც იმპერიის შემადგენელ ნაწილს. იგი ყოველმხრივ აფერხებდა ქართულ ინიციატივებს დამოუკიდებელი ეკონომიკისა და მათ შორის მრეწველობის განვითარების სფეროში. ეს ბუნებრივად იყო, რამეთუ საქართველოში დამოუკიდებელი ეკონომიკის განვითარება ქვეყანას პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების მყარ საფუძველს შეუქმნიდა, რაც რუსეთის ინტრესებს ეწინააღმდეგებოდა. არადა, თუკი რაიმე პროგრესული რეფორმა ტარდებოდა რუსეთის იმპერიაში, ისიც დაგვიანებით აღწევდა საქართველოში, მაგალითად, ბატონყმობის გაუქმება. საქართველოს «უბრალო ოცნებაც კი აკრძალული ჰქონდა თავისი შელახული და შეგინებული უფლების აღდგენისათვის.»¹

მე-19 საუკუნის ბოლოდან მნიშვნელოვანი მოვლენები ვითარდება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში: ბატონყმობის გაუქმება, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება, პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება – გააქტიურება და ა. შ.

ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რუსეთისათვის საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის ფლობას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან, საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ეკონომიკის მნიშვნელოვან სეგმენტს არაქართული მოსახლეობა მართავდა, კერძოდ, არსებული 3067 ფირმიდან 808 (26,4%) – ქართველებს, 1678 – სომხებს (54,7%), 581 (18,9%) სხვა არაქართველებს ეკუთვნოდა.²

ქართული სული ქვეყნის დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა. 1917-1918 წლებში შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა. დამო-

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №20, 28 იანვარი, 1920 წელი.

² კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960 წელი, გვ. 32.

უკიდებლობის გამოცხადება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, მაგრამ არასაკმარისი მისი შემდგომი განვითარებისათვის სწორი ნაბიჯების გადადგმის გარეშე. აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცება. ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობას, მძიმე მემკვიდრეობის პირობებში, დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას უნდა დაემტკიცებინა, რომ ქვეყანას შეეძლო ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებში არსებობა.

უაღრესად აქტუალურია ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა დემოკრატიულ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების ჩატარების პროცესში, კერძოდ, მთავრობის ეკონომიკური დეკლარაციები და მისი ცხოვრებაში გატარება, მათ შორის: სახელმწიფო მონოპოლიების გამოცხადება, რეფორმები – აგრარულ, ფულად-საკრედიტო-საბანკო სფეროებში, სხვა ინსტიტუციური რეფორმები ეკონომიკის მართვის თვალსაზრისით და სხვ.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური პრობლემები სხვადასხვა ასპექტში შესწავლილია: რ. აბუთიძის, ს. ავალიანის, ზ. ავალიშვილის, გ. თოდუას, რ. კაკულიას, ალ. ასათიანის, ა. ბენდიანიშვილის, პ. გუგუშვილის, შ. ვადაჭკორიას, კ. კანდელაკის, ჯ. კახნიაშვილის, ილ. მირცხულავას, ნ. ჟორდანიას, ე. ჩადუნელის, ნ. ხომერიკის, ნ. ჯავახიშვილის, მ. ჯიბუტის და სხვათა ნაშრომებში. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: კ.კანდელაკის «საქართველოს ეროვნული მეურნეობა» (2 წიგნად), შ. ვადაჭკორიას «ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში», ილ. მირცხულავას «აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1921 წლებში», ნ. ჯავახიშვილის «ბონისტიკა საქართველოში», ნ. ხომერიკის «აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა» და სხვ.

მას შემდეგ, რაც XX საუკუნის 90-იან წლებში კვლავ აღდგა ქვეყნის დამოუკიდებლობა, უაღრესად აქტუალური გახდა დემოკრატიულ საქართველოში (1918-1921 წწ.) დაგროვილი დადებითი

გამოცდილების გათვალისწინება ეკონომიკური რეფორმების სფეროში. ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგი რამ (სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენაში, ფინანსური კონტროლის, ეროვნული ფულის, სახელმწიფო ბანკის, სტატისტიკური აღრიცხვის და სხვა სფეროში) მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია, ზოგიც (მაგალითად, სახელმწიფო მონოპოლიების სფეროში) გაუთვალისწინებელი დარჩა.

მთლიანობაში, პრობლემის მეცნიერული შესწავლის აქტუალურობა ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921) ჩატარებული ეკონომიკური რეფორმები კომპლექსურად დღემდე შეუსწავლელია.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომში ასახული კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაგროვილი ეკონომიკური რეფორმის ჩატარებაში გამოცდილების კომპლექსური შესწავლის ცდა.

აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის წინაშე კვლევის დასახული ამოცანები ითვალისწინებს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა:

- ეკონომიკური სტრატეგია;
- სახელმწიფო მონოპოლიების გამოცხადება;
- აგრარული რეფორმა;
- სახელმწიფო კონტროლი და მისი ფუნქციები;
- ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;
- სახელმწიფო ბანკისა და საბაჟო სისტემის შექმნა;
- სტატისტიკური აღრიცხვის ორგანოსა და უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს ჩამოყალიბება.

კვლევის საგანი და ობიექტი. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული კვლევის საგანია ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმირება, ხოლო კვლევის ობიექტია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ჩატარებული ეკონომიკური რეფორმები და მისი თავისებურებანი.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. სადისერტაციო ნაშრომში განხილული პრობლემური საკითხების მეცნიერული გამოკვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური თეორია, ეკონომიკურ ისტორიაში, დოქტრინებში გამოქვეყნებული ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები.

დისერტაციაში აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტები, სტატისტიკური კრებულები, ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ჩანაწერები, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული სხვა მასალები. კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიტიკური, ლოგიკური, ემპირიული ანალიზისა და შედარებითი მეთოდები.

მეცნიერული სიახლეები. პირველად ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მოცემულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) ჩატარებული ეკონომიკური რეფორმების კომპლექსური შესწავლის ცდა ძირითადად საარქივო მასალებზე დაყრდნობით. უფრო კონკრეტულად:

- მეცნიერულ ბრუნვაში შემოტანილია «არქივში» მოპოვებული მასალები;
- აღმოჩენილია და გაანალიზებული უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს სამოქმედო დებულება;
- დადგენილია ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები;
- გაანალიზებულია აგრარული რეფორმის ასპექტები მიწების ჩამორთმევისა და მიწების განაწილების თვალსაზრისით;
- გამოკვლეულია სახელმწიფო კონტროლის ინსტიტუტის ფუნქციონირების პრობლემები;
- შესწავლილია «სხვა ინსტიტუციური რეფორმები», კერძოდ: ქართული ბონის მიმოქცევა; საქართველოს სახელმწიფო ბანკის

ჩამოყალიბება; საბაჟო სტრუქტურის მუშაობის ეფექტიანობა; სტატისტიკური აღრიცხვის ორგანოს საქმიანობა.

პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევით მიღებული შედეგების გათვალისწინება ხელს შეუწყობს: პირველი, ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის საბოლოოდ დამკვიდრებას, მეორე, უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკის, გარდამავალი ეკონომიკის პრობლემების, ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის კურსების ღრმად შესწავლას და მესამე, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გაღრმავებას.

თავი 1. ქვეყნის ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობა და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

1.1. ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის ზოგადი ანალიზი

რუსეთის იმპერიიიდან გამოყოფილ საქართველოს ჰქონდა დამოუკიდებელი ეკონომიკური ორგანიზმის შექმნის ყველა აუცილებელი წინაპირობა: კერძოდ, «მდიდარი ბუნებრივი რესურსი, საკმარისი ტერიტორია და მოსახლეობა, საუკეთესო გეოგრაფიული მდებარეობა, სახელმწიფოებრივი მშენებლობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება».¹ მის პარალელურად არსებობდა დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის ხელშემშლელი ფაქტორები.

საქართველოს იმდროინდელ მთავრობას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობას ხელს უშლიდა მტრულად განწყობილი ძალები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დასრულების პერიოდში. ომმა მსოფლიო ეკონომიკურ გავითარებას ძლიერი დარტყმა მიაყენა. მოიშალა წარმოება, ფინანსები, იმატა ინფლაციამ, პროდუქტებზე ფასების ზრდამ დააქვეითა მოსახლეობის ყიდვითუნარიანობა.

რუსეთში ამ ომმა ნგრევა გამოიწვია, რამაც უარყოფითად იმოქმედა საქართველოზეც. რუსეთს საქართველოში ბატონობის დროს ხელი არ შეუწყვია ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის: მას ძირითადად ნედლი მასალა გაჰქონდა, ხოლო უკან მზა ნაწარმი შემოჰქონდა. აქედან გამომდინარე, ქვეყანას არ გააჩნდა ეკონომიკური სადავეების ხელში აღებისა და ეკონომიკური პოტენციალის სრულად ამოქმედების გამოცდილება. ახალგაზრდა სახელმწიფოს სახალხო მეურნეობას აკლდა კვალიფიციური კადრები, ტექნიკა მოძველდა, საჭირო იყო უცხოეთთან მჭიდრო კავშირის დამყარება. თუმცა, სახელმწიფო მშენებლობის საწყის ეტაპზე ქვეყანას შიგნით არსებული

¹ საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის კარიბჭესთან: პრობლემები, პერსპექტივები. გამომც. „სიახლე“, თბ., 2000 წ., გვ. 42.

რესურსებით უნდა ეარსება, მით უმეტეს, რომ ომის გამო გაძნელდა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობები.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღიდან საქართველოს მთავრობას უმწვავესი ფინანსური საკითხი უნდა გადაეწყვიტა. სახელმწიფოებრიობის დაცვისათვის ქვეყანას ესაჭიროებოდა საკუთარი ფინანსური და მთლიანობაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა. მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადება არასაკმარისი აღმოჩნდებოდა, თუ საქართველო ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად ეკონომიკურ ცხოვრებას.

ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო იყო სახელმწიფო ხაზინის შევსება. პირდაპირი გადასახადები თითქმის არ შედიოდა, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა დაკარგა მნიშვნელობა. საქართველოს მოაკლდა ნავთი, რომელიც არა მარტო განათებისა და მამოძრავებელი ძალის, არამედ სახელმწიფო ხაზინის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროც იყო. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი იყო ნავთობის მარაგები. მიმდინარეობდა ზოგიერთი მათგანის ექსპლუატაცია. მაგალითად, შირაქის ველში, თუქურმიშას (დედოფლისწყაროს) ახლოს ოთაროვების ნავთის საწარმო წელიწადში დაახლოებით იღებდა 20.000 ფუთ ნავთობს¹. თუმცა, ბაქოში ნავთობის მდიდარი მარაგის არსებობის გამო, ჩვენთან არაეფექტიანი აღმოჩნდა ნავთობის მოპოვება. ნავთობი, როგორც დიდი შემოსავლის წყარო, რომელზედაც დამყარებული იყო ამიერკავკასიის გადასახადთა სისტემა, მაშინ საქართველოსათვის დაკარგული აღმოჩნდა. გადასახადების თვალსაზრისით, თამბაქოს წარმოებაც საკმაო შემოსავალს იძლეოდა, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე იმ პერიოდში ყოველწლიურად 600 ათასი ფუთი მაღალი ხარისხის თამბაქო მოჰყავდათ².

მრეწველობის აღორძინებაც გადაუდებელი საქმე იყო, თუმცა ამ გზაზე «ყველაზე უფრო დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი მრეწველობის

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №9, 1918 წელი.

² გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №11, 1918 წელი.

განვითარებისათვის ... კაპიტალის უქონლობა იყო»¹. მრეწველობა უზრუნველყოფდა ქვეყანაში მატერიალური დოვლათის შექმნას და იმავდროულად ააქტიურებდა განვითარებაც.

საქართველოში საკმაოდ მოიპოვებოდა მატყლი, ბამბა, აბრეშუმი, კანაფი, რომელიც უცხოეთში გაჰქონდათ, ხოლო გადამუშავებული კი საკმაოდ ძვირად ფასობდა. ამიტომ ეკონომიკური კეთილდღეობისათვის საჭირო იყო მისი ადგილობრივი დამუშავება (თბილისში არსებობდა სართავი ფაბრიკა). დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტყის ეფექტურად გამოყენებას. დარგს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინდუსტრიის განვითარებაში. იგი იძლეოდა საჭირო მასალებს: ქაღალდს, ხის სპირტს, აცეტონს, ქლოროფორმს, იოდო-ფორმს, სკიპიდარს, წებოს, ზეთებს. ტყის სათანადო მოვლა-პატრონობა მოითხოვდა სატყეო კანონმდებლობის შემუშავებას. არაერთი ფაქტი არსებობდა, როდესაც თბილისის გარშემო დაუდევრად იჩეხებოდა ტყეები ქარელიდან-ხაშურამდე, და ძვირფასი მუხნარი.

კახეთის მიდამოებში (ართაან-ყარალაანთეული) არსებობდა სპილენძის მადნის გარკვეული მარაგი. საერთოდ, ქვეყანაში: «კარგად განვითარებული სპილენძის მრეწველობა არსებობდა, ალავერდში და მის რაიონში იმის წარმოება იყო მოწყობილი და ფრანგებს ეკუთვნოდა («კავკასიის ლითონის სამრეწველო საზოგადოება»)»².

შაქრიანის ახლოს არსებობდა გოგირდის წყარო. ზემოხოდაშენში და შუამთის მონასტრის მახლობლად მრავლად იყო ნავთობიანი ადგილები. ზემოხოდაშენში ადრე ფრანგები მუშაობდნენ, შემდეგ – ინგლისელები, რომელთა რწმენით ეს ნავთი არათუ ჩამოუვარდებოდა ბაქოსას, არამედ თავისი თვისებებით აღემატებოდა კიდევ მას. ინვესტორთა რწმენით, ამ ადგილებში დიდი რაოდენობის ნავთობის მოპოვება შეიძლებოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კი ყველაფერი გაძვირდა, ფულის მიღება გართულდა და ნავთობის მოსაპოვებელი სამუშაოებიც შეწყდა.

¹ კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960 წელი, გვ. 23.

² კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960 წელი, გვ. 35.

რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობა განიხილა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მერვე ყრილობამ. ამ საკითხზე მოხსენება ფინანსთა მინისტრის მოადგილემ კ. კანდელაკმა გააკეთა. მისი აზრით, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიღწევა ქვეყნის განვითარების ნორმალურ პირობებშიც კი ურთულესია, მით უმეტეს მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში. ქვეყანას არ ყოფნიდა შემოსავალი, ვერ ისტუმრებდა ფრონტიდან ჯარების დაბრუნების ხარჯებს. გამეფდა ანარქია, ომის შედეგად გამოწვეული კრიზისი კი მეურნეობის ყველა სფეროზე მტკივნეულად აისახა. ასეთ რთულ პირობებში ახალგაზრდა სახელმწიფოს წელში გამართვა არც ისე იოლი საქმე იყო.

ყოველივე ამის დაძლევის, მით უმეტეს როცა საქმე ახალი სახელმწიფოს მშენებლობას ეხებოდა, ხვდებოდა მრავალი გაუთვალისწინებელი თუ გათვალისწინებული ხარჯი. საღმა ფინანსურმა პოლიტიკამ უნდა განავითაროს წარმოებრივი ძალები და მაშინ ყოველი ხარჯი ანაზღაურდება¹.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველსავე წელს ანგარიშგასაწევი იყო მობილიზაცია-დემობილიზაციის, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებათა ლიკვიდაციის ხარჯები. რკინიგზის შტატების შემცირებით 7 ათასი კაცი დაითხოვეს. ლიკვიდაციებში 30-50 მილიონი მანეთი დაიხარჯა². ეს ხარჯები საქართველომ გაიღო რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების მონაწილეობის გარეშე.

თბილისი კავკასიაში ფინანსური კაპიტალის ცენტრი იყო. აქ თავმოყრილი იყო საკრედიტო დაწესებულებები. ფინანსურ მდგომარეობას ქვეყნის ბიუჯეტის არარსებობაც ართულებდა. არსებულ პირობებში შეუძლებელი გახდა გასაწევი ხარჯების წინასწარ გათვალისწინება და შემოსავალ-გასავლის დაბალანსება. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან 19 ოქტომბრამდე ცენტრალური ხაზინიდან გაიცა შემდეგი ხარჯები: სამხედრო უწყებაზე – 54.522.000, გზათა უწყებაზე – 34.930.000, შინაგან საქმეთა სამინისტროზე – 14.400.000, სხვადასხვა ფინანსური ოპერაციისათვის – 1.472.000,

¹ სცსსა, ფონდი 1825, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 24.

² იქვე.

მიწათმოქმედების სამინისტროზე – 1.054.000, განათლების სამინისტროზე – 1,001.000 მანეთი, სხვა პროვინციის – ხაზინებისათვის 9.000.000 მანეთი დაიხარჯა. სულ დახარჯულია 130 მილიონამდე მანეთი, რაც თვეში დაახლოებით 27-28 მილიონს შეადგენს.¹

აქედან გამომდინარე, ქვეყანა დიდ შემოსავლებს საჭიროებდა, შემოსავალი კი დამოუკიდებლობამდე 4 მლნ მან იყო², მაგრამ მას ხარჯები აღემატებოდა. ეს კი არასაკმარისი იყო, მანეთის კურსიც ეცემოდა, ხალხი გადაჩვეული იყო გადასახადების გადახდას. ქვეყანა საჭიროებდა ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც გადასახადების აკრეფას მოაწესრიგებდა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შემოსავლების მატებას ადასტურებდა შემდეგი მაჩვენებლები: «ავგისტოს პირველ ნახევარში შემოსულა 280.000-მდე, მეორე ნახევარში – 220.000; სექტემბრის პირველ ნახევარში – 5.600.000; სექტემბრის მეორე ნახევარში – 4.200.000; ოქტომბრის პირველ ნახევარში – 2.800.000 და სხვა»³. მიუხედავად ასეთი ტენდენციისა, საჭიროდ ჩაითვალა პირდაპირი გადასახადების მექანიზმების მოწესრიგება. კ. კანდელაკის აზრით, არაპირდაპირი გადასახადები მიუღებელია, მაგრამ შემოსავლებს იძლევა ხარჯების გაწევამდე: «მაგალითად, არაპირდაპირი გადასახადის სახით პარლამენტის კანონპროექტი თამბაქოზე დაწესებული მოგვცემს 45-55 მლნ მანეთს, აგრეთვე სპირტზე და ღვინოზე, რომელიც მილიონს გადააცილებს»⁴. პირდაპირი გადასახადების აკრეფიდან ქვეყანა 70 მლნ მანეთ შემოსავალს მიიღებდა. აქცენტი კეთდებოდა შიგა სესხის აღებაზე: «უკეთესი იქნებოდა საშინაო სესხის აღება, მაგრამ შეძლებულები დღეს ხაზინას გაურბიან და აქ რაიმეს შოვნა უიმედო ხდება»⁵. ცნობილი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის გამო კი საგარეო სესხების აღება გართულდა.

¹ გაზეთი „ერთობა“, №253, 22 ნოემბერი, 1918 წელი.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ სცსსა, ფონდი 1825, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 24.

ფინანსური პოლიტიკის სისუსტე საკუთარი ფულადი ერთეულის უქონლობაშიც გამოიხატა: «სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ფულის სისტემა, მას საფუძვლად უნდა ქონდეს ფონდი (ვალუტა) ლითონის სახით»¹.

ამიერკავკასიის ბონების სუროგატებით დიდხანს შეუძლებელი იყო არსებობა: «ჩვენ უნდა გვქონდეს საკუთარი ფონდი, ოქროს ფონდი. ქაღალდის ფული თუ არ არის ექვივალენტი, ძვირფასი ლითონი თავისთავად არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს».²

ნათელი იყო, რომ საკუთარი ფულის გარეშე დამოუკიდებელი ქვეყანა ვერ იარსებებდა. «1918 წლის 7 თვის თავისუფლება ჩვენმა მთავრობამ 26 მლნ ვალით დაასრულა».³

კაპიტალისტურ წყობილებაში შეუძლებელია სახელმწიფომ იარსებოს საკუთარი ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების გარეშე. ამას კი მთავრობამ თავისი სწორი ეკონომიკური პოლიტიკით უნდა შეუწყოს ხელი. საკუთარ ბუნებრივ რესურსებს ხალხმა უნდა მიხედოს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოოპერატიული მოძრაობის განვითარებასაც. ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარების მიუხედავად, კოოპერატივებმა მაინც შეძლეს კაპიტალის დაგროვება. კოოპერატიული კავშირები ქვეყნის მრავალ რეგიონში შეიქმნა. მაგალითად, გორის სარაიონო კავშირმა ქართლში გახსნა საპნის ქარხანა, ამიერკავკასიის კავშირმა კი გორში – ხილის ქარხანა. მომხმარებელთა კოოპერატივების განვითარებამ ხელი შეუწყო კოოპერატიული საწარმოების შექმნას.

დიდი მნიშვნელობა მიენიჭა შინა მრეწველობის განვითარებას, რომელიც შემდეგი სექციებისაგან შედგებოდა:

1. ინსტრუქტორთა ორგანიზაცია. მისი მიზანი შალის, აბრეშუმის ქსოვილის წარმოების აღორძინებაა. გაიხსნა სკოლა-სახელოსნოები: ოზურგეთში, ყაზბეგში, მცხეთაში, ქარელში, ახალციხეში, ფასანაურში, ქურთაში, ბაზალეთზე, საგარეჯოში.

¹ სცსსა, ფონდი 1825, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 24.

² გაზეთი „ერთობა“, №253, 22 ნოემბერი, 1918 წელი.

³ კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, გვ.54.

მათში მსურველებს, გაუმჯობესებულ მანქანებზე ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, ქსოვისა და ღებვის საქმის შესწავლა შეეძლოთ;

2. კომერციული სექცია: ხელოსნებს გასაღების ბაზრის მოპოვებაში ეხმარებოდა;
3. სამხატვრო სექცია: სკოლებს და კერძო პირებს ხალიჩებს და ნახატებს აწვდიდა;
4. ძაფების სართავი ფაბრიკა: უპირველეს ყოვლისა, ეს იყო მატყლის სართავი ფაბრიკა, რომლის ნაწარმი საზღვარგარეთ პურზე და სხვა საგნებზე იცვლებოდა.

1919 წლის 12 მარტს გაიხსნა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, 14 მარტის სხდომაზე კი განიხილეს ეკონომიკის განვითარების გარკვეული შედეგები განვლილ პერიოდში¹. 1 იანვრამდე (7 თვეში) ხაზინის შემოსავალმა – 96.158.000, ხარჯებმა – 342.244.000, ხოლო დეფიციტმა კი 246.086.000 მანეთი შეადგინა. იმპორტი – 140.929.260, ექსპორტი 87.494.105 მანეთის ტოლი იყო, ანუ იმპორტი აღემატებოდა ექსპორტს 53.495.085 მანეთით. ქვეყანა განსაკუთრებით პურისა და შაქრის იმპორტს საჭიროებდა. ქვეყნის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ: უკრაინა (110 მლნ), რუსეთი (50 მლნ), ოსმალეთი (32 მლნ), აზერბაიჯანი (6 მლნ), სომხეთი (6 მლნ) და. ა. შ.

მრეწველობა თითქმის არ მოქმედებდა. ამ მხრივ, გამონაკლისი ტყიბულის ქვანახშირის საწარმო იყო, რომლის პროდუქციასაც რკინიგზა მოიხმარდა. თუმცა, ქვანახშირის მოპოვება საქართველოში 3.4 მლნ ფუტიდან (1917 წ.) დაეცა 2.2 მლნ ფუტამდე (1919 წ.)². დიდი იმედების მიუხედავად, სახელმწიფო ქონების გამოყენება ვერ იძლეოდა საჭირო შემოსავალს. აგრარული რეფორმის შედეგად სახელმწიფოს ხელში დაგროვდა 2 მლნ დესეტინა ტყე, 0,5 მილიონამდე დესეტინა სახნავი მიწა, 800 ათასამდე დესეტინა სამოვარი, კურორტები, მადნეული, წყლები. პროგნოზებით ამ ქონებამ 1919 წელს 90 მლნ მანეთის შემოსავალი მისცა ქვეყა-

¹ გაზეთი „ერთობა“, №60, 1919 წელი.

² ნ. ტყემელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1860-1920 წწ.), თბ., 1958 წ., გვ. 106.

ნას. გლახეებზე სახნავი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემიდან (თანახმად პარლამენტის დადგენილებისა) უნდა მიეღოთ 200 მლნ მანეთი შემოსავალი. ასეთი ფინანსური ნაკადები ქვეყნის მდგომარეობას აუმჯობესებდა, მაგრამ დეფიციტს ვერ სპობდა. მოსაწესრიგებელი იყო გადასახადების სისტემა, ქონებრივი მდგომარეობა და სხვ.

ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას ამძიმებდა დეფიციტური რკინიგზაც. რკინიგზით სარგებლობდნენ რუსეთის ეშელონები, გერმანელი და ოსმალთა ჯარები, ბოლოს კი ინგლისელები. ამის გამო, რკინიგზის ტექნიკური საშუალებები გაცვდა, ქვეყანას კი მისი შეკეთება არ შეეძლო. ასევე, არასაკმარისი იყო სათბობი მასალაც, საუკეთესო მუშაკები, მეტი შემოსავლის მიღების მიზნით, ხშირად გვარდიაში ერიცხებოდნენ.

ამრიგად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ქვეყანა განიცდიდა ფინანსურ გაჭირვებას: ბიუჯეტი დაცარიელდა, საგარეო სესხები ვერ მიიღეს, შემოსავლის წყაროები კრიტიკას ვერ უძლებდა, არაგეგმური, გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად მიმოქცევაში ზედმეტი ბონების გაშვებამ ინფლაცია გამოიწვია, გაუარესდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც.

მუშაკებზე გაცემული ხელფასები აღარ ყოფნიდა ცხოვრებას და ისინი კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათი პრობლემა ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და სახალხო მეურნეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების გარეშე ვერ მოგვარდებოდა. ეკონომიკური გაჯანსაღებისათვის საჭირო იყო შრომის მწარმოებლურობის ზრდა, მეტი დოვლათის წარმოება. შედეგად, ქვეყანაში მეტი სიმდიდრე დაგროვდებოდა, რაც ხელს შეუწყობდა ფულის კურსის გამყარებას.

სასურსათო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი იყო პურზე თავისუფალი ვაჭრობის დაწესება. პური საქართველოს უცხოეთიდან, ძირითადად ჩრდილო კავკასიიდან (ყუბანიდან) შემოჰქონდა, თუმცა, ისიც შეფერხდა ამ მხარეში გაჩაღებული სამოქალაქო ომისა და საქართველოს

საზღვრებზე დენიკინის მოხალისეთა ლაშქრის დგომის გამო. ამ პირობებში უნდა დაეთესათ მეტი ხორბალი და მისი რეალიზაციის ხელშემწყობი პირობები შექმნილიყო. მისი მწარმოებელი კი უნდა დარწმუნებულიყო, რომ მას პროდუქტს არავინ ჩამოართმევდა. სახელმწიფოსაც უნდა შეესყიდა პური და აეკრძალა მისი ექსპორტი. სხვა შეზღუდვების შემოღებასაც მოითხოვდნენ, მაგრამ იგი გამოიწვევდა რეპრესიებს, პურის გადამალვას, გაძვირებას და შიმშილს.

ასეთი ეკონომიკური პროგრამით ცდილობდა მთავრობა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას. 1919 წლის აპრილის დასაწყისში მოლაპარაკებები შედგა საქართველოს მთავრობასა და მოკავშირეებს შორის იაფი პურის შემოტანის თაობაზე. შეთანხმების შედეგად, ამერიკასა და ინგლისს რეგულარულად უნდა მიეწოდებინა იაფი პური საქართველოსათვის. მიღებულ იქნა 20.000 ფუთი პური. პროფკავშირებმა თხოვნით მიმართა ხელისუფლებას, რათა მუშა-მოსამსახურეებს ასეთი პური იაფ ფასებში მისცემოდათ. თხოვნა დაკმაყოფილდა – ქალაქების სასურსათო განყოფილებებს დაევალოთ, პირველ რიგში 1 სულზე გაეცათ გირვანქა პური ფასით 2,5 მან. როგორც ირკვევა, სიებში შეტანილი აღმოჩნდნენ მკვდარი სულებიც.

მთავრობის რეფორმების პოლიტიკა ძირითადად ეხებოდა სამ მიმართულებას: 1. მმართველობის სისტემას; 2. ადმინისტრაციას და 3. ეკონომიკურ პოლიტიკას.

სახელმწიფო ძალაუფლება გადანაწილდა ცენტრსა და პერიფერიებს შორის. აღმშენებლობის საქმეში მონაწილეობა უნდა მიეღო როგორც მთავრობას, ისე ხალხს. საქართველო იყო გამონაკლისი, სადაც ცენტრალურ მთავრობას არ ჰყავდა მოხელეები და იგი მხოლოდ საერთო სახელმძღვანელო დირექტივებს იძლეოდა. თავდაპირველად დაარსდა სამაზრო ერობები, შემდეგ შეიქმნა თემები. ქართველებს ამ საქმეში დიდი გამოცდილება არ გააჩნდათ, ვინაიდან მანამდე ადმინისტრატორები რუსები იყვნენ. ამ მხრივ, ყველაზე დიდი გამოცდილება ჰქონდათ გერმანელებს, შემდეგ ფრანგებს, ინგლისელებს, სადაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ მოხელეების აღზრდას.

ეკონომიკურ-ფინანსური თვალსაზრისით, ქვეყნის მდგომარეობა 1919 წელს, წინა წელთან შედარებით, არ გაუმჯობესდა. ფინანსები

მაშინ გაჯანსაღდებოდა, თუ გადამხდელები სრულად გადაიხდიდნენ გადასახადებს. ჩვენთან კი რევოლუციის დროიდან ასე არ ხდებოდა. ხალხს ნაკლებად ჰქონდა შეგნებული, რომ გადასახადის გადახდა აუცილებელი მოთხოვნილებაა სახელმწიფოს სიძლიერესათვის. მთავრობაც ცდილობდა გადასახადების საქმე იმდაგვარად მოეწყო, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში ხდებოდა.

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლებოდა არა მარტო ფისკალური პოლიტიკის სრულყოფით, არამედ მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმირების გზითაც. ნ. ჟორდანიას აზრით, ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოიყო ორი მიმდინარეობა: ბოლშევიკური და ლიბერალური. პირველი აღიარებდა სოციალისტურ რევოლუციას, სოციალიზმს, მეორე კი – კაპიტალის ხელშეუხებელობას და კერძო ინიციატივის ფართო უფლებებს. მთავრობის აზრით, მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან გამოსავალი გზა მხოლოდ ეკონომიკური მოქმედების ყველა ფორმების გამოყენებით მოიძებნება: სახელმწიფოს, ერობებს, ქალაქებს, კოოპერატივებს, კერძო კაპიტალს უნდა მისცემოდა მოქმედების თავისუფლება. ნ. ჟორდანიას აზრით, წარმოების კოლექტიური და კერძო ფორმების შემოქმედებითი ენერჯის მოქმედებით, ფეხზე დადგება ეკონომიკური ცხოვრება, გაუმჯობესდება არსებული მდგომარეობა და შეიქმნება ნიადაგი სოციალისტური წარმოების სისტემის შესაქმნელად.¹ ამრიგად, მთავრობამ გამოკვეთა იდეოლოგია ეკონომიკური რეფორმების ჩატარებაში.

მიდგომა, რომ მხოლოდ შრომით და წარმოების განვითარებით შეიძლებოდა ომის მიერ დაშლილ-განიავეებული ფასეულობების, ეკონომიკური ცხოვრების აღდგენა, სწორია, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს არა ქონების რეკვიზიციით, არამედ წარმოების აღორძინებით.

სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება თვლიდა, რომ წარმოების კოლექტიურ და კერძო ფორმებს შორის არც ერთს არ უნდა მიეცეს უპირატესობა, იგი ცხოვრებამ უნდა განსაზღვროს. თუ კოლექტიურ წარმოებას მივანიჭებთ უპირატესობას, მაშინ შევბოჭავთ კერძო ინიციატივას, შედეგად კი ვერ მიიღწევა დასახული მიზანი:

¹ გაზეთი „ერთობა“, №287, 17 დეკემბერი, 1919 წელი.

გამოვიწვევთ ეკონომიკურ რეგრესს. ეკონომიკური პოლიტიკა ისე უნდა წარიმართოს, რომ წარმოების არც ერთი დარგი არ უნდა გაბატონდეს მეორეზე. ყველა მათგანმა თავისუფალი რეჟიმის პირობებში უნდა იფუნქციონიროს. ამ პრინციპებზე დაარსდა მომარაგების სამინისტრო, რომელსაც ეკონომიკური ცხოვრება უნდა მოეწესრიგებინა.

ასევე, რესპუბლიკის ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ საქმეში სახელმწიფო დასაშვებ ფარგლებში ჩაერევა. ხელისუფლების მტკიცებით, სახელმწიფო უნდა დაეხმაროს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კერძო კაპიტალს ნორმალური კანონმდებლობის მიღებით, რომელიც ყველას თანაბარ კონკურენტულ პირობებში ჩააყენებს.

პირველი მოთხოვნების საგნები, უპირველეს ყოვლისა, მომუშავეთა ფენისათვის უნდა მიეწოდებინათ, ვინაიდან ისინი უფრო მეტ დახმარებას საჭიროებდნენ. ბუნებრივია, ამ მხრივ, ახლადშექმნილი სამინისტრო ყველაზე ახლოს უნდა ყოფილიყო მშრომელებთან. ასეთი იყო მთავრობის ეკონომიკური პროგრამის ასპექტები, რომლის რეალიზაციასაც იგი შეეცდებოდა უახლოეს მომავალში.

ბიუჯეტის არარსებობის გამო, ქვეყანაში უსისტემო მდგომარეობა შეიქმნა. ამასთან, უბიუჯეტო ქვეყნის წარმომადგენელი უცხოეთში ნდობას ვერ მოიპოვებდა. წინააღმდეგობები შეიქმნა საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობების დამყარებაშიც.

1919-1920 წლების სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის კანონპროექტი 1919 წლის 5 ივნისს, მთავრობის სხდომაზე განხილვის შემდეგ, გადაეცა დამფუძნებელ კრებას, რომელმაც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას მისი განხილვა დაავალა. თუმცა, მისი განხილვა დაგვიანდა. ამის გამო, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმზე (1920 წ. 5 თებერვალი) გაკეთდა განცხადება: «ბიუჯეტი სრული რვა თვეა, რაც

კომისიას გადაეცა და არავითარი ნიშანი არა სჩანს იმისა, რომ იგი ახლო ხანში წარმოედგინება დამფუძნებელ კრებას».¹

ამავე სხდომაზე საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას ეთხოვა ცნობის მიწოდება იმის შესახებ, თუ განხილვის რა სტადიაზეა ბიუჯეტი და როდის შეძლებენ დამფუძნებელ კრებაზე მის წარდგენას. «დამფუძნებელი კრების ყოველ-სხდომაზე აუარებელი ხარჯების გაღების დეკრეტები მტკიცდება, რომელთაც სწორედ საბიუჯეტო-საფინანსო ხასიათი აქვს. ესა ჰქმნის დიდ უსწორ-მასწორობას, გაუგებრობას და უსისტემობას. ბიუჯეტის უქონლობის გამო უწყებები ხარჯებს ეწევიან წინასწარვე და პოსტ-ფაქტუმ წარუდგენენ დამფუძნებელ კრებას და იგი იძულებული ხდება, უკვე ხარჯის გაღების ფაქტის წინაშე მდგარი, – დაადასტუროს უწყების, შეიძლება ითქვას, არასათანადო მოქმედებაც კი».²

1920 წლის 7 თებერვალს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა დაგვიანებით, მაგრამ კიდევ ერთხელ შეახსენა საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას, თუ როდის წარუდგენდნენ მათ მიერ განხილული 1919-1920 წწ. ბიუჯეტის პროექტს დამფუძნებელ კრებას, რამეთუ ისედაც «დაგვიანებულ ბიუჯეტს» დამატებითი დრო დასჭირდებოდა დამტკიცებამდე.

როგორც იქნა, ბიუჯეტის პროექტი შესწორებული სახით, შენიშვნებთან ერთად, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს 1920 წლის 31 მაისს წარუდგინა.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მოითხოვა აღნიშნული ბიუჯეტის პროექტის სტამბური წესით დაბეჭდვა, «რათა სახელმწიფოს პირველი ბიუჯეტი დამფუძნებელი კრების თვითოეულ წევრს ჰქონდეს დარიგებული»³. ასევე, განიხილებოდა საკითხი ბიუჯეტის სახელწოდების შესახებ. არსებობდა ორი სავარაუდო სახელწოდება: პირველი, «სახელმწიფოს 1919-1920 წლების შემოსავლის და გასავლის აღრიცხვა»⁴ და მეორე, «სახელმწიფოს 1919-1920 წწ. ბიუჯეტი»⁵.

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 651, ფურცელი 30.

² იქვე.

³ იქვე, ფურცელი 74.

⁴ იქვე, ფურცელი 30.

⁵ იქვე.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, პროექტს ეწოდა «სახელმწიფოს 1919-1920 წწ. ბიუჯეტი»¹. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მომზადდა სპეციალური კომისიის მიერ ფინანსთა სამინისტროსა და სხვა უწყების მონაწილეობით. პროექტი შედგებოდა სამი ნაწილისაგან: «ა) შემოსავლის აღრიცხვა, ბ) გასავლის აღრიცხვა და გ) ბალანსი»².

დამფუძნებელ კრებაზე პროექტის პირველადი (ზოგადი) განხილვა მოეწყო 1920 წლის 16 ივლისის სხდომაზე³. მოხსენება გააკეთა საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ გრ. გიორგაძემ. განხილვის დაწყებამდე დამფუძნებელი კრების წევრებს ბიუჯეტის პროექტი (9 ივლისს) დაურიგდათ რეგლამენტით გათვალისწინებული 7 დღით ადრე. 28 ივლისს დამფუძნებელ კრებაზე გაგრძელდა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

გამოითქვა განსხვავებული მისაზრებები:

შენგელაია: ბიუჯეტის განხილვა პროცესია, სადაც «ბრალდებულის სკამზეა მთავრობა და მას უნდა ასამართლებდეს დამფუძნებელი კრება», ქვეყნის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ძალების აზრით, ქვეყანა ფინანსურად არსებობას ვერ შეძლებდა. თუმცა, სახელმწიფო არც ისე ღირიბი აღმოჩნდა, ორ მიალიარდზე მეტი ხარჯი იქნა გაწეული და მაინც ვარსებობთ. ხარჯების ზრდის ერთ-ერთი მიზეზია მართვა-გამგეობის რთული სისტემა, უწყებებში გამეფებული ბიუროკრატიზმი და ფულის უსისტემოდ ხარჯვა. უწყებები სახელმწიფო კონტროლის შენიშვნებს არ ითვალისწინებენ;

თედო ლლონტი: წარმოდგენილი ბიუჯეტის პატრონი ვერ იარსებებს. ამაში ბრალი მის მმართველებს მიუძღვის. ბიუჯეტში ნაჩვენები უნდა იყოს ის ახალი გზები, რომლითაც სახელმწიფოს სურს წინსვლა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამაგრება. განუმარტავია დეფიციტის მიზეზები, ნაკლოვანებები, გამოსწორების გზები. ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალი პარაზიტული ხასიათისაა –

¹ იქვე, ფურცელი 73.

² იქვე.

³ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 651, ფურცელი 49.

ყველაზე მეტი (538.791.633 მან.) იხარჯება სამხედრო საქიროებაზე, გადასახადები (მ. შ. პირდაპირი) მძიმე ტვირთად აწვება ღარიბ მოსახლეობას. როცა სამხედრო საქმეზე დიდი თანხა იხარჯება, გზათა უწყებაზე – 417.280.812 მან, შრომის სამინისტროზე მხოლოდ 1.140.812 მანეთია გათვალისწინებული. ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა მაშინ გაჯანსაღდება, როდესაც მთელი ვაჭრობა-მრეწველობისა და ალებ-მიცემობის საქმე სახელმწიფოს ხელში გადავა.

განსხვავებული შეხედულებების არსებობის მიუხედავად, 1919-1920 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტი 1920 წლის 16 აგვისტოს დამტკიცდა. განისაზღვრა შემოსავალი 1.960.490.798 მან., გასავალი კი 1.960.490.788 მანეთით, შემოსავლებში 796.926.313 მანეთის შემოსავალი გათვალისწინებული იყო მთავრობის სამეურნეო ოპერაციებიდან (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

1919-1920 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალი¹

| რიგზე | შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი | ჯ ა მ ი |
|-------|--|------------------|
| 1 | პირდაპირი გადასახადი | 108. 929. 700 |
| 2 | არაპირდაპირი გადასახადი | 170. 801. 000 |
| 3 | ბ ა ჟ ე ბ ი | 40. 518. 500 |
| 4 | მთავრობის რეგალიები | 43. 856. 700 |
| 5 | სახაზინო ქონება და თანხები | 747. 369. 760 |
| 6 | სახელმწიფო ხაზინის ანაზღაურებელი ხარჯები | 1. 115. 116 |
| 7 | სხვადასხვაგვარი შემოსავალი | 3. 473. 709 |
| 8 | საკრედიტო ოპერაციებისაგან | 47. 500. 000 |
| | | 1. 163. 564. 185 |
| 9 | მთავრობის სამეურნეო ოპერაციებისაგან | 796. 926. 313 |
| | სულ | 1. 960. 490. 798 |

| რიგზე | გ ა ს ა ვ ა ლ ი | ჯ ა მ ი |
|-------|--|-------------------|
| 1 | დამფუძნებელი კრება | 10. 495. 515 |
| 2 | მთავრობის საქმეთა მმართველობა | 181. 973. 299-10კ |
| 3 | შინაგან-საქმეთა სამინისტრო | 207. 822. 692-60კ |
| 4 | სახალხო განათლების სამინისტრო | 137. 456. 956 |
| 5 | სამხედრო სამინისტრო (რეგულ. ჯარი, სახალხო გვარდია) | 538. 791 632 |

¹ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 434, ფურცელი 16-17.

| | | |
|----|--|-------------------|
| 6 | გარეშე-საქმეთა სამინისტრო | 21. 264. 296 |
| 7 | იუსტიციის | 55. 092. 753-98კ |
| 8 | ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო | 293. 404. 042 |
| 9 | მიწათმოქმედების სამინისტრო | 83. 646. 396-92კ |
| 10 | გზათა | 417. 280. 812-80კ |
| 11 | შრომის | 1. 140. 550 |
| 12 | სახელმწიფო კონტროლის | 9. 121. 851-60კ |
| | სულ | 1. 960. 490. 798 |

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1920 წლის 16 აგვისტოს პირველად დამტკიცდა 1919-1920 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტი, შემდგომში, 1921 წლის ბიუჯეტის დამტკიცება ქვეყანამ, ცნობილი მიზეზების გამო, ვეღარ შეძლო.

დემოკრატიულ საქართველოში დამოუკიდებელი ეკონომიკის ჩამოყალიბების გზაზე ეკონომიკური რეფორმების ჩასატარებლად სხვადასხვა მიმართულება გამოიკვეთა, მათ შორის: აგრარულ, ფულად-საკრედიტო, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის, საბაჟო, სტატისტიკურ, ფინანსური კონტროლის და სხვა სფეროებში.

1.2. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წლის 26 მაისი) დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უპირველესი ამოცანა იყო იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც ახალგაზრდა სახელმწიფოს ემუქრებოდა. დემოკრატიული საქართველოს პირველი მთავრობის დეკლარაცია წარმოადგენდა იმ დოკუმენტს, რომელზეც ქვეყნის მომავლის განვითარების ძირითადი სტრატეგია უნდა აგებულიყო. დეკლარაცია 1918 წლის 15 ივნისს ეროვნული საბჭოს სხდომას განსახილველად წარუდგინა მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა.¹

¹ გაზეთი „ეროობა“, №119, 18 ივნისი, 1918 წელი.

1918 წლის 28 მაისს, ქ. ფოთში გერმანიის მთავრობის საიმპერიო წარმომადგენელთან დაიდო წინასწარი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გერმანიის მთავრობამ საქართველოს რესპუბლიკის აღიარება და მისი ტერიტორიის დაცვა განიზრახა. 4 ივნისს ქ. ბათუმში ხელი მოეწერა ოსმალეთთან ხელშეკრულებას. ამ გზით დაკმაყოფილდა ქართველი ხალხის ნება ოსმალეთთან ზავის დადების შესახებ და ასევე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები მოსაზღვრე ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დასამყარებლად. მიუხედავად იმისა, რომ 4 ივნისს ზავის ზოგიერთი პირობა სამართლიან გულისწყრომას იწვევდა, მთავრობა მაინც იმედოვნებდა, რომ ენერგიული მოქმედებების, დიპლომატიური ნაბიჯების შედეგად მომავალში ქვეყნის ინტერესებს უფრო კარგად დაიცავდა.

მთავრობის უპირველესი მიზანი საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და დემოკრატიული წყობილების გარე და შიგა საფრთხისაგან დაცვა გახდა. ახალი დემოკრატიული წყობილების გასამტკიცებლად მთავრობა ითვალისწინებდა საეროხო თვითმმართველობის შექმნას, სასკოლო გარდაქმნებს, სასამართლო ცენტრალური ადმინისტრაციის და თვითმმართველობის ურთიერთობების განსაზღვრას, სავალდებულო უფასო პირველდაწყებითი სწავლა-განათლების მიღების აუცილებლობას და სხვ.

საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების განხორციელების სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა: ფინანსური მეურნეობის მოწესრიგება, დამოუკიდებელი ფულადი და საბაჟო სისტემის შექმნა და მათ შორის საკუთარი ფულის მოჭრა; სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება; რიგი პროდუქტების მიმოქცევაზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება; აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარება და სხვ. მანამდე კი, ვიდრე ეს რთული საქმე მოგვარდებოდა, მთავრობა ყველა ზომას მიმართავდა შიგა და საგარეო სესხების მოსაზიდად.

მთავრობა ინტენსიურად შეუდგა შემოსავლის და ქონების მიხედვით პროგრამული გადასახადის შემოღებას და საგადასახადო სისტემის გარდაქმნას მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა დიდი ძალისხმევით შეუდგა დაწყებული აგარარული რეფორმის განხორციელებას და ამ გზაზე დაბრკოლების დაძლევას.

წარმოებრივ ძალთა განვითარების უზრუნველყოფის წინა პირობების შესაქმნელად, ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად, უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად მთავრობამ განიზრახა ქვეყანაში უკეთ მოეწყოს სარკინიგზო საქმე, ტყეების ექსპლოატაცია, შედგომოდა არხების გაყვანას და ეზრუნა ინტენსიური აგარარული მეურნეობის დამკვიდრებისათვის.

ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენების მიზნით, მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა: ყოველგვარი მადნეულის სახელმწიფო საკუთრებად აღიარება და შესაბამისი კანონპროექტის წარდგენა ეროვნულ საბჭოში; სახელმწიფო კონტროლის დაწესება საზღვარგარეთ ნედლი მასალის გატანაზე; სოცი-ალური კანონმდებლობის განვითარება და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა; სათანადო ზომების მიღება სურსათით ხალხის უზრუნველსაყოფად. მთავრობა იმედოვნებდა, რომ ახლო მომავალში სახელმწიფო საქმეების უკეთესად მართვისა და განმტკიცებისათვის მოიწვევდნენ დამფუძნებელ კრებას. ასევე იმედოვნებდა, რომ ქართველი ხალხი ყოველგვარ დაბრკოლებას დაძლევა, ყველა მოქალაქე სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობით აღიჭურვებოდა და მისი აღმშენებლობის საქმეში თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანდა.

მალე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამი კვირის თავზე, 24 ივნისს, გადადგა პირველი მთავრობა და აირჩიეს ახალი მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით. მან 24 ივნისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ახალი მთავრობა

პრაქტიკულად «არ ადგენს ახალ დეკლარაციას, რადგანაც დღევანდელი ცვლილება არ არის პოლიტიკური ცვლილება, პოლიტიკურ ორგანიზაციებს არ დაუწუნებიათ ყოფილი კაბინეტის დეკლარაცია, ამიტომაც ეს დეკლარაცია რჩება, მიღებულია და დამტკიცებული»¹.

ნ. ჟორდანიას განცხადებით, მინისტრები რჩებოდნენ თანამდებობებზე, შეიცვლებოდნენ მხოლოდ მათი მოადგილეები. ასევე «მთავრობის მოქმედების პროგრამა უცვლელი რჩება, უნდა შეიცვალოს მხოლოდ მოქმედების მეთოდი»².

ახალი მთავრობა შემდეგი სახით დაკომპლექტდა: ნოე ჟორდანია – მთავრობის თავმჯდომარე; ნოე რამიშვილი – შინაგან საქმეთა მინისტრი; აკაკი ჩხენკელი – საგარეო საქმეთა მინისტრი; გრიგოლ გიორგაძე – სამხედრო მინისტრი; გიორგი ჟურული – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი; გიორგი ლასხიშვილი – სახალხო განათლების მინისტრი; ნოე ხომერიკი – მიწათმოქმედების და შრომის მინისტრი; შალვა მესხიშვილი – იუსტიციის მინისტრი; ივანე ლორთქიფანიძე – გზათა მინისტრი.

1917 წელს 19 ნოემბერს სოციალ-დემოკრატებმა მოიწვიეს საქართველოს ნაციონალური საბჭოს პირველი ყრილობა, 22 ნოემბერს კი აირჩიეს ე.წ. «ნაციონალური საბჭო» (ეროვნული საბჭო). ამავე საბჭოს გადაწყვეტილებით 1918 წლის 8 ოქტომბრიდან ეროვნულ საბჭოს პარლამენტი ეწოდა. პარლამენტი ამტკიცებდა დაწესებულებათა ბიუჯეტს, სასურსათო, დიპლომატიურ ხელშეკრულებებს და სხვა სამეურნეო საკითხებს. ამ ფუნქციების შესასრულებლად პარლამენტში შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისიები: საკონსტიტუციო, საგარეო საქმეთა, სამხედრო, იურიდიული, საფინანსო-საბიუჯეტო, გზათა, ჯანმრთელობის და სხვ. 1919 წლის 12 მარტს დამფუძნებელი კრების შეკრების დღიდან გაუქმებულად გამოცხადდა საქართველოს პარლამენტი.

¹ გაზეთი „საქართველო“, №125, 26 ივნისი, 1918 წელი.

² გაზეთი „ერთობა“, №130, 26 ივნისი, 1918 წელი.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14 მარტის სხდომაზე მთავრობა გადადგა – «შეწყნარებულ იქნეს განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ და დაევალოს იმავე მთავრობას განაგრძოს რესპუბლიკის საქმეთა მართვა ახალი მთავრობის შედგენამდე.»¹ მას შემდეგ, რაც ნოე ჟორდანიამ მთავრობის სახელით გაწეული მუშაობის ანგარიში წარადგინა, იგი იმავე სხდომაზე აირჩიეს მთავრობის თავმჯდომარედ და მასვე დაევალა ახალი მთავრობის შედგენა.

1919 წლის 21 მარტს დამფუძნებელმა კრებამ მთავრობა (და მისი დეკლარაცია) შემდეგი შემადგენლობით დაამტკიცა: მთავრობის თავმჯდომარე – ნოე ჟორდანია; საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი – ევგენი გეგეჭკორი (მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე); შინაგან საქმეთა, სახალხო განათლებისა და სამხედრო საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი; მიწათმოქმედების, შრომისა და გზათა მინისტრი ნოე ხომერიკი; ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი. «ასრულდა საქართველოს ერის სურვილი, შედგა სუვერენული ორგანო, დამფუძნებელი კრება, რომელიც მოწოდებულია შეიმუშაოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და მტკიცე ნიადაგზე დაამკვიდროს დამოუკიდებელი სახელმწიფო მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ორგანო დამფუძნებელი კრებისა და პასუხისმგებელი მის წინაშე, მიზნად ისახავს დემოკრატიის ინტერესთა დაცვას. რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცება და გაფართოება დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში – აი ის მთავარი მიზანი, რასაც ემსახურება ახლად შემდგარი მთავრობა.»²

საქართველოს მთავრობის ინტერესთა სფეროში შევიდა მოკავშირე სახელმწიფოებთან შეთანხმებისა და მათი დახმარებით საერთაშორისო აღიარების მიღწევა. ქვეყნის შიგა და საგარეო მდგომარეობას ამწვავებდა ომით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური

¹ საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), 14 მარტი, 1919 წელი, გვ. 8.

² საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), 21 მარტი, 1919 წელი, გვ. 12.

კრიზისი, რომელსაც საერთაშორისო მასშტაბები ჰქონდა. მთავრობა თავს ვალდებულად თვლიდა: მეტი ყურადღება მიეპყრო პერიფერიებისათვის; საქართველოს ფარგლებში «სამუსლიმანო საქართველოს თავმოყრისათვის», ასევე, ხელი შეეწყო ახალციხეში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისათვის; უზრუნველყო რესპუბლიკის ფარგლებში ყველა მოქალაქის, განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა, თანასწორუფლებიანობა.

ახალი მთავრობაც მიზნად ისახავდა: მართვა-გამგეობის გამარტივებას ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებზე დაყრდნობით, ასევე, საერობო თვითმმართველობის შექმნას იმ მაზრებში, სადაც ეს ჯერ ვერ განხორციელდა; სასამართლო რეფორმის დასრულებას და მის ეფექტიან ამოქმედებას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას და უმაღლესი სასამართლოს დაარსებას; საყოველთაო შეიარაღების დაკანონებას; უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხთა მიწებით უზრუნველსაყოფად აგრარული რეფორმის დაჩქარებას და აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის აღორძინებას.

მთავრობა თავის უპირველეს მოვალეობად თვლიდა მძიმე ფინანსური კრიზისიდან გამოსავალი გზების გამონახვას. ქვეყანა ფაქტობრივად მოწყდა მსოფლიო ბაზარს და სამრეწველო ცენტრებს, იგი ძირითადად საკუთარი ძალებით იკმაყოფილებდა სხვადასხვა მოთხოვნილებას.

ბიუჯეტის ზრდა, რომელიც სახელმწიფო ხარჯებით და ზედმეტი ბონების ბეჭდვით იყო გამოწვეული, ქვეყანას კარგს არაფერს უქადდა: «მთავრობა მიზნად ისახავს ხარჯების შემოკლებას და ბიუჯეტის ახლო მომავალში მოგვარებას, გადასახდების ახალი სისტემის გამომუშავებას მშრომელთა ინტერესების უზრუნველყოფით და შემოსავლის ახალი წყაროების გამონახვას, საკრედიტო ოპერაციების მოწესრიგებას, სახელმწიფო ქონებათა

ფინანსური კეთილდღეობისათვის გამოყენებას და ამ გზით კრიზისის განელებას და საფრთხის თავიდან აცდენას.»¹

მთავრობის პოზიციით, ჯანსაღი ფინანსური მეურნეობა უცხოეთიდან ექსპორტ-იმპორტის საკითხების მოწესრიგებას და მეწარმეობრივი ძალების განვითარებას მოითხოვდა. ამ მიზნით, მთავრობა ითვალისწინებდა: ფართო ასპარეზის გახსნას კერძო ინიციატივებისათვის როგორც წარმოების, ისე მიმოქცევის სფეროში, ხოლო სპეკულაციის წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომების მიღებას; ხელშეწყობას ინტენსიური მეურნეობის განვითარებისათვის სოფლად, ახალი წარმოებრივი ძალების შექმნას. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა მეზობელი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებითაც წარიმართებოდა. მთავრობა ასევე მხარდაჭერას ჰპირდებოდა კოოპერატიულ საზოგადოებებს, შრომის ინტერესების დაცვას, შრომის მწარმოებლურობის გაზრდას.

მთავრობა კვლავ მიზნად ისახავდა პირველდაწყებითი უფასო სავალდებულო და საყოველთაო სწავლა-განათლების შემოღებას, ასევე, პროფესიულ-ტექნიკური ცოდნის გავრცელებას, ახლო მომავალში ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებას და სხვ.

ზემოთ დასახელებული რთული მიზნების განხორციელება დაეკისრა მთავრობას, რომელიც იმედოვნებდა, რომ დამფუძნებელ კრებასთან შეთანხმებული მოქმედებებით ყოველგვარ დაბრკოლებას დაძლევა და ქვეყანას ახლო მომავალში აღმშენებლობის გზაზე დააყენებდა.

ამრიგად, დემოკრატიულმა მთავრობამ გამოკვეთა ქვეყანაში დამოუკიდებელი ეკონომიკის ჩამოყალიბების კურსი, რომელიც აგრარულ, ფულად-საკრედიტო, ვაჭრობის, საბაჟო, სტატისტიკური აღრიცხვის, ფინანსური კონტროლისა და სხვა სფეროების რეფორმირებას გულისხმობდა, მათ შორის კი ერთ-ერთი უპირველესი აგრარული რეფორმა იყო.

¹ საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), 21 მარტი, 1919 წელი, გვ. 15.

თავი 2. რეფორმები ვაჭრობა-მრეწველობისა და აგრარულ სექტორებში

2.1. სახელმწიფო მონოპოლიები ვაჭრობა-მრეწველობის სფეროებში

საქართველოს რესუბლიკის პირველსავე წლებში ფინანსური მდგომარეობა დამძიმდა, საგადასახადო შემოსავლებიც აღარ იზრდებოდა, გასახადების წყაროებიც ამოიწურა. საჭირო გახდა შემოსავლის ახალი წყაროების ძიება. შემოსავლების დამატებითი წყაროების ძიების გზად ზოგიერთ საქონლის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესება ჩაითვალა, რათა მოგების მეტი ნაწილი შესულიყო სახელმწიფოს ხაზინაში. ერთ-ერთი ასეთი საქონელი იყო ჭიათურის მაღალხარისხოვანი შავი ქვა – მარგანეცი, რომლის ექსპორტი არასახარბიელოდ მიმდინარეობდა.

საქართველოს მადნეულებში პირველი ადგილი შავ ქვას ეკავა, რომელიც სხვადასხვა საწარმოში მუშავდებოდა. კერძოდ, 1904-1913 წწ.: საშუალოდ 205 ფირმა ემსახურებოდა შავი ქვის დამუშავებას და მათგან მხოლოდ 8 ფირმას გაჰქონდა შავი ქვა საზღვარგარეთ. მათ დიდი კავშირი ჰქონდათ ამერიკასთან და ინგლისთან.¹ აგრეთვე დიდი ფინანსური საშუალება გააჩნდათ ამ პროდუქციის შეუზღუდავი ექსპორტირებისათვის, შეეძლოთ შესასყიდი ფასების შემცირებაც და მეტი მოგების მიღებაც, ეს მოგება კი წარმოების გაფართოებას და მუშაკთა ხელფასების ზრდას არ ხმარდებოდა.

მოთხოვნილება, რომელიც ყოველთვის არსებობდა ევროპაში ჭიათურის მარგანეცზე, ომის დროს შეფერხდა, ჩაიკეტა მისი გასაღების ბაზრები, წარმოება შეიკვეცა. ასე მაგალითად, თუ 1914 წელს შავი ქვის მრეწველობაში 175 საწარმო ფუნქციონირებდა, სადაც დასაქმებული იყო 3095 მუშა, ანალოგიურმა მონაცემებმა შეადგინა: 1918 წელს – 15 და

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 231, ფურცელი 2.

220; 1919 წელს – 10 და 256¹. დარგის აღორძინებას, ბაზრების ხელახლა მოპოვებას დრო და სოლიდური ინვესტიციები სჭირდებოდა, ვინაიდან საქართველოს ადგილი ევროპის ბაზარზე დაიკავა ბრაზილიის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების პროდუქციამ (იხ. ცხრ. 1)².

შუამავლების მეშვეობით ჭიათურის პროდუქცია ბაზარზე გადიოდა გაუწმენდავი, სილაგარეული სახით და ამით სახელი ელახებოდა ქართული მარგანეცის ხარისხს, მოგების დიდი ნაწილიც უცხოეთში რჩებოდა. ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად წვრილი მრეწველი მწარმოებლების გაერთიანება იყო საჭირო. ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა სამინისტროს ჩარევით მცირე ფირმების ნაწილი ჭიათურის მარგანეცის (შავი ქვის) მრეწველთა აქციონერული საზოგადოების სახით გაერთიანდა. მისი წესდება სამინისტროს მიერ 1918 წლის 27 სექტემბერს დამტკიცდა. საზოგადოების ძირითადი თანხა 30 მილიონ ოქროს მანეთს შეადგენდა, მასში გაერთიანდა 165 მცირე საწარმო თავისი ქონებით, ხოლო «საზოგადოების წევრთა ქონება ერთად აღებული წარმოადგენდა: 3000 ქცევა მადნიან მიწას, 18 სამრეცხაოს, 50 კოლომეტრის სიგრძე ვიწრო ლიანდაგიან რკინიგზას, ბინებს – მუშაკთა საცხოვრებლებს, კანტორების და საწყობებისას, ქიმიურ ლაბორატორიებს, საწყობებს (ბაქანს) ჭიათურაში და ფოთში, ვაგონებს და ხელსაწყობებს და სხვ.»³

ცხრილი 1

შავი ქვის გატანა (ათას ფუთობით)

| წლები | სულ | რუსეთში | ბელგიაში | დიდ ბრიტანეთში | ჰოლანდიაში | გერმანიაში | საფრანგეთში | ჩრდ. ამერიკის შერთ. შტატ. | დანარ. დაუსახელებ. სახელ. |
|---------|-------|---------|----------|----------------|------------|------------|-------------|---------------------------|---------------------------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1909-13 | 46778 | 1332 | 7322 | 10497 | 17165 | 2314 | 2416 | 3482 | 2250 |
| 1913 | 65826 | 617 | 11163 | 15091 | 21987 | 3186 | 3368 | 8409 | 2005 |
| 1914 | 43653 | 936 | 9577 | 6677 | 16482 | 3755 | 1485 | 2142 | 2579 |

¹ სტატისტიკური კრებული (1909-1921), ტფ., 1923 წ., გვ. 49.

² იქვე, გვ. 53.

³ კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, გვ. 89.

| | | | | | | | | | |
|------|-------|------|-----|------|------|---|-----|-----|------|
| 1915 | 540 | 540 | - | - | - | - | - | - | - |
| 1916 | 1862 | 1862 | - | - | - | - | - | - | - |
| 1917 | 359 | 359 | - | - | - | - | - | - | - |
| 1918 | 4078 | 2095 | - | - | - | - | - | - | 1983 |
| 1919 | 2358 | 2026 | - | - | - | - | - | - | 332 |
| 1920 | 10735 | - | 626 | 5848 | 1682 | - | 206 | 709 | 1664 |
| 1921 | 1561 | 15 | - | - | 743 | - | 62 | - | 741 |

ჭიათურაში მომქმედი 22 ფირმიდან იყო: ქართველების – 6, გერმანელების – 2, ინგლისელების – 2, ბელგიელების – 1, ფრანგების – 1, ბერძნების და სხვების – 10.¹ ასეთი ნაბიჯების შემდეგ ჭიათურაში წარმოება მეტ-ნაკლებად გამოცოცხლდა, დაგროვდა მარაგები, მთავარ საზრუნავად კი გასაღების ბაზრების დაუფლება რჩებოდა.

სახელმწიფომ თავად გადაწყვიტა ამ საქმის გაძლოლა, შუამავლის გარეშე, ანუ ექსპორტის უფლებაც მთავრობის პრეროგატივა უნდა ყოფილიყო. პროდუქციის მონოპოლიის ცხოვრებაში რეალურად განხორციელებას მომზადება სჭირდებოდა: «შეიძლება თვით მთავრობამ უშუალოდ გაატაროს გაზიდვისა და უცხოეთის ბაზარზე გასაღების საქმე, შეიძლება, რადგან ეს დიდ გამოცდილებას, ბაზრის ცოდნას და სხვ. მოითხოვს სხვა და სხვა დაწესებულებებს მიანდოს თავის უფლების პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარება; შეიძლება მტკიცე ფასები დააწესოს მარგანეცზე, შეიძლება თვით მწარმოებელნიც შემოიყვანოს მონაწილეთ მოგებაში და სხვა.»²

პრინციპს იმის შესახებ, რომ მონოპოლია მთავრობის პრიორიტეტად გამოცხადდებოდა, მრეწველებიც მხარს უჭერდნენ. სახელმწიფოს ასეთი პოლიტიკის გატარებით დიდი შემოსავლების მიღება შეეძლო, ვინაიდან საშუალო ანგარიშით წელიწადში საზღვარგარეთ შეიძლებოდა 30 მლნ ფუთი მარგანეცის გატანა. თუ ერთი ფუთი შავი ქვის ფასი დაახლოებით ოთხასი მანეთის ფარგლებში მერყეობდა, მისი გასაყიდი ფასი ფოთში ან ბათუმში ერთი შილინგი (ოცი მანეთი) იყო. ასეთ პირობებში ადმინისტრაციის შენახვაზე,

¹ იქვე.

² სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 231, ფურცელი 2.

საკომისიო ხარჯებზე და საქონლის გადატანაზე, რომ გასაყიდი ფასის 30% დახარჯულიყო, წმინდა მოგება ფუთზე ათი მანეთი დარჩებოდა და ჯამში კი 300 მლნ მანეთს შეადგენდა. აქედან ცხადია, რომ შავი ქვის საზღვარგარეთ გატანის სახელმწიფოს მონოპოლიად გამოცხადებით ხელი შეეწყობოდა «არა მარტო ბიუჯეტის გაჯანსაღებას, არამედ და უმთავრესად უცხო ვალუტის შეძენას, ჩვენებური ბონების კურსის გამაგრებას და ერთნაირი საფუძვლის გამოძებნასაც საკუთარი ვალუტის შესაქმნელად»¹. ასეთი გაანგარიშებები მაცდურია, თუ ქვეყანა შეძლებდა დარგში თავდაპირველი ინვესტიციების განხორციელებას. მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა შეძლებდა კი ამას?

1919 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ განიხილა დეკრეტის პროექტი «შავი ქვის (მარგანეცის) უცხოეთში გაზიდვის მონოპოლიის დაწესების შესახებ» (მომხსენებელი საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე დ. თოფურიძე) და იგი თითქმის უცვლელად დააკანონა შემდეგი შინაარსით:

«1. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამუშავებულ უცხოეთში გასაზიდი ყოველგვარ შავი ქვისთვის დაწესდეს სახელმწიფო მონოპოლია.

2. პირველ მუხლში აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად მთავრობას უფლება ეძლევა, თუ საჭიროდ დაინახავს, სხვადასხვა დაწესებულება გამოიყენოს»².

მიუხედავად იმისა, რომ, აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული კანონის თანახმად, მადნეული სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა, სახელმწიფო მონოპოლია მარგანეცის წარმოების ნაციონალიზაციას არ ითვალისწინებდა.

ამრიგად, შავი ქვის ექსპორტზე მონოპოლიის გამოცხადებას ფისკალური და მრეწველობის განვითარების ინტერესები განაპირობებდა. ამასთან, მთავრობამ ამ საქმეში პროფესიონალი,

¹ იქვე, ფურცელი 8.

² სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 231, ფურცელი 12.

გამოცდილი მრეწველები ჩართო და ამავე მიზნით «ქიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოება» შექმნა.

შემდგომში დღის წესრიგში დადგა ფოთლოვანი თამბაქოს ყიდვა-გაყიდვისა და საზღვარგარეთ გატანა-განაღების საქმის სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადების საკითხიც. ამ დროს თამბაქოს მოსავლის რაოდენობით საქართველოს ამიერკავკასიაში პირველი ადგილი ეკავა. ასე მაგალითად, «1910 წ. მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში, სოხუმის ოლქიანად 319.000 ფუთი თამბაქო მოუყვანიათ, მათ შორის 2.700 ფუთამდის მდარე ღირსებისა, დანარჩენი კი უმაღლესი ხარისხისა»¹. მოსავალი შემდეგ წლებშიც გაიზარდა და 1917 წელს 700.000 ფუთს მიაღწია². წარმოებული პროდუქცია ქვეყნის მოთხოვნილებასაც სრულად აკმაყოფილებდა და მისი ნაწილი რუსეთისა და ევროპის ბაზრებზეც გაჰქონდათ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გამეფებულმა ქაოსმა, ანარქიამ, ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები მოშალა. ამას მოჰყვა თამბაქოს გასაღების ბაზრების შეკვეცა, დიდძალი თამბაქოს პროდუქციის დაგროვება. მეთამბაქოობის მდგომარეობაც გაუარესდა შემოსავლების დაკარგვის გამო. მიუხედავად ამისა, ფასები იზრდებოდა და ამით გარკვეული ჯგუფები სარგებლობდნენ. ასე მაგალითად, საუკეთესო ხარისხის თამბაქო თუ ღირდა 15-18 მან, სიმინდი კი 50 კაპ – სიმინდის ფასმა უკვე 80 მანეთს, თამბაქოს ფასმა კი მხოლოდ 400-420 მანეთს მიაღწია ანუ სიმინდის ფასმა 160-ჯერ, ხოლო თამბაქოს ფასმა 23-26 ჯერ მოიმატა. გააქტიურდნენ სპეკულანტები, რომლებიც თამბაქოს იაფად ყიდულობდნენ, ხოლო შემდგომ გაჰქონდათ იგი საზღვარგარეთ, იქიდან კი ძირითადად ფუფუნების საგნები, ანუ თავიანთთვის ხელსაყრელი საქონელი შემოჰქონდათ. თამბაქოს გატანის ხელშემშლელმა პირობებმა და თამბაქოს ფასის დაცემამ ხელი ააღებინა მეთამბაქოებს ამ პროდუქტის წარმოებაზე. მეთამბაქოეები იძულებულნი

¹ სკსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 202, ფურცელი 11^{აბ}.

² იქვე.

გახდნენ უფრო დაბალი კულტურის პროდუქციის წარმოებაზე გადართულიყვნენ. მცირდებოდა თამბაქოს ნათესი მიწის ფართობები და მის შემდგომ არსებობას საფრთხე ემუქრებოდა: «უნდა ითქვას, რომ თამბაქოს ყველა სპეკულიანტი ერთი ფირმის გარდა, რომელიც რესპუბლიკასთან მტრულ განწყობილებაშია, მეტად უღირსი ხალხია, რომელთაც არავითარი შანსი და უნარი არა აქვთ რაიმე საზოგადო და სასარგებლო საქმის მოწყობისა, ისინი მხოლოდ მოტყუებით და თითქმის ტერორითაც, აღწევენ თავის ქვენა მიზნებს და ნახევრად დამშეულ მეთამბაქოეებს ხელიდან ჰგლეჯენ წვითა და დაგვით მოყვანილს ნაწარმოებს»¹ ასეთი პირობების გამო სახელმწიფო თავს ვალდებულად თვლიდა რაიმე გამოსავალი მოეძებნა, მიეღო ისეთი ზომები, რომელიც ამ წარმოებას ისევ ააღორძინებდა, ხოლო მის მწარმოებლებს კი იმედს შთაუწერგავდა. ამ საქმეში აუცილებელი იყო მთავრობის ჩარევა, რომელსაც თავად უნდა ეკისრა შესყიდვა-გატანა-განადღების საქმე.

თამბაქოს შესასყიდად საჭირო იყო ცენტრალური მთავრობის, ადგილობრივი სამმართველოებისა და მეთამბაქოეთა კავშირების წაარმომადგენლებისაგან საგანგებო ორგანოს შექმნა. ეს ორგანო თავისი მოვალეობის აღსრულებაში უმთავრესად კოოპერატიულ დაწესებულებებს დაეყრდნობოდა. მათ გარკვეული გამოცდილება ჰქონდათ, ამასთან, ამ ორგანიზაციების მიზანი იყო როგორც კომერციული, ასევე ქვეყნის მოქალაქეთა პირველადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მათი ინტერესების დაცვა გამალეებული სპეკულაციის ხანაში. ამ ორგანიზაციებს კანონმდებლობით უნდა მინიჭებოდათ მთავრობის ზედამხედველობით, დაგროვილი თამბაქოს შესყიდვისა და მისი უცხოეთში ექსპორტირების უფლება.

მონოპოლიის უკეთ რეალიზების მიზნით საჭირო იყო: კერძო ექსპორტიორთა საწყობებში შენახული თამბაქოს რაოდენობის აღწერა. შემოწმება უნდა წარემართა ერობათა აგრონომიულ განყოფილებებს

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 202, ფურცელი 11^დ.

ზემოხსენებული ორგანოს უშუალო მეთვალყურეობით და გაბათილებულიყო ყველა გაცემული ნებართვა არაექსპორტირებულ თამბაქოზე.

მეთამბაქოეობის ასაღორძინებლად, თამბაქოს ძველი სათესი ფართობების აღსადგენად, გასაფართოებლად, თამბაქოს დამუშავებისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად მთავრობას მიეცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. გააადვილოს თამბაქოს პლანტაციისთვის საჭირო მიწების იჯარის აღებისა და საკუთრებად შეძენის საქმე გრძელვადიანი სესხის გაცემით და სახელმწიფო მიწის ფონდიდან შეღავათიანი პირობებით დათმობით;
2. შეიძინოს და მეთამბაქოეებს სათესლედ დაურიგოს საუკეთესო ხარისხის ოსმალური სამსონი სათანადო ინსტრუქციებით;
3. დააწესოს შრომისა და ხელფასის ნორმალური პირობები თამბაქოს პლანტაციებზე და გააუმჯობესოს აქ დასაქმებულთა მდგომარეობა;
4. მეთამბაქოეებს მისცეს წარმოებისათვის საჭირო ინვენტარი;
5. პლანტაციების წინასწარ დასამუშავებლად გასცეს სესხები;
6. დააწესოს ჯილდო თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესებისათვის;
7. მიიღოს ღონისძიებანი, რათა სახელმწიფომ თავად დაამზადოს თამბაქოს ნაწარმი;
8. მეთამბაქოეებს ხელი შეუწყოს ფოთლოვანი თამბაქოს დასამუშავებელი საწარმოების მოსაწყობად მეთამბაქოეობის რეგიონებში;
9. გაამარტივოს საქართველოში დამზადებული თამბაქოს ნაწარმის ექსპორტირების წესები.¹

მომარაგების მთავარმა გამგეობამ 1919 წლის 18 სექტემბერს მთავრობას წარუდგინა დეკრეტის პროექტი საზღვარგარეთ გასატან ფოთლოვან თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ. ამ

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 202, ფურცელი 13.

პროექტის შეტანა დამფუძნებელ კრებაზე ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა სამინისტროს დაევალა. მთავრობის ნებართვის გარეშე თამბაქოს გატანა ისედაც აკრძალული იყო, დეკრეტმა კი ეს წესი დააკანონა. ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა მინისტრს კ. კანდელაკს გაუმართლებლად მიაჩნდა: «გაბათილება იმ ნებართვების, რომელიც დღემდის გაუნაღდებელი დარჩა, რადგან ის ნებართვები გაცემული იყო მთავრობის მიერ მოწონებული წესის თანახმად.»¹

მაშასადამე, გაცემული ნებართვების გაბათილების შედეგები ეკონომიკური პოლიტიკისათვის არასასურველია. ბუნებრივია, რომ ნებართვა, რომელიც ვადამდე გაბათილდება, ყოვლად მიუღებელია. თუმცა, არსებობდნენ ისეთი ნებართვიანი პირებიც, რომელთაც თამბაქოს ერთი ფოთლიც არ მოეპოვებოდათ, მაშინ როდესაც ერთი ფუთი თამბაქოს ფოთლის გატანის ნებართვა ბაზარზე 70 მანეთი ღირდა და ასეთ პირებზე გაცემული ნებართვების გაბათილება შეიძლებოდა. რაც შეეხებოდა უცხოელებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ისეთ პირებს, რომელთაც მართლაც მოეპოვებოდათ დაგროვილი თამბაქოს ფოთლი, მათთვის ნებართვების შენარჩუნება შეასაძლებლად მიაჩნდათ.

1919 წლის 15 ოქტომბრის საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის სხდომაზე განიხილეს ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილი დეკრეტის პროექტი – ფოთლოვან თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ. გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება, ასე მაგალითად, ბერნშტეინმა მხარი დაუჭირა პროექტს იმ პირობით, რომ გაცემული ნებართვები გაუქმდებოდა და ექსპორტიორები მიიღებდნენ პროდუქციის გატანის ნებართვას მთავრობასთან უცხოურ ვალუტაში (გირვანქა სტერლინგში....) შეთანხმებული ხელშეკრულების საფუძველზე. თითქმის იმავე პოზიცია ჰქონდა გიორგაძეს, ხოლო იმნაიშვილი ემხრობოდა დეკრეტს, მე-2 მუხლის გამოკლებით, ვინაიდან იგი მონოპოლიის განხორციელების ხელის შემშლელ ფაქტორად

¹ იქვე.

დაასახელა¹. საბოლოოდ, პროექტს მხარი დაუჭირეს იმ პირობით, რომ მონოპოლიის გამხორციელებამდე საქონლის ექსპორტის თავისუფლად განხორციელებისას ექსპორტიორებს ხელშეკრულება უნდა დაედოთ მთავრობასთან უცხოეთის ვალუტაში². ასევე, კ. კანდელაკის აზრით, მთავრობას უნდა შეძლებოდა თამბაქოზე მტკიცე ფასების დაწესება და ამ ფასებში მწარმოებლებისაგან თუთუნის მიღება. ამასთან, რესპუბლიკაში ამ სფეროში დადებული ყველა ხელშეკრულების შესახებ უნდა ეცნობოს მთავრობას.

საბოლოოდ, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 24 ოქტომბერის დეკრეტმა «ფოთოლი თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადების» შესახებ შემდეგი სახე მიიღო:

«1. ყიდვა-გაყიდვა, საზღვარგარეთ გატანა და განაღდება ფოთოლი თამბაქოსი შეადგენს სახელმწიფო მონოპოლიას.

2. მთავრობას უფლება აქვს, დააწესოს მტკიცე ფასი ფოთოლი თამბაქოსი და ამ ფასით ჩამოერთვას იგი მქონებელს.

შენიშვნა. მტკიცე ფასების შესამუშავებლად არსებობს ორგანო, სადაც შედიან მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სავაჭრო პალატის წარმომადგენლები.

3. პირველ მუხლში აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად მთავრობას ნება აქვს გადასცეს საზოგადოებრივ და ანგარიშვალდებულ კერძო დაწესებულებათა და თამბაქოს ფაბრიკებს თავისი უფლება სრულად, ან ნაწილობრივ»³.

მალე დღის წესრიგში ჩადგა სახელმწიფო მონოპოლიის განხორციელება სხვა სახის პროდუქციაზეც, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1919 წლის 13 ნოემბერს განიხილა დეკრეტის პროექტი მატყლზე და აბრეშუმის პარკზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ.

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 202,, ფურცელი 21.

² იქვე.

³ კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, №16, 20 ნოემბერი, 1919 წ.

აღნიშნული დეკრეტის მიღება მიზანშეწონილად ჩათვალა სახელმწიფო კონტროლიორმაც, რომელიც დაეთანხმა მთავრობის მიერ განზრახულ ღონისძიებებს და იმასაც, რომ მატყლის, თამბაქოს და სხვა ნედლი მასალისათვის შემოდებული მონოპოლიის განსახორციელებლად გაეღოთ სახელმწიფო ხაზინიდან 80 მლნ მან. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ამ თანხის 130 მლნ მანეთამდე გაზრდა მოითხოვა¹. ამ პერიოდში გაძნელდა ზღვაზე ტონაჟის შოვნა და რესპუბლიკაში საქონლის ექსპორტ-იმპორტი. საქართველოს მთავრობა შეღავათიან პირობებს სთავაზობდა ყველას, ვინც ამ საქმეში ჩაერთვებოდა. როგორც კი ვითარება განიმუხტებოდა და გზები გაიხსნებოდა, ქვეყანა შეძლებდა მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას ევროპასთან, სადაც დიდი მოთხოვნილება იყო ნედლ მასალაზე. ამ ფონზე მთავრობამ გადაწყვიტა ნედლი მასალა «უპირველეს ყოვლისა თვითონ სახელმწიფოს გამოყენებინა უცხოეთის ვალუტის შესაძენად»². სწორედ ამიტომ, იმ საქონლის გატანაზე, რომელსაც შეეძლო ქვეყნისათვის ვალუტით შემოსავლის მიცემა, მთავრობამ მონოპოლია გამოაცხადა. ამ მიზნით, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ წინადადება წარუდგინა დამფუძნებელ კრებას, რომელმაც უკვე მიიღო დეკრეტი მარგანეცისა და ფოთლოვან თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ. ამის გარდა, მთავრობას შესყიდული ჰქონდა დაახლოებით ათი ათას ფუთამდე აბრეშუმის პარკი 7 მილიონ მანეთად.³

იმავედროულად გაძნელდა რიგ საქონელზე მონოპოლიის გამოცხადება, რადგან იგი დიდ თანხებს, გამოცდილებას და ორგანიზებას მოითხოვდა. ამიტომაც, მთავრობის აზრით, ამ საქმეში აქტიურად მრეწველები უნდა ჩაერთოთ. ასეთმა გარემოებებმა განაპირობა შავი ქვის მონოპოლიის განხორციელების შეფერხება. აქ ერთმანეთს შეეჯახა ქართველი და უცხოელი მწარმოებლების ინტერესები. უცხოელები რაც შეიძლება მეტი მარგანეცის გატანას

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 233, ფურცელი 10.

² იქვე, ფურცელი 4.

³ იქვე.

ცდილობდნენ, მაგრამ კანონი მათ ინტერესებს წინ გადაელობა და მათთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა.

თამბაქოს მონოპოლიის ცხოვრებაში გატარების მიზნით, მწარმოებლებს ორი მილიონი მანეთის¹ საკრედიტო ხაზი გაეხსნათ, ამასთან, მეთამბაქოეთა კავშირი დაგროვილი თამბაქოს რეგისტრაციასაც აწარმოებდა.

დღის წესრიგში დასმული საკითხი მატყლზე და აბრეშუმის პარკზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ დამფუძნებელთა კრებას 1919 წლის 2 დეკემბერს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის სახელით განსახილველად წარუდგინა თ. თევზაიამ (სოციალ-დემოკრატი). განხილვაში მონაწილეობდნენ: ალ. ასათიანი (ეროვნულ-დემოკრატი), ილ. ნუცუბიძე (სოციალ-რევოლუციონერი), მინისტრი კ. კანდელაკი და სხვები. დამფუძნებელმა კრებამ უარყო სოციალ-რევოლუციონერთა ფრაქციის წინადადება – «დეკრეტი მატყლზე და აბრეშუმის პარკზე მონოპოლიის გამოცხადებისა დაუბრუნდეს საფინანსო უწყებას დასამუშავებლად სრული მონოპოლიის წესის და წვრილ მწარმოებელთა ინტერესების დაცვით»². ამასთან, პროექტის მუხლობრივი განხილვისას გაიზიარეს სოციალ-დემოკრატების წინადადება იმის შესახებ, რომ პირველ მუხლში მონოპოლიის შემდეგ დაემატოს სიტყვები: «სახელმწიფო მონოპოლიას შეადგენს აბრეშუმის ძაფის და ყაჭის უცხოეთში გატანა და გასაღება», მეორე მუხლში კი «პარკის» შემდეგ ჩაემატოს «აბრეშუმის ძაფის და ყაჭის.»³

ყველა იმ საქონელზე, რომელსაც შეეძლო ქვეყანაში შემოეტანა ვალუტა, ერთბაშად გაძნელდა მონოპოლიის გამოცხადება, რადგანაც დიდ ხარჯებს მოითხოვდა თავად მთავრობისაგან. მონოპოლიზების პროცესი ეტაპობრივად წარიმართა – ჯერ გამოცხადდა მონოპოლია მადნეულზე და ფოთლოვან თამბაქოზე: 300 ათას ფუთ შესასყიდ ფოთოლ თამბაქოს სჭირდებოდა 150 მლნ მანეთზე მეტი, იმავე

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 233, ფურცელი 4.

² იქვე, ფურცელი 17.

³ იქვე.

რაოდენობის მატყლს კი 15 მლნ მანეთი. ამ თანხების გაცემა კი სახელმწიფოს არ შეეძლო. ამიტომ, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა სახელმწიფო ხაზინიდან მატყლის და სხვა სავალუტო საქონელის შესასყიდად 80 მლნ მანეთი მოითხოვა. საბოლოოდ, დეკრეტი «მატყლზე, აბრეშუმის პარკზე, აბრეშუმის ძაფზე და ყაჭზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ» (1919 წლის 3 დეკემბერი) შემდეგი შინაარსით მიიღეს:

«1. ყიდვა-გაყიდვა, საზღვარგარეთ გატანა და განადღება მატყლისა და აბრეშუმის პარკისა შეადგენს სახელმწიფო მონოპოლიას. სახელმწიფო მონოპოლიას შეადგენს აგრეთვე ძაფისა და ყაჭის უცხოეთში გატანა და გასაღება.

2. მთავრობას უფლება აქვს დააწესოს მტკიცე ფასი მატყლისა, აბრეშუმის პარკისა, აბრეშუმის ძაფისა და ყაჭისა და ამ ფასათ ჩამოართვას იგი მქონებელს.

შენიშვნა: მტკიცე ფასების შესამუშავებლად დაარსდეს ორგანო, სადაც უნდა შევიდნენ მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მწარმოებელთა წარმომადგენელი.

3. პირველ მუხლში აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად მთავრობას უფლება აქვს, გადასცეს საზოგადოებრივ და ანგარიშვალდებულ კერძო დაწესებულებათა და მატყლისა და აბრეშუმის პარკის ფაბრიკებს თავისი უფლება სრულად ან ნაწილობრივ.

4. გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებაში მატყლისა, აბრეშუმის პარკისა, თამბაქოს და სხვა გვარ უცხოეთში გასაზიდ ნედლი მასალის შესაძენად, ას ოცდა ათი მილიონი (130.000.000) მანეთი.»¹

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სახელმწიფო ხაზინაში უცხოური ვალუტის მობილიზების, ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციიდან მეტი მოგების მიღების,

¹ კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, №20, 14 იანვარი, 1920 წელი, გვ. 395.

ფინანსური სტაბილიზების მიღწევის მიზნით, 1919 წელს ეტაპობრივად გამოაცხადა შავი ქვის (2 აგვისტოს), ფოთლოვანი თამბაქოს (24 ოქტომბერს), მატყლის, აბრეშუმის პარკის (მაფის და ყაჭის) ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლია, თუმცა, მძიმე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში მყოფი ქვეყნისათვის ნაკლებად შესაძლებელი იყო ასეთი არასაბაზრო მექანიზმებით წარმატებების მიღწევა, მით უმეტეს, რომ ქვეყანას ასეთი მონოპოლიის განხორციელებისათვის აუცილებელი სახსრები არ გააჩნდა.

გარდა ცალკეული სახის პროდუქციის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებისა, სახელმწიფო მონოპოლიას დაექვემდებარა «სათამაშო ქაღალდებიც». საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 12 ნოემბრის კანონით «სათამაშო ქაღალდისათვის სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებისა», ქვეყნის ტერიტორიაზე «სათამაშო ქაღალდის» დამზადებაზე გამოცხადდა სახელმწიფო მონოპოლია.

ამასთან, სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა გარკვეული სახის ქონებაც. ამ მიზნით, 1918 წლის 29 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი «სამკურნალო მადნეულ აბანოებისა, წყლებისა და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადებისა».

მიღებული კანონის თანახმად, საზოგადოებრივი მნიშვნელობის ყველა სამკურნალო, მადნეული აბანო, წყარო, ტალახი და მათ გარშემო მდებარე კურორტის მოსაწყობად საჭირო ადგილები სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს. მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა მიწათმოქმედების სამინისტროს დაევალა (საექიმო უწყებებთან შეთანხმებით). მიწათმოქმედების მინისტრს დაევალა: ჩამორთმეული ქონების მიღება და ამ ქონების საფასურის განსაზღვრა, რომელიც უნდა ანაზღაურებოდა მეპატრონეებს შენობების, ადგილების მოწყობაზე და მოწყობილობების შექმნაზე გაწეული დანახარჯების

სანაცვლოდ (დადგენილი ნორმის მიხედვით). აღნიშნულ ქონებაზე დადებული ხელშეკრულებაც გაუქმებულად გამოცხადდა¹.

გარდა ამისა, დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 15 ივლისს მიიღო კანონი «მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებისა», რომლის მიხედვითაც ყველა მიწის გული და მადნეულობა საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ჩვეულებრივი თიხისა, ქვიშისა, ხრემისა და უბრალო სამშენებლო ქვიშისა) გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად. ეს მოთხოვნა არ ვრცელდებოდა 1920 წლის 1 ოქტომბრამდე ამოღებულ მადანზე.² ამავე კანონით, ამ ქონების გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება (ნებართვა) გაუქმებულად გამოცხადდა. მიღებულმა კანონმა ჭიათურის შავი ქვის მრეწველებს უპირატესობა მიანიჭა (სხვა თანაბარ პირობებში) ამ კანონის გამოცემამდე კუთვნილი მადნების იჯარით აღებაში, აგრეთვე, «იმ რაიონებში, სადაც მრეწველობა არსებობს, მესაკუთრეს, თუ ის თავის ადგილში მრეწველობას არ ეწევა, სახელმწიფო აძლევს სამაგიერო მიწას ნორმის ფარგლებში 1918 წლის მარტის 7-ის კანონის თანახმად»³.

მადნეულობაზე სახელმწიფო საკუთრების გამოცხადება მთლიანობაში დადებითად შეიძლება შეფასდეს, მაგრამ ამ ქონებით სარგებლობაზე ადრე დადებული ხელშეკრულებების დირექტიულად გაუქმება, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, გამართლებული არ იყო.

2.2. აგრარული რეფორმის ასპექტები

საქართველო იმთავითვე აგრარული ქვეყანა იყო და ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური აღორძინების მთავარ საფუძველს აგრარული რეფორმის სწორად წარმართვა წარმოადგენდა. ამ რეფორმის მთავარი შემოქმედი სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოე

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ., 1990 წ., გვ. 111.

² იქვე, გვ. 407.

³ იქვე, გვ. 408.

ხომერიკი იყო. ქვეყნის მოსახლეობის 80%-ზე მეტი სოფლად ცხოვრობდა, გლეხობის 60-64% ძირითადად იჯარით აღებული მიწით სარგებლობდა. გლეხობა დიდი ხანია ელოდა მიწაზე კერძო საკუთრების პრობლემის მოგვარებას. 1917 წლის მონაცემებით, საქართველოს მიწის ფონდი სულ 5537 207 დესეტინას შეადგენდა¹, 1918 წლის 1 იანვრის მონაცემებით კი თავადაზნაურობას ეკუთვნოდა (დაახლოებით) აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გუბერნია) 511.538 დესეტინა, ხოლო დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის გუბერნია) – 110.157 დესეტინა მიწა².

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული აგრარული რეფორმა თავისთავად უკავშირდებოდა მე-19 საუკუნის 60-იანი წლების რეფორმას, რომელმაც გლეხობის მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა.

რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აგრარული რეფორმის საკითხში ერთ-ერთი პირველი აქტით (1917 წლის 12 ივლისი) მიწების ყიდვა-გაყიდვა აიკრძალა. ასეთი გადაწყვეტილება გამიზნული იყო მიწებით სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, იმისათვის, რომ შეუძლებელი ყოფილიყო მიწების დაგირავება და უცხოელებზე გადაცემა და დამფუძნებელ კრებას თავისი შეხედულებისამებრ გაენაწილებინა იგი. დროებითი მთავრობის დადგენილებით, მიწები გაიყიდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებდნენ ნებართვას ადგილობრივი საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტებიდან და მიწათმოქმედების მინისტრისაგან.

მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთში რევოლუცია დამარცხდა, დღის წესრიგში დაისვა რევოლუციის გადარჩენის საკითხი ამიერკავკასიაში. 1918 წლის 23 თებერვალს ამიერკავკასიის კომიტეტის გადაწყვეტილებით აქტების შედგენა მიწებზე, ტყეებზე, წყლებზე, აგრეთვე, ნედლეულების საკითხების გადაცემის შესახებ, დროებით

¹ კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მუერნობა, წიგნი II, გვ. 147.

² იქვე, გვ. 148.

შეჩერდა. «დროებითი» ნიშნავდა მიწის ყიდვა-გაყიდვის საერთოდ აკრძალვას და საბოლოოდ მსხვილი მიწათმფლობელობის გაუქმებას. მანამდე მხოლოდ მიწების დაქუცმაცება არ უნდა დაემვათ. 23 თებერვლის დადგენილება არაფერს ამბობდა იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყობოდა მიწათმფლობელობის ფორმა ამ აქტის გაუქმების შემდეგ. აღნიშნული საკითხი საქართველოს პარლამენტმა 1919 წლის 28 იანვრის კანონით ნაწილობრივ გადაწყვიტა.

საგლეხო რეფორმის შედეგად გლეხებს მიენიჭათ პირადი თავისუფლება, მაგრამ მთელი მიწები მემამულეთა საკუთრებად გამოცხადდა. გლეხებს ნაკვეთები იმ პირობით დარჩათ, რომ მემამულეს მის გამოსასყიდ თანხას გადაუხდიდნენ ანუ ისინი დროებით ვალდებულ გლეხებად რჩებოდნენ. გლეხებს მიწის ნაკვეთებიც შეუმცირდათ. მაგალითად, რეფორმამდე თბილისის გუბერნიაში (აღმოსავლეთ საქართველო) გლეხის ოჯახზე 5.9 დესეტინა მიწა მოდიოდა, ბატონყმობის გაუქმების მეორე დღეს კი მათ მხოლოდ 3,9 დესეტინა აღმოაჩნდათ.¹

რუსეთში დაწყებულ დიდ რევოლუციურ ქარტახილებს საქართველოში, მიწის საკითხთან დაკავშირებით, რამდენიმე კანონისა და დეკრეტის მიღება მოჰყვა, მაგალითად: «მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ (1917 წლის 12 ივლისი); დებულება სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო-სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მიწათმფლობელთა მიწების საადგილ-მამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ» (1917 წლის 16 დეკემბერი), რომელმაც 1918 წლის 1 იანვრიდან სანადელო მიწებზე გამოსასყიდი გააუქმა; ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით, მიწებზე, ტყეებზე, წყლებზე და მადნეულობაზე საკუთრების გადაცემის შესახებ ყოველგვარი აქტების შედგენა დროებით შეჩერდა; ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებული «მიწის მფლობელთა ხელში დატოვებული მიწის ნორმა და საადგილ-მამულო

¹ სცსსა, ფონდი 1915, აღწერა 1, საქმე 752, ფურცელი 3.

რეფორმების განსახორციელებელი ზომები» 1918 წლის 7 მარტის კანონი და სხვ.

ამიერკავკასიის საკანონმდებლო კრება-სეიმმა თებერვლის შუა რიცხვებში კვლავ იმსჯელა მიწის საკითხზე. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით საჩქაროდ შემუშავდა კანონი მიწების კონფისკაციის ცხოვრებაში გატარების შესახებ, რომელიც სეიმმა 7 მარტს მიიღო. ამ კანონით დადგინდა მიწების ჩამორთმევის წესები და მემამულეებისათვის მიწების დატოვების ნორმები.¹

განისაზღვრა ჩამორთმეული მამულეების მეპატრონეებისათვის დატოვებული მიწის მაქსიმალური ნორმა სამი კატეგორიის მიხედვით: 1-7 დესეტინა ძვირფასი კულტურების მეურნეობებში; 2-15 დესეტინა – მარცვლეულ კულტურათა მხარეში; 3-40 დესეტინა, სადაც მესაქონლეობა და მეცხოველეობა განვითარდა.²

განსაკუთრებულ შემთხვევებში საადგილმამულო კომიტეტების მიერ შეიძლებოდა დაწესებული ნორმის გადიდება, შესაბამისად: 10, 20 და 50 დესეტინამდე. აღნიშნული საკითხისადმი ერთნაირი მიდგომა არ არსებობდა, ასე მაგალითად, ნოე ჟორდანიას დიდ მამულეებზე 15 დესეტინას, ხოლო ნ. ხომერიკი 7 დესეტინა სახნავ-სათესი მიწის ფართობის დატოვებას მოითხოვდა. გაიმარჯვა უკანასკნელმა.³

1918 წლის 17 მარტს მიღებულმა კანონმა «ჩამორთმეული მიწების პატრონთა სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიციის შესახებ»⁴ სრულყო 7 მარტის კანონი, რომლის მიხედვითაც⁵: 1) სამაზრო საადგილმამულო კომიტეტს და, სადაც ასეთები არ არის, მიწათმოქმედების სამინისტროს რწმუნებულთ უფლება მიეცათ, მემამულეებისათვის მიწების ჩამორთმევასთან ერთად ჩამოერთვათ ინვენტარიც, თუ ეს საჭირო იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის. ამასთან, მემამულეებს უნარჩუნდებოდათ მიწის დასამუშავებლად აუცილებელი

¹ სცსსა, ფონდი 1915, აღწერა 1, საქმე 752, ფურცელი 4.

² გაზეთი „ერთობა“, №56, 10 მარტი, 1918 წელი.

³ ნ. ჟორდანიას, ჩემი წარსული, თბ., 1990 წელი, გვ. 10.

⁴ გაზეთი „ერთობა“, №64, 20 მარტი, 1918 წელი.

⁵ იქვე.

ინვენტარი; 2) ჩამორთმეულ ინვენტარში მემამულეს უნაზღაურდებოდა თანხა მიწათმოქმედების მინისტრის მიერ დადგენილი წესით; 3) საადგილმამულო კომიტეტების ან მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულებს შეეძლოთ ჩამორთმეული ინვენტარი დაეტოვებინათ ან გადაეცათ მიწის დამმუშავებლებისათვის (საჭიროების შემთხვევაში) საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში; 4) ინვენტარის რეკვიზიციის ან მისი განაწილების ყოველი ფაქტი სამაზრო კომიტეტებს უნდა ეცნობებინათ საგუბერნიო კომიტეტისათვის.

1918 წლის 2 მაისს, ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო კიდევ ერთი კანონი «საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიწების განაწილების გარეშე დატოვებისა და კერძო პირთაგან ჩამორთმეული სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების ძველ მეპატრონეებზე დროებით დატოვების შესახებ».¹ ამ კანონით, ჩამორთმეული მიწებიდან გამოიყოფოდა ისეთი მიწები, რომლებიც არ ნაწილდებოდა მოსახლეობაზე და შეადგენდა საკუთრებას: «აგრონომიულ, სასკოლო, კულტურულ-განმანათლებელი, საქველმოქმედო-საავადმყოფო და სხვა დაწესებულებათა, რომლებსაც აქვთ საზოგადოებრივი მნიშვნელობა».² ასევე, მოსახლეობაზე გასანაწილებელი მიწის ფონდიდან გამოყოფილია: «ა) მიწის ნაჭრები, რომლებიც ცნობილი იქნება ბუნებრივ ძეგლებად და ხელუხლებად და ბ) ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობის მიწები.»³

ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ყველას აინტერესებდა, თუ როგორი ფორმით ჩაატარებდა ქართული ხელისუფლება აგრარულ რეფორმას. რეფორმის პრიორიტეტები მთავრობამ თავის პირველსავე დეკლარაციაშიც ასახა.

1918 წლის 7 მარტის კანონს ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან მასში არ ჩანდა, რა ფორმით განაწილდებოდა მიწები მოსახლეობაში. მოსახლეობაში მიწის განაწილების ფორმები აზრთა სხვადასხვაობას

¹ ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. VIII, 1930 წელი, გვ. 304.

² იქვე.

³ იქვე.

იწვევდა. ზოგიერთი მოსაზრებით, ჩამორთმეულ მიწაზე სახელმწიფოს მფლობელისათვის გარკვეული საფასური უნდა გადაეხადა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ახალგაზრდა სახელმწიფოს ამის ფინანსური შესაძლებლობა ნაკლებად ექნებოდა და საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

ჟურნალი «საქართველოს ეკონომისტი» მიწის აქტუალური საკითხის განხილვისას ციტირებას ახდენს სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანოში «სახალხო საქმე» (377) გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწები გლეხებს უნდა გადასცემოდათ უფასო სარგებლობაში და არა საკუთრებაში.¹ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) – მიწების მუნიციპალიზაციას, სოციალ-დემოკრატები (ბოლშევიკები) – კონფისკაციას, სოციალისტ-რევოლუციონერები კი მიწის სოციალიზაციას მოითხოვდნენ. მათგან, უპირატესობა მუნიციპალიზაციას მიენიჭა.²

ამრიგად, თითოეული პოლიტიკური პარტია განსხვავებულად მოითხოვდა მიწის საკითხის გადაჭრას³: ბოლშევიკები – მიწის ნაციონალიზაციას, ესერები და სოციალ-ფედერალისტები – სოციალიზაციას; ნაციონალ-დემოკრატები – გლეხობის მიერ მემამულეთაგან მიწების გამოსყიდვას, სოციალ-დემოკრატები კი ჩამორთმეული მიწების მუნიციპალიზაციას მოითხოვდნენ.

მუნიციპალიზაციის შემთხვევაში: პირველი, მიწები უნდა გადასულიყო ადგილობრივი კომიტეტების ან ერობის ხელში, რომელიც მიწებზე დააწესებდა იჯარის მინიმალურ ქირას და აქედან შემოსული თანხა მოხმარდებოდა ისევ ადგილობრივ კულტურული და ეკონომიკური აღორძინების საქმეს; მეორე, ხელი უნდა შეწყობოდა სოფლად კაპიტალიზმის განვითარებას.

მიწათმოქმედების სამინისტრო ძალღონეს არ იშურებდა რეფორმის თანმიმდევრულად ჩასატარებლად. აგრარული რეფორმა ორი ძირითადი

¹ ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“, №5, 1918 წელი, გვ. 6.

² შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001 წელი, გვ. 293.

³ გაზეთი „ერთობა“, №146, 14 ივლისი, 1918 წელი.

საფეხურისაგან შედგებოდა: პირველი, ეს იყო მიწების ნორმის ზევით ჩამორთმევა და მეორე, მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა.

მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარება დაევალა აგრარული რეფორმის განყოფილებას, რომელიც, ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტის კანონის თანახმად, დაარსდა 1918 წლის აგვისტოში. იგი ჯერ არსებობდა ცენტრალურ საადგილმამულო გამგეობასთან, შემდეგ კი სამინისტროს დაექვემდებარებაში. მის ადგილობრივ ორგანოებად ითვლებოდნენ სამაზრო საადგილმამულო გამგეობები და მიმღები კომისიები.¹

რეფორმის პირველი ნაწილი – მესაკუთრეთათვის ნორმაზე მეტი მიწის ჩამორთმევა – 1918 წლის აგვისტოში დაიწყო, ხოლო 1919 წლის შემოდგომისათვის ეს პროცესი ფაქტობრივად დასრულდა.

გლეხობას უმთავრესად აინტერესებდა – როგორი ფორმით განაწილდებოდა ჩამორთმეული მიწები: «როგორ უნდა განაწილდეს ეს მიწები ისე, რომ გლეხიც კმაყოფილი დარჩეს და ეკონომიკური ცხოვრებაც არ აიწეწოს და საზოგადოებრივი განვითარება არ შეფერხდეს».²

სოციალ-დემოკრატთა პროგრამა მიწების მუნიციპალიზაციას ითვალისწინებდა: «ყველა ჩამორთმეული მიწები უნდა გადასულიყო ადგილობრივად არჩეული კომიტეტების, ან ერობის ხელში, რომელიც ხსენებულ მიწებზე დააწესებდა მინიმალურ იჯარას და ამ იჯარიდან მოგროვილი თანხა მოხმარდებოდა ისევ ადგილობრივ კულტურულ და ეკონომიკურ აღორძინების საქმეებს».³ ვარაუდობდნენ, რომ ასეთი მიდგომით, შეუძლებელია მიწით სპეკულაცია, თუმცა, მუნიციპალიზაციის განხორციელება სირთულეებს წააწყდა, რითაც ისარგებლეს ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფმა ძალებმა და მოსახლეობას სხვა მიდგომები შესთავაზეს.

¹ სცსსა, ფონდი 1915, აღწერა 1, საქმე 57, ფურცელი 1.

² გაზეთი „ერთობა“, №238, 5 ნოემბერი, 1919 წელი.

³ გაზეთი „ერთობა“, №146, 14 ივლისი, 1918 წელი.

მართალია, სოციალ-დემოკრატების მიზანი მუნიციპალიზაცია გახდა, მაგრამ არა დოგმატური თვალსაზრისით. მათი ტაქტიკა ყოველთვის ადგილობრივი პირობების მიხედვით ყალიბდებოდა. გლეხი ბუნებით კონსერვატორია, მას ურჩევნია გაცილებით ნაკლები ჰქონდეს, ოღონდ საკუთრებაში. სოციალ-დემოკრატიული პარტია შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს მიწათმფლობელობის ახალი ფორმების ძიებაში ხედავდა. ეს ფორმა კი მიწების გლეხებზე კერძო საკუთრებაში გადაცემა იყო, რაშიც ისინი გადაიხდიდნენ ადგილობრივი პირობების მიხედვით დაწესებულ მინიმალურ ფასებს. ასეთი გადაწყვეტილება სახელმწიფოს ბიუჯეტსაც წაადგებოდა და გლეხიც კერძო მესაკუთრე გახდებოდა.¹

ასეთი პოლიტიკით ბატონყმური გადმონაშთები აღმოიფხვრებოდა, «მაგრამ ცხოვრების კანონი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვინემ ... განზრახვები. ობიექტურად რაკი ჩვენში ... განუვითარებელი იარაღებით უხდება გლეხს მუშაობა – წვრილი წარმოება დამახასიათებელი თვისებაა ამ მეურნეობისათვის. წვრილი წარმოება კი კერძო საკუთრებას უფრო ეგუება».²

არსებობდა კიდევ ერთი პრობლემაც, კერძოდ, გასანაწილებელი მიწების ნაწილი დაგირავებული იყო ბანკებში და მათი კერძო საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში სახელმწიფოს მოუხდებოდა ვალების დაფარვა, რაც ახალგაზრდა ქვეყანას, არსებული ფინანსური კრიზისის პირობებში, გაუძნელდებოდა. ნ. ხომერიკმა თავის გამოსვლაში 1918 წლის 14 ნოემბერს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მერვე ყრილობაზე აღნიშნა, რომ «აქ პოლიტიკური მოსაზრებაც ჩაიდო, ვინაიდან ხელისუფლება, რომელიც გლეხს მიწას საკუთრებად მისცემს, მის მხარდაჭერასაც მოიპოვებდა». მართალია, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა სოციალ-დემოკრატებშიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა, მაგრამ, მათი პროგრამის მიხედვით, «სოციალ-დემოკრატია

¹ გაზეთი „ერთობა“, №239, 6 ნოემბერი, 1919 წელი.

² გაზეთი „ერთობა“, №248, 16 ნოემბერი, 1918 წელი.

ეცდება მუნიციპალიზაცია განახორციელოს და თუ ეს შესაძლო არ იქნება, მაშინ კერძო საკუთრებად დარჩესო».¹

მიუხედავად სირთულეებისა, მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა მაინც მისაღები იყო როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით: «ამრიგათ რეფორმის გეგმა ასეთია: მიწა მიეცემათ – 1) საკუთრებათ, 2) მხოლოდ უმიწა-წყლოთ და მცირე მიწის მქონეთ, 3) მცირე საფასურით (500-1000 მანეთამდე დესეტინა), 4) ფასებს აწესებს სამინისტრო რაიონების მიხედვით, 5) უკანასკნელთა ფარგალში ფასს აწესებს კომისია, მიწის ღირებულების მიხედვით».

მიწის გამოსასყიდი ფასი არცთუ დიდი იყო, ვინაიდან დესეტინაზე მოჰყავდათ დაახლოებით 70 ფუთი პური, მისი 1/10 7 ფუთი იყო, ფუთი პური კი 8-9 თუმანი ღირდა ანუ მოსავლის მეათედის ფასად გლეხი ფაქტობრივად იძენდა საკუთრებაში მიწას. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ უმიწაწყლო გლეხს მიწის საფასურის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეეძლო.²

1918 წლის 14 ნოემბრისათვის უკვე ჩამორთმეული იყო 300.000 დესეტინამდე მიწა, ჩამოსართმევი კიდევ დარჩა 700.000 დესეტინამდე მიწა.³

აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა საკითხი იმის შესახებაც, თუ როგორი ფორმით უნდა გადასცემოდათ გლეხებს მიწები – ფასით თუ უფასოდ. ნოე ჟორდანიას პრინციპულად მუნიციპალიზაციის მომხრე იყო, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციაში მუნიციპალიზაციის წმინდად განხორციელება საეჭვოდ მიაჩნდა: «ჩვენ ორი მოსაზრება მივიღეთ მხედველობაში – პოლიტიკური – დაგვეინტერესებია გლეხები, რესტავრაცია არ მომხდარიყო და ფინანსური – ხაზინისთვისაც რამე მიგვეცა ... ამას გარდა გლეხის ფსიქოლოგიაც გვქონდა მხედველობაში. მას გონია, თუ ფული გაიღო, მაშინ მიწა მისია, თუ არა საეჭვო».⁴

¹ გაზეთი „ერთობა“ №251, 20 ნოემბერი, 1918 წელი.

² სცსსა, ფონდი 1825, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 20.

³ გაზეთი „ერთობა“, №248, 16 ნოემბერი, 1918 წელი.

⁴ სცსსა, ფონდი 1825, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 20.

ნ. ხომერიკის ხაზგასმით, ტყეები, მინერალური წყლები, აგარაკები და სხვა მუნიციპალიტეტის და სახელმწიფოს ხელში რჩებოდა.

აღნიშნულ ყრილობაზე აგრარულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუციით: დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ადგილმამულები უნდა ჩაირიცხოს ხელუხლებელ ფონდში და ისინი გადაეცემა სახელმწიფოს და მათ შორის საერობო თვითმმართველობებსაც; დანაჩენი ადგილმამული, დაწესებული ნორმის ფარგლებში, გადაეცემა კერძო საკუთრებაში უმიწაწყლო და ღარიბ გლეხებს შეღავათიან ფასებში.¹

20 ოქტომბრის მდგომარეობით ჩამორთმეული მიწების რაოდენობამ ორივე გუბერნიაში, ოფიციალური მონაცემებით, 225 ათასი დესეტინა შეადგინა, ჩამოსართმევი დარჩა – 710 ათასი დესეტინა მიწა. ამის მიზეზები ჩამოსართმევი მიწების დიდი რაოდენობა და ადმინისტრაციული და სატარანსპორტო ხარჯების ნაკლებობა იყო.²

7 მარტის კანონის მიხედვით, ვისაც მფლობელობაში ჰქონდა ნაკვეთი განსაზღვრული ნორმის ფარგლებში, მას დამატებით მიწა აღარ ეძლეოდა, ხოლო ვისაც ნაკლები მიწა ექნებოდა, მას შეუვსებდნენ ნორმამდე შესაძლებლობის ფარგლებში. აღსანიშნავია განსაკუთრებულ პირობებში მყოფი გლეხოზა: «დროებით ვალდებულები და ხიზნები». მათგან პირველს, რომლებმაც გამოისყიდეს «ნადელები» ნორმაზე მეტი, მიწა არ ჩამოერთმეოდათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნორმაზე მეტი მიწა სხვა გზითაა შეძენილი. რაც შეეხებოდათ ხიზნებს, მათ ნორმაზე მეტი მიწები ერთმეოდათ, ხოლო ნორმის ფარგლებში უსასყიდლოდ ეძლეოდათ კერძო საკუთრებაში.³

1918 წლის 7 მარტის კანონის შესაბამისად, ყველგან შედგა საადგილმამულო კომიტეტები და დაინიშნა მიმღები კომისიები. თბილისის გუბერნიაში მუშაობდა: თბილისის მაზრაში – 6 მიმღები კომისია, გორში – 8, დუშეთში – 4, თიანეთში – 2, თელავში – 4,

¹ სცსსა, ფონდი 1825, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 36.

² გაზეთი „ერთობა“, №248, 16 ნოემბერი, 1918 წელი.

³ გაზეთი „ერთობა“, №241, 8 ნოემბერი, 1918 წელი.

სიღნაღში – 4, ქუთაისის გუბერნიაში მუშაობდა: ქუთაისის მაზრაში – 4 მიმღები კომისია, შორაპანში – 3, სენაკში – 3, რაჭაში – 1, ზუგდიდში – 1.

თბილისის გუბერნიაში მაისის თვეში სულ მიღებულ იქნა 8.820 დესეტინა მიწა, მისაღები დარჩა 58.308 დესეტინა მიწა (იხ. ცხრილი 1).

ქუთაისის გუბერნიაში, მაისის თვის მონაცემებით, მიღებულია რამდენიმე ათასი დესეტინა 70-მდე მამული, მათ შორის მინგრელსკის მამული – 13.000 დესეტინა, ბაგრატიონისა 600 დესეტინა. სავარაუდოდ მიღებულია მეტი მამულიც.

20 აგვისტოს მონაცემებით, გორის მაზრაში მუშაობს 9 მიმღები კომისია, მცხეთაში, საგურამოში და მუხრანის რაიონში კი – 3. სულ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიღებულია 139,190 დესეტინა მიწა (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 1

მიღებულია კომისიების მიერ მაისში¹

| | სულ | მემულებს გამოეყოთ ნორმა | ფონდში გადავიდა | მისაღებია |
|---------------------|-----------|-------------------------|-----------------|------------|
| თბილისის გუბერნიაში | 5.642 დეს | 223 დეს | 5.419 დეს | 20.535 დეს |
| გორის მაზრაში | 947 დეს | 158 დეს | 789 დეს | 13.337 დეს |
| თიანეთის «-» | 1.353 « | 15 « | 1.338 « | 7.324 « |
| სიღნაღის «-» | | ცნობები არ არის | | 6.138 « |
| თელავის «-» | 888 | 42 « | 846 დეს | 4.931 „ |
| დუშეთის «-» | | ცნობები არ არის | | 6.044 « |
| სულ | 8.820 დეს | 438 დეს | 8.382 დეს | 58.308 დეს |

ესენი მიწის ფონდში მიღებული ის მამულებია, რომელიც მომავალში გლახთა შორის განაწილებას დაექვემდებარა.

¹ გაზეთი „ერთობა“, №128, 22 ივნისი, 1918 წელი.

თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში მიღებული მამულები¹

| | |
|----------------------------|-------------|
| თბილისის მაზრაში მიღებულია | 39. 857 დეს |
| გორის «-» | 17. 350 « |
| დუშეთის «-» | 6.030 « |
| თიანეთის «-» | 8.724 « |
| სიღნაღის «-» | 9.785 « |
| თელავის «-» | 16.073 « |
| სულ | 97.812 დეს |
| ქუთაისის მაზრაში მიღებულია | 3.408 დეს |
| შოარაპნის «-» | 1,565 « |
| რაჭის «-» | 35 « |
| ოზურგეთის «-» | 10.382 « |
| ზუგდიდის «-» | 1.833 « |
| სენაკის «-» | 24. 152 « |
| სულ | 41.378 « |

საერთოდ, სახნავ-სათესი მიწების რაოდენობით საქართველო დიდად არ გამოირჩეოდა. ყველაზე მეტი ჩამორთმეული მამულების მიწის ფართობები დაფიქსირდა გორის მაზრაში (188 1/2 დესეტინა).² ამ მხრივ, დასავლეთ საქართველოში გამოირჩეოდა ლეჩხუმის მაზრა, შედარებით ნაკლები მიწები ჩამოერთვათ რაჭაში; ჩამორთმეული მიწები აღმოსავლეთ საქართველოში – 487.592 დესეტინას, ხოლო დასავლეთ საქართველოში – 122.961 დესეტინას³ შეადგენდა.

მიწის ფონდიდან ტყეები, წყლები, საძოვრები, მდინარეები, ბუნებრივი წიაღისეული, კულტურული მამულები და სანიმუშო მეურნეობები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა და განაწილებას არ დაექვემდებარა.

¹ გაზეთი „ერთობა“, №191, 7 სექტემბერი, 1918 წელი.

² ნ. ხომერიკი, აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა, თბ., 1920 წელი, გვ. 7.

³ კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, გვ. 152.

აგრარული რეფორმის შედარებით უფრო რთული მეორე ეტაპი-მიწის ფონდის დანაწილება და გლეხობის საკუთრებაში გადაცემა კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გადაწყვეტილიყო.

ზემოაღნიშნულის ცხოვრებაში გატარება განმანაწილებელი ორგანოების კეთილსინდისიერებაზე იყო დამოკიდებული. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ მიწა ახალ მესაკუთრეს ეძლეოდა არა უფასოდ, არამედ – შეღავათიან ფასებში, კერძოდ: სახნავ-სათესი მიწა – 500-1000 მანეთად დესეტინა, ხოლო მაღალი კულტურით გაშენებული მიწა (მაგ. ვენახი) – ბაზარზე არსებული ასეთი მიწისათვის საშუალო ფასით. აქედან შემოსული თანხები იხარჯებოდა მთავრობის მიერ რეფორმის გასატარებლად გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე და მიწაზე არსებულ ზოგიერთ ვალდებულებათა (მაგ., ბანკის ვალი) გასასტუმრებლად და მიწის მოსაწყობი ხარჯების ფონდის შესაქმნელად.¹

1919 წლის 28 იანვრის სხდომაზე (შვიდდღიანი დავის შემდეგ), საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი «სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა» და კანონი «ყოფილ სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადებისა.»

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კორექტივები შეიტანა 1918 წლის 7 მარტის კანონში. ამ კანონის მიხედვითაც, საადგილმამულო ფონდის მიწები სოფლად ეძლეოდათ კერძო საკუთრებაში. გარდა 1917 წლის 16 დეკემბრის დეკრეტის მე-5 მუხლში განსაზღვრული (ტყეები, მადნიანი მიწები, მინერალური წყლები, სახაზინო მიწები, ველები და მინდვრები, რომელთაც მელიორაციული ღონისძიებები ესაჭიროებოდათ) მიწებისა და მიწათმოქმედების მინისტრის განკარგულებით გადასახლებისა და დასახლებისათვის განკუთვნილი ადგილებისა.

დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა სოფლის მცხოვრებლების 2/3-ის სურვილი მიწების ნაწილის საზოგადოებრივ საკუთრებაში დატოვების

¹ კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, გვ. 153.

შესახებ. ასევე უნდა განესაზღვრათ, თუ როგორი წესით ისარგებლებდნენ მოცემული სოფლის მოსახლეები ამ მიწებით. სამოვრები სოფლის საკუთრებაში რჩებოდა, ხოლო მიწები სოფლის მოსახლეობას მიეცემოდა იმ რაოდენობით, რომელიც განისაზღვრა სემის 1918 წლის 7 მარტის კანონით (მუხლი 2). ამავე კანონით, აგრარული რეფორმის ცხოვრებაში ჩატარება დაევალა მიწათმოქმედების სამინისტროს თავის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად (სამაზრო-საერობო გამგეობა, სამაზრო საადგილმამულო გამგეობა, რაიონული კომისიები). ყოველი მაზრა დაიყო აგრარულ რაიონებად, სადაც ირჩევდნენ რაიონულ კომისიას – 3-5 წევრისაგან. მიწის მიღების მსურველი განცხადებით მიმართავდა კომისიას თანდართული დოკუმენტებით, რომელიც ადასტურებდა, თუ რა რაოდენობის მიწას ფლობდა იგი. რაიონული კომისია დოკუმენტების სისწორეს ამოწმებდა, ყალბი დოკუმენტების დადასტურების შემთხვევაში, კონკრეტული პიროვნება დაპატიმრდებოდა ერთი თვიდან ერთ წლამდე ვადით მიწის მიღების უფლების წართმევით, ხოლო თუ ამ გზით მიწის მიღებას მოასწრებდა მიღებული მიწა ჩამოერთმეოდა სახელმწიფოს სასარგებლოდ¹.

რაიონული კომისია, რომელიც გამოარკვევდა რა რაოდენობის «მიწა უნდა მიეცეს ამა თუ იმ სოფლის საზოგადოებას ან სოფელს საზოგადო საკუთრებად, ხოლო კერძო პირს კერძო საკუთრებად, შეადგენს მიცემის აქტს კომისიის ყველა წევრის ხელისმოწერით და როცა სოფლის საზოგადოება ან სოფელი და კერძო პირი წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინიდან ხვედრი ფულის შეტანის კვიტანციას, გაუგზავნის აქტს დასამტკიცებლად სამაზრო საერობო გამგეობას, ხოლო სადაც ასეთი არ არსებობს, სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობას»².

მიწათმოქმედების მინისტრს უფლება ენიჭებოდა ნაკლებად შეძლებული გლეხისთვის 2 წლამდე გაეგრძელებინა საფასურის გადახდის ვადა, საერობო ან საადგილმამულო გამგეობიდან

¹ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 402, ფურცელი 26.

² სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 402, ფურცელი 27.

შუამდგომლობის საფუძველზე. რაიონული კომისიის განკარგულების გასაჩივრების უფლება ნებისმიერ პირს ჰქონდა ერთი კვირის განმავლობაში დღიდან დადგენილების გამოცხადებისა.

მცხოვრებლებზე გასანაწილებელი მიწა იყიდებოდა მიწის მიღების უფლების მქონე პირებზე და ამ გზით ფარავდნენ ვალებს, რომელიც სახელმწიფოს დაედო საადგილმამულო ბანკების ვალების თავის თავზე აღებით. მიწათმოქმედების მინისტრი, სამაზრო ერობასთან შეთანხმებით, აწესებდა თითოეული რაიონისათვის მიწაზე საშუალო შეღავათიან ფასს. ამასთან, ქალაქთან ახლომდებარე მიწები, აგრეთვე, ვენახები და განაშენიანებული ადგილები იყიდებოდა რეალური ღირებულების მიხედვით. სამაზრო ერობას უპირატესობა ეძლეოდა მიწების შეძენაში იმ ხარჯების დამატებით, რომელიც «სახელმწიფო ფონდიდან მიწის შემძენს გაუღია მამულის გასაუმჯობესებლად დღიდან შეძენისა. ამის გამო არცერთი აქტი ამ მიწების გადაცემისა არ შეიძლება შესრულებულ იქნეს, უკეთუ წარდგენილი არ იქნება საბუთი ერობისაგან ამ უფლებაზე უარის თქმისა. ამ მოთხოვნას არ ექვემდებარება ის შემთხვევა, როცა რომელიმე პირი სახელმწიფოსაგან შეძენილ მიწას საჩუქრად გადასცემს თავის ოჯახის წევრებს».¹

პარლამენტის მიერ მიღებული კანონით «ყოფილ სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადებისა»,² დროებით ვალდებული გლეხების საკუთრებად გამოცხადდა (1912 წლის 20 დეკემბერი) ის სანადელო ნაკვეთები, რომელთა დამტკიცება ვერ მოასწრეს, ოღონდ 1918 წლის 7 მარტის ნორმის ფარგლებში.

მიწების და მამულების მიღებას გუბერნიებში აწარმოებდა კომისიები, მაგალითად, «თბილისის გუბერნიაში მუშაობდა 48 სარაიონო კომისია, ქუთაისის გუბერნიაში 53».³ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში 1920 წლის 1 იანვრისთვის მიღებული იყო

¹ იქვე, ფურცელი 26.

² იქვე, ფურცელი 2.

³ სცსსა, ფონდი 1915, აღწერა 2, საქმე 57, ფურცელი 1.

«3709 მამული და გადარიცხულია სახელმწიფო ფონდში 61.057.457 მანეთი».¹

საქართველოში მცხოვრები გლეხები რიგ რაიონებში მიწის სიმცირეს განიცდიდნენ. ზოგიერთ მხარეში ჩამორთმეული მიწების რაოდენობა ძალიან მცირე იყო, განსაკუთრებით რაჭაში, ლეჩხუმში, შორაპნის, ქუთაისის მაზრებში და სხვ. (იხ. ცხრილი 3)².

ცხრილი 3

| მაზრები | ვარგისი მიწები – დესეტინა | | სახნავ-სათესი მიწები – დესეტინა | |
|-----------------|------------------------------|-------|------------------------------------|-------|
| | ოჯახზე | სულზე | ოჯახზე | სულზე |
| რაჭის | 2,81 | 0,37 | 1,11 | 0,15 |
| შორაპნის | 1, 91 | 0,35 | 1,38 | 0,25 |
| ლეჩხუმის | 2,19 | 0,33 | 1,23 | 0,19 |
| ახალქალაქი ს | 7,39 | 0,96 | 6,40 | 0,84 |
| თბილისის | 3,74 | 0,66 | 3,20 | 0,56 |
| კოდორის | 5,18 | 1,06 | 3,83 | 0,78 |

განსხვავებული მონაცემები მკაფიოდ გამოკვეთილია. მოსახლეობის გადასახლებაზე მუშაობა 1918 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო და 1920 წლისათვის 2072 კომლიანი 23 სოფელი დასახლდა, მათ მიეცათ 12745.2 დესეტინა მიწა³. კერძოდ, გადასახლებულები შემდეგ რაიონებში განაწილდნენ:

1. ლაგოდეხის რაიონში დასახლებულია 7 სოფელი 1239 კომლით 7065 დესეტინა მიწაზე;
2. ყარაის რაიონში დასახლებულია 3 სოფელი 211 კომლით 1200 დესეტინა მიწაზე;
3. თბილისის მაზრის სხვა რაიონებში დასახლებულია 4 სოფელი 206 კომლით 1092 დესეტინა მიწაზე;

¹ იქვე, ფურცელი 4.

² ნ. ზომერიკი, აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა, გვ. 21.

³ ნ. ზომერიკი, აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა, გვ. 22.

4. გორის მაზრის სხვა რაიონებში დასახლებულია 1 სოფელი 24 კომლით 449,6 დესეტინა მიწაზე;
5. თელავის მაზრის სხვა რაიონებში დასახლებულია 3 სოფელი 92 კომლით 494,1 დესეტინა მიწაზე;
6. თიანეთის მაზრის სხვა რაიონებში დასახლებულია 1 სოფელი 11 კომლით 83 დესეტინა მიწაზე;
7. სიღნაღის მაზრის სხვა რაიონებში დასახლებულია 1 სოფელი 80 კომლით 13,5 დესეტინა მიწაზე;
8. ბორჩალოს მაზრის სხვა რაიონებში დასახლებულია 1 სოფელი 24 კომლით 165 დესეტინა მიწაზე;
9. ახალქალაქის მაზრის სხვა რაიონებში დასახლებულია 2 სოფელი 185 კომლით 2183 დესეტინა მიწაზე;

ამრიგად, სულ დასახლებულია 23 სოფელი 2072 კომლით 12.745,2 დესეტინა მიწაზე.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მიწათმოქმედების სამინისტროს მუშაობას იმ ადგილების შესასწავლად, სადაც მცირემიწიანი ხალხი უნდა ჩაესახლებინათ. ასე მაგალითად:

- გორის მაზრაში. 1013 დეს.
- თბილისის მაზრაში. . . . 6607 დეს.
- თელავის მაზრაში. . . . 3547 დეს.
- სიღნაღის მაზრაში. . . . 2652 დეს.
- ბორჩალოს მაზრაში. . . . 2635 დეს.
- ახალქალაქის მაზრაში. . . .9085 დეს.

სულ 25.541 დეს¹.

ამ სივრცეზე დაახლოებით 2200-2300 კომლის დასახლება შეიძლებოდა. გადასახლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საქართველოს განაპირა რაიონებს, სადაც ძირითადად თავისუფალი მიწები იყო. ეს ადგილები დასახლებული იყო არაქართველი მოსახლეობით – «რუსეთის მთავრობამ ჩვენდა საბედნიეროდ ვერ

¹ ნ. ზომერიკი, აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა, გვ. 22.

მოასწრო სავსებით ამ რაიონების უცხო ტომის ხალხით ავსება. ახლა საჭიროა ამ ხალხის დენა იქ შეწყდეს და მის ნაცვლად ქართველ უმიწაწყო გლეხებს მიეცეს მამული თავის ქვეყანაში. ამით ჩვენ ორ საქმეს გავაკეთებთ: ეკონომიკურად გავაღწიერებთ ქვეყანას და პოლიტიკურად განვამტკიცებთ ნორჩ რესპუბლიკას¹.

აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარებისათვის ხელშესაწყობად აღსანიშნავია 1918 წლის 23 თებერვლის დადგენილებაში შეტანილი ცვლილებები. ამ დადგენილების მიხედვით, შეჩერდა მიწების ყიდვა-გაყიდვა, მიწის მესაკუთრეებს არ შეეძლოთ ნორმაში დატოვებული მიწების გაყიდვა-დაგირავება. თუკი გაჭირვებული ადამიანი მოინდომებდა მიწის გაყიდვას, 23 თებერვლის დადგენილება ამას უკრძალავდა, იგივე მდგომარეობაში იყვნენ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი, რომელთაც თავიანთი ქონების გაყიდვა და უცხოეთში წასვლა სურდათ. იყო შემთხვევები, როდესაც ისინი მიწებს უპატრონოდ ტოვებდნენ და სამშობლოში მიდიოდნენ. ამ დადგენილების შეცვლის საკითხი დამფუძნებელი კრების 1919 წლის 16 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგში შეიტანეს, მაგრამ საკითხის განხილვა დროებით შეჩერდა. იგი დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 10 თებერვალს განიხილა. შედეგად, მიიღეს შესაბამისი დეკრეტი, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: მამულების ყიდვა-გაყიდვა აღარ იკრძალებოდა იმ რაიონებში, სადაც დამთავრდა მემამულეთა მიწების მიღება 1918 წლის 7 მარტის კანონის შესაბამისად. ასეთ რაიონებში, მიწათმოქმედების მინისტრის გადაწყვეტილებით (სათანადო კანონის გამოცემამდე), მიწის ყიდვის უფლება შეეძლოთ დაწესებულ ნორმაზე მეტი მიწის მფლობელებსაც.

1920 წლის 20 მაისს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონით: «მკვიდრთაგან მიტოვებული ყოფილი სახაზინოსანადელო მიწების სახელმწიფო ფონდში გადასვლისა»², ყოფილი

¹ იქვე, გვ. 24.

² საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ., 1990 წ., გვ. 396.

სახაზინო-სანადელო მიწები, რომელიც 1919 წლის 28 იანვარის კანონით კერძო საკუთრებად გამოცხადდა და მათი პატრონები ლტოლვილები იყვნენ, ჩაირიცხებოდა სახელმწიფოს საადგილმამულო ფონდში კანონის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში.

1920 წლის 28 მაისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო «დეკრეტი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული დავა-საჩივრის განხილვის წესისა»¹. მიღებული დეკრეტის მიხედვით, აგრარულ საკითხთან დაკავშირებული დავა ან საჩივარი სასამართლო დაწესებულებას არ ექვემდებარებოდა და მათ ადმინისტრაციული ორგანოები წყვეტდნენ საადგილმამულო კანონმდებლობის ფარგლებში.

1919 წლის 31 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი «გადმოსახლებულების მიერ დატოვებული სახაზინო მიწების სახელმწიფო ფონდში გადასვლისა»², რომლის მიხედვითაც ის სახაზინო მიწები, სადაც რევოლუციამდე გადასახლებულები ცხოვრობდნენ, დატოვეს და 1919 წლის 1 თებერვლამდე არ დაბრუნებულან, სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის საკუთრებად გამოცხადდა.

აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული მანამდე გამოცემული კანონები, მხოლოდ ქალაქგარეთ მდებარე მამულებს ეხებოდა. რეალურმა მდგომარეობამ კი ნათელყო, რომ ხშირად ქალაქად არსებულ მიწებზეც მესაკუთრეები სოფლის მეურნეობას მისდევდნენ. ნორმის ზევით არსებული მიწები მხოლოდ სოფლის მოსახლეებს ერთმეოდათ. ქალაქის თვითმმართველობების მოთხოვნით, ნორმაზე მეტი კერძო ცარიელი მიწა მესაკუთრეებს უნდა ჩამორთმეოდათ და იგი ქალაქებს უნდა გადასცემოდა, რაც შესამჩნევად გააძლიერებდა ქალაქის ფინანსურ მდგომარეობას და ხელს შეუწყობდა მიწის მწვავე საკითხის ჯეროვნად მოგვარებას³. ცხადი გახდა, რომ უახლოეს

¹ იქვე, გვ. 397.

² კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, №4, 1919 წელი, გვ. 59.

³ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 213, ფურცელი 3.

მომავალში უნდა მიეღოთ კანონი, რომელიც ქალაქში პირის მფლობელობაში დასატოვებელ მიწის ნორმას განსაზღვრავდა.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 15 აპრილს მიიღო დეკრეტი «ქალაქებში დაუსახლებელ ადგილმამულზე აკრძალვის დადებისა»¹, რომლის მიხედვით დროებით აიკრძალა ქალაქად დაუსახლებელი მიწების სხვის საკუთრებაში გადაცემა, დაგირავება, იჯარით გაცემა (ამ დეკრეტის მიღების დღიდან), ხოლო უკვე დადებული ხელშეკრულებები ერთი წლის შემდეგ ძალას კარგავდა, აგრეთვე «დასახლებულ ადგილმამულად, რომელიც ამ შეზღუდვისაგან თავისუფალია, ითვლება ყოველი მიწა, რაზედაც ამ დეკრეტის გამოცემამდე სახლი, ქარხანა ან სხვა შენობა იყო და აგრეთვე ტერიტორია ამ შენობის გარშემო საერთო სივრცით არა უმეტეს ერთი დესეტინისა»².

ამრიგად, დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარებული აგრარული რეფორმა გარკვეულწილად დაუკავშირდა XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმას, რომელმაც გლეხობის მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა. რეფორმის პირველი ეტაპი, მესაკუთრეებისათვის ნორმაზე მეტი მიწის ჩამორთმევა, 1918 წლის აგვისტოს თვიდან დაიწყო და 1919 წლის შემოდგომაზე დასრულდა, შემდგომში კი განხორციელდა აგრარული რეფორმის შედარებით რთული, მეორე ეტაპი – მიწის ფონდის დანაწილება და გლეხობის საკუთრებაში სხვადასხვა გზით გადაცემა.

¹ იქვე, ფურცელი 22.

² სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 213, ფურცელი 22.

თავი 3. სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება

3.1. სახელმწიფო კონტროლის შექმნის წინა პირობები

სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას დიდად განსაზღვრავს თავისი შემოსავალ-გასავლის მკაცრი აღრიცხვა და ბიუჯეტის წარმატებით შესრულება. ქვეყნის შემოსავლის დიდ ნაწილს კი სხვადასხვა საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავალი შეადგენს. ბიუჯეტის შედგენა და მისი ცხოვრებაში გატარება მთავრობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, მაგრამ რაც არ უნდა პირნათლად ასრულებდეს იგი თავის მოვალეობებს, შეცდომებისაგან მაინც დაზღვეული არ არის.

ყოველი ხარჯი ეკონომიკური აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული. ეს ხდება მაშინ, როდესაც ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ქვეყანა თავის შემოსავალ-გასავალს საფუძვლიანად გააკონტროლებს. ასეთი უფლებებით აღჭურვილია სახელმწიფო კონტროლის ორგანო. კონტროლი არა მარტო ატარებს რევიზიებს და გამოავლენს შეცდომებს თუ ბოროტმოქმედებას, არამედ წინასწარ ზომებს მიმართავს, აფრთხილებს და მიუთითებს ბიუჯეტურ დაწესებულებებს, ამა თუ იმ ოპერაციის ზარალიანობასა თუ წარმატებაზე.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფო კონტროლი, როგორც სარევიზიო დაწესებულება, უმჯობესია არ ექვემდებარებოდეს მთავრობას და იყოს სრულიად დამოუკიდებელი, ცალკე მდგომი განსაკუთრებული ორგანოს რევიზიის ფარგლებში მინიჭებული მოქმედების სრული თავისუფლებით. მის მიერ გაწეული მუშაობა – ყოველწლიური სარევიზიო ანგარიში უნდა ქვეყნდებოდეს, რათა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს. შემოწმების მასალების საჯაროობა კი დადებითად იმოქმედებს ეკონომიკური დანაშაულის შემცირებაზე.

არსებობს შემოწმების სხვადასხვა აპრობირებული სახეობა. ასე მაგალითად, «წინასწარი რევიზიის» უპირატესობა ვლინდება იმით, რომ წინასწარ, ხარჯის გაღებამდე მჟღავნდება შეცდომები, ბოროტმოქმედება და სარევიზიოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებას გაფრთხილება ეძლევა არ გასწიოს ზარალიანი ხარჯი. «ფაქტობრივი რევიზია» არსებითად არის გამიჯვნა-შემოწმება შემოსავალ-გასავლის ოპერაციების, სამუშაოს და საქმის წარმოებისა ადგილებზე. ასეთი რევიზიით გამოვლენილი დარღვევები საქმის დასაწყისშივე უნდა აღიკვეთოს. გარდა ამისა, არსებობს «კვალდაკვალ რევიზიაც», რომელიც ამოწმებს შემოსავალ-გასავლის ოპერაციებს. ამ რევიზიის შედეგად გამოძღვნილებული შეცდომები (ბოროტმოქმედებანი) შეიძლება შეჩერდეს ოპერაციების მიმდინარეობის პროცესში. უფრო კონკრეტულად, «მიმდინარე რევიზიით» არსებითად მოწმდება წარმოდგენილი სხვადასხვა საბუთი და საქმე, რომელთა თანახმად, გაანგარიშებული ხარჯი უკვე გაცემულია, შემოსავალი კი მიღებული. ასეთი რევიზიის შედეგად ირკვევა, თუ რამდენად მიზნობრივადაა გამოყენებული გაწეული ხარჯები, რეალურად არის თუ არა მიღებული შემოსავლები, აღმოიფხვრა თუ არა წინასწარი ფაქტობრივი რევიზიის დროს აღმოჩენილი დარღვევები. დაბოლოს, «დამთავრებითი რევიზია» არის უკვე დასრულებული სხვადასხვა ოპერაციის წარმოებისა და აგრეთვე ყველა არსებული რევიზიის შედეგების მთლიანად აღწერა და, საბოლოოდ, შესაბამისი დასკვნის გაკეთება.

სხვადასხვა ქვეყანაში მაკონტროლებელი სისტემების როლისა და მნიშვნელობის შესახებ არსებობს განსხვავებული შეხედულება. ასე იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც. საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის შემოღების საკითხი, რომელიც განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღიჭურვებოდა ქვეყნის ფინანსების განკარგვის სფეროში. კერძოდ, მის ძირითად ფუნქციად უნდა განსაზღვრულიყო ქვეყნის შემოსავალ-გასავლებზე კონტროლი. ამ

მხრივ მის კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა ყველა ბიუჯეტური დაწესებულება. მართლაც, სახელმწიფო კონტროლის უპირველეს მოვალეობად განისაზღვრა: «ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში ეძიოს, რომ ყოველივე მოქმედება სწარმოებდეს კანონის მიხედვით, სახელმწიფო შემოსავალი თავის რიგზედ ხდებოდეს და შედიოდეს ხაზინაში, გასავალი არ აღემატებოდეს ხარჯთაღრიცხვას».¹

სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების აუცილებლობას ქვეყნის მთავრობის სახელით ასაბუთებდა ფინანსთა მინისტრი გიორგი ჟურული. მისი აზრით, ქვეყნის ფინანსების მართვა-გამგებლობა მეტად აქტუალური საკითხია, რომელიც სახელმწიფოებრივი საქმეების გადაწყვეტას უკავშირდება და ფინანსური მართვა-გამგებლობა უნდა დაამყაროს: «1. სახელმწიფო ბიუჯეტს, 2. სახელმწიფო ხაზინის სათანადო მოწყობას, 3. სახელმწიფო კონტროლის შემოღებას».²

ფინანსთა მინისტრის აზრით, ფინანსური კონტროლის საკითხი არც ახალგაზრდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას და არც ყოფილი ამიერკავკასიის სეიმს სრულყოფილად არ ჰქონდა გააზრებული და «ხარჯები სახელმწიფო შემოსავლისა ხდებოდა და ახლაც დროებით ხდება იმ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელიც შედგენილი იყო რუსეთის საკანონმდებლო ორგანოების მიერ.»³

სახელმწიფოს ფინანსების მართვის სფეროში ერთმანეთში იყო გადახლართული ადგილობრივი, ყოფილი ამიერკავკასიის რესპუბლიკის და რუსეთის რესპუბლიკის ინტერესები: «აი სწორედ ამ დროს, როდესაც ეს ინტერესები ჯერჯერობით ვერ დაშორდებიან ერთიმეორეს, უაღრესად საჭიროა სათანადო აპარატი კონტროლისა, რომლის სათავეში უნდა დადგეს სახელმწიფო კონტროლიორი. ფინანსური მეცნიერება და პრაქტიკა სახელმწიფო ფინანსების მართვისა გვიჩვენებენ, რომ საკონტროლო აპარატის ასე თუ ისე მოწყობა და ის წესი, რომელითაც ხდება სახელმწიფო კონტროლიორის არჩევა, – არის

¹ სცსსა, ფონდი 1940, აღწერა 1, საქმე 81, ფურცელი 2.

² სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 321, ფურცელი 4.

³ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 321, ფურცელი 4.

საუკეთესო მაჩვენებელი მისი თუ რა ძალთა განწყობილება სუფევს ერში და მის წინამორბედ ორგანოში».¹

გ. ჟურულმა წარმოადგინა ზოგადი სურათი სახელმწიფო კონტროლიორის არჩევის წესების შესახებ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში იმისდა მიხედვით, მონარქიული, საკონსტიტუციო თუ საპარლამენტო იყო ესა თუ ის ქვეყანა. ზოგან კონტროლიორს ირჩევდნენ მინისტრების მსგავსად, რომელიც მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შედიოდა. თუმცა, მისი მოსაზრებით, კონტროლიორი უნდა ყოფილიყო «პასუხისმგებელი მხოლოდ საქართველოს ეროვნული საბჭოს, როგორც საქართველოს პარლამენტის წინაშე. ის მხოლოდ საქართველოს პარლამენტს უდგენს თავის მოხსენებას და შენიშვნებს, სხვათა შორის იმ კითხვების შესახებაც, რომელიც ეხება სახელმწიფო ბიუჯეტს და ხარჯთაღრიცხვის უფლებას მთავრობის ორგანოების მიმართ»,² ანუ სახელმწიფო კონტროლიორი უნდა აერჩია პარლამენტს, რომელიც ასევე, საჭიროების შემთხვევაში დააყენებდა მისი პასუხისმგებლობის საკითხსაც.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მოსაზრებების მიხედვით, კონტროლიორი არ უნდა შესულიყო მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში, მას დროებით უნდა ეხელმძღვანელა რუსული კანონმდებლობით და წარემართა როგორც ფაქტობრივი, ასევე წინასწარი კონტროლიც.

1918 წლის 3 ივნისს ეროვნული საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო სხდომაზე განიხილეს საკითხი სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების შესახებ. გამოიკვეთა სხვადასხვა მოსაზრება:

ბ. ვარაზაშვილის აზრით, სახელმწიფო კონტროლი სასარგებლო იქნება იმ შემთხვევაში, თუ ის ფაქტობრივ და არა წინასწარ კონტროლს განახორციელებს, რამეთუ ეს უკანასკნელი, რესეთის მაგალითის მიხედვით, ზარალის მომტანია. აქედან გამომდინარე, მისი

¹ იქვე.

² იქვე.

აზრით, ეს დაწესებულება, უხეირო კანონმდებლობის პირობებში შეიძლება არასასურველად იქცეს და კონტროლიორის ძალა ფაქტობრივი კონტროლით უნდა შემოისაზღვროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სახელმწიფო განვითარების მუხრუჭად შეიძლება გადაიქცეს;

ი. ლორთქიფანიძემ ხაზი გაუსვა რუსეთში არსებული კონტროლის სისტემის ნაკლოვანებებს, მაგრამ საქართველოში დროებით მისი გამოცდილების გათვალისწინება საჭიროდ ჩათვალა;

გ. ჟურული – ვეტოს უფლებას კონტროლის უმთავრეს უფლებად მიიჩნევდა, «ინგლისში ვეტოს უფლების ახსნა ან პარლამენტს აქვს, ან კიდევ უმაღლეს სასამართლოს, საქართველოში კონსტიტუციის შემუშავებამდე, ეს როლი ეროვნულმა საბჭომ უნდა იკისროს»;¹

ნ. ელიავას შეხედულებით, ვინაიდან ქვეყანაში უმაღლესი სასამართლო არ არსებობდა, გადამწყვეტი როლი მთავრობისა და კონტროლის დავებს შორის დროებით პარლამენტს უნდა დაკისრებოდა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დ. თოფურიძემ სხდომას კენჭის საყრელად წარუდგინა დეტალური დასკვნის პროექტი²:

1. საჭიროა თუ არა სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობა? კომისიამ დადებითად გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი;
2. ვინ უნდა აირჩიოს სახელმწიფო კონტროლიორი და უნდა შევიდეს თუ არა იგი რომელიმე სამინისტროს დაქვემდებარებაში? კომისიის დასკვნით, სახელმწიფო კონტროლიორი უნდა აირჩიოს ეროვნულმა საბჭომ და ეს სამსახური არ უნდა დაექვემდებაროს არცერთ სამინისტროს;
3. რა ფუნქციები უნდა ჰქონდეს სახელმწიფო კონტროლიორს? კომისიის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო კონტროლიორს დროებით უნდა ეხელმძღვანელა რუსეთის კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციებით იმ განსხვავებით, რომ მთავრობასა და სახელმწიფო

¹ სკსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 309, ფურცელი 1.

² იქვე.

კონტროლს შორის დავის შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ეროვნულ საბჭოს უნდა შეესრულებინა;

4. საჭიროა თუ არა სახელმწიფო კონტროლიორის შესახებ ახალი კანონის პროექტის შედგენა ქვეყნის კონსტიტუციის მიღებამდე? კომისიის დასკვნით, საჭიროა იურიდიული და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებმა ერთობლივად შეიმუშავოს კანონპროექტი ახალ კონტროლიორთან ერთად.

ამრიგად, ეროვნულ საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო სხდომაზე, განსხვავებული ეკონომიკური აზრების არსებობის მიუხედავად, საბოლოოდ გადაწყდა: კონტროლიორის თანამდებობის შემოღების აუცილებლობა; სახელმწიფო კონტროლიორი უნდა არჩეულიყო ეროვნული საბჭოს მიერ და იგი არ უნდა შესულიყო მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში; სახელმწიფო კონტროლიორს უნდა განესაზღვრა რუსული კანონმდებლობის შესაბამისი უფლებამოვალეობები იმ გამონაკლისით, რომ მთავრობასა და კონტროლიორს შორის უთანხმოების შემთხვევაში გადამწყვეტი ინსტიტუტი ეროვნული საბჭო იქნებოდა და კონტროლის ახალი კანონპროექტი უნდა მოემზადებინა იურიდიულ და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებს სახელმწიფო კონტროლიორთან ერთად.

მიღებული გადაწყვეტილებები აქტუალურია დღესაც, რამეთუ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იმთავითვე განისაზღვრა მთავრობისაგან სახელმწიფო კონტროლის დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი პრინციპები: «საქართველოს კონტროლის აგებულება უნდა შეთანხმებოდა ჩვენს მართვა-გამგეობას, საერთო მასშტაბებს და ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას».¹

შემდგომში, «სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების» შესახებ მომზადებული კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი,² ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 28 ივნისის სხდომაზე

¹ სცსსა ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 42, ფურცელი 2^o.

² საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), გვ. 15.

ერთხმად დაამტკიცა, რომლითაც განისაზღვრა: საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსება (მუხლი 1); სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს ეროვნული საბჭო, იგი არ შედის მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე; რესპუბლიკის კონტროლიორსა და მთავრობას შორის უთანხმოებას არჩევს და წყვეტს ეროვნული საბჭო (მუხლი 2); საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი კანონების ის მუხლები, რომლებიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება ამიერიდან გაუქმებულია (მუხლი 3).

1918 წლის 6 დეკემბერს მიღებული ეროვნული საბჭოს კანონით «სახელმწიფო კონტროლის შესახებ» დამტკიცდა: დებულება «სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის» და «რევიზიის წესდება».¹

დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის თანახმად: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლი სახალხო წარმომადგენლობის ორგანოა და სახელმწიფო მმართველობის ცალკე ნაწილს შეადგენს.² დებულების მე-5 მუხლით კი – «რევიზიით მოპოვებული მასალისა და მოსაზრების მიხედვით, სახელმწიფო კონტროლიორი საკანონმდებლო ორგანოს 15 დეკემბრისათვის წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

დებულებისა და რევიზიის წესდების დამტკიცებამდე დღის წესრიგში სახელმწიფო კონტროლიორის დანიშვნის საკითხი განიხილებოდა. სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობაზე სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ დასახელდა ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი (სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა). საბჭოს დადგენილებით, არჩევა უნდა მომხდარიყო «აშკარა ხმის მიცემით.» «საბჭოს დიდი უმრავლესობით ერთის წინააღმდეგ და რამდენიმეს

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), გვ. 112-167.

² სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 42, ფურცელი 21.

გარდა, რომელთაც ხმის მისაცემად თავი შეიკავეს, სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობაზე ირჩევენ ფ. გოგიჩაიშვილს».¹

1918 წლის 27 სექტემბერს მიღებული კანონის «სახელმწიფო კონტროლიორის ჯამაგირის» თანახმად, ფ. გოგიჩაიშვილს დაენიშნა ჯამაგირი წელიწადში 18.000 მანეთის ოდენობით სახელმწიფო ხაზინიდან.²

3.2. სახელმწიფო კონტროლის ფუნქციები

როგორც უკვე აღინიშნა, 1918 წლის 6 დეკემბრს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი «სახელმწიფო კონტროლის შესახებ», რომელიც ძალაში 28 დეკემბერს შევიდა. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი აღწერს იმ პერიპეტეებს, რომელიც თან ახლდა კანონპროექტის განხილვას: «თანახმად, მეცნიერების მოთხოვნებისა და დაწინაურებული ქვეყნების მაგალითისა, მიზანშეწონილად ვსცანი პარლამენტისათვის წარმედგინა პროექტი სრულის კონტროლის დაწესებისა, რომელმაც უნდა აწარმოოს როგორც წინასწარი, აგრეთვე ფაქტიური და შემდგომი რევიზია».³ თუმცა, ფ. გოგიჩაიშვილის მოსაზრებით, ამგვარი კონტროლი თანდათანობით უნდა განხორციელებულიყო იქ, სადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა (ვინაიდან უწყება პროფესიონალი კადრების სიმცირეს განიცდიდა).

საქართველოს პარლამენტში ფილიპე გოგიჩაიშვილის მიერ წარდგენილი კონტროლის დებულების და რევიზიის წესდების პროექტებში «წინასწარი და ფაქტიური რევიზიის განხორციელება ნავარაუდევია იყო თანდათანობით და არა ერთბაშად. ამიტომ ორივე სახის რევიზია პროექტში აღნიშნულია არა ვითარცა აუცილებლად სავალდებულო, არამედ ფაკულტატური, რომელსაც სახელმწიფო კონ-

¹ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 321, ფურცელი 36.

² იქვე, ფურცელი 41.

³ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 42, ფურცელი 2.

ტროლიორი თავისი მიხედულობის კვალობაზე თანდათანობით ანხორციელებს»¹.

პროექტის განხილვისას პარლამენტის იურიდიულმა კომისიამ არ გაიზიარა ფ. გოგიჩაიშვილის ფრთხილი მიდგომები და «წინასწარი» და «ფაქტობრივი» რევიზიების ჩატარება სავალდებულოდ მიიჩნია სახელმწიფოს ორგანოთა მიერ წარმოებულ ყველა ფინანსურ-სამეურნეო ოპერაციაზე. ამგვარად, იურიდიულმა კომისიამ ხსენებული ცვლილებებით გააფართოვა სახელმწიფო კონტროლიორის უფლება-მოვალეობანი და სრულად ყოველწლიური კონტროლის განხორციელება მოითხოვა, შესაბამისად გაიზრდებოდა სამუშაოთა მოცულობაც. ასეთი მიდგომები პარლამენტმაც გაიზიარა.

ფ. გოგიჩაიშვილის მიერ პარლამენტში წარდგენილი სამტატო განრიგის პროექტი უკვე გადიდებულ უფლებამოსილებებსა და სამუშაოების მოცულობას ვედარ პასუხობდა. საჭირო გახდა შტატების განრიგში ცვლილებების შეტანა ახალი რეალიების გათვალისწინებით: «აუცილებელია, რომ სახელმწიფო კონტროლმა, გარდა თბილისისა, საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ადგილას მუდამ იყოლიოს რევიზორები წინასწარისა და ფაქტიური რევიზიის საწარმოებლად. ასეთი საკონტროლო ადგილი იქნება არანაკლებ 10-15-ისა და თითოეულ ალაგას საჭირო იქნება სარევიზიო ძალა არანაკლებ 4 კაცისა»².

ყოველწლიური სავალდებულო კონტროლის განხორციელების პროცესში სახელმწიფო კონტროლიორს უნდა მინიჭებოდა თავისუფალი მოქმედების უფლება აღმასრულებელი ძალისაგან დამოუკიდებლად (მე-8 მუხლი): «სახელმწიფო კონტროლის გამგებლობა და მისი მოქმედების წესიერების და წარმატების მეთვალყურეობა მინდობილი აქვს, მინისტრის უფლებით, სახელმწიფო კონტროლიორს, რომელსაც საკანონმდებლო დაწესებულება აირჩევს და აგრეთვე დაითხოვს სამსახურიდან. სახელმწიფო კონტროლიორი არ შედის

¹ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 321, ფურცელი 41.

² სცსსა, ფონდი 1940, აღწერა 1, საქმე 320, ფურცელი 25.

მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მარტო საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე».¹

დებულება შედგება ოთხი განყოფილებისაგან². პირველი, «სახელმწიფო კონტროლის უწყების საგანთათვის»; მეორე, «სახელმწიფო კონტროლის შედგენილობისათვის»; მესამე, «სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოსათვის» და მეოთხე – «სახელმწიფო კონტროლის კანცელარიისათვის».

დებულების 34-ე მუხლით, განისაზღვრა ანგარიშების დაცვისა და განადგურების წესები. დებულებასთან ერთად დამტკიცდა «რევიზიის წესდება»³, რომელიც 5 თავისაგან შედგება: პირველი, «ზოგადი დებულებისათვის»; მეორე, «დოკუმენტური რევიზიისათვის» (განსაზღვრავს დოკუმენტური, წინასწარი და შემდგომი რევიზიების ჩატარების წესებს); მესამე, «ფაქტიური რევიზიისათვის», და მეოთხე, «შედეგებისათვის სარევიზიო ანგარიშდანაკლისის დადებისა» (ადგენს: ანგარიშდანაკლისის უზრუნველყოფის, გადახდევინების, ჩამოწერის და გასაჩივრების წესებს) და მეხუთე – «კონტროლის მიერ წარმოდგენილ ანგარიშთა რევიზიის დასრულების ვადისა და წესისთვის».

კონტროლის სამოქმედო გეგმა ძირითადად დაფუძნებული იყო სახელმწიფო ხარჯების გადამეტებული ზრდის მოწესრიგებაზე, ბიუჯეტის არსებობაზე, ამისათვის კი უნდა შემოწმებულიყო სათანადო ანგარიშები, რისი კანონიერი უფლებაც კონტროლიორს მიენიჭა.

მთლიანად, სახელმწიფო კონტროლიორის სისტემის დაფინანსებისათვის სახელმწიფოში გამოყოფილი იქნა წლიურად 2216700 მანეთი (იხ. ცხრილი 1).⁴

სახელმწიფო კონტროლს დაევალა ბიუჯეტის ხარჯების წინასწარი და ფაქტობრივი კონტროლი: «დაევალოს სახელმწიფოს კონტროლიორს დებულებისა და რევიზიის წესდების დამყარებული წინასწარი და

¹ სცსსა, ფონდი 1940, აღწერა 1, საქმე 320, ფურცელი 25.

² იქვე, ფურცელი 21.

³ იქვე.

⁴ იქვე, ფურცელი 46.

ფაქტიური კონტროლი განახორციელოს 1 წლის განმავლობაში¹. ამასთან, სახელმწიფო კონტროლიორს, 1917 წლის 11 მარტის დადგენილების თანახმად, უფლება მიეცა, «საკანონმდებლო წესით «რევიზიის წესდების» გამოცემამდე, დააწესოს მუდმივი წინასწარი კონტროლი იქ, სადაც საჭიროდ ჩათვლის.

ცხრილი 1

სახელმწიფო კონტროლის შტატები (ჯამაგირებით)

| თანამდებობათა სახელწოდება | რიცხვი | წლიური ჯამაგირი თვითეულის | წლიური ჯამაგირი ყველას | ყველას 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე |
|----------------------------------|--------|---------------------------|------------------------|-------------------------------------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| სახელმწიფო კონტროლიორი | 1 | 18000 | | |
| სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი | 1 | 16200 | | |
| საქმეთა დირექტორი | 1 | 12000 | 12000 | 5000 |
| სექციათა გამგე | 3 | 10800 | 32400 | 13500 |
| უფროსი რევიზორი | 25 | 9600 | 240000 | 100000 |
| რევიზორი | 47 | 8400 | 394800 | 164500 |
| რევიზორის თანაშემწე | 74 | 7200 | 532800 | 222000 |
| მონაგარიშე მოხელე | 58 | 6000 | 348000 | 145000 |
| მდივანი | 1 | 9600 | 9600 | 4000 |
| უფროსი საქმის მწარმოებელი | 1 | 8400 | 8400 | 3500 |
| საქმის მწარმოებელი | 2 | 7200 | 14400 | 6000 |
| რეგისტრატორი | 1 | 6600 | 6600 | 2750 |
| რეგისტრატორი თანაშემწე | 3 | 6600 | 1800 | 7500 |
| არქივარიუსი | 1 | 6000 | 6000 | 2500 |
| გადამწერი (6-მდე) | | 4800 | 28800 | 12000 |
| კანცელარიის მოხელენი (35-მდე) | | 5160 | 180600 | 75250 |
| შიკრიკნი და დარაჯნი (25-მდე) | | 3192 | 79800 | 33250 |
| საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი | | | 69000 | 28750 |
| გათბობა და განათება | | | 37500 | 15625 |
| ბინის ქირა | | | 36000 | 15000 |

¹ სკსსა, ფონდი 1940, აღწერა 1, საქმე 320, ფურცელი 43.

| | | | | |
|----------------------------|--|--|---------|--------|
| შემწეობა მოსამსახურეთათვის | | | 27000 | 11250 |
| საგზაო ხარჯები | | | 135000 | 56250 |
| სულ | | | 2216700 | 923625 |

წინასწარი რევიზიების შედეგად დაიწყო მიმდინარე ანგარიშების შემოწმება, ამასთან, თვალს ადევნებდნენ ხაზინის ანგარიშების წარმოებას, ამას, რა თქმა უნდა, ხვდებოდა წინააღმდეგობები და დაბრკოლებები ცნობილი მოტივით – თითქოსდა უწყებათა კონტროლი აფერხებდა მიმდინარე მუშაობას.

მთლიანობაში სახელმწიფო კონტროლის ფუნქციებში შევიდა: საკანონმდებლო ორგანოში წარდგენამდე ბიუჯეტის პროექტის შედგენის შემოწმება; ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რათა იგი არ ასცდენოდა სამოქმედოდ დამტკიცებულ ფინანსურ გეგმას; სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების ფულადი სახსრების ბრუნვის, მატერიალური ქონების მდგომარეობის შემოწმება; კრედიტების განაწილებაზე კონტროლი. ამ ფუნქციებში განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ ბიუჯეტის შედგენაზე კონტროლს, რამეთუ თანამდროვე პირობებში საქართველოს კონტროლის პალატის ფუნქციებში ასეთი კომპეტენცია უდავოდ გასათვალისწინებელია.

სახელმწიფო კონტროლიორი რევიზიის შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე ყოველი წლის 15 დეკემბერს წარადგენდა მოხსენებებს სათანადო დასკვნებითურთ. სახელმწიფო კონტროლიორი მინისტრის უფლებით მონაწილეობდა საკანონმდებლო დაწესებულების სხდომებში სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული უწყების საქმეთა განხილვის დროს.

ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო სახელმწიფო კონტროლიორის წარდგინებით ნიშნავდა და ათავისუფლებდა სახელმწიფო კონტროლიორის მოადგილეს, ხოლო სახელმწიფო კონტროლის სხვა მუშაკებს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა თავად სახელმწიფო კონტროლიორი.

სახელმწიფო კონტროლის ორგანოში კონტროლიორის თავმჯდომარეობით შეიქმნა «საერთო საკრებულო», რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი, საქმეთა დირექტორი და სექციათა გამგეები¹. «საკრებულოს» უფლება ჰქონდა მოესმინა სარევიზიო მოხსენება საკანონმდებლო ორგანოში წარდგენამდე და განეხილა წინადადებები მოქმედ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების შესახებ, აგრეთვე მოემზადებინა დასკვნა კონტროლიორის დავალებით გადაცემულ საკითხებზე. განსახილველი საკითხები საერთო საკრებულოში დამსწრეთა ხმების უმრავლესობით მიიღებოდა.

სახელმწიფო კონტროლის კანცელარიას ევალებოდა არქივის გამგებლობა დებულების 34-ე მუხლის შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით. ამავე მუხლის დამატების თანახმად, სახელმწიფო კონტროლის მიერ ჩატარებული რევიზიების ანგარიშები 3 რიგად ნაწილდებოდა: «პირველი რიგის ანგარიშები სამუდამოდ უნდა იყოს დაცული, მეორე რიგის – ვადამდე უნდა ინახებოდეს და მესამისა – უნდა მოისპოს როდესაც საჭირო აღარ იქნება»².

სახელმწიფო კონტროლიორი, შესაბამისი სფეროს მინისტრთან შეთანხმებით, ადგენდა, თუ რომელ რიგს უნდა მიკუთვნებოდა შედგენილი ანგარიში. მეორე რიგის ანგარიში ინახებოდა 10 წელი (გახანგრძლივება შეიძლებოდა საერთო საკრებულოს გადაწყვეტილებით). ყოველი წლის ბოლოს გამოუსადეგარი ანგარიშები ნადგურდებოდა საერთო საკრებულოს გადაწყვეტილებით, ანგარიშების განადგურების წესს კი განსაზღვრავდა სახელმწიფო კონტროლიორი.

«საკრებულოს» დადგენილებით, ანგარიშვალდებული დაწესებულებების რევიზიის მასალები გამოძიებისათვის შეიძლება გადასცემოდა სასამართლოს ცალკეულ მოხელეთა ქმედებების

¹ სცსსა, ფონდი 1940, აღწერა 1, საქმე 320, ფურცელი 3.

² სცსსა, ფონდი 1940, აღწერა 1, საქმე 320, ფურცელი 7.

დასადგენად. საბოლოოდ, გადაცემული მასალები უკან უნდა დაბრუნებულიყო.

კონტროლიორთა მიერ შესწავლილი მასალები ჯგუფდებოდა «სარევიზიო» და «ადმინისტრაციული» შინაარსის მიხედვით. «სარევიზიოდ» იწოდებოდა ისეთი საქმეები, რომლებიც უკავშირდებოდა კონტროლის რევიზიის შესამოწმებელ ანგარიშებს, დანარჩენი მასალები კი «ადმინისტრაციულად» ითვლებოდა. ამასთან, პირველი რიგის მუდმივად დასაცავ საქმეებს განეკუთვნებოდა საკანონმდებლო ორგანოს განკარგულებანი, დადგენილებები, კანონები (სახელმწიფო კონტროლის შესახებ), რევიზიის მასალები, ხაზინის ანგარიშები, სახელმწიფო კონტროლის მოხსენებათა დედნები და ა. შ. მთლიანობაში, პირველი რიგის დასრულებული საქმეები უნდა ყოფილიყო მუდმივად დაცული, მეორე რიგის «სარევიზიო საქმეები» – ათი წლით, ხოლო «ადმინისტრაციული საქმეები» კი 10 ან 5 წლამდე ვადით ინახებოდა.

1918 წლის 6 დეკემბერს დამტკიცებულ «რევიზიის წესდებაში», რომელიც შეეხება კონტროლის როგორც დაწესებულების უფლებებს¹, განსაზღვრულია კონტროლისა და მისდამი ანგარიშვალდებულ პირთა შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხები.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო კონტროლის რევიზიას დაექვემდებარა ყველა სამთავრობო დაწესებულება, ორგანიზაცია, საწარმო, რომლებიც ხაზინის თანხებს იყენებდნენ, თუმცა, საკანონმდებლო ორგანოს ხარჯების შემოწმება სახელმწიფო კონტროლის კომპეტენციაში არ შედიოდა. სახელმწიფო კონტროლი ვალდებული იყო რევიზიის შედეგად დაედგინა სახელმწიფო სახსრების მიზნობრივად ხარჯვის მდგომარეობა, შემოწმებები კი ტარდებოდა დოკუმენტური და ფაქტობრივი რევიზიის სახით. დოკუმენტური რევიზია დაფუძნებული იყო შესაბამისი ოპერაციების შემოწმებაზე, ფაქტობრივი რევიზია კი დოკუმენტურად ამოწმებდა ამა თუ იმ

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 42, ფურცელი 3.

დაწესებულებაში არსებული სახელმწიფო თანხების ბრუნვას და ქონების გამოყენების მდგომარეობას.

დოკუმენტური რევიზია იყოფოდა წინასწარ და შემდგომ რევიზიებად. წინასწარი რევიზიით მოწმდებოდა ჩატარებამდე განზრახული ოპერაციები, ხოლო შემდგომ რევიზიას ექვემდებარებოდა უკვე შესრულებული ოპერაციები. ამასთან, «დოკუმენტალური რევიზია შეიცავდა ანგარიშის შემოწმებას: ა) კლასობრივად და ბ) არსებითად»¹.

ანგარიშთა «კლასობრივი» რევიზიის დროს დოკუმენტურად მოწმდებოდა სალაროს ოპერაციების, ნაშთის, ანგარიშების წარმოების სისწორე და ქონების გამოყენების მდგომარეობა. შესაბამისად, ბუღალტერიაში არსებული უზუსტობანი უნდა გასწორებულიყო.

სახელმწიფოს შემოსავლების «არსებითად შემოწმებისას» სახელმწიფო კონტროლი განსაზღვრავდა გათვალისწინებული შემოსავლების დროულად მიღების მდგომარეობას. სახელმწიფო ხარჯების შემოწმებისას კონტროლს უნდა დაედგინა ხარჯების გაწვევაზე გაცემული ნებართვების სისწორე და ის, თუ რამდენად სწორად და მიზნობრივად დაიხარჯა გაცემული თანხები. ამ მხრივ რევიზიას ექვემდებარებოდა დეპოზიტებიც – რამდენად მართებულად იყო თანხა იქ მობილიზებული, ხომ არ იყო ეს თანხები სახელმწიფო ხაზინის კუთვნილი და სხვ.

რევიზიის შესახებ სახელმწიფო კონტროლის დებულებით განისაზღვრა «წინასწარი დოკუმენტალური» და «შემდგომი დოკუმენტალური» რევიზიების ჩატარება. «წინასწარი დოკუმენტალური» რევიზიის დროს სახელმწიფო კონტროლი: «ა) აუწყებს ანგარიშვალდებულ დაწესებულებას და პირს თავის დასკვნას სამეურნეო გეგმების, კონდიციებისა, გამოწვევისა და ხელშეკრულობათა პროექტებისა, აგრეთვე ვაჭრობისა, წარმოებისა, მაზანდის გარდაკვეთისა და ყოველგვარი სამეურნეო საქმისა, მოსაზრებისა და საკითხისათვის, ბ) ამოწმებს, ხაზინაში გაგზავნამდე, ასიგნობებს ანუ მათს საბადლო

¹ სკსსა, ფონდი 1940, აღწერა 1, საქმე 320, ფურცელი 12.

ფულის გასაცემ დოკუმენტებს, გ) გზავნის საკონტროლო უწყების წარმომადგენელთ განმკარგულებელ სხდომაზე დასასწრებლად»¹.

აღსანიშნავია, რომ ყოველი გასაცემი ასიგნება წინასწარი რევიზიის მიერ რევიზიის პროცესშივე უნდა შემოწმებულიყო, ისე ხაზინის მიერ მისი განაღდება არ შეიძლებოდა. შემდგომ დოკუმენტურ რევიზიას სახელმწიფო კონტროლი აწარმოებდა მიღებული ანგარიშების ანალიზის შემდეგ, ხოლო თუ აღმოჩნდებოდა რაიმე დოკუმენტის დაფარვა, ამას შესაბამის უწყებას აცნობებდნენ, რათა ერთი თვის ვადაში წარედგინა სათანადო მასალა.

სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს უფლება ეძლეოდა დაემტკიცებინა კონკრეტულ ოპერაციაში გაწეული ზედმეტი ხარჯი (არა უმეტეს სამასი თუმნისა), რომელიც განსაკუთრებული შემთხვევით იყო განპირობებული; აგრეთვე, პასუხისმგებლობის გარეშე რჩებოდა ყოველი ხარჯი, თუ მისი წლიური ჯამი სამას თუმანს არ აღემატებოდა. რევიზიის შედეგად აღმოჩენილი საექვო ზარალის შესახებ შესაბამისი უწყებიდან 1 თვის ვადაში ითხოვდნენ ახსნა-განმარტებას. თუ რევიზია აღმოაჩენდა უკანონო ქმედებებს, მაშინ საქმე განსახილველად გადაეცემოდა სასამართლო პალატის პროკურორს ან სამხედრო პროკურორს (მათი კომპეტენციის მიხედვით) მიყენებული ზარალის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად. თუკი საქმე შეეხებოდა მინისტრების საექვო ქმედებებს, მაშინ სათანადო ინფორმაცია მიეწოდებოდა საკანონმდებლო ორგანოს.

ფაქტობრივი რევიზიის ჩატარებისას სახელმწიფო კონტროლის მუშაკებს უფლება ჰქონდათ: დასწრებოდნენ საჯარო ვაჭრობებს; ჩაეტარებინათ ქონების ინვენტარიზაცია; გაეკონტროლებინათ სალაროში არსებული ფული; შეემოწმებინათ «ხაზინის ულუფაზედ მყოფთა რაოდენობა», გამოერკვიათ მომუშავეთა ნამდვილი რაოდენობა; შეემოწმებინათ, თუ როგორ ხდებოდა ქონების გადაცემა ერთი პირიდან მეორეზე; დაედგინათ ზარალის გამოანგარიშებების რეალობა და და ა.შ.

¹ სცსსა, ფონდი 1940, აღწერა 1, საქმე 320, ფურცელი 14.

ანგარიშვალდებული დაწესებულებები ვალდებული იყვნენ კონტროლის ორგანოს თანამშრომლებისათვის, ფაქტობრივი რევიზიის პროცესში ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ, რამეთუ «ფაქტიურ რევიზიას აწარმოებენ სახელმწიფო კონტროლის მოხელენი ან სახელმწიფო კონტროლის დავალებით, ან განმკარგულებელ მმართველობათა შეტყობინებით.»¹

სალარობისა და მატერიალური ქონების მდგომარეობის ფაქტობრივი რევიზია კონტროლს დაქვემდებარებული პირის პასუხისმგებელ მუშაკთა თანდასწრებით მიმდინარეობდა. სამშენებლო ოპერაციების ფაქტობრივი რევიზიისას სახელმწიფო კონტროლი ამოწმებდა შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესაბამისობას წარმოდგენილ დოკუმენტებთან. თუ სალაროში და ქონების საცავში აღმოჩნდებოდა დიდი რაოდენობის ფულის ნიშნები და საქონელი, მაშინ კონტროლიორი უფლებამოსილი იყო ჩაეტარებინა შერჩევითი შემოწმება, ხოლო თუ აღმოჩნდებოდა დიდი უზუსტობები – სრული შემოწმება უნდა ჩატარებულიყო.

შემოწმების დასრულების შემდეგ დგებოდა ფაქტობრივი რევიზიის ოქმი, რომელსაც ხელს აწერდნენ, როგორც შემმოწმებლები, ასევე შემოწმებას დაქვემდებარებული უწყების პასუხისმგებელი მუშაკები. ფაქტობრივ რევიზიას დაქვემდებარებულ ანგარიშვალდებულ დაწესებულებას ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის უფლება არ ჰქონდა. რევიზიის შედეგად აღმოჩენილ დარღვევებზე რეაგირების შესახებ ანგარიშვალდებული პირი ვალდებული იყო მაკონტროლებელისათვის შეეტყობინებინა ორი კვირის ვადაში, მიუხედავად იმისა, გასაჩივრდა თუ არა მაკონტროლებელთა მიერ შედგენილი რევიზიის აქტის რეალობა.

კონტროლის დებულების 126-ე მუხლის თანახმად: «ღონისძიებად ანგარიშდანაკლისის წინასწარვე უზრუნველყოფისათვის ჩაითვლება: ა) შეკვრა უძრავი ქონებისა, ბ) დაკავება მოძრავი ქონებისა, გ) გამორიცხვა ჯამაგირიდან, პენსიიდან და სხვა შემოსავლიდან, დ) შეჩერება

¹ იქვე, ფურცელი 19.

ხაზინიდან კუთვნილი ფულის მიცემა იმისათვის, ვისაც დაედო ანგარიშ-დანაკლისი, და ე) თავდებობა»¹. დებულების 128-ე მუხლის მიხედვით კი: «ის ფული, რომელიც შემოდის ანუ დაჭერილია ანგარიშდანაკლისის უზრუნველსაყოფად, ვიდრე საქმე გადაწყდებოდეს, იგზავნება გამგე მართველობის მიერ ხაზინაში, რათა იქ ჩარიცხულ იქნეს ამ მართველობის დეპოზიტად; ხაზინიდან ამ ფულის გაცემა შეიძლება მხოლოდ კონტროლის თანხმობით. ფული, იმათ განცხადების თანახმად, ვისგანაც იგი შემოვიდა ანუ ვისაც დაუჭირეს, შესაძლოა პროცენტთან ქალაქდებად გადაეცეულ იქმნეს»².

სარევიზიო ანგარიშდანაკლისის აღმოჩენისას, პასუხისმგებლობა ეკისრებოდა შესაბამისი თანამდებობის პირებს. ანგარიშვალდებული დაწესებულების ხელმძღვანელს კონტროლის ორგანოსათვის უნდა ეცნობებინა აღმოჩენილი დანაკლისის აღმოფხვრის და საერთოდ, ნაკლოვანებათა გამოსწორების გზების შესახებ პასუხისმგებელი პირების გვარის, სახელის, მამის სახელის მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებული პირი არ დაეთანხმებოდა სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს გადაწყვეტილებას, მაშინ საქმე განსახილველად იგზავნებოდა უმაღლეს სასამართლოში უთანხმოებების განმაპირობებელი მიზეზების ახსნით.

რევიზია დასრულებულად ითვლებოდა სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს მიერ რევიზიის შედეგების განხილვა-დამტკიცების შემდეგ. საბოლოო დადგენილების მიღებამდე კიდევ ერთხელ უნდა გადამოწმებულიყო რევიზიის შედეგების სისწორე იმ პირების მიერ, რომელთაც რევიზიის ჩატარების პერიოდში მონაწილეობა არ მიუღიათ.

რევიზიის დასრულების შემთხვევაში, სახელმწიფო კონტროლიორი შესაბამის დაწესებულებებს და მის ხელმძღვანელს ერთი კვირის ვადაში უგზავნიდა საერთო საკრებულოს გადაწყვეტილებას რევიზიის

¹ სკსსა, ფონდი 1940, აღწერა 1, საქმე 320, ფურცელი 21.

² იქვე, ფურცელი 21-22.

საბოლოო შედეგების შესახებ. მასში აღნიშნული იყო «ნაშთი, თანხის მიღება და გაცემა, მორიგი და მოულოდნელი შემოწმება კასის ქონებისა და არსებითის შედეგები ასეთი შემოწმებისა.»¹ ამასთან, ცნობაში რევიზიის დასრულების შესახებ მიეთითებოდა: «ვისი და რა რაოდენობის თანხის ანგარიშია შემოწმებული; რა ხნის განმავლობაში ტარდებოდა შემოწმება; რომელ ხარჯთაღრიცხვას, ანგარიშსა და თანხას შეეხო რევიზია; რამდენი ფულია ანგარიშდანაკლისად მიჩნეული და რა თანხები დარჩა რევიზიას შეუმოწმებელი.»²

დაბოლოს, დასრულებულად გამოცხადებული რევიზიის შედეგების გადამოწმება დაიშვებოდა მხოლოდ სახელმწიფო კონტროლიორის განსაკუთრებული ნებართვით და «მაშინ თუ აღმოჩნდა ახალი გარემოება, რომლის გათვალისწინება რევიზიის დროს შეუძლებელი იყო»³. იმ შემთხვევაში, თუ გაირკვეოდა, რომ რევიზიის მიზეზით ზარალი დროულად ვერ გამომჟღავნდა და ადგილი ჰქონდა შეგნებულ ქმედებებს, მაშინ სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულოს დადგენილებით, შემოწმებული მიეცემოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მასვე დაეკისრებოდა ქონებრივი პასუხისმგებლობაც ხაზინის წინაშე, როგორც ზარალის მიმყენებელს. ასეთი პასუხისმგებლობისაგან პირი თავისუფლდებოდა მხოლოდ რევიზიის დასრულების დღიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ. კარგი იქნებოდა თუკი ჩვენ ქვეყანაში სხვადასხვა მაკონტროლებელთა მისამართით ზემოაღნიშნულ გამოცდილებას გაითვალისწინებდნენ.

დამოუკიდებელ საქართველოში შექმნილი საკანონმდებლო ბაზა სახელმწიფო კონტროლიორს ძირითადად შესაძლებლობას აძლევდა განეხორციელებინა პრაქტიკული ნაბიჯები ქვეყნის ბიუჯეტური სახსრების მიზნობრივად ხარჯვის შემოწმების მიმართულებით. ამ მიზნით დიდი სამუშაოები ჩატარდა, შედეგების შესახებ კი მომზადდა სპეციალური ანგარიში დამფუძნებელ კრებაზე წარსადგენად. კერძოდ,

¹ სცსსა, ფონდი 1940, აღწერა 1, საქმე 320, ფურცელი 24.

² იქვე.

³ იქვე.

1919 წლის 14 მარტის დამფუძნებელ კრებაზე¹ სახელმწიფო კონტროლიორმა ფ. გოგიჩაიშვილმა წარადგინა ვრცელი მოხსენება სახელმწიფო კონტროლის მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ (1918 წლის 1 ივლისიდან 1919 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში). მან ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებები სისტემაში ჩატარებული რეფორმებისა და მიღებული პრაქტიკული შედეგების შესახებ. ანგარიშში ვრცლად აისახა ის ღონისძიებები, რომლებიც მუშაობის პირველ ეტაპზე ხორციელდებოდა სამსახურის სამოქმედო დებულების შემუშავებისათვის და ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა რეგისტრაციისათვის.

1918 წლის 1 ივლისამდე სახელმწიფო კონტროლი უმეტესად რუსულ კანონმდებლობას ეყრდნობოდა, რაც ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ პასუხობდა. რუსეთში კონტროლი ძირითადად შემდგომი რევიზიით იფარგლებოდა, წინასწარ და ფაქტობრივ კონტროლს კი მეურნეობის მხოლოდ რამდენიმე დარგში ატარებდა. დემოკრატიულ საქართველოში სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის შემოღება, სრულყოფილი კონტროლის დებულებისა და წესდების შემუშავება ადგილობრივი და ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით განხორციელდა. მიღებული კანონმდებლობით, სახელმწიფო კონტროლიორს დაევალა როგორც წინასწარი კონტროლის, ასევე შემდგომი კონტროლის ჩატარება.

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ «სახელმწიფო კონტროლის დებულებისა და რევიზიის წესდების» პროექტი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავდა სახელმწიფო კონტროლის უფლება-მოვალეობებს 1918 წლის 25 სექტემბრს წარედგინა პარლამენტს, რომელმაც, მასში შეტანილი შესწორებების შემდეგ, იგი 6 დეკემბრს დაამტკიცა (ძალაში კი 28 დეკემბრიდან შევიდა). მას შემდეგ, სახელმწიფო კონტროლიორიც შეუდგა თავისი უფლება-მოვალეობის პრაქტიკულ განხორციელებას. ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ფუნქციონირებდა: თბილისის საკონტროლო

¹ გაზეთი „ეროთა“, №64, 21 მარტი, 1919 წელი.

პალატა, ყოფილი ამიერკავკასიის კომისარიატის სახელმწიფო კონტროლიორის კანცელარია, ამიერკავკასიის რკინიგზის კონტროლი და ქართული კორპუსის საველე კონტროლი. ამ სისტემებში მომუშავე 360-მდე მუშაკის შრომითი ანაზღაურება ქვეყნის ხაზინიდან საკმაოდ დიდი თანხებით ფინანსდებოდა. სახელმწიფო კონტროლიორის დანიშვნის შემდეგ, ზემოაღნიშნული კონტროლის სისტემის დაწესებულებათა და მასში დასაქმებული მუშაკების შტატების ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო.

პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილის აზრით, სახელმწიფო კონტროლის წინაშე არსებული პროგრამის სრულად შესრულება, მაშინ არსებულ პირობებში, ადვილი არ იქნებოდა. მას შეძლებისდაგვარად ძალისხმევა არ უნდა დაეკლო, რათა კონტროლის სისტემის საქმიანობა სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებში ჩამჯდარიყო. ამავე ინტერესებში შედიოდა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის სწორად შედგენა, კერძოდ, ის თუ რა რაოდენობის ფინანსების მობილიზება შეეძლო ქვეყანას თავის ხაზინაში. ასეთი მონაცემების გარეშე რეფორმები წარმატებით ვერ განხორციელდებოდა. ამასთან, სახელმწიფო კონტროლიორის აზრით, დამოუკიდებელი ქვეყნის 1919 წლის ხარჯთაღრიცხვაში – შემოსავალ-გასავლის გეგმის შედგენაში სხვა ქვეყნების დადებითი გამოცდილება უნდა გაეთვალისწინებინათ. რეორგანიზაცია-ლიკვიდაციის პროცესში გაერთიანდა რიგი მაკონტროლებელი რგოლები, ძველი საკონტროლო ორგანოები კი გაუქმდა, შემუშავდა სახელმწიფო კონტროლის სამოქმედო გეგმა. ეს იყო პერიოდი სახალხო მეურნეობის მძიმე მდგომარეობისა, ბიუჯეტური სისტემის არარსებობისა და სახელმწიფო ხარჯების მუდმივად ზრდისა.

ასეთ პირობებში სახელმწიფო კონტროლის ორგანოს წინაშე იდგა რიგი ამოცანები: «1) გამოერკვია, რა კრედიტის მქონე არიან სხვადასხვა ანგარიშვალდებული დაწესებულებანი და პირნი, 2) ფაქტობრივად გასცნობოდა ზოგიერთ უფრო მსხვილ სამეურნეო ოპერაციების

წარმოებას და 3) მიეღწია საბიუჯეტო ანგარიშწარმოების საქმის წესიერად დაყენებისათვის, სათანადო ანგარიშების აუცილებლად კონტროლში წარმოდგენით.»¹ სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება ძალიან რთული იყო, მით უმეტეს, რომ ქვეყანა განიცდიდა კვალიფიციური კადრების დეფიციტს და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა საწყის ეტაპზე იყო. სახელმწიფო კონტროლიორს თავისი მაღალი ავტორიტეტი და პროფესიონალიზმი სახელმწიფო ინტერესებისათვის უნდა გამოეყენებინა. დღის წესრიგში მთავარი საკითხი ბიუჯეტის შედგენა იყო, ბიუჯეტის გარეშე კი შეუძლებელია სახელმწიფოს ანგარიშების სისტემაში მოყვანა. სახელმწიფო კონტროლი ითხოვდა ბიუჯეტის დროულად და რეალურად შედგენას. თუმცა, რიგი დაწესებულებები არ აწარმოებდნენ ხარჯთაღრიცხვას, შემოსავალი ხაზინაში უმნიშვნელოდ შედიოდა, ფული თითქმის თვითდინებაზე იხარჯებოდა, ბიუჯეტის შემოსავლებიც უკონტროლოდ იგეგმებოდა. ამ ქაოტურ ფონზე თავისი პროფესიონალური, წონადი ფუნქცია სახელმწიფო კონტროლიორმა ითავა. შედგა ბიჯეტური დაწესებულებების შემოწმების გრაფიკი.

კონტროლის მიერ, პირველ რიგში, ფაქტობრივად შემოწმდა: მიწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებანი (თბილისში, ბორჯომში და კახეთში), ყოფილი სასურსათო სამინისტროს დაწესებულებები (თბილისში), მომარაგების კომიტეტის დაწესებულებანი (თბილისში, ქუთაისში). ასევე, ჩატარდა რკინიგზის, სამხედრო სამინისტროსა და ცალკე სამხედრო ნაწილების რევიზიები.

ჩატარებული რევიზიის შედეგები, როგორც მოსალოდნელი იყო, არასახარბიელო აღმოჩნდა. თბილისის ხაზინის ანგარიშ-ფაქტურების შემოწმებამ ცხადყო გაუმართლებელი ხარჯების და საერთოდ, ხაზინიდან ზედმეტი ფულის მიღების ფაქტები. შემოწმების შედეგად გამოიკვეთა დაკისრებული საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და სახელმწიფო სახსრების უნიათო ხარჯვის ბევრი ფაქტი, ხშირ

¹ გაზეთი „ეროობა“, №64, 21 მარტი, 1919 წელი.

შემთხვევებში – ბოროტმოქმედებები. მძიმე მდგომარეობის დაძლევის მიზნით, სახელმწიფო კონტროლმა მომავალში საჭიროდ სცნო მოქმედი კანონმდებლობისა და კერძოდ «რევიზიის წესდების» შესაბამისად ჩაეტარებინა ყველა უწყების ხარჯების წინასწარი რევიზია: «1917 წლის 11 მარტის დადგენილებით რუსეთის დროებითი მთავრობის სახელმწიფო კონტროლს უფლება ჰქონდა მინიჭებული, სადაც და როდესაც იგი საჭიროდ დაინახავდა, მუდმივი წინასწარი კონტროლი დაეწესებინა. თანახმად ამ კანონისა, მე გადავწყვიტე შემომეღო წინასწარი კონტროლი გასული წლის 9 ნოემბრიდან ყველა ხარჯებისათვის, რომლებსაც ახდენენ სამინისტრონი და თბილისში არსებული მთავრობის მმართველობანი, ვაცნობე მთავრობას და ყველა სამინისტროებს და შევატყობინე, რომ ამის შემდეგ არც ერთი ასიგნობა ხაზინისა და არც ერთი მოთხოვნა ფულისა ბანკების სახელზე არ ექნება განადგებული, უკეთუ ამ დოკუმენტებს არ ექნება გრიფი კონტროლიორისა,»¹ აღნიშნავდა ფ. გოგიჩაიშვილი.

ბუნებრივია, სახელმწიფო კონტროლიორის წინაშე მდგარი რთული ამოცანების განხორციელებას თან ახლდა გარდამავალი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებიც. ამ ფონზე, სახელმწიფო კონტროლიორის წინასწარმა რევიზიებმა თავისი შედეგები გამოიღო. სამი თვის განმავლობაში (19 ნოემბრიდან 1 თებერვლამდე) რკინიგზის გარდა, ყველა უწყებაში რევიზიას დაექვემდებარა 5942 ბიუჯეტური ასიგნება თანხით 93.550.525 მან 63 კაპ, მათ შორის – სამხედრო უწყებისა და სახალხო გვარდიის შტაბში 55.719.813 მან 35 კაპ. აღმოჩნდა, რომ სწორად დამტკიცებულია 20.413. 063 მან 53 კაპ ხარჯი, შემდგომ რევიზიას კი დაექვემდებარა – 70.082.731 მან 87 კაპ, ხოლო დაუმტკიცებელი დარჩა – 3.052.730 მან 22 კაპ ხარჯი, ეს თანხა (3 მილიონი), კონტროლის დაუმტკიცებლობის გამო, დაიზოგა და არ გაცემულა ხაზინიდან².

¹ გაზეთი „ერთობა“, №64, 21 მარტი, 1919 წელი.

² გაზეთი „ერთობა“, №64, 21 მარტი, 1919 წელი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 70.082.731 მან 87 კაპ ხარჯის გაწევის საკითხის შემოწმება გადაიღო შემდგომი რევიზიისათვის, ვინაიდან მისი დიდი ნაწილი გაცემული იყო ავანსის სახით (სამხედრო უწყებისა და სახალხო გვარდიისათვის), ხოლო ავანსად თანხის ხარჯვა კი საზოგადოდ გამართლებული უნდა იქნეს მხოლოდ მისი დახარჯვის შემდეგ. აღნიშნული ხარჯების მცირე ნაწილი უკვე გაიცა, სხვადასხვა შემთხვევის გამო, იმ დაწესებულებებზე, რომელთა საშტატო განრიგი დაუმტკიცებელი იყო (მათ შორის მთავრობის მიერ). ასეთ შემთხვევებში, კონტროლმა მიზანშეწონილად ჩათვალა ხარჯების გაწევა, რათა არ შეფერხებულიყო მთავრობისათვის საჭირო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფუნქციონირება. თუმცა, სახელმწიფო კონტროლი ასეთ ხარჯებს იმ პირობით ამტკიცებდა, რომ დამყარდებოდა წესრიგი ამ სფეროში და იგი მომავალ კონტროლს დაექვემდებარებოდა.

ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო კონტროლის რევიზიები ააშკარაებდა მრავალნაირ შეცდომას, დარღვევას (ასეთი ნაკლოვანებები ამჟამადც ახასიათებს ჩვენს ქვეყანას). მაგალითად, ხშირ შემთხვევაში ფულზე მოთხოვნისას არ ითვალისწინებდნენ შეუსრულებელ ვალდებულებებს, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ხაზინის თანხების კერძო სექტორში გამოყენებას და ა. შ.

ბუნებრივია, სახელმწიფო კონტროლიორის წინასწარმა რევიზიებმა, გარდა იმისა, რომ დიდი თანხები გადაარჩინა უკანონოდ დახარჯვას, აიძულა ცალკეული დაწესებულებები მკაცრად გაეკონტროლებინათ ანგარიშები (დაეხურათ მრავალი მათგანი), მოეწესრიგებინათ ხაზინასთან ანგარიშწარმოება, საშტატო განრიგი. წინასწარმა რევიზიებმა მოიცვა სამეურნეო-საოპერაციო გეგმები, ხელშეკრულებები, საქონლის შესასყიდი ფასები, ხარჯთაღრიცხვები, ცალკეული პირების შემოწმებები. ამგვარად, სახელმწიფო კონტროლის მუშაობის შედეგები გამოხატა იმაში, რომ ხაზინის მიერ გასაწევ ხარჯებში გაკეთდა 7 მილიონი მანეთის ეკონომია.

დაბოლოს, მოკლედ გავანალიზოთ რკინიგზაში ჩატარებული რევიზიის შედეგები. აქ საანგარიშო პერიოდში რევიზიას დაექვემდებარა 3288 ასიგნება თანხით 80.271.831 მან და 12 კაპ. ამ თანხიდან შეკვეცას დაექვემდებარა 406.273 მან 02 კაპ. ასიგნებათა დანარჩენი თანხიდან (79.865.558 მან 10 კაპ) 1919 წლის 1 თებერვლისათვის დამტკიცდა 50.602131 მან და 25 კაპ, შემდეგი რევიზიისათვის გადაიღო 16.411.320 მან და 25 კაპ-ის შემოწმება, ხოლო 12.852.105 მან და 89 კაპ-ის ხარჯი კი დაუმტკიცებელი დარჩა.

შემდგომი რევიზიისათვის თანხების შემოწმების გადადება უმთავრესად განაპირობა გზათა მოსამსახურეების დამატებითი დაჯილდოების ხარჯებმა, რომელიც წარმოებდა საექსპლუატაციო კრედიტებიდან, თუმცა უნდა დაფარულიყო შესაფერისი წყაროებიდან, აგრეთვე იმით, რომ ხარჯების უმეტესობა სასწარაფოდ იყო გამოთხოვილი და ყველა მათგანის განხილვა წინასწარი რევიზიის პროცესში შეუძლებელი გახდა. შედეგად, კონტროლმა ხარჯების შემოწმება შემდგომი დოკუმენტური რევიზიისათვის გაითვალისწინა.

რიგი ასიგნებების დაუმტკიცებლობის მიზეზები კი შემდგომში მდგომარეობდა: რევიზიამ აღმოაჩინა გასაცემი ფულის ზედმეტობა; ხარჯების გადატანა არამიზნობრივი მიმართულებით, აგრეთვე, ექსპლუატაციაში ზედმეტი ხარჯების დასაფარავად საკრედიტო ხაზის დაგვიანებით გახსნა.

41 სადგურის ფაქტობრივი რევიზიის ჩატარების შედეგად აღმოჩნდა: შემოსავლების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, მატარებლებში მრავალი უბილეთო მგზავრი და ა. შ. კონტროლიორის მოთხოვნით, შესაბამისი საჯარიმო თანხები გადახდილი და შეტანილი იქნა ხაზინაში 11.000 მან-ის რაოდენობით. გარდა ამისა, რევიზიის წყალობით, ხაზინას დაეზოგა 16.972 მან და 57კაპ, მთლიანობაში კი 28.000 მან. სადგურების რევიზიამ აგრეთვე გამოავლინა: უსარგებლოდ გაჩერებული დატვირთული ვაგონები, სადგურის საწყობებში სათანადო დოკუმენტების გარეშე დიდი რაოდენობის ტვირთები, ამანათები.

რკინიგზის მმართველობის სხვადასხვა განყოფილებათა საქმის წარმოების რევიზიის შედეგებმა კი ცხადყო მრავალი მუშაკის მიერ თავისი მოვალეობების არასათანადოდ შესრულების, არაკომპეტენტურობის, შრომის დაბალი მწარმოებლურობის და მრავალი სხვა უწყესრიგობის ფაქტები. ამასთან, ბუღალტერის შემოსავალ-გასავლის ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მოულოდნელმა რევიზიამ კიდევ უფრო დიდი დეფექტები გამოამჟღავნა: რკინიგზის საწყობებში მილიონობით ღირებულების სხვადასხვა აღურიცხავი მასალა და დიდი ღირებულების სხვადასხვა საქონლის დანაკლისი აღმოჩნდა.

შემოწმების შედეგები, კონტროლის მუშაკების მონაწილეობით იხილებოდა რკინიგზის მმართველობის საბჭოს სხდომებზე. კონტროლიორის შენიშვნების გათვალისწინების შედეგად 1918 წლის პირადი შემადგენლობის შესანახი და სხვადასხვა სამუშაოსათვის ნავარაუდები ხარჯთაღრიცხვის ხარჯები შემცირდა 2.700.000 მანეთით, ხოლო 1919 წელს კი 15,5 მილიონი მანეთით.

მთლიანობაში, აშკარად გამოიკვეთა სახელმწიფო კონტროლიორის ეფექტიანი მუშაობის შედეგები. მართალია, კონტროლის მექანიზმებს საფუძველი ჩაეყარა, მაგრამ მისი ორგანიზაცია ჯერ კიდევ სრულყოფას საჭიროებდა. წინასწარი და ფაქტობრივი რევიზია ჯერ კიდევ ვერ შეეხო სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურას – რეგიონებს. ამ საქმის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი კვალიფიციური კადრების დეფიციტი იყო.

ამრიგად, სახელმწიფო კონტროლიორის მუშაობის ეფექტიანობა, საბოლოო ანგარიშით, გამოიხატა: სახელმწიფო კონტროლის სისტემის რეფორმის წარმატებით გატარებაში, 1918 წლის 6 დეკემბრის კანონის შესაბამისად; სახელმწიფო ანგარიშწარმოებისა და ანგარიშთა წარდგენის სისტემის გარკვეულწილად მოწესრიგებაში, ანგარიშების სარევიზიოდ წარდგენასა და მათი შემოწმების დაწყებაში; სახელმწიფო უწყებებსა და მეურნეობებში მრავალი დარღვევის გამოვლინებაში – მათზე სათანადო

რეაგირებასა და ხაზინისადმი წარდგენილი 32 მილიონ მანეთზე მეტი თანხის მოთხოვნის მიზანშეუწონლობის გამოვლენაში.

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა, როგორც ქართული ეკონომიკური აზრის ფრიად მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა და დამოუკიდებელ საქართველოში პირველმა სახელმწიფო კონტროლიორმა, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქვეყნის ფინანსური კონტროლის სისტემის საფუძვლების შექმნასა და პრაქტიკულ განხორციელებაში. მან, გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, დამფუძნებელთა კრებას მიმართა თხოვნით – დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და გამოთქვა იმედი, რომ «უზენაესი ძალაუფლებისა და ავტორიტეტის პატრონი კრება სახელმწიფო კონტროლის მოწყობის საქმესაც ისეთ სიმადლეზე აიყვანს და განამტკიცებს, როგორც ეს ჩვენი სახელმწიფოს მოთხოვნილებას შეეფერება»¹. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 14 მარტს კენჭისყრის შედეგად დააკმაყოფილა სახელმწიფო კონტროლიორის ფ. გოგიჩაიშვილის თხოვნა დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და დაავალა «იმავე სახელმწიფო კონტროლიორს განაგრძოს მუშაობა ახალ სახელმწიფო კონტროლიორის არჩევამდე.»²

1919 წლის 9 მაისს, დიომიდე თოფურიძემ, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით, დამფუძნებელთა კრებას სახელმწიფო კონტროლიორს თანამდებობაზე ასარჩევად წარუდგინა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის კანდიდატურა (სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა). აღინიშნა, რომ დასახელებული კანდიდატურა «სინდისიერად და დიდის ენერგიით ასრულებდა თავის მოვალეობას» და იმედია ასე იქნება მომავალშიც. ფარული კენჭისყრის შედეგად (მონაწილე 66 კაციდან მომხრე 61, წინააღმდეგი – 2, თავი შეიკავა – 1,

¹ გაზეთი „ერთობა“ №64, 21 მარტი, 1919წ.

² საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), სხდომა №2, 14 მარტი, 1919 წ., გვ. 27.

ცარიელი აღმოჩნდა – 2), სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობაზე ხელმეორედ აირჩიეს ფ. გოგიჩაიშვილი.¹

სახელმწიფო კონტროლმა შემდგომშიც გააფართოვა სამუშაოების მოცულობა. ამის დასტურია სახელმწიფო კონტროლიორის მიერ დამფუძნებელი კრებისადმი წარდგენილი ვრცელი ანგარიში «სახელმწიფო კონტროლიორისა 1918/19 წლების ბიუჯეტის განხილვის შედეგებისა და სახელმწიფო კონტროლის მოქმედების შესახებ».² მასში გაანალიზებულია: მთლიანი შემოსავალ-გასავლის აღრიცხვიანობის მდგომარეობა; აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედება ბიუჯეტის შესრულების საქმეში და თვით სახელმწიფო კონტროლის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგიანობა დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში.

წარდგენილ ანგარიშში მრავალი სფეროს (სოფლის მეურნეობის, საგზაო, სამხედრო...) შემოწმების შედეგებია ასახული და უდავოდ ყურადსაღები მასალებია წარმოდგენილი, თუმცა, მას სრულყოფილების პრეტენზია ვერ ექნებოდა, ვინაიდან ქვეყანაში 1918-1919 წწ. ხარჯთაღრიცხვა ფაქტობრივად არ შემუშავებულა ახალი 1919-1920 წწ. ბიუჯეტური წლის დასაწყისამდე.

დამოუკიდებელ საქართველოში, 90-იანი წლების დასაწყისში, კვლავ შეიქმნა ფინანსური კონტროლის ორგანო – «კონტროლის პალატის» სახელწოდებით, რომელიც ამჟამადაც ფუნქციონირებს, როგორც ბიუჯეტური სახსრების მიზნობრივად გამოყენებაზე უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანო. საქართველოს კონტროლის პალატის სამოქმედო ფუნქციებში გათვალისწინებულია ბევრი ისეთი სამსახურებრივი კომპეტენცია (განსაკუთრებით, ბიუჯეტური სახსრების ხარჯვითი ნაწილის, სახელმწიფო ქონების ეფექტიანად გამოყენების გაკონტროლების მიმართულებით), რომელსაც საფუძველი დაუდო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)

¹ საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), სხდომა №14, 9 მაისი, 1919 წ., გვ. 13-14.

² სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 820, ფურცელი 3.

ფუნქციონირებადმა, მთავრობისაგან დამოუკიდებელმა სახელმწიფო კონტროლის ინსტიტუტმა.

თავი 4. სხვა ინსტიტუციური რეფორმები

4.1. ბონები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვეტილიყო ეროვნული ფულის ნიშნების გამოცემის საკითხი, რამდენადაც დამოუკიდებელი ქვეყანა ეროვნული ვალუტის გარეშე ვერ იარსებებდა. ეროვნული ფულის ნიშნის შემოღება არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა. ამ პერიოდში მიმოიქცეოდა «ამიერკავკასიის ბონები», შემდეგ «საქართველოს ბონი», რომლებიც რუსეთის მანეთთან იყო მიბმული. 1920 წლის შემოდგომაზე გამართულ ეკონომიკურ თათბირზე ნ. ხომერიკი მიუთითებდა: «როცა სახელმწიფო შევექმენით ჩვენ არ გვექონდა არც ოქროს ვალუტა, არც სხვა განძი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ჩვენი ფულის ტრიალს, ამიტომ ჩვენ ფულის მაგიერ გამოვეცით ბონები – ეს ფულის სუროგატი და დღემდე ამით გაგვექონდა თავი. მისი რაოდენობა არ იყო განსაზღვრული, ბონები იბეჭდებოდა უსაზღვროთ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მისი ერთადერთი საზღვარი ჩვენი საჭიროება იყო».¹

1918 წლის 29 იანვარს, ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებული დებულებით «ბონების შესახებ», განისაზღვრა: ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 100 მლნ მანეთის ბონების გამოშვება; ბონები მიმოიქცევაში რჩება დროებით, ვიდრე აღმოიფხვრება მიზეზები, რომელიც ქაღალდის ფულის ნაკლებობას განაპირობებს, შემდეგ კი ასეთი ბონები გაბათილდება; ამიერკავკასიაში ბონებს ისეთივე ღირებულება ექნება, როგორც სახელმწიფო ქაღალდის ფულს. მათ გამოიყენებენ როგორც სახელმწიფო დაწესებულებები, ასევე კერძო პირები; ბონები უნდა გამოიცეს: 1, 3, 5, 10 50 და 100 მანეთის ღირებულებებით; ბონები იბეჭდება ფინანსთა სამინისტროს კომისიის

¹ გაზეთი „ეროზა“, №236, 17 ოქტომბერი, 1920 წელი.

განკარგულებით და გადაეცემა სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორას მიმოქცევაში გასაშვებად; სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა ბონებს გამოუშვებს ამიერკავკასიის სახელმწიფო ბანკის განყოფილების მეშვეობით და ბონები არ მიიღება ნუმერაციის, ხელმოწერის გარეშე და მაშინაც, თუ მას 1/3 მოხეული ექნება (ისინი მიმოქცევიდან ამოიღება).¹

ამიერკავკასიის ბონები მიმოქცევაში გაუშვეს 1918 წლის 5 თებერვლიდან, იგი თბილისში იბეჭდებოდა. მოგვიანებით დაიბეჭდა 250 მანეთიანი ბონების კუპიურებიც. 1919 წელს 11 ივლისიდან კი დაიწყო ქართული ბონის მიმოქცევა. მიუხედავად ამიერკავკასიის ბონების არსებობისა და ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, ქართული ბონების მომავალი ქვეყნის მოსახლეობის სახელმწიფოებრივ ცნობიერებას უნდა განესაზღვრა². მანამდე კი გამოშვებული იყო ბონები ამიერკავკასიის: კომისარიატის მიერ – 100,0 მლნ მან; სეიმის მიერ – 200,0 მლნ მან; რესპუბლიკების შეთანხმებით (20. 07. 1918 წ. – 4. 06. 1919წ.) 1060 მლნ მან ანუ მთლიანობაში გამოშვებულია 1360 მლნ მან ბონები. აქედან საქართველოს წილად მოდიოდა 540,0 მლნ³, ხოლო აზერბაიჯანისა და სომხეთის წილად – 820,0 მლნ. ე. ი., საქართველოს გადაეცა 87,0 მლნ-ზე მეტი თანხა (და არა 1/3), რაც იმით აიხსნებოდა, რომ იმპერიულ დაწესებულებათა და კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციისათვის საჭირო სახსრების გაღება საქართველოს მოუწია⁴.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებამდე, სახელმწიფო ბანკის პასუხისმგებლობით, დაახლოებით 220 მლნ მანეთის ბონები გამოუშვეს. ამიერკავკასიის სეიმმა ბანკის საემისიო უფლება 300 მლნ მანეთით განსაზღვრა, ანუ დამატებით კიდევ შეიძლებოდა 80 მლნ მანეთის ღირებულების ბონების გამოშვება. ბონები იბეჭდებოდა საქართველოში – თბილისში, რადგან ქვეყანას მისი სხვაგან დაბეჭდვის საშუალება არ ჰქონდა. დაბეჭდილი ბონები

¹ გაზეთი „ერთობა“, №28, 4 თებერვალი, 1918 წელი.

² შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, გვ. 278.

³ კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, გვ. 67.

⁴ ნ. ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა, თბილისი, 1996 წ., გვ. 28.

მთლიანად საქართველოს არ ეკუთვნოდა, ვინაიდან იგი ნაწილდებოდა აზერბაიჯანზეც და სომხეთზეც.

ბონების განაწილების საკითხზე არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები. კერძოდ, იმის შესახებ თუ, ვის უნდა ეკისრა ამერიკავკასიის კომისარიატისა და სეიმის მიერ გამოშვებული 300,0 მილიონი ბონის ვალი. გ. ჟურულის აღნიშვნით, ზოგიერთი ბანკირი ამ ვალის მხოლოდ საქართველოზე დაკისრებას მოითხოვდა: «ეს მით ნაკლებ საშიშია, რომ როგორც ევროპულმა სახელმწიფო პრაქტიკამ დაამტკიცა, ქალაქის ფულის ნიშნების 30% აღებ-მიცემობაში იცვითება და იკარგება, მით უმეტეს ეს მოსალოდნელია ჩვენში, სადაც ბეჭდვის ტექნიკა და თვით ქალაქის ღირსება დაბალ დონეზე დგას»¹.

ეროვნული საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე (1918 წ. 3 ივნისი) ფინანსთა მინისტრის გ. ჟურულის მიერ ბონების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში გამოთქმული აზრით, ზემოთ აღნიშნული 300-მილიონიანი ვალი (აგრეთვე ახლადგამოშვებულ ბონებზე თუ ეს განხორციელდებოდა) უნდა გადანაწილებულიყო საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საერთაშორისო მოლაპარაკების საფუძველზე. დამატებით გამოსაშვები 80,0 მილიონი მანეთის ბონები დაახლოებით 3 კვირა ეყოფოდათ, მოკლე პერიოდში კი ქართული ვალუტის გამოშვება ვერ მოხერხდებოდა. აუცილებელი გახდა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის შეთანხმების მიღწევა მათთვის დამატებით ას-ასი მლნ მანეთის ბონის გამოშვებაზე. ეს თანხები საკმარისი იქნებოდა კიდევ ორი თვის განმავლობაში. ამ პერიოდში კი, ფინანსთა მინისტრის აზრით, მომზადდებოდა «ნიადაგი საქართველოს დამოუკიდებელი ფინანსური სისტემის შესამუშავებლად»². კერძოდ, უნდა დაარსებულიყო ეროვნული ბანკი, რომელსაც ექნებოდა ფულის ემისიის უფლება სათანადი რეზერვების შექმნის პირობებში.

¹ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 309, ფურცელი 2.

² სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 309, ფურცელი 2.

ეროვნული საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია 1918 წლის 12 ივნისს კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ქართული ბონების გამოშვების საკითხს.

1918 წლის 18 ივნისს ისევ შედგა ეროვნული საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, სადაც განიხილეს ამიერკავკასიის ბონების გამოშვების საკითხი. სხდომაზე მოხსენება «რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობის, ბონების გამოცემისა და რაოდენობის და ეროვნული ბანკის დაარსების შესახებ»¹ გააკეთა ფინანსთა მინისტრმა გ. ჟურულმა. კამათის საგანი იყო «უზრუნველყოფა ბონების შეთანხმებით მეზობელ ერებთან, ფაქტიურად საქართველოს პასუხისმგებლობა, ახალი ფულის გამოცემა და დევალვაცია, თუ გარანტია»².

ეროვნული საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომებზე (3 და 12 ივლისი, 1918 წ.) კამათის მონაწილეთა ერთი ნაწილი ნამდვილი ქართული ფულის გამოცემას მოითხოვდა, მაგრამ ქვეყანაში არსებული მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები ამის საშუალებას არ იძლეოდა.

ამიერკავკასიის ბონების გამოცემას ეწინააღმდეგებოდა სომხეთიც და აზერბაიჯანიც. საქართველოს მხარემ აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობებს გადასცა გამოცემული 300,0 მლნ მანეთი ბონებისა და ახლად გამოსაცემი ბონების შესახებ პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულების «პროექტი». ქართულ მხარეს განსახილველი პროექტი ერთადერთ მისაღებ პირობად მიაჩნდა, თუმცა მას აზერბაიჯანი არ გამოხმაურებია, სომხეთი კი არ დაეთანხმა. ასეთ პირობებში საქართველოს ან საკუთარი ბონი უნდა გამოეშვა, ან სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებთან შეუთანხმებლად ამიერკავკასიის ბონები გამოეცა: «თუ უკანასკნელ გზას დავადექით, ცხადია, უნდა მოველოდეთ პროტესტს აზერბაიჯანის და სომხეთის მთავრობათა მხრივ, ხოლო თუ პირველი გზა ვარჩიეთ და საქართველოს ბონები

¹ იქვე.

² იქვე, ფურცელი 4.

გამოვეცით, ამ უკანასკნელს, – როგორც ბანკების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებში გამოირკვა (რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის გამგე ე. ა. ბერგი და ბანკების კომიტეტის წარმომადგენელი ა. პ. ვეისბრეტი) – ბანკები ნდობით არ მოეპყრობიან და ამნაირათ ამ უკანასკნელ ბონებს გავრცელების დიდი ხიფათი მოელის»¹.

ამრიგად, «ბანკირები» ახალი ფულის ნიშნის მიღებაზე უარს აცხადებდნენ. მთავრობას შეეძლო ქაღალდის ფულით საკუთარი ვალუტის შემოღება, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ: მხატვრებს ფულის სახის შემუშავებისათვის სამი თვე სჭირდებოდათ. ასევე დროს მოითხოვდა ახალი ფულის სისტემის შემუშავება და საემისიო ბანკის დაარსება, გაჭირვება კი არ იცდიდა.

რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის გამგის ე. ბერგის შეხედულებით, ცენტრალური მთავრობისაგან უფლებამოსილ ამიერკავკასიის კომისარიატს, შეეძლო განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოეცა ბონები რუსულ მანეთებში, საქართველოს რესპუბლიკას კი ასეთი ბონების გამოცემისათვის იურიდიული უფლებაც არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, ე. ბერგი დაეთანხმა კომისარიატის მიერ ბონების გამოშვებას საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობებს შორის შეთანხმების შემთხვევაში. ასეთი შეთანხმება გაძნელდა და ჩვენი ქვეყნის მთავრობა საკუთარი ბონების გამოცემისათვის ემზადებოდა, მაგრამ ე. ბერგმა და თბილისელმა ბანკირებმა ასეთ ბონებს წინასწარი ბოიკოტი გამოუცხადეს დამატებითი მოტივით – «საქართველოს ბონებზე ლაჟი გაჩნდებაო». ე. ბერგმა ქართველი ბანკირების თანხმობით, აცნობა ჩვენს მთავრობას, რომ შეთანხმების გარეშეც გამოუშვებს საქართველოს მიერ გამოცემულ კომისარიატის ბონებს, მაგრამ საქართველოს პასუხისმგებლობა უნდა აეღო უკვე გამოშვებული 300 მლნ მანეთის ბონებზე.

ამრიგად, ბერგი და რიგი სხვა ბანკირებიც არ უარყოფდნენ საქართველოს უფლებას საკუთარი ფულის სისტემის შექმნის შესახებ,

¹ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 309, ფურცელი 9.

მაგრამ საკუთარი, ეროვნული ბონების გამოშვების საქმეში თითქოსდა დაუძლეველ წინააღმდეგობებს ქმნიდნენ. სინამდვილეში სუვერენულ რესპუბლიკას სრული უფლება ჰქონდა, მოეჭრა საკუთარი ვალუტა. ეს იურიდიული უფლება სადავო არ იყო. ფულის გამოშვება დროს მოითხოვდა, დრო კი არ იცდიდა. ამიტომ მთავრობა იძულებული იყო, ბონების ემისიისათვის მიემართა. მას შეეძლო რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორისათვის ბონების ემისია მიენდო, მაგრამ კანტორა ამას ვერ იკისრებდა ცენტრალური ბანკის საბჭოს თანხმობის გარეშე. საქმე გაჭიანურდა, როგორც ჩანს, ჩვენმა ეკონომისტ-ფინანსისტებმაც ვერ იაქტიურეს.

გადასაწყვეტი იყო ანგარიშების საკითხიც, ანუ რა ერთეული უნდა მიეღო საქართველოს რესპუბლიკას ბონების საანგარიშოდ. საბოლოოდ გადაწყდა ანგარიშების რუსულ მანეთებში განხორციელება იმ მოტივით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ინახებოდა არანაკლებ 500,0 მლნ მანეთის რუსეთის ქაღალდის ფული.

აქედან გამომდინარე, ფინანსთა მინისტრის მოსაზრებით, ერთადერთი გამოსავალი ამიერკავკასიის ბონების დაბეჭდვა იყო, რამეთუ ბანკების უარყოფით დამოკიდებულებას შეეძლო «არამცთუ დიდი ზარალი მიაყენოს საქართველოს ბონებს, არამედ სრულად დასცეს მათი ღირებულება.»¹ ანუ ბანკებისადმი რეპრესიების განხორციელება კლიენტურის უკმაყოფილებას გამოიწვევდა, რაც ახალგაზრდა დემოკრატიული ქვეყანის ეკონომიკას მძიმე ტვირთად დააწვებოდა.

ამიერკავკასიის ბონების ემისიის საკითხს მიემღვნა ეროვნული საბჭოს 19 ივლისის (1918 წ.) სხდომა. მომხსენებელმა ი. ლორთქიფანიძემ, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მოსაზრებები წარადგინა. კამათში მონაწილეობდნენ: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. ჟურული, ს. მდივანი (სოციალ-დემოკრატი), ი. მაჭავარიანი (ეროვნულ-დემოკრატი), ი. წერეთელი (სოციალ-

¹ სკსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 309, ფურცელი 9.

დემოკრატი). გ. ჟურნალის აზრით: ბონების გამოცემის საკითხის მოწესრიგება ქვეყნის მომავლისათვის უმნიშვნელოვანესია; მიღებულია ყველა ზომა სომხეთთან და აზერბაიჯანთან შეთანხმების მისაღწევად; სომხეთმა წამოაყენა «80 მლნ მანეთის საჭიროება, ჩვენი კი 120 მლნ-ის, რადგანაც ჩვენ უნდა მოვახდინოთ ლიკვიდაცია რუსული დაწესებულებების და ამისათვის კი საჭიროა დიდი თანხა»¹.

აზერბაიჯანმა შეთანხმება არ ისურვა, მან ჯერ საერთო ქონების გაყოფა და შემდეგ ბონების გამოცემის უფლება მოითხოვა: «ჩვენ ვუპასუხეთ, რომ რუსეთის წინაშე იმ ქონებისათვის, რომელიც აქ – სატახტო ქალაქში დარჩა პასუხისმგებელია საქართველო, მასთან ჩვენ არ ვიცით რამდენი ქონება დარჩა აზერბაიჯანში და სხვა, ამიტომ ამ ქონების პატრონი და პასუხისმგებელი ჯერჯერობით ჩვენ ვართ»².

საკუთარი ფულის გამოსაშვებად საჭირო იყო ემიისის უფლება, რომელიც მოითხოვდა ნორმალური პირობების არსებობას: «ჩვენ კი არა ვართ თავისუფალი როგორც საგარეო, ისე საშინაო საფრთხისაგან. არის საქმის მეორე მხარეც, საქართველოს რადგანაც საკუთარი ფული არ ჰქონდა, არ შეეძლო თავისი ბონები გამოეცა.»³

ს. მდივნის აზრით, საქართველოს ბონების გამოცემა აუცილებელია და საკითხის გაჭიანურებაში მთავრობა და კერძოდ, სამინისტროებია დამნაშავე. ი. მაჭავარიანმა უარყოფითად შეაფასა მთავრობის კანონპროექტი, ვინაიდან სომხეთი ამ ფულს საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენებდა, «რადგანაც როგორც ვიცით სომხეთის ორიენტაცია არ ეთანხმება ჩვენს ორიენტაციასო.»⁴ მისი წინადადებით, უნდა გამოცემულიყო ამიერკავკასიის სახელით ბონები საქართველოს საჭიროებისათვის და მისი შესაბამისი პასუხისმგებლობით.

ი. წერეთლის შეხედულებით, ბონების გამოცემის საკითხში ბანკების პოზიცია უნდა გათვალისწინებულიყო. «ძალდატანებით

¹ გაზეთი „ერთობა“, №152, 21 ივლისი, 1918 წ.

² გაზეთი „ერთობა“, №152, 21 ივლისი, 1918 წ.

³ იქვე.

⁴ იქვე.

შეიძლება ბონების გამოშვება და განაღდება, მაგრამ იმ პირობებში, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკა დღეს იმყოფება, ძალდატანებაზე ლაპარაკი შეუძლებელია.»¹ მისი აზრით, დამოუკიდებლად ბონების გამოცემა ქვეყნის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, არც საერთაშორისო ვალდებულებების დავიწყება შეიძლებოდა. მან გაიზიარა ს. მდივნის მოსაზრება, «რომ ფულის პასუხისმგებლობა არ არის დამოკიდებული მარტო იმ სახელმწიფოზე, რომელიც სცემს, არამედ სხვა სახელმწიფოზედაც არის დამოკიდებული; როცა ჩვენ გამოვყოფთ 200 მლნ მანეთს საკუთარი პასუხისმგებლობით, მაშინ ნუ დაგვა-ვიწყდება, რომ ამ ფულის ნაწილის რეალური პასუხისმგებლობა მაინც დაატყდება აზერბაიჯანსაც, რადგანაც როცა ჩვენ იმავე სახის ბონებს გამოვიყენებთ, რა სახითაც წინათ ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა სომხეთში და აზერბაიჯანში ბონების ფასს დასცემს»². მისი აზრით, აუცილებელი, იყო მეზობელი სახელმწიფოების კანონიერი უფლებების დაცვა და სომხეთისა და აზერბაიჯანის დაუკითხავად ბონების გამოცემა არ შეიძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ფულის ემისიის აპარატი საქართველოში იყო, მის ბოროტად გამოყენებას გმობდნენ: «ჩვენ რომ ბოროტად მოვიხმართოთ საემისიო აპარატი და უფლება ეს ლეგალური საბუთი იქნება სხვა სახელმწიფოებისთვის ჩვენ საწინააღმდეგოდ.»³

საბოლოოდ, ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 23 ივლისს მიიღო კანონი «ამიერკავკასიის კომისარიატის 300 მლნ მანეთის ბონის პასუხისმგებლობის და 200 მლნ მანეთის ბონის ახლად გამოცემისა.»⁴

მიღებული კანონით, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ აღიარა, რომ: 300 მლნ მანეთის ბონი (გამოიცა ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის დადგენილებით) ვალად ედება ამიერკავკასიის სამ ახალ რესპუბლიკას – საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს. ამასთან,

¹ იქვე.

² გაზეთი „ერთობა“, №152, 21 ივლისი, 1918 წ.

³ იქვე.

⁴ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №2, 26 ივლისი, 1918 წ.

მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ნება დართო მთავრობას, კიდევ გამოსცეს ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები სომხეთის მთავრობასთან შეთანხმებით 200 მლნ მანეთის ოდენობით. აქედან, სომხეთის მთავრობას ეძლეოდა 80 მლნ მანეთის ბონი, ხოლო საქართველოს მთავრობის განკარგულებაში დარჩებოდა 120 მლნ მანეთის ბონი. ამ 200 მლნ მანეთის ბონზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა საქართველოს და სომხეთს, თანახმად განსაკუთრებული ხელშეკრულებისა.

1918 წლის ივლისის ბოლოს სამ რესპუბლიკას შორის მიღწეულ შეთანხმებას საფუძვლად დაედო ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი საერთო მიდგომები: ფინანსურ-ეკონომიკური მოსაზრებები, თუ რამდენად შესაძლებელია¹ ფულის ნიშნების გამოშვების განსაზღვრა; უცხოეთიდან ამიერკავკასიაში ფუფუნების საგნების შემოტანა; ისეთი ღონისძიებების გაუტარებლობა, რომელსაც კაპიტალის უცხოეთში გადინება მოჰყვება; ამიერკავკასიაში რუსეთის საკრედიტო ბილეთის გამოყენების თანდათანობით შეზღუდვა; ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან უცხოეთში საქონლის ექსპორტს საფუძვლად დაედოს ან საქონლის იმპორტი, ან გატანილ საქონელში აღებული უცხოური ვალუტის სახელმწიფოში შემოტანა; უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ და ყველა რესპუბლიკაში ამ ვალუტის კურსის გასათანაბრებლად ამ რესპუბლიკებს შორის პერიოდული შეთანხმებების მიღწევა.

საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 15 ნოემბერის სხდომაზე კვლავ განიხილეს ამიერკავკასიის ბონების დაბეჭდვის საკითხი. ფინანსთა მინისტრმა გ. ჟურულმა სხდომაზე თავის გამოსვლაში ქართული ბონების გამოცემის აუცილებლობა ორი მიზეზით დაასაბუთა: პირველი, მძიმე ფინანსური მდგომარეობით, რომელშიც დამოუკიდებელი საქართველო იმყოფებოდა და მეორე,

¹ კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, გვ. 67.

გადაწყვეტილების სწრაფად მიღება, ვინაიდან აზერბაიჯანის ბონების დაბეჭდვაზე ხელმომწერ უფლებამოსილ წარმომადგენელს ეს უფლება მალე ჩამოერთმეოდა აზერბაიჯანში პარლამენტის შექმნის გამო. ასეთი უფლებამოსილების მიღება უკვე პარლამენტის კომპეტენციაში შედიოდა, რაც გარკვეულ დროს მოითხოვდა. ეს იყო ის ორი ძირითადი მიზეზი, რომელზეც გ. ჟურულმა მიმართა პარლამენტს ბონების ბეჭდვის საკითხთან დაკავშირებით.

ნ. ცინცაძემ აღნიშნა, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობების შეთანხმებების თანახმად, 160,0 მლნ მანეთის ბონები უნდა გამოშვებულიყო; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა არა 160,0 მლნ, არამედ 200,0 მლნ მანეთის ბონების გამოშვება შემდგომი ემისიის უფლებით.

კამათში მონაწილე ბ. ვეშაპელმა ქართული ბონების გამოშვებას მხარი დაუჭირა და მიზანშეწონილად ჩათვალა ფაქტობრივად დაშლილი ამიერკავკასიის რესპუბლიკის ბონების ბეჭდვა: «შეუძლებელია ფინანსური სისტემა აშენდეს შეთანხმებით ისეთ სახელმწიფოებთან, რომელთა არსებობაც არ არის აღიარებული არავის მიერ და ადვილი შესაძლებელია მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს დააწვეს»¹.

გერ. ქიქოძეც მიემხრო ქართული ბონის გამოშვებას. მისი აზრით, ხალხში დაგროვილი ბევრი ფულის ამოღება გადასახადების გადიდებით, მიწების გაყიდვით შეიძლება და ამ გზაზე უშიშრად, გაბედულად უნდა გადაიდგას ნაბიჯები.

დაბოლოს, გ. ჟურულმა აღნიშნა, რომ «კრიტიკა თავდება მხოლოდ კრიტიკით და არ გვიჩვენებენ იმ ზომებს, რომელიც თავიდან აგვაცდენს ფინანსურ კრიზისს»². მისი აზრით, გამოთქმული მოსაზრებები საინტერესოა, მაგრამ მაშინ არსებულ პირობებში

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 625, ფურცელი 2.

² გაზეთი „ერთობა“, №249, 17 ნოემბერი, 1919 წ.

ქართული ბონის გამოცემა შექმნილ მდგომარეობას ვერ გამოასწორებდა. საბოლოოდ ასეთი პოზიცია პარლამენტმაც გაიზიარა.

1919 წლის 30 იანვარს პარლამენტმა მიიღო «კანონი ამიერკავკასიის ბონების გამოცემის განგრძობისა და საქართველოს ხაზინის ბონების გამოცემისა», ხოლო მოგვიანებით, 1919 წლის 17 აპრილს (დამფუძნებელმა კრებამ), ამიერკავკასიის ბონების გამოცემის განგრძობისა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1919 წლის 14 აპრილის სხდომაზე განიხილეს ამიერკავკასიის ბონების გამოშვების განგრძობის შესახებ ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის მოხსენება; გათვალისწინებული იყო ამიერკავკასიის თითოეული რესპუბლიკისათვის 100,0 მლნ მანეთი ბონი.

მომზადდა შესაბამისი კანონპროექტი დამფუძნებელ კრებაზე წარსადგენად. 17 აპრილს დამფუძნებელი კრების წევრმა ივ. ჭავჭავაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას გააცნო კანონპროექტის ძირითადი დებულებები.

კანონპროექტის პირველ მუხლს, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს რესპუბლიკისათვის 100,0 მლნ მან ამიერკავკასიის ბონების გამოშვებას, კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

ამრიგად, კანონპროექტს არსებითი ცვლილებები არ განუცდია და საბოლოოდ «ამიერკავკასიის ბონების გამოცემის განგრძობის» დეკრეტი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: «1. ნება მიეცეს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის საჭიროებისათვის ამიერ-კავკასიის ბონები კიდევ ასი მილიონი მანეთის. 2. შესაფერი თანხა გამოიცეს სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებისათვის და მიეცეს მათ, როცა დასახელებულ რესპუბლიკათა მთავრობანი შესაფერ ხელშეკრულობას დასდებენ საქართველოს მთავრობასთან. აზერბაიჯანის რესპუბლიკას უნდა მიეცეს აგრეთვე ამა წლის იანვრის 30-ს ემიისაიდან მიუღებელი ოთხმოცი მილიონი მან., უკეთუ სათანადო ხელშეკრულებას ხელს მოაწერს. 3. ნება მიეცეს მთავრობას ამ კანონის პირველს და მეორე

მუხლში მოხსენებულ დანიშნულებისათვის შესაფერად გაადიდოს ამიერ-კავკასიის ბონების ემისია. 4. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღების დამფუძნებლის კრების მიერ»¹.

ამრიგად, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 აპრილის დეკრეტით «ამიერკავკასიის ბონების გამოცემის განგრძობისა», მთავრობას შეეძლო 100,0 მლნ მანეთის ამიერკავკასიის ბონების დამატებით გამოშვება. ამასთან, აღნიშნული თანხები სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებზეც უნდა გადანაწილებულიყო სათანადო ხელშეკრულებების გაფორმების შემთხვევაში.

ამიერკავკასიის ბონის გამოცემა თანდათანობით რთულდებოდა, რადგან ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულებების დადება არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა. ქართული ბონის გამოცემა გადაუდებელ ამოცანად იქცა, რაც საბოლოოდ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 11 ივლისს (35-ე სხდომაზე) გადაწყვიტა. ამას წინ უძღოდა 34-ე სხდომაზე გამოსული დისკუსიები, სადაც მომხსენებელმა დ. ონიაშვილმა გააანალიზა ქვეყნის მაშინდელი, არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის ბონები იბეჭდებოდა სამი რესპუბლიკის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) ურთიერთშეთანხმებით. ამ დროისათვის აზერბაიჯანს უკვე გააჩნდა საკუთარი ფულის ნიშნები და იგი აღარ იღებდა თავის თავზე ამიერკავკასიის ბონებზე პასუხისმგებლობას, ასევე ჯერ კიდევ 1919 წლის დასაწყისში საქართველოს პარლამენტმა მთავრობას ქართული ბონის გამოცემის უფლება მისცა, მაგრამ ამ უფლებით მას არ უსარგებლია. უფრო კონკრეტულად, საკითხი შეეხება პარლამენტის კანონს «ამიერკავკასიის ბონების გამოცემის განგრძობისა და საქართველოს ხაზინის ბონების გამოცემისა» (1919 წლის 30 იანვარი).

კანონის მესამე მუხლით განისაზღვრა, რომ «ნება მიეცეს მთავრობას, თუ საჭიროდ დაინახავს, პარლამენტის საფინანსო-

¹ კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, №6, 1919 წ., გვ. 11.

საბიუჯეტო კომისიასთან შეთანხმებით გამოსცეს საქართველოს ხაზინის ბონები ასი მილიონი მანეთისა»¹. ქართული ბონები მიმოქცევაში დროებით იქნებოდა, ვიდრე საკუთარ ეროვნულ ვალუტას არ გამოუშვებდნენ. კანონის მეხუთე მუხლის თანახმად, «საქართველოს რესპუბლიკის ხაზინის ბონები უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელი ქონებით.»²

მართალია, ბონები სრულფასოვან ეროვნულ ვალუტას არ წარმოადგენდა, მაგრამ ნამდვილი ფულის გამოშვებაც ძნელდებოდა. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა კანონპროექტი, რომლის თანახმად, 300 მლნ მანეთის ბონი უნდა გამოეშვათ. კამათში მონაწილე ლეო შენგელიამ მხარი არ დაუჭირა დამატებითი ბონების ემისიას ფინანსური კრიზისის გადრმავეების შიშით და რომ ქართული ბონი იმ დროს ბაზარზე არსებულ («ნიკოლოზის», «კერენსკის», ამიერკავკასიის ბონის) ფულის ნიშნებს სათანადო კონკურენციას ვერ გაუწევდა: «ყოველთვის, როცა საჭირო არის რაიმე კანონის, რაიმე ზომის მიღება, ჩვენ გვეუბნებიან: ჩვენი მდგომარეობა კატასტროფიული არის, მეტი გამოსავალი არ გვაქვს, თუ ეს კანონი, ეს ზომა არ მივიღეთ, ქვეყანა დაიქცევაო და სხვ. ასეთი არის მათი ტრაფარეტი.»³ – აღნიშნავდა ლ. შენგელია.

დამფუძნებელი კრების წევრის სოციალ-ფედერალისტის რ. ლლონტის აზრით, საჭიროა არა ბონების, არამედ საკუთარი ფულის – ეროვნული ვალუტის გამოშვება, ადრე «ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა ქართული ბონების გამოცემა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი აზრი ამ საკითხის შესახებ მხოლოდ იმ მხრივ შეიცვალა, რომ საჭიროება ქართული ბონებისა შევცვალეთ საჭიროებით ქართული ფულისა.»⁴

ბონების გამოცემის საკითხზე გამართული დისკუსიის მონაწილე ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის აზრით, ხაზინაში მეტი

¹ კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, №4, 1919წ., გვ. 58.

² იქვე.

³ საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), სხდომა №34, 8 ივლისი, 1919წ., გვ. 3.

⁴ იქვე, გვ. 7.

შემოსავლის მობილიზებისათვის გადასახადების გადიდება გაუმართლებელია, რადგან შეძლებულთა ფენა არც ისე დიდია და «ჩვენი გადასახადების სისტემა არ შეიძლება ბურჟუაზიაზე დაავამყაროთ.»¹ მან გააკრიტიკა თ. ლლონტის მოსაზრებები და ეკონომიკაში ექსპერიმენტის დაშვება გაუმართლებლად ჩათვალა: «ფულის საკითხი, ვალიუტის საკითხი, მეტად მწვავე საკითხია ჩვენზე გაცილებით უფრო დიდ სახელმწიფოებისთვის და ასეთი ექსპრომტით ვერ გადაწყდება.»² სესხის შესახებ თ. ლლონტის შეხედულებების საპასუხოდ აღინიშნა, რომ «ყოველი სესხი, ყოველი ხელშეკრულება გულისხმობს არა მარტო ჩვენს სურვილს, არა მარტო ჩვენს მისწრაფებებს, არამედ მისწრაფებებს და სურვილს მეორე მხრისას.»³

ქართული ბონი გათანაბრებული იყო რუსეთის მანეთთან და ამიერკავკასიის ბონებთანაც. ფინანსთა მინისტრის აზრით, «ბონი არ გახლავთ ფული, ეს არის ვალდებულება, ეს არის არსებობა, ეს არის ერთნაირი თამასუქი, რომლის დახურდავება შეიძლება ოქროზედ, შეიძლება საკრედიტო ბილეთებზედ, შეიძლება ფულზედ, შეიძლება ბანკნოტზედაც, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი უნდა გულისხმობდეს რომელიმე ფულის ერთეულს.»⁴ საკუთარი ფულის ემისია ბონის სახით ვერ განხორციელდებოდა, რამდენადაც იყო დროებითი ფულის ნიშანი საკუთარი ფულის სისტემის შექმნამდე.

დამფუძნებელი კრების წევრმა დ. თოფურიძემ გააანალიზა პარლამენტის 1919 წ. 30 იანვრის უკვე ცნობილი კანონი ამიერკავკასიისა და საქართველოს ბონების გაცემის თაობაზე, რომელიც მთავრობას ქართული ბონის გამოცემის ნებას რთავდა, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებთან შეთანხმების შემთხვევაში კი შეიძლებოდა ამიერკავკასიის ბონების ემისია. ამ კანონის პირველი მუხლით, მთავრობას ნება დაერთო: «გამოსცეს ამიერკავკასიის ბონები

¹ იქვე, გვ. 14.

² იქვე, გვ. 15.

³ იქვე, გვ. 16.

⁴ იქვე, გვ. 18.

საქართველოს რესპუბლიკის საჭიროებისათვის კიდევ ოთხმოცი მლნ მანეთისა... პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან შეთანხმებით შემოიყვანოს ემისიაში აზერბაიჯანის, სომხეთის და კავკასიელ მთიელთა კავშირის რესპუბლიკები და შესაფერისად გაადიდოს საემისიო თანხა»¹.

იმ პერიოდში დროებით მართლაც მოხერხდა შეთანხმება ამიერკავასიის ბონების გამოცემასთან დაკავშირებით, ქართული ბონების ემისიის საკითხი კი გადაიდო. ქართული ფულის გამოცემასთან დაკავშირებით დ. თოფურიძე აღნიშნავდა: «არ დამდგარა ისეთი პირობები, როდესაც ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ფულის გამოცემა»². აშკარაა, რომ იგი მხარს უჭერდა ქართული ბონების გამოცემას: «გზა ერთი არის – ეს გზა ქართული ბონების გამოცემა»³.

დ. ონიაშვილიც გამოეხმაურა ლ. შენგელიასა და თ. ლლონტის ეკონომიკურ შეხედულებებს და განიხილა ბონების უარყოფითი მხარეები: «ეს არის საერთო თვისება ბონებისა, რადგანაც ბონა არის ფულის სუროგატი და არა ფული»⁴. დ. ონიაშვილის აზრით, ქვეყანაში, სადაც დაბეგვრის საკითხი მოუგვარებელია, «დიდძალი ბურჟიაზია» ვერ იარსებებს და ქვეყანა ეკონომიკურად ჩამორჩენილად დარჩება. მას ქართული ფულის გამოცემის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ იმ პირობებში, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა, საკუთარი ვალუტის გამოცემა ჯერ-ჯერობით შეუძლებლად მიაჩნდა.

«დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემისა» მიღებულ იქნა 1919 წლის 11 ივლისს დამფუძნებელი კრების მიერ⁵.

დეკრეტის მიხედვით, საქართველოს მთავრობას ნება დაერთო, გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი სამასი მლნ მანეთის ოდენობით. ამასთან, ქართული ბონი შეეძლოთ გამოეშვათ დროებით,

¹ კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, №4, 1919წ., გვ. 58.

² საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), სხდომა №34, 8 ივლისი, 1919 წ., გვ. 21.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, №11, 1919წ. გვ. 184.

საკუთარი ფულის შემოღებამდე. იგი უზრუნველყოფილი იყო საქართველოს მთელი ქონებით. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ბონის მიღება სავალდებულო იყო, ისე როგორც რუსეთის ფულის ნიშნებისა და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონებისა. საქართველოს რესპუბლიკის ბონი უნდა ყოფილიყო 1, 3, 5, 10, 25, 50, 100, 500 მანეთის კუპიურებისა, შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცემოდა ფინანსთა მინისტრის განკარგულებით და შეინახებოდა თბილისის ხაზინაში მიმოქცევაში გასაშვებად. საქართველოს რესპუბლიკის ბონი, რომელსაც აკლდა ერთი მესამედი, ან ერთ-ერთი ხელმოწერა, ან ნომერი, როგორც უვარგისი, არ მიიღებოდა, ყალბი ბონის დამამზადებელი და გამსაღებელი კი ისჯებოდა სისხლის სამართლის წესით.

დეკრეტი ძალაში იყო დამფუძნებელი კრების მიერ მისი მიღების დღიდან, ე.ი., 1919 წ. 11 ივლისიდან. ბონების გამოშვების საკითხი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა იმ პერიოდში. კ. კანდელაკი თავის წიგნში – «საქართველოს ეროვნული მეურნეობა» წერს: «საქართველოს ბონის გამოშვების წინა დღეებში აუარებელი ხალხი აწყდებოდა ბანკებს და შემნახველ კასებს მიბარებულ ფულის უკან გამოსატანათ, რადგან ჯერ კიდევ შეეძლოთ იმათ ფულის ამიერ-კავკასიის ბონით მიღება»¹. იქვე ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ბონის გამოშვებისას ქვეყნის მოქალაქეებმა ბანკებში გამოკრული მოულოდნელი განცხადებით შეიტყვეს, რომ «საქართველოს ბონი თავისუფლად ხურდავდება რუსეთის საკრედიტო ბილეთებზე და ამიერკავკასიის ბონზე».² თავდაპირველად, «ნიკოლოზის» ფულზე და ამიერკავკასიის ბონებზე დიდი მოთხოვნილება იყო, ორიოდ კვირაში კი ეს ვნებათაღელვა ჩაცხრა და ქართული ბონისადმი ნდობამ იმატა.

ქართული ბონის გამოცემით ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფორმალური ერთიანობა დაირღვა. ქართული ბონის გამოშვების შემდეგ

¹ კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, გვ. 70.

² იქვე.

მისმა ემისიებმაც იმატა. შემოდგომაზე დღის წესრიგში დადგა მეორე ემისიის საკითხი. ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის აზრით, კიდევ სამას მლნ მანეთის გამოშვება შეიძლებოდა 1919 წლის 11 ივლისის დამფუძნებელი კრების ცნობილი დეკრეტის თანახმად. აღნიშნული უფლების რეალიზება განხორციელდა. კერძოდ, ქართული ბონების ემისია უკვე მთავრდებოდა, «სახელდობრ, 10 ოქტომბრამდის გამოცემულია 247. 657. 800 მან, დარჩენილია 52.342. 000 მან»¹.

გამოშვებული ბონების დიდი ნაწილი იხარჯებოდა სახელმწიფო საჭიროებაზე, ფრონტის არსებობის, სამხედრო ნაწილების სალიკვიდაციო სამუშაოების, სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი საგნების საკუთარი საშუალებებით დამზადებისა და სხვ. გამო.

«სამხედრო სამინისტროს ამ ხნის განმავლობაში დაახლოებით დახარჯული აქვს 63. 672 ათასი მან, სახალხო გვარდიის მიერ 24. 493 ათასი მან დაიხარჯა.

რაკი მთავრობა განაგრძობს სავალუტო საქონლის დამზადებას, ხოლო ახლა მომენტია აგრეთვე სურსათის სასწრაფო დამზადებისა, ფრონტი კიდევ არსებობს, გვიხდება დამველებული ბონების დახურდავებაც ახალი ფულის ნიშნებზედ და სხვა. საჭიროა მთავრობას მიეცეს უფლება ახალი ემისიისა 300 მლნ მანეთის»².

ეს საკითხი დადებითად გადაწყდა დამფუძნებელი კრების მიერ, 1919 წლის 7 ნოემბერს მიღებული დეკრეტით «რესპუბლიკის ბონების გამოცემის განგრძობის შესახებ».

ამრიგად, მიღებული დეკრეტით მთავრობას უფლება მიეცა დამატებით გამოეშვა 300,0 მლნ მანეთის საქართველოს რესპუბლიკის ბონი.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 იანვრის დეკრეტით უნდა განხორციელებულიყო 800,0 მლნ ბონის ემისია (III)³, ხოლო 29 ივნისის დეკრეტით მთავრობას უფლება მიეცა ქართული ბონის

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 572, ფურცელი 1.

² იქვე.

³ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №37, 17 თებერვალი, 1920 წ.

ემისიაზე 7 მლრდ-ის რაოდენობით (IV ემისია)¹. ამასთან, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 31 დეკემბრის დეკრეტით მთავრობას უფლება მიეცა «გამოსცეს რესპუბლიკის ბონი ათი მილიარდი (10.000.000.000) მანეთისა» (V ემისია)².

1919 (11.06) წლიდან – 1920 (31.12) წლამდე განხორციელდა რამდენიმე ემისია (I – 300,0 მლნ მან, II – 300,0 მლნ მან, III – 800,0 მლნ მან, IV – 7.000 მლნ მან)³. ჯამში საქართველოს ბონი გამოშვებულ იქნა 8. 400 მლნ მანეთის ოდენობით. V ემისია, რომელიც ქართული ფულის გამოცემამდე უკანასკნელი უნდა ყოფილიყო, 1921 წლის იანვარ-თებერვალში სრულად ვერ განხორციელდა (იხ. ცხრილი 1)⁴. მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინეს, ქართული ეროვნული ფულის დაბეჭდვა იმ პერიოდში განუხორციელებელ ოცნებად დარჩა.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიულ საქართველოში არსებული საკმაოდ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, ბონის ღირებულება საშინელი სისწრაფით ეცემოდა (იხ. ცხრილი 2) როგორც საკუთარი, ისე იმპორტირებული საქონლის მიმართ (იხ. ცხრილი 3,4)⁵.

ცხრილი 1

ემისია 1918-1921 წწ.

| თვე | ამიერკავკასიის სეიმის და კომისარიატის ბონები | | საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები | | | საქართველოს სსრ ბონები |
|----------|--|-----------|---|-----------|-------------------------|------------------------|
| | 1918 | 1919 | 1919 | 1920 | 1921 | 1921 |
| იანვარი | - | 62266200 | - | 85107400 | 1293552000 | - |
| თებერვალ | 141350000 ¹ | 86890300 | - | 198690100 | 7282530000 ⁵ | - |
| მარტი | | 150284100 | - | 339919400 | - | 5492910000 |
| აპრილი | | 74431200 | - | 388543000 | - | 7729372000 |

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 1322, ფურცელი 2.

² იქვე, ფურცელი 6.

³ კ. კანდელაკი. „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, წიგნი II, გვ. 72.

⁴ სტატისტიკური კრებული (1909-1921), გვ. 165.

⁵ იქვე, გვ. 167-168.

| | | | | | | |
|------------|------------------------|------------------------|-------------|------------|------------|--------------|
| მაისი | 143456000 ² | 98201400 | - | 1312898900 | - | 11933885000 |
| ივნისი | | 94789600 ³ | - | 1162558200 | - | 16095465000 |
| ივლისი | 40445000 | 57799800 | 3750000 | 135893920 | - | 19071740000 |
| აგვისტო | 76746200 | 1363500 | 60632700 | 334187580 | - | 22772265000 |
| სექტემბერი | 44663500 | 1179100 | 149767600 | 1291129900 | - | 22969120000 |
| ოქტომბერი | 58006700 | - | 120731490 | 1315409500 | - | 28137000000 |
| ნოემბერი | 129255400 | - | 228433250 | 515128800 | - | 23201205000 |
| დეკემბერი | 72147500 | - | 73372060 | 683846200 | - | 29065125000 |
| სულ | 706070300 | 627205200 ⁴ | 636687100 | 7763312900 | 8576082000 | 186468087000 |
| | 1333275500 | | 16976082000 | | | |

1) 1918 წლის 5 თებერვლიდან 1 მაისამდე.

2) 1 მაისიდან 10 ივნისამდე – 98.030.200 მან და 11 ივნისიდან 30 ივნისამდე – 45.425.800 მან.

3) 1919 წლის 22 ივნისიდან.

4) მოყვანილი ცნობების თანახმად, ამიერკავკასიის სეიმისა და კომისარიატის ემისია უდრის 1.333.275.600 მანეთს. ეს ციფრი რამდენადმე განსხვავდება ფინანსთა სახალხო კომისარიატის ბალანსებში მოყვანილი ციფრებისგან: 1.360.000.000 მან, რომელიც ამგვარად არის განაწილებული: საქართველოს მთავრობაზე ირიცხება 540.000.000 მან, სომხეთის მთავრობაზე – 440.000.000 მან და აზერბაიჯანის მთავრობაზე – 380.000.000 მან.

5) 7 თებერვლიდან.

ცხრილი 2

პირველი საჭიროების საგნების საშუალო საბაზრო ფასები ქ. ტფილისში
1913-1921 წწ. (მანეთობით)*

| სანოვაგე | 1913 | 1914 | 1915 | 1916 | 1917 **) | 1918 | 1919 | 1920 | 1921 |
|----------------|------|------|------|------|----------|--------|--------|---------|--------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| ხორბალი 1 ფუთი | 1.35 | 1.47 | 2.29 | 3.51 | 5.85 | 120.00 | - | 2100.60 | 114848 |
| სიმინდი 1 „ | 0.95 | 1.03 | 1.16 | 1.90 | 2.86 | 48.16 | - | 1088.70 | 59355 |
| ქერი 1 „ | 0.92 | 1.11 | 1.19 | 1.92 | 4.89 | 39.00 | 196.70 | 1128.90 | 75336 |

| | | | | | | | | | |
|-----------------|------|------|------|------|-------|--------|---------|---------|--------|
| პურის ფევილი 1 | 1.64 | 1.78 | 2.81 | 2.80 | 6.34 | 136.00 | 502.17 | 2417.50 | 129861 |
| „ | | | | | | | | | |
| სიმინდის „ „ „ | - | - | - | - | - | 130.00 | 212.40 | 1882.00 | 74917 |
| ძროხის ხორცი 1 | 0.13 | 0.15 | 0.16 | 0.30 | 0.66 | 2.02 | 13.63 | 56.75 | 5539 |
| გირ. | | | | | | | | | |
| ცხვრის ხორცი „ | 0.16 | 0.18 | 0.19 | 0.33 | 0.82 | 2.45 | 20.50 | 122.75 | 6916 |
| „ | | | | | | | | | |
| კარტოფილი 1 | 0.75 | 0.84 | 1.23 | 2.18 | 4.38 | 27.71 | 137.67 | 631.67 | 43472 |
| ფუთი | | | | | | | | | |
| ყველი „ „ | 2.45 | 2.73 | 2.78 | 4.32 | 16.83 | 37.43 | 291.44 | 1188.00 | 78928 |
| ერბო 1 გირ | 0.49 | 0.54 | 0.64 | 1.26 | 2.57 | 11.43 | 64.67 | 493.00 | 19674 |
| ყველი 1 „ | 0.20 | 0.25 | 0.29 | 0.48 | 1.97 | 3.81 | 26.83 | 130.94 | 9454 |
| შაქარი რაფინ 1 | 5.83 | 6.24 | 8.07 | 8.71 | 11.86 | 40.00 | 1970.00 | 8897.16 | 595080 |
| ფუთი | | | | | | | | | |
| შაქარი ფხვნილი | 4.97 | 5.41 | 6.93 | 8.30 | 12.48 | 42.00 | 1521.67 | 8576.00 | 501880 |
| „ | | | | | | | | | |
| საჭმელი ზეთი 1 | 0.18 | 0.18 | 0.20 | 0.48 | 1.11 | 2.43 | 25.75 | 2319.08 | 11213 |
| გირ | | | | | | | | | |
| მარილი 1 „ | 0.04 | 0.03 | 0.03 | 0.04 | 0.07 | 0.29 | 1.72 | 19.22 | 1320 |
| ნავთი დაწმ. 1 „ | 0.04 | 0.04 | 0.05 | 0.06 | 0.11 | 0.14 | 2.35 | 14.25 | 1490 |
| საპონი 1 „ | 0.11 | - | - | - | - | - | - | 115.41 | 10869 |

* სტატისტიკური კრებული (1909-1921), გვ. 222.

**) 1918 წლისთვის არის მხოლოდ პირველი ნახევრის ცნობები, ხოლო 1919 წლისთვის – მეორე ნახევრის.

ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის გაანგარიშებით¹, 1920 წელს 1913 წელთან შედარებით, გაძვირდა: პური – 58,8%-ით, ქერი – 62,9%-ით, კარტოფილი – 42,6%-ით, ხორცი, თითქმის 20%-ით, ყველი – 41,1%-ით. ინგლისური გირვანქა სტერლინგი ღირდა: 1913 წელს 10 მან, 1918 წელს – 40 მან, 1919 წლის ივნისში – 300 მან, 1919 წლის დეკემბერში – 662 მან, 1920 წლის აპრილში – 1042 მან, 1920 წლის ივნისში – 1524 მან, 1920 წლის ივლისში – 1834 მან, 1920 წლის აგვისტოში კი 5000 მანეთი.

¹ გაზეთი „ერთობა“, №236, 1920 წ.

ამიერკავკასიის კომისარიატის ფულის ნიშნების (ბონების) ტრიალი და მათი ღირებულება ოქროს მანეთობით

ცხრილი 3

| წელი | თვე | ამიერკავკასიის ბონებით | ოქროს მანეთებით | ერთი ოქროს მანეთის ღირებულება |
|------|----------------------|------------------------|-----------------|-------------------------------|
| 1918 | მაისი | 141350000 | | - |
| | ივლისი | 284806000 | - | - |
| | აგვისტო | 325251000 | - | - |
| | სექტემბერი | 401997200 | - | - |
| | ოქტომბერი | 446660700 | - | - |
| | ნოემბერი | 504667400 | - | - |
| | დეკემბერი | 633922800 | 146741389 | 4.32 |
| 1919 | იანვარი | 706070500 | 118667278 | 5.95 |
| | თებერვალი | 768336300 | 71010767 | 10.82 |
| | მარტი | 835006800 | 52694195 | 16.28 |
| | აპრილი | 1005510900 | 47162800 | 21.32 |
| | მაისი | 1079942100 | 39185126 | 27.56 |
| | ივნისი | 1178143500 | 35379681 | 33.30 |
| | ივლისი | 1272933100 | 32439681 | 39.24 |
| | აგვისტო ¹ | 1330732900 | 31274568 | 42.55 |
| | სექტემბერი | 1332096100 | 27141328 | 49.08 |
| | ოქტომბერი | 1333275500 | 18088122 | 73.71 |

¹) ივლისის 22-იდან დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცალკე ემისია ამიერკავკასიის სეიმისა და კომისარიატის ბონების ერთობ მცირე ემისიითურთ აგვისტოში და სექტემბერში. ამიერკავკასიის ამ ორი თვის ემისიის რა ნაწილი ირიცხება საქართველოზე, ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება, რის გამოც ორივე ემისია ცალ-ცალკეა მოყვანილი. საერთოდ, ამას იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან აგვისტოსა და სექტემბერში ამიერკავკასიის ბონები მხოლოდ ორ-ნახევარი მილიონი მანეთის რაოდენობით არის გამოშვებული.

ეროვნული ფულის ნიშნების ტრიალი (ქართული ზონების) და მათი
ღირებულება ოქროს მანეთობით

ცხრილი 4

| წელი | თვე | ამიერკავკასიის ზონებით | ოქროს მანეთებით | ერთი ოქროს მანეთის ღირებულება |
|------|------------|---------------------------|--------------------|----------------------------------|
| 1919 | ივლისი | 540000000 ¹ | 13761467 | 39.24 |
| | აგვისტო | 543750000 | 12779083 | 42.55 |
| | სექტემბერი | 604382700 | 12314235 | 49.08 |
| | ოქტომბერი | 754150300 | 10231315 | 73.71 |
| | ნოემბერი | 874881790 | 9930553 | 88.10 |
| | დეკემბერი | 110335040 | 10715958 | 102.96 |
| 1920 | იანვარი | 1176687100 | 8590210 | 136.98 |
| | თებერვალი | 1261794500 | 9012817 | 140.00 ² |
| | მარტი | 1460484600 | 8819351 | 165.60 |
| | აპრილი | 1800404000 | 10288022 | 175.00 |
| | მაისი | 2188947900 | 12830878 | 170.00 |
| | ივნისი | 3501845900 | 19596227 | 178.70 |
| | ივლისი | 4664404100 | 29540241 | 157.90 |
| | აგვისტო | 4800298020 | 19729954 | 243.30 |
| | სექტემბერი | 5134485600 | 14632332 | 350.90 |
| | ოქტომბერი | 6425615500 | 12851231 | 500.00 |
| | ნოემბერი | 774102000 | 7741025 | 1000.00 |
| | დეკემბერი | 8256153800 | 6350887 | 1300.00 |
| 1921 | იანვარი | 8940000000 | 5157791 | 1733.30 |
| | თებერვალი | 10233552000 | 5116776 | 2000.00 |
| | მარტი | - | - | - |
| | აპრილი | 21494293000* | 2791466 | 7700.00 |
| | მაისი | 29223665000 | 1948244 | 15000.00 |
| | ივნისი | 41157550000 | 1845630 | 22300.00 |
| | ივლისი | 57253015000 | 1709045 | 33500.00 |
| | აგვისტო | 76324755000 | 1511381 | 50500.00 |
| | სექტემბერი | 99097020000 | 2154283 | 4600.000 |
| | ოქტომბერი | 12066140000 | 2977222 | 41000.00 |
| | ნოემბერი | 150203140000 | 3286720 | 45700.00 |

| | | | | |
|--|-----------|--------------|---------|----------|
| | დეკემბერი | 173404345000 | 3015727 | 57500.00 |
|--|-----------|--------------|---------|----------|

¹ ამიერკავკასიის სეიმისა და კომისარიატის ბონები, რომლებიც საქართველოს ერიცხებოდა.

² 1920 წ. თებერვლიდან 1921 წ. მაისამდე თვის პირველ რიცხვისთვის ოქროს მანეთის კურსის შესახებ ცნობების უქონლობის გამო, მის ნაცვლად აღებულია წინა თვის საშუალო კურსი.

* საბჭოთა მთავრობამ გააუქმა 500 მანეთზე ნაკლები ღირსების ნიშნები. ხმარებაში დარჩა: 500 მანეთიანი ღირებულების ნიშნები – 2718823000 მანეთისა, 1000 მან ღირებულებისა – 7036470000 მან და 5000 მან ღირებულებისა – 6246090000 მან, სულ 16001383000 მან.

მთლიანად, დამოუკიდებლობის პერიოდში გამოცემული ქართული ბონი 18. 400 მლნ მანეთს შეადგენდა¹, ამას თუ დავუმატებთ ამიერკავკასიის კომისარიატის ბონების იმ ნაწილს, რომელზედაც საქართველოს მხარე იღებდა პასუხიმგებლობას – 540 მლნ მანეთს, ჯამში მივიღებთ 18. 940 მლნ მანეთს.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმოქცევაში იყო სხვადასხვა ფულის ერთეული, მ. შ. ქართული ბონი, მაგრამ სამწუხაროდ, მაშინ ვერ შეიქმნა მყარი ნიადაგი საკუთარი, სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის გამოსაშვებად, თუმცა, ამ იდეების ხორცმესხმა მოხდა მრავალი წლის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში 1995 წლიდან, როდესაც მიმოქცევაში შევიდა სრულფასოვანი ეროვნული ვალუტა «ლარი,» რომელიც ამჟამადაც მოქმედებს, როგორც ქვეყანაში ერთადერთი საგადასახდელი საშუალება.

4.2. საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის საქმეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მოწესრიგებული საბანკო-საკრედიტო ურთიერთობების

¹ გაზეთი „ერთობა“, №236, 17 ოქტომბერი, 1920 წ.

განვითარებისათვის სახელმწიფომ ყველა პირობა უნდა შექმნას, რათა საზოგადოება მისდამი ნდობით განიმსჭვალოს. დემოკრატიულ საქართველოში რუსეთის მიერ დაარსებული ბანკები ძირითადად რუსული კაპიტალის ინტერესებს ემსახურებოდნენ და არ იყვნენ დაინტერესებულნი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებით. ისინი, ძირითადად მოკლევადიანი კრედიტების გაცემით უზრუნველყოფდნენ მაქსიმალურ მოგებას. მათი კლიენტურაც ძირითადად ვაჭრებით შემოიფარგლებოდა.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში მოქმედებდნენ შემდეგი ბანკები: 1) კავკასიის (ყოფილი თბილისის კომერციული) ბანკი (დაარსდა 1871 წელს, ძირითადი თანხით 15 მლნ მან), თბილისის სავაჭრო ბანკი (დაარსდა 1919 წელს, ძირითადი თანხით 23 მლნ მან); ამიერკავკასიის აქციონერული ბანკი (დაარსდა 1916 წელს, ძირითადი თანხით 15 მლნ მან) და ფრიდონოვის საბანკო კანტორა (ძირითადი თანხა 2 მლნ მან); 2) 20 საკრედიტო საზოგადოება (მთლიანობაში, ძირითადი თანხით 2 მლნ მან) და 3) რუსეთის ბანკების განყოფილებები. გარდა ამისა, არსებობდნენ ადგილობრივი იპოთეკური ბანკებიც: თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი; ქუთაისის (მიხაილის) საათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი; თბილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოება. ფუნქციონირებდნენ აგრეთვე, იმავე პროფილის სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილმამულო და სახელმწიფო საგლეხო-საადგილმამულო ბანკების რუსეთის განყოფილებები. ჩამოთვლილი იპოთეკური ბანკები მრეწველობა-ვაჭრობისათვის სესხებს არ გასცემდნენ. ისინი სესხს გასცემდნენ მამულების გირაოში ჩადებით სოფლის მემამულებზე და ქალაქად ქონების მსხვილ მესაკუთრეებზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში, ამ ბანკებს თავიანთი კლიენტურის ფულის ნიშნებით დაკმაყოფილება უჭირდათ. ეს კი საზოგადოებაში მღელვარებას და ბანკისადმი უნდობლობას იწვევდა. შესაბამისად ბანკებს ფულის შესანახად არავინ აკითხავდა. ამის მიზეზები იყო: «ა) მას შემდეგ რაც რევოლუცია

დაიწყო (1917 წ. თებერვალი), აქტივის განაღდება გამწვანდა, ხოლო ამერიკავკასიის რუსეთიდან ფაქტიურად ჩამოცილების და რუსეთში ბანკების ნაციონალიზაციის შემდეგ (1917 წ. ოქტომბერი), ჩვენში არსებული განყოფილებანი მოსწყდნენ თავის გამგეობებს და იქ მათ მიერ გადაგზავნილ ფულს უკან ვერ იღებდნენ; ბ) ფულის ნიშნის დიდი ნაკლებობა იყო და საჭიროების მიხედვით ვერ იღებენ მას»¹.

1918 წლის 28 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე გადაწყდა საქართველოს ეროვნული ბანკის დაარსება, რომელსაც მიენიჭებოდა საემისიო უფლება. შესაბამისი წინადადება განსახილველად გადაეგზავნა ეროვნულ საბჭოს. საკითხი მეტად აქტუალური იყო, რამეთუ სახელმწიფო ბანკზე დამოკიდებული გახდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. შემთხვევითი როდია, რომ მთავრობის მიერ წარდგენილი პროექტი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ დამფუძნებელმა კრებამ ერთსულოვნად მოიწონა. 1918 წლის 25 ივლისიდან საქართველოს მთავრობამ ბანკები ფულის ნიშნებით უზრუნველყო – შესაბამისად მათი საქმიანობაც გამოცოცხლდა.

საქართველოს სახელმწიფო ბანკს ჩვეულებრივი ოპერაციების გარდა თვალყური უნდა ედევნებინა ყველა კერძო საკრედიტო დაწესებულებათა ოპერაციებისათვის. იგი ფაქტობრივად უნდა ყოფილიყო ბანკების ბანკი და საქართველოს ტერიტორიაზე მთელი საკრედიტო ურთიერთობების რეგულატორი.

1918 წლის 3 ივნისის ეროვნული საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ხდომაზე ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. ჟურული წარსდგა მოხსენებით რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობის, ბონების გამოცემის და ეროვნული ბანკის დაარსების შესახებ.

მისი წინადადებით, ეროვნულ ბანკს უნდა ჰქონოდა მყარ გარანტიებზე დაფუძნებული ემისიის უფლება, თუმცა ოქროს რეზერვის არარსებობა შეაფერხებდა ეროვნული ვალუტის შექმნას, მაგრამ

¹ კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, გვ. 126.

სახელმწიფოს შექმნა «ტყისა, ჭიათურის მარგანეცისა, თეთრი ნახშირის და ბორჯომის მამულების ნაციონალიზაცია და მისი შემწეობით თავისი ფინანსების უზრუნველყოფა.»¹ ოქროს რეზერვის შექმნა შეიძლებოდა საგარეო სესხის მეშვეობითაც «ფინანსურ წრებში ომის დამთავრებამდეც შესაძლებლად მიაჩნდათ სამას მილიონამდე გერმანული მარკის სესხება, მაგრამ საქართველოს პასიური ბალანსი საეჭვოდ ხდის ასეთ ზომას.»² თუმცა, საქართველოს ბაზრიდან მარკა შეიძლება სწრაფად გამქრალიყო. ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება და აქტიური საგადასახდელი ბალანსის შექმნა ერთადერთი სწორი გამოსავალი იყო ნორმალური სახელმწიფო ფინანსების არსებობისათვის. ამასთან, აუცილებელი ხდებოდა უცხოელი სპეციალისტების კონსულტაციები ახალი ფინანსური სისტემის ჩამოყალიბების პროცესში. წინადადებები სახელმწიფო ბანკის შექმნის შესახებ ფინანსთა და ვაჭრობის მრეწველობის მინისტრმა კ. კანდელაკმა მთავრობის სხდომას 1919 წლის 29 მაისს გააცნო. მისი აზრით, მოწესრიგებული ფულად-საკრედიტო სისტემა, ქვეყნის მეურნეობის სიმყარის საფუძველია. აქედან გამომდინარე კი ბანკებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის როგორც შიგა, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში. ვალუტა მჭიდრო კავშირშია ცენტრალურ ბანკთან, იგი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ვაჭრობა-მრეწველობისა და მწარმოებლურ ძალთა განვითარების საქმეში. ბანკის როლი კიდევ მეტად იზრდება, როდესაც იგი ფულის ემისიის უფლებითაა აღჭურვილი, ემისიის უფლებას კი იმ პერიოდში ძირითადად სახელმწიფოს ცენტრალური ბანკი ფლობდა. საერთო აღიარებით, ფულის ემისიის უფლება უდავოდ უნდა ჰქონოდა სახელმწიფო ბანკს: «შეუძლებელია საქართველოში რამდენიმე საემისიო ბანკი არსებობდეს; ეს უფლება ჩვენში უნდა მიენიჭოს ერთს რომელსამე ბანკს და ასეთი, უეჭველია, სახელმწიფო ბანკი იქნება.»³

¹ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 309, ფურცელი 2.

² იქვე.

³ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე №26, ფურცელი 1.

აქტიურად განიხილებოდა ბანკის ორგანიზაციულად მოწყობის საკითხიც, რომელზედაც ბანკის მომავალი იქნებოდა დამოკიდებული, მაგალითად, ინგლისში საემისიო ბანკი კერძო აქციონერული დაწესებულების სახით არსებობდა და იგი წესდების ფარგლებში მთავრობისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა; რუსეთში იგი მთავრობის დაწესებულება იყო, რომლის ძირითად თანხებს სახელმწიფო განაგებდა; გერმანიაში – სახელმწიფო ბანკი აქციონერული დაწესებულება იყო, მისი ძირითადი თანხები აქციონირებს ეკუთვნოდათ, თუმცა, ბანკს მთავრობა განაგებდა. ასეთივე ტიპის ბანკები არსებობდნენ საფრანგეთში, შვეიცარიაში და სხვ. აქედან გამომდინარე სახელმწიფო საემისიო ბანკის სამი კლასიკური მაგალითი არსებობდა: «ა) სრულად დამოუკიდებელი წმინდა სააქციონერო (ინგლისის), ბ) წმინდა სახელმწიფო (რუსეთი) და გ) შერეული-სააქციონერო სახელმწიფო (გერმანია)».¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სწორად უნდა არჩეულიყო ბანკის ის ტიპი, რომელიც საქართველოში დაარსდებოდა. ზუსტად უნდა განესაზღვრათ მისი ძირითადი დანიშნულება – «ვაჭრობა-მრეწველობისათვის და საზოგადოდ მეურნეობისათვის კრედიტის სახით ხელის შეწყობა და ფულის ტრიალის მოწესრიგება სახელმწიფოში»².

განვითარებულ ქვეყნებში, მხოლოდ მთავრობის ინტერესებში არ შედის სრულყოფილი ბანკის არსებობა, იქ ვაჭარ-მრეწველები აქტიურად ებმებიან ფულის და კრედიტის მიმოქცევის საქმეში და ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა მიიღონ მაქსიმალური მოგება და ქვეყანასაც მნიშვნელოვანი შემოსავლები მისცენ. საზოგადოებას არცთუ იშვიათად უჩნდება ეჭვები ბანკების საქმიანობაში მთავრობის ჩარევის ფორმებზე, მეთოდებზე. მით უმეტეს, რომ არაერთი მაგალითია იმისა,

¹ იქვე.

² იქვე.

რომ მთავრობა ემისიის წყალობით ხარჯებს ფარავს – ასეთ ქმედებები კი ქვეყნისათვის არასახარბიელო შედეგების მომტანია.

არსებულ პირობებში, როდესაც მოიშალა ფულადი სისტემა, მოუწესრიგებელია ემისიის უფლება, დღის წესრიგში დადგა ისეთი ტიპის ცენტრალური ბანკის დაარსების საკითხი, რომელსაც მთავრობა თავისი ფისკალური მიზნებისათვის ვერ გამოიყენებდა.

იმ პერიოდში საქართველოში ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახის ბანკები, კერძოდ: აქციონერული ტიპის ბანკი, სადაც აქციონერები გარკვეულწილად მონაწილეობდნენ ბანკის მართვაში და მთავრობაც ადვილად ვერ ერეოდა საკუთარი სურვილისამებრ ფულადი სახსრების გამოყენებაში. ასეთი ტიპის იყო საფრანგეთის აქციონერული ბანკი, რომელიც მთავრობისაგან არ იმართებოდა, არც ნაპოლეონის დაცემას გადაჰყოლია, ხოლო, 1870-1871 წწ. კი საფრანგეთს დიდი სამსახური გაუწია; შერეული ტიპის ბანკი, ე. ი. სახელმწიფო – აქციონერული. აქ ერთმანეთს ერწყმის კერძო კაპიტალი და მთავრობასთან თანამშრომლობა. დემოკრატიული საქართველოს მთავრობა იწონებდა ასეთი ტიპის სახელმწიფო ბანკის უპირატესობებს, მაგრამ იძულებით სახელმწიფო ბანკის სხვა საფუძველზე მოწყობის საკითხს განიხილავდა და ამის უმთავრეს მიზეზს იმ განსაკუთრებული პირობებით ხსნიდა, რომელშიც ბანკის დაარსება ხდებოდა¹. ამ გარემოებას იმით ხსნიდნენ, რომ «სახელმწიფოს არც ის შეუძლია, რომ ფულის საქმის მოწესრიგება, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის, სრულად გაუშვას ხელიდან და სავსებით კერძო აქციონერებს გადასცეს»². აქციონერული ცენტრალური ბანკი არსებობდა ინგლისში, მაგრამ ევროპის რიგ სხვა ქვეყნებში ბანკების უმრავლესობა სახელმწიფო – აქციონერული ანუ შერეული ტიპისა იყო.

ქართული ბანკის დაფუძნებაში, გასაგები მიზეზების გამო, კერძო კაპიტალი მონაწილეობას ვერ მიიღებდა, არადა მომავალი ბანკის

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 26, ფურცელი 2.

² იქვე.

მუშაობაზე იქნებოდა დამოკიდებული მყარი ფულადი სისტემის ფუნქციონირება.

შექმნილი პირობები, წმინდა სახელმწიფო ბანკის დაარსებას მოასწავებდა. მომავალი ბანკის წესდების პროექტის საფუძვლად რუსეთის სახელმწიფო ბანკის წესდებას განიხილავდნენ. მართალია, რუსეთის ბანკს «სახელმწიფოს» უწოდებდნენ, მაგრამ იგი ფაქტობრივად მთავრობის ბანკი იყო, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო განაგებდა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსებამდე, მის ფუნქციებს რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა ასრულებდა.

კ. კანდელაკის და მისი თანამოაზრეების შეხედულებებით, ბანკმა ემისიის უფლება მთავრობის ხარჯების დასაფარავად არ უნდა გამოიყენოს, მას შეუძლია მიმართოს ხოლმე ბანკს ისე, როგორც მხოლოდ ერთმა კლიენტთაგანმა¹. იმისათვის, რომ საზოგადოებაში ქართულ ბანკს ნდობა დაემსახურებინა და ეჭვი არ შეეტანათ მის მომავალ საქმიანობაში – «ძლიერ სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს, თუ სახელმწიფო ბანკის მოქმედება, სასტიკათ განსაზღვრული საკანონმდებლო წესით, პირდაპირ საკანონმდებლო დაწესებულებას დაემორჩილება, ჩვენც ასეთი პრინციპი დაუდევით საქართველოს ბანკის ორგანიზაციას.»²

ამ პრინციპზე დაარსებული დაწესებულება, რუსეთის მსგავსად, მთავრობის მორჩილი ვერ იქნებოდა, თუმცა, იგი ევროპის სახელმწიფოების მსგავსად დამოუკიდებელი სტრუქტურაც ვერ გახდებოდა. კ. კანდელაკის აზრით: «რა თქმა უნდა, ახალი სიტყვის თქმას ამ – როგორც მეცნიერულათ, ისე პრაქტიკულათ – დიდ საკითხში ჩვენ ვერ გავბედავდით; ამიტომ, რომ დაგვეკმაყოფილებია პრინციპული მხარე ამ საკითხის, სახელდობრ, სახელმწიფო ბანკი კერძო აქციონერების ყოველგვარი გავლენის გარეშე ყოფილიყო, და

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 26, ფურცელი 3.

² იქვე.

მეორე მხრით, იგი არც ფინანსთა მინისტრის ყურმოჭრილ ყმათ გამხდარიყო (რუსეთის პრაქტიკა), ჩვენ ავირჩიეთ მაგალითი შვეციის სახელმწიფო ბანკის, რომელსაც საუკეთესო სახელიც ჰქონდა და ამავე დროს ორივე ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციიდან განსხვავდებოდა. იმის ძირითადი თანხა სახელმწიფო ხაზინის მიერ იყო გაღებული, მთელი მისი მოგება სახელმწიფო ხაზინას ეკუთვნოდა, ხოლო თავის მოქმედებაში იგი პირდაპირ საკანონმდებლო დაწესებულებას, პარლამენტს, ემორჩილებოდა. მისი გამგეობა და ზედამხედველი საბჭო მთავრობიდან დამოუკიდებელი ორგანოები იყვნენ, და მათ პარლამენტი ირჩევდა»¹.

სახელმწიფო ბანკის დაარსებასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები გამოთქვა ი. ლორთქიფანიძემაც. მისი აზრით, მთავარია, განისაზღვროს თუ როგორი ტიპის ბანკი უნდა დაარსდეს და როგორი იქნება ბანკის ნდობის საკითხი. იგი გამოყოფდა ბანკების ორ ძირითად ტიპს: კერძო აქციონერულს და «პირდაპირ სახელმწიფოსას». იგი ეთანხმებოდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს, იმასთან დაკავშირებით, რომ ემისიის უფლება სასურველი არ იყო დემოკრატიულ საქართველოში კერძო ბანკს ჰქონოდა. ასეთ პოზიციას ი. ლორთქიფანიძე შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებდა: პირველი, ისინი მეტის მოგების მიღებით იქნებოდნენ დაინტერესებულნი და არასწორი ნაბიჯების გადადგმით ბანკი შეიძლება მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილიყო; მეორე, კერძო აქციონერებს შეიძლება სპეკულაციური გარიგებები ეწარმოებინათ და მესამე, ბანკის მთელი პოლიტიკა და მისი მომავალი მართვა-გამგეობა შეიძლება სახელმწიფოს ვერ გაეკონტროლებინა.

ასეთი უარყოფითი მოვლენების თავიდან ასაცილებლად ევროპაში ბანკების დამფუძნებლებად გავლენიანი ორგანიზაციები და კერძო პირები შეჰყავდათ: «როგორც მატერიალური ისე მორალური მხრით გავლენიანი დაწესებულებანი და კერძო პირები და მმართველობაც

¹ კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, გვ. 130-131.

მოაწყონ ისე, რომ თავიდანვე ეს ნდობა დაიმსახურონ»¹. აქედან გამომდინარე, ბანკისადმი ნდობის ფაქტორი კიდევ უფრო ძლიერდებოდა. ნდობის მაღალი გარანტიის არსებობა საქართველოს სახელმწიფო ბანკისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ბანკი უნდა ყოფილიყო «ერთად-ერთი რეგულატორი ფულის ტრიალისა, ის უნდა იყოს აუზი, სადაც ყველა თავისუფალი ფული უნდა შედიოდეს და საიდანაც იგი ნაწილდებოდეს ვაჭრობა-მრეწველობის და ეკონომიური მხარის გასაძლიერებლად»². ასევე, ბანკის ერთ-ერთი მთავარი უფლება-მოვალეობა იქნებოდა ემისია, რომელსაც ვერც ოქროს ფონდი და ვერც სხვა გარანტიები საფუძველს ვერ გაუმყარებდა, თუ ბანკის ორგანიზაცია სწორად არ მოეწყობოდა.

რაც შეეხება ბანკის მეორე ტიპს, მისი ფუნქციონირება პირდაპირ დამოკიდებულია სახელმწიფოზე. ნდობის მოპოვების საქმეში ბანკს, თუ ის იქნებოდა სახელმწიფო დაწესებულება, როგორც ამას მთავრობა მოითხოვდა, ი. ლორთქიფანიძის აზრით, საზოგადოებაში მისდამი უნდობლობის ორი მიზეზი იარსებებდა: პირველი, მთავრობას შეეძლებოდა «უწესდებო ოპერაციების» წარმოება და მეორე, მთავრობა ბრძანებით აიძულებდა ბანკს ხაზინისათვის ფულის სესხებას (რაც ბანკს ფინანსურად დაასუსტებდა). ამ მიზეზების არსებობას ადასტურებდა რუსეთის პრაქტიკა, სადაც ბანკის დადგენილებების საწინააღმდეგოდ გაიცემოდა სესხები და ამისი შეჩერება ვერც ბანკის საბჭომ და ვერც სახელმწიფო კონტროლიორმა ვერ მოახერხეს.

ამგვარად, საბანკო დაწესებულების არც ერთ არსებულ ტიპს არ შეეძლო მისთვის საჭირო დიდი ნდობის მოპოვება: «ბანკი, რომელიც მთავრობის მოხელეების სრულ მართვა-გამგეობაში იქნება, გამოიწვევს შიშს, რომ მთავრობა ამ თანხებს მოიხმარს უწესდებო ოპერაციებისათვის თუ არა, განუსაზღვრელ მიმდინარე ხარჯების დასაფარავად მაინც. ამიტომ საჭიროა ისეთი ორგანიზაცია შევქმნათ,

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 26, ფურცელი 22.

² იქვე.

სადაც იქნება შეზავებული მხოლოდ მათი დადებითი მხარეები და ეჭვს ადგილი არ ექნება. სახელმწიფო ბანკის ორგანიზაცია დამაკმაყოფილებელი იქნება, თუ მართვა-გამგეობა უმთავრესად მთავრობის ხელში იქნება, ხოლო კერძო დაწესებულებათ და პირთ ექნებათ იმავე მართვა-გამგეობის უმცირესი ნაწილი. ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ბანკი სააქციონერო საზოგადოების პრინციპზე იქნება აგებული, მაგრამ უმეტესი ნაწილი აქციების არანაკლებ 2/3 ექნება მთავრობას და 1/3 კერძო აქციონერებს.»¹

ი. ლორთქიფანიძე მოითხოვდა კანონპროექტის ცალკე შემუშავებას, ან წესდებაში დამატებითი მუხლების სწრაფად შეტანას, რომლითაც მთავრობა უფლებამოსილი იქნებოდა შეეცვალა «სააქციონერო საზოგადოებათა პრინციპზე და ამისათვის გამართოს ხელის მოწერა მთელი ძირითადი და სათადარიგო თანხის ერთ მესამედზე»².

სახელმწიფო ბანკის მოწყობის პრინციპი მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა 1919 წლის 25 იანვარს. შესაბამისი კანონპროექტი 1919 წლის 23 სექტემბერს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა და ერთხმად დაადგინა: «ა) სახელმწიფო ბანკის დაარსება ფრიად სასურველია, ბ) პროექტის მუხლობრივი განხილვა გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის.»³

24 სექტემბერს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ უკვე მუხლობრივად განიხილა ბანკის წესდების პროექტი და მასში შემდეგი შესწორებები შეიტანა: მეორე მუხლში ბანკის «ძირითადი თანხა» 20 მილიონიდან 50 მილიონამდე გაადიდა; მეოთხე მუხლში – «სათადარიგო თანხა» 10 მილიონიდან 25 მილიონამდე გადიდა; მეცხრე მუხლში – ნაცვლად «ვიდრე შესდგება 10 მილიონი მანეთამდე» ჩაიწერა «ვიდრე შედგება 25 მილიონი მანეთამდე» და სხვ.⁴ თითქმის ერთი წლის შემდეგ – 1920 წლის 16 აგვისტოს დამფუძნებელი კრების

¹ სკსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 26, ფურცელი 24.

² იქვე.

³ იქვე, ფურცელი 34.

⁴ იქვე, ფურცელი 35.

დეკრეტით სახელმწიფო ბანკის «ძირითადი თანხა» 150,0 მლნ მანეთამდე გაიზარდა და დამატებული 100,0 მლნ მანეთი ხაზინიდან უნდა შევსებულიყო¹.

1919 წლის 26 სექტემბერს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში დამთავრდა წესდების პროექტის მუხლობრივი განხილვა და მცირედი შესწორებების შეტანით იგი მოწონებულ იქნა.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 30 სექტემბერის სხდომაზე მოაწყო აღნიშნული კანონპროექტის ზოგადი განხილვა. მოხსენება გააკეთა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა დ. თოფურიძემ. პროექტს დიდი დისკუსია არ გამოუწვევია და იგი მიიღეს. შემდეგ, დამფუძნებელი კრების 50-ე სხდომაზე, 1919 წლის 7 ოქტომბერს მოეწყო კანონპროექტის პირველი მუხლობრივი განხილვა (მომხს. დ. თოფურიძე). შედეგად კანონპროექტი პირველიდან – სამოცდამეთორმეტე მუხლამდე თითქმის უცვლელად დამტკიცდა. თუმცა, ერთი დღით ადრე 6 ოქტომბერს, ბანკის წესდების პროექტში სოციალ-დემოკრატების ინიციატივით 99-ე მუხლიდან ამოიღეს «ნიშნავს პარლამენტის» შემდგომ «იმათ შორის, ვინც ცნობილია სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებრივ-საეკონომიო და სამეცნიერო მოღვაწეობაში.»² მეორე მუხლობრივი განხილვა მოეწყო 1919 წლის 24 ოქტომბერს, მომხსენებლად დაინიშნა ივ. ჭავჭავანიძე (დ. თოფურიძის ნაცვლად). 72-დან 89 მუხლის ჩათვლით დამფუძნებელმა კრებამ უცვლელად მიიღო შეთავაზებული ვარიანტი, ხოლო დანარჩენი მუხლები მცირე შესწორებებით მიიღეს.

ბანკის წესდების განხილვის დასრულების შემდეგ, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე იმსჯელეს «საქართველოს ბანკის დაარსების შესახებ» წარდგენილი დეკრეტის პროექტზე. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით იგი კანონპროექტის სახით უნდა განეხილათ. კრება დაეთანხმა ამ შემოთავაზებას.

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №189, 21 აგვისტო, 1920 წელი; სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 1251, ფურცელი 1.

² სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 26, ფურცელი 43.

აღნიშნულ საკითხზე ივ. ჭავჭავანიძის მოხსენების ზოგად განხილვას დიდი მსჯელობა არ მოჰყოლია და საბოლოოდ დოკუმენტმა კანონის ძალა 1919 წლის 31 დეკემბერს მიიღო შემდეგი სახით:

- «1. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული წესდების თანახმად დაარსებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკი.
2. გაღებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითად თანხად წესდების მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხაზინიდან ორმოცდაათი (50) მილიონი მანეთი.
3. არსებული კანონმდებლობის ყოველი ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებას, გაუქმებული იქნეს ბანკის მოქმედების დაწყების დღიდან.
4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.»¹

საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდება შვიდი განყოფილებისა და 144 მუხლისაგან შედგებოდა. წესდების მიხედვით, «საქართველოს სახელმწიფო ბანკის» დანიშნულებაა: ფულის მიმოქცევის გაადვილება და ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობისათვის მოკლევადიანი სესხებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ფულის სიმყარის განმტკიცება. ბანკის «ძირითადი თანხა» 50 მლნ მანეთით განისაზღვრა, რომელიც სახელმწიფო ხაზინიდან გაიღებოდა. ბანკის სარეზერვო თანხებით (25,0 მლნ მანეთი), ბანკის ზარალი უნდა ანაზღაურებულიყო და თუ ბანკის ზარალი «სათადარიგო თანხამ ვერ დაჰფარა, დანაკლისი გასტუმრებულ იქნეს ძირითადი თანხიდან და შემდეგ ეს თანხა უნდა შეავსოს სახელმწიფო ხაზინამ»².

ბანკის ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგების ნაწილი ირიცხებოდა სარეზერვო თანხებში, ნაწილი კი ხაზინის შემოსავლებში. სახელმწიფო ბანკს ჰქონდა თავისი ბეჭედი რესპუბლიკის სახელმწიფო გერბითა და წარწერით «საქართველოს სახელმწიფო ბანკი»³.

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 26, ფურცელი 32.

² საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), გვ. 326.

³ იქვე.

ბანკს უფლება მიეცა ეწარმოებინა შემდეგი ოპერაციები: 1) გაენაღდებინა თამასუქები და სხვა ვადიანი ვალდებულებები; 2) გაეცა სესხები; 3) მიეღო ანაბრები; 4) ეყიდა და გაეყიდა თამასუქები და სხვა განძეული; 5) გადაეგზავნა ფული და შეესრულებინა სხვა საკომისიო ოპერაციები¹. ბანკს ასევე შეეძლო საჭიროებისამებრ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა.

ბანკი სესხს გასცემდა (არამალფუჭებადი) საქონლის დაგირავების შემთხვევაში, ამასთან, სესხის რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო დაგირავებული ქონების ღირებულების 60%-ზე მეტი. კრედიტზე სარგებლის განაკვეთს (პროცენტს) კვარტალში ერთხელ ბანკის საბჭო აწესებდა: «სესხად აღებული ფული შეიძლება ვადამდე იქნას გადახდილი მთლად, ან ნაწილ-ნაწილ და თან განთავისუფლდეს გირაოდ მიღებული საქონელი, ბანკის შეხედულებისამებრ. ბანკი იჭერს მხოლოდ სარგებელს მთელი თვისას და დაწყებულ თვეს სრულ თვედ ანგარიშობს, ხოლო დანარჩენ ვადის სარგებელს მსესხებელს უკან უბრუნებს.»²

იმ შემთხვევაში, როდესაც სესხი დროულად ვერ დაიფარებოდა, მაშინ «ექვსის საშელავათო დღის გასვლის შემდეგ» დაგირავებული ქონება საჯაროდ იყიდებოდა და შემოსული თანხებით, უპირველეს ყოვლისა, ბანკის ვალები იფარებოდა, დანარჩენი თანხები კი მფლობელს ეძლეოდა.

სახელმწიფო ბანკს აგრეთვე შეეძლო სესხი გაეცა ფასიანი ქაღალდების დაგირავებითაც, კერძოდ: «1) ყველა სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდის, 2) საიპოთეკო კრედიტის დაწესებულებათა ობლიგაციის და გირავნობის ფურცლის და ადგილობრივ თვითმმართველობათა მიერ აღებულ სესხის ობლიგაციის და 3) ბანკის საბჭოს რჩევით უცხო ქვეყნის ქაღალდის და მთავრობის

¹ იქვე, გვ. 327.

² იქვე, გვ. 332-333.

მიერ იმ არაუზრუნველყოფილი კერძო ფასიან ქალაქის, რომელიც მიიღება გირაოდ ხაზინის მიერ.»¹

ბანკის სესხი გაიცემოდა ექვსი თვის ვადით, რომელიც, ბანკის გადაწყვეტილებით, შეიძლება მაქსიმუმ სამი თვით გაგრძელებულიყო. გაცემულ სესხზე სარგებლის განაკვეთს განსაზღვრავდა ბანკის საბჭო.

ბანკი იღებდა ანაზრებს: «1) სახელდახელო ანგარიშით, 2) უვადოდ და 3) ვადით.»² ბანკში «სახელდახელო» ანგარიშის მფლობელი სარგებლობდა ჩეკებით და თუ მას თავისი ხელმოწერით მეორე პირს გადასცემდა, ეს უკანასკნელი იძენდა მისი პირველი მესაკუთრის უფლებებს შესაბამისი თანხების განკარგვაში; უვადო ანაზრზე გაცემული საბუთი აუცილებლად სახელობითი უნდა ყოფილიყო (იგი გადაიცემოდა მემკვიდრეზეც). ვადიანი ანაზარი არსებობდა სახელობითი და უსახელო ფორმით. სახელობითი ანაზარის სხვაზე გადაცემა ბანკის დავთარში უნდა დარეგისტრირებულიყო, მეორე (უსახელო) ანგარიში კი ეძლეოდა ყველას, ვინც ამ ანაზრის საბუთს წარადგენდა.³

ბანკი შესანახად იბარებდა: ფასიან ქალაქებს, ოქროს, ვერცხლს და სხვა ძვირფას ნივთებს, ყოველგვარ საბუთებს ბანკის საბჭოს მიერ დადგენილი წესით, ბანკს შეეძლო თამასუქების, ჩეკების და სხვა ფასიანი ქალაქების ყიდვა-გაყიდვა. იგი აწარმოებდა ფულის გადაგზავნის ოპერაციებს მისი დაწესებულებებისა და კორესპონდენტების ადგილმდებარეობის მიხედვით.

სახელმწიფო ხაზინის ნაღდი ფული სახელმწიფო ბანკში სარგებლის გარეშე სპეციალურ ანგარიშზე ირიცხებოდა. ბანკს ევალეობდა სახელმწიფო ხაზინის ხარჯით შემდეგი ოპერაციების ჩატარება: სახელმწიფო სესხის სარგებლის (პროცენტი) გადახდა კუპონებით, «უვარგისი» ობლიგაციების გამოცვლა, მთავრობის უზრუნველყოფილი სესხით ოპერაციების წარმოება, აგრეთვე შეუძლია

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), გვ. 333.

² იქვე, გვ. 334.

³ იქვე, გვ. 335-336.

«მიიღოს სათანადო ხაზინების ანგარიშით სახელმწიფო გადასახადი იმ წესისამებრ, რომელიც გამოცემულ იქნება ფინანსთა მინისტრის მიერ ბანკთან შეთანხმებით, ხოლო სათანადო შემთხვევაში სახელმწიფო კონტროლიორთან შეთანხმებითაც».¹

სახელმწიფო ბანკს მართავდა გამგეობა და საბჭო. ბანკის გამგეობაში შედიოდნენ: მმართველი, მმართველის «ამხანაგი» და ორი წევრი. ამასთან, გამგეობის წევრები ინიშნებოდნენ სამწლიანი ვადით, «მაგრამ შემადგენლობა უნდა ახლდებოდეს კენჭის ყრით ამ რიგად: პირველ წელს გადის ერთი წევრი, მეორე წელს – მმართველის ამხანაგი და მეორე წევრი, ხოლო მესამე წელს – მმართველი და დანარჩენი წევრნი.»²

ბანკის მმართველს ირჩევდა პარლამენტი, ხოლო მის მოადგილესა და გამგეობის წევრებს მმართველის წარდგინებით და ბანკის საბჭოსგან მოწონებულ კანდიდატურებს პარლამენტი ამტკიცებდა³.

ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებებს ბანკის გამგეობა ადასრულებდა. გამგეობის მოვალეობებში შედიოდა: ბანკის ხელმძღვანელობა და ოპერაციების კონტროლი, რევიზიის დანიშვნა, ბანკის წლიური ხარჯთაღრიცხვის შედგენა, იმ საქმეების წინასწარი განხილვა, რომელიც საბჭოს ან პარლამენტის გადაწყვეტილებების შესაბამისად, ბანკის ინტერესების დაცვას მოითხოვდა სასამართლოზე; ბანკის საბჭოსთან, ფინანსთა მინისტრთან და სახელმწიფო კონტროლიორთან შეთანხმებით უნდა განაგოს «ის ოპერაციები, რაც ბანკს დაევალება აწარმოოს სახელმწიფო ხაზინის ანგარიშით, ოქროს შესახებ ოპერაციები და განსაკუთრებული ოპერაციები სესხის გამოცემის, კონვერსიების წარმოების და სხვ.»⁴

ბანკის გამგეობა იკრიბებოდა საჭიროებისამებრ, კვირაში ერთხელ კი აუცილებლად. მისი გადაწყვეტილებები ძალაში იყო, თუ მას

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), გვ. 341.

² იქვე, გვ. 342.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 343.

ესწრებოდა მმართველი და გამგეობის ორი წევრი მაინც, გადაწყვეტილებები მიიღებოდა ხმათა უბრალო უმრავლესობით. თანაბარი ხმების შემთხვევაში თავმჯდომარის ხმას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველი კრების დროს დგებოდა ოქმი დამსწრეთა ხელმოწერით.

ბანკის გამგეობის კრებას ბანკის მმართველი თავმჯდომარეობდა. მას შეეძლო გამგეობის დადგენილების შეჩერება და ბანკის საბჭოსათვის წარედგინა იგი გადასაწყვეტად. მმართველის ფუნქციას ასრულებდა მისი მოადგილე, როცა მმართველი ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო სამსახურში არ იმყოფებოდა.

დებულების 99-ე მუხლის თანახმად: «ბანკის საბჭოში თორმეტი წევრია: საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი და შვიდი წევრი, რომელთაც ნიშნავს პარლამენტი: ამათ გარდა, საბჭოს წევრად თანამდებობით ითვლებიან ორი წარმომადგენელი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი და სახელმწიფო ბანკის მმართველი».¹ საბჭოს წევრები ინიშნებოდნენ სამი წლის ვადით. ამასთან, გათვალისწინებული იყო ამ ვადაში წევრების განახლებული საბჭოს თავმჯდომარის ამ ბანკის მმართველის მიერ საბჭოს კრება ინიშნებოდა თვეში ერთხელ. აქაც გადაწყვეტილებები მიიღებოდა ხმათა უმრავლესობით, თანაბარი ხმების შემთხვევაში კი თავმჯდომარის ხმა იყო გადაწყვეტი.

ბანკის საბჭოს ევალებოდა: ბანკის საერთო საქმიანობაზე, ბანკის სალაროს, განძეულის, ანგარიშების წარმოებაზე და სხვ. საერთო კონტროლი. უფრო კონკრეტულად, ბანკის საბჭოს ექვემდებარებოდა: პარლამენტზე წარსადგენი წინადადებების (წესდებაში შესატანი ცვლილებების) შემუშავება; ბანკის ანგარიშის და ხარჯთაღრიცხვის განხილვა; ბანკის განყოფილებათა დაარსება; სესხზე სარგებლის განაკვეთის (პროცენტის) განსაზღვრა; ვალების გადახდის ვადის დადგენა; იუმედო ვალების ჩამოწერა; გამგეობის წევრთა და გამგეობისა და

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), გვ. 344.

გამნაღდებელ-გამსესხებელ კომიტეტებს შორის უთანხმოების განხილვა-გადაწყვეტა; დასაგირავებელი საქონლისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ნუსხის განსაზღვრა; სესხისათვის გირაოში ჩასადები ქონების შეფასება; გამგეობის წარდგინებით, განყოფილებების მმართველების, მთავარი მოლარის, მთავარი ბუხჰალტრის და ბანკის ინსპექტორების თანამდებობაზე დამტკიცება და მათი თანამდებობიდან დათხოვნა და სხვ. ამასთან, ბანკის საბჭოს წევრს, საბჭოს დავალებით, შეეძლო ბანკის გამგეობის კრებაზე დასწრება¹.

ბანკის სტრუქტურაში შედიოდა: ძირითადი კანტორა, განყოფილებები და ბანკის სააგენტოები. ბანკის მთავარ დაწესებულებას თბილისის კანტორა წარმოადგენდა, სადაც ბანკის მმართველობა იყო განთავსებული. ბანკის განყოფილება იხსნებოდა დიდ სამრეწველო-სავაჭრო ცენტრებში. ბანკის სააგენტოში შედიოდნენ: სააგენტოს მმართველი, მოლარე, ან დამატებით ბუხჰალტერი და საქმის მწარმოებელი, რომლებიც უმარტივეს საბანკო ოპერაციებს ასრულებდნენ.

ბანკის გამგეობა თანამდებობაზე ნიშნავდა და დაითხოვდა სამსახურიდან ბანკის მოხელეებს (გარდა იმ პირებისა, რომლებიც წესდების სათანადო მუხლების საფუძველზე ინიშნებიან), ასევე, გამგეობას შეეძლო ადგილობრივ დაწესებულებებში ასეთი ფუნქცია ადგილობრივი მმართველობისათვის გადაეცა.

ბანკის ყველა მოხელე, გამგეობის და საბჭოს წევრები ვალდებული იყვნენ დაეცვათ საიდუმლოება ბანკის ანგარიშებისა, რაზეც მათ შესაბამისი ხელწერილი ჩამოერთმეოდათ. მათ აგრეთვე არ შეეძლოთ არც ბანკიდან სესხის აღება, არც თამასუქების განაღდება და დაგირავება. რაც შეეხებოდა ბანკის ხარჯს, ანგარიშთა კონტროლს ბანკის 134-ე მუხლის თანახმად, «ბანკის ხარჯი ბანკის მოგების ანგარიშით უნდა სწარმოებდეს. ამ ხარჯის აღრიცხვა უნდა შეადგინოს ბანკის გამგეობამ და საბჭოს მიერ განხილვის და სახელმწიფო კონტროლის დასკვნის შემდეგ, პარლამენტს გადაეცეს დასამტკიცებლად.

¹ იქვე, გვ. 346-347.

ამ წესითვე დამტკიცდება დამატებითი ხარჯი, რომელიც წინდაწინვე ვერ იქნა დანახული ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს.»¹

ბანკის საოპერაციო წელი მოიცავდა 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. ბანკის საბჭოს მიერ განხილული წლიური ანგარიში ეგზავნებოდა სახელმწიფო კონტროლიორს. ბანკის ანგარიშების შემოწმებაც სახელმწიფო კონტროლს ევალებოდა. წლიური ანგარიშის შედგენამდეც ამოწმებდა საბანკო ოპერაციებს სახელმწიფო კონტროლი. სახელმწიფო კონტროლის რევიზია ძირითად კანტორაში ბანკის საბჭოს მიერ გამოყოფილი საბჭოს ორი წევრის თანდასწრებით ტარდებოდა, ბანკის სხვა დაწესებულებების რევიზიისას კი საბჭოს წევრების დასწრება აუცილებელი არ იყო. სახელმწიფო კონტროლის რევიზიის შედეგები სათანადო რეაგირებისათვის ეგზავნებოდა ბანკის გამგეობას, რომელიც ბანკის საბჭოზე განიხილებოდა. ამასთან, «სახელმწიფო კონტროლიორმა თავისი დასკვნა წლიური ანგარიშის შესახებ უნდა აუწყოს ბანკის საბჭოს, არა უგვიანეს პირველი ივლისისა საანგარიშო წლის შემდეგ.»²

დაბოლოს, ბანკის მმართველი ბანკის ანგარიშს პარლამენტში წარადგენდა მომავალი წლის (1920) 1 სექტემბრისათვის. ანგარიშს თან უნდა დართოდა: «1) ბანკის საბჭოს მოხსენება თავისი მოქმედების და ჟურნალი ანგარიშის მის მიერ განხილვის შესახებ და 2) გამგეობის საპასუხო განმარტებანი საბჭოს დასკვნითურთ სახელმწიფო კონტროლიორის შენიშვნების გამო.»³ ამასთან, ბანკი ვალდებული იყო პერიოდულად გამოექვეყნებინა ძირითადი ანგარიშების ამსახველი ბალანსი, რაც 1920 წლის მეორე ნახევარში ორჯერ შესრულდა (იხ. ცხრილი 1; ცხრილი 2). საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ბანკის ორგანოთა თანამდებობის პირთა ჯამაგირები: «1. დაენიშნოს საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგეს თვიურ ჯამაგირად თვრამეტი ათასი (18.000) მანეთი, გამგის ამხანაგს თექ-

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), გვ. 353.

² იქვე, გვ. 354.

³ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), გვ. 355.

ვსმეტი ათასი (16.000) მანეთი, და გამგეობის წევრთ თხუთმეტი ათასი (15.000) მან, თვიურად; 2. დაენიშნოს ბანკის საბჭოს თავმჯდომარეს თვიურ ჯამაგირად ექვსი ათასი (6.000) მანეთი, ხოლო საბჭოს წევრის გასამრჯელო განისაზღვროს სამასი (300) მანეთით თვითეული სხდომისათვის, რომელსაც იგი დაესწრება.»¹ ამასთან, ბანკის საბჭოს წევრი იმავდროულად შეიძლება ყოფილიყო დამფუძნებელი კრების წევრიც, თანახმად დამფუძნებელთა კრების 1919 წლის 4 აპრილის კანონისა².

პარალელურად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვითარდებოდა კერძო კომერციული საბანკო სტრუქტურები, რისი დამადასტურებელიცაა ის ფაქტი, რომ 1918-1920 წლებში დაარსდა შემდეგი ბანკები: ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი (ძირითადი თანხით 30 მლნ მან, 1920 წელი); საქართველოს კოპერატიული ბანკი (ძირითადი თანხით 14.600 ათასი მან, 1920 წელი); ევროპა-კავკასიის ბანკი (ძირითადი თანხით 6 მლნ მან, 1918 წელი) ფოთის ქართული ბანკი (ძირითადი თანხით 30 მლნ მან, 1920 წელი) და ჭიათურის ბანკი (ძირითადი თანხით 360 ათ. მან, 1920 წელი). გარდა ამისა, 1919 წლიდან მოქმედებდა იტალო-კავკასიის ბანკი (ძირითადი თანხა 40 მლნ იტალიური ლირა), რომელიც ხელს უწყობდა დემოკრატიული საქართველოს ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარებას.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 16 მარტის სხდომაზე აირჩია³ სახელმწიფო ბანკის გამგედ იასე ლორთქიფანიძე, ხოლო ბანკის საბჭოს თავმჯდომარედ – ნიკოლოზ ელიავა, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ – სვიმონ მდივანი, საბჭოს წევრებად კი ვასილ ბერელაშვილი, გიორგი ჟურული, დიომიდე თოფურიძე, ადამ ფორაქიშვილი, კონსტანტინე მესხი, პარმენ ჭიჭინაძე, ივანე ცაგარელი.

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2 მარტი, №49, 1920 წელი; სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 1254, ფურცელი 2.

² კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, №6, 1919 წელი, გვ. 2.

³ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №68, 26 მარტი, 1920 წელი.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბალანსი (1920 წლის 1 ოქტომბერის მდგომარეობით)¹

ცხრილი 1

| აქტივი | ათასობი თ | პასივი | ათასობი თ |
|--|--------------|--|--------------|
| კასა | 487.695 | ძირითადი თანხა | 150.000 |
| სახელდახელო ანგარიში ბანკის ხაზინაში | 27.495 | სპეციალი | 50.000 |
| ოქრო, ვერცხლი, უცხოეთის ვალუტა, ჩეკები, ტრატები | 23.747 | ანაბარი ვადიანი, უვადო და სახელდახელო ანგარიში | 548.512 |
| განაღდება თამასუქების, სავაჭრო ვალდებულებათა და ვადიან ქალაღლებისა | 57. 647 | გადაუხდელი გადმოგზავნილი ფული და გარე თანხები | 1.858 |
| სპეციალური სახელდახელო ანგარიში უზრუნველყოფილი თამასუქებით და სავაჭრო ვალდებულებებით | 8.449 | სარგებელი მიღებული ოპერაციებისაგან | 4.623 |
| სესხი და სპეციალური სახელდახელო ანგარიში საქონლით და საქონლის მიერის საბუთებით | 72.079 | საპენსიო თანხა | 19 |
| | | ბალანსი | 755.012 |
| ანგარიში ხაზინებთან | 73.933 | საკომისიო თამასუქები და საბუთები | 652 |
| ანგარიში უძრავი ქონებისა და მოწყობა მომართვისა | 246 | სააქტივო ოპერაციების უზრუნველყოფ. საბუთები | 8.421 |
| დაბრუნებული თანხები, თამასუქების თანხები და ღერბის მარკები | 1.358 | ანაბარი შესანახად | 115.186 |
| მიმდინარე წილები | 2.359 | გარდამავალი საფასური | 23.987 |
| ბალანსი | 755.012 | | |

საქართველოს სახელმწიფო ბანკი, კანონის მიღებიდან 7 თვის დაგვიანებით, 1920 წლის 24 ივლისს გაიხსნა, ბანკის გახსნას ესწრებოდნენ: ნოე რამიშვილი (შინაგან საქმეთა მინისტრი), ს. ავალიანი (ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი), გ. არსენიძე

¹ გაზეთი „ეროობა“, №225, 5 ოქტომბერი, 1920 წელი.

(იუსტიციის მინისტრი), გრ. ლორთქიფანიძე (სამხედრო მინისტრი), ალ. ლომთათიძე (დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე). ბანკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. მდივანი, წევრები: გ. ჟურული, ვ. ბერელაშვილი, ბარათაშვილი, პ. ჭიჭინაძე, კ. მესხი, ივ. ცაგარელი, დ. თოფურიძე და ფინანსთა სამინისტროს ორი წარმომდგენელი ჟორჟოლიანი და ჩხეიძე, ბანკის გამგე იასე ლორთქიფანიძე, მისი მოადგილე რ. დუმბაძე, გამგეობის წევრები – ი. მენაბდე და ს. კილაძე.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბალანსი (1920 წლის 1 დეკემბერს)¹
ცხრილი 2

| აქტივი | ათასობით | პასივი | ათასობით |
|---|----------|---|----------|
| კასა და სახელდახელო ანგარიშები | 558.817 | ძრითადი თანხა | 150.000 |
| უცხოეთის ვალუტა | 2.416 | სპეციალური თანხა | 50.000 |
| განაღდება თამასუქ. სავაჭრო ვალდებულ. და ვადიან. ქაღალდ. | 115.171 | სახელდახელო ანგარიშები | 692.669 |
| | | ანგარიში გამგეობასთან | 35.233 |
| სპეც. სახელდ. ანგარ. უზრუნველყ. თამასუქ. და სავაჭრო ვალდებულ. | 6.165 | გადაუხდელი გადმოგზ. ფული და გარდამავ. თანხა | 32.035 |
| ანგარ. საქონლ. და საქონლის მიერის საბუთ. | 169.101 | სარგებელი მიღებული ოპერაციებისაგან | 12.632 |
| ანგარიში ხაზინებთან | 56.969 | | |
| „ განყოფილებასთან | 54.889 | | |
| „ მოწყობა მომართვისა | 431 | | |
| დასაბრუნებელი თანხები | 2.284 | | |
| მიმდინარე ხარჯები | 6.326 | | |
| ბალანსი | 972.569 | ბალანსი | 972.569 |

დამსწრეებს ბანკის საბჭოს თავმჯდომარემ, ნ. ელიავამ მიმართა. თავის გამოსვლაში ბანკის გამგემ ი. ლორთქიფანიძემ აღნიშნა ის მძიმე პირობებიც, რომელშიც ბანკს მოუწევდა მომავალი საქმიანობა. მისი აზრით, ბანკის მუშაობის მთავარი პროგრამული ორიენტირი რესპუბლიკის ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა უნდა ყოფილიყო. ასევე, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველო-

¹ გაზეთი „ეროობა“, №285, 14 დეკემბერი, 1920 წელი.

ბის მინისტრის მოადგილემ ს. ავალიანმა, ბანკის მოვალეობად მეურნეობებისათვის დახმარების აღმოჩენა და კერძო ინვესტიციებისთვის ხელშეწყობა დაასახელა. მთავრობის სახელით ნ. რამიშვილმა, ბანკს შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება აღუთქვა. საქართველოს სახელმწიფო ბანკი გახსნილად გამოცხადდა და იგი თავისი უფლება-მოხილებების განხორციელებას შეუდგა, თუმცა, მომავალში ხანმოკლე დროით.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1920 წლის 24 ივლისს გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო ბანკი (ბანკის პირველი გამგე ი. ლორთქიფანიძე), რომლის დებულებით 7 თვით ადრე განისაზღვრა ბანკის სტრუქტურა და უფლება-მოხილებანი. ბანკის განყოფილება მალე ბათუმშიც გაიხსნა, რომელიც ემსახურებოდა «დასავლეთ იმერეთის, აფხაზეთის და ბათუმის ოლქებს»¹.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 16 აგვისტოს დეკრეტით სახელმწიფო ბანკს «დამზღვევი ფონდის» შესაქმნელად ხაზინიდან უპროცენტო სესხის სახით 50,0 მლნ მანეთი გამოეყო. «მიეცეს სახელმწიფო ბანკს უფლება იმ საქონლის დაზღვევისა, რომელსაც ის დაიგირავებს, შესანახად მიიღებს და თავის საწყობებში მოათავსებს.»¹

მთავრობის 1920 წლის 31 აგვისტოს და 11 სექტემბრის და ბანკის საბჭოს 24 აგვისტოს და 22 სექტემბრის დადგენილებებით და უცხო ვალუტის ოპერაციის მომწესრიგებელ საგანგებო სათათბიროს 16 სექტემბრის დადგენილებით სახელმწიფო ბანკს დაევალა:²

- სავალუტო ფონდის შექმნა, რომელშიც უნდა ჩაირიცხოს 25% იმ წმინდა მოგებიდან, რომელსაც მიიღებს ვალუტით მთავრობა და მისი ორგანოები სხვადასხვა სავაჭრო ხელშეკრულებებიდან და ოპერაციებიდან;

¹ გაზეთი „ერთობა“, №247, 30 ოქტომბერი, 1920 წელი.

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №189, 1920 წელი.

² იქვე.

- იმ ნორმის დაწესება, რომლის ფარგლებში ნებადართულია უცხო ვალუტის დაუბრკოლებლად გატანა, გაგზავნა და საზღვარგარეთ გადაგზავნა;
- დადგენილი ნორმის ზევით ნებართვების გაცემა საზღვარგარეთ უცხო ვალუტის გატანაზე, გაგზავნაზე და გადაგზავნაზე;
- სავაჭრო-სამრეწველო მიზნით უცხო ვალუტის შესაძენად ნებართვების გაცემა;
- იმ საკრედიტო დაწესებულებებზე ზედამხედველობა და კონტროლი, რომელთაც საგანგებო სათათბიროს მიერ უცხო ვალუტის ოპერაციების წარმოების უფლება მიენიჭათ;
- ზომების მიღება ძველი ისეთი ანგარიშების და ხელშეკრულების სალიკვიდაციოდ, რომლებიც უნდა განაღდდნენ უცხო ვალუტაზე.

ბონების კურსის დაცემამ და უცხოური ვალუტის კურსის გაზრდამ ქვეყნის მეურნეობისათვის სავალალო შედეგები მოიტანა. ამ საკითხის განხილვას მიეძღვნა მთავრობის 1920 წლის 31 აგვისტოს სხდომა, სადაც მოისმინეს «სახელმწიფო ბანკის მოხსენება ბონების კურსის განმტკიცების შესახებ». საკითხის განხილვის შედეგად გადაწყდა, რომ შესაძლებელი ზომები ყოფილიყო მიღებული: სახელმწიფო ბიუჯეტში წონასწორობის დასამყარებლად, სავალუტო ფონდის შესაქმნელად, უცხო კაპიტალის მოსაზიდად, სავაჭრო და საკრედიტო არბიტრაჟის გასაძლიერებლად; ქართული ბონებით სახელმწიფო გადასახადების გადასახდელად და საქონლისათვის შესასყიდად; ვალუტა საზღვარგარეთ გაიტანონ და გადააგზავნონ (გარდა სავაჭრო მიზნებისა) განსაზღვრული ნორმის ზევით მხოლოდ საგანგებო ნებართვით. გარდა ამისა, სავაჭრო ბალანსის და საგარეო ვაჭრობის მოსაწესრიგებლად სახელმწიფო ბანკის გამგეობა მოითხოვდა «მწარმოებელთათვის მტკიცე უფლებრივი ნორმების დაწესებას; ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვას და საკუთარი წარმოების საქონლის საზღვარგარეთ გატანის პირობების შემსუბუქებას»¹.

¹ გაზეთი „ეროზა“, № 237, 19 ოქტომბერი, 1920 წელი.

ეროვნული ფულის განმტკიცებას ემსახურებოდა აგრეთვე 1920 წლის 13 ოქტომბრის თათბირი, სადაც ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ სავალუტო ოპერაციებს მხოლოდ სახელმწიფო ბანკი და მის მიერ არჩეული საკრედიტო დაწესებულებები უნდა აწარმოებდნენ. შესაბამისად, სახელმწიფო ბანკს უნდა მისცემოდა სავალუტო ფონდი. ამ აპარეზზე სახელმწიფო ბანკის გამოსვლა ვაჭარ-მრეწველთა წრეებისათვისაც ხელსაყრელი იქნებოდა, რამეთუ მათ საშუალება ეძლეოდათ ზუსტად გაერკვიათ ვალუტის კურსი და არ იყვნენ დამოკიდებულნი მხოლოდ სპეკულიანტებზე. სახელმწიფო ბანკს, ბაზრის საერთო პირობების მიხედვით, უნდა დაეწესებინა ვალუტის კურსი ყოველ განსაზღვრულ დროისთვის. აქედან გამომდინარე, ვალუტის ოპერაციებში არ უნდა ჩარეულიყო არც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულება, რამეთუ ისინი დიდ როლს არულებდნენ ბონების კურსის დაცემაში. ამ ტენდენციის თავიდან ასაცილებლად გარდაუვალ აუცილებლობად იქცა ქვეყანაში საქონელთა ყიდვა-გაყიდვის და ანგარიშის სწორება, უსათუოდ ბონებით განხორციელება¹.

1920 წლის 20 ნოემბერს, მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა სავალუტო ოპერაციის შემოღებისათვის საჭირო ინსტრუქციები,² რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო ბანკი გასცემდა იმ საკრედიტო დაწესებულებების მიერ ნებართვებს უცხო ვალუტის შეძენაზე, რომელთაც სავალუტო ოპერაციების წარმოების უფლება ჰქონდათ. ამასთან, უცხო ვალუტის შეძენა შეიძლებოდა აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო მიზნებისთვისაც; განსაკუთრებულ ნებართვას არ საჭიროებდა კანონით განსაზღვრული (100 გირვანქა სტერლინგი) უცხო ვალუტის გატანა. შიგა დაზღვევა მხოლოდ ადგილობრივი ბონებით მოხდებოდა, დამზღვევ საზოგადოებებს ვალუტით ჯილდოების მიღების უფლება ეძლეოდათ; გეგმების მომსახურების ფული უცხო ვალუტით იანგარიშებოდა; კერძო პირები ვალდებულნი იყვნენ ყოველდღიურად წარედგინათ სახელმწიფო ბანკში ცნობები თავიანთი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

¹ იქვე.

² გაზეთი „ეროზა“, №273, 30 ნოემბერი, 1920 წელი.

1920 წლის 3 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო ბანკის მმართველობამ მიმართა თხოვნით საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, რათა განეხილათ, სახელმწიფო ბანკის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში 1920 წლის 24 ივლისიდან 1 დეკემბრამდე პერიოდში. თხოვნა გათვალისწინებული იქნა და იმავე 1920 წლის 14 დეკემბერს საკანონმდებლო ორგანომ მოისმინა ბანკის მმართველობის მოხსენება 1920 წლის სექტემბერ-დეკემბრის თვეებში «შემოტანილი ფულის და გატანილი სესხის ნაშთების» შესახებ¹ (იხ. ცხრილი 3):

როგორც ცხრილის მონაცემებით ირკვევა, სახელმწიფო ბანკში შეტანილი და ბანკიდან სესხად გაცემული თანხები ზრდის ტემპით ხასიათდება. ასე მაგალითად, 1 სექტემბრისათვის ბანკში შეტანილია 412 427 ათასი მანეთი, სესხად კი გაიცა 47 407 ათასი მანეთი, შესაბამისი მონაცემები შეადგენდა: 1 ოქტომბერს – 548511 და 138 174 ათას მანეთს, 1 ნოემბერს – 405 504 და 286 751 ათას მანეთს, 1 დეკემბერს კი – 667 571 და 246 061 ათას მანეთს.

ამრიგად, სახეზეა ფულის მიმოქცევის მოცულობის მკვეთრი ზრდის დინამიკა ანუ საქართველოში სახელმწიფო ბანკის აქტიურად ჩართვა სოციალ-ეკონომიკურ პროცესებში. ამასთან, სახელმწიფო დაწესებულებებს სესხად აუღიათ უფრო მეტი თანხები, ვიდრე კერძო პირებს².

როგორც ზემოთ აღინიშნა, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 24 თებერვლის 19 დეკრეტით ბანკის მუშაკების და საბჭოს წევრებისათვის დაწესდა ჯამაგირები, შემდგომში კი ბანკის საბჭომ ამ ჯამაგირების გადასინჯვა მოითხოვა, რადგანაც ის აღარ შეეფერებოდა არსებულ მდგომარეობას.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის მმართველის მიერ წარმოდგენილი დეკრეტის პროექტი სახელმწიფო ბანკის შტატისა და 1920 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა განიხილა. საბოლოოდ, 1920 წლის 8 ივნისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი საქართველოს სახელმწიფო ბანკის შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ (იხ.

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 1316, ფურცელი 5.

² სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 78, ფურცელი 289.

ცხრილი 4),¹ რომლითაც, საქართველოს სახელმწიფო ბანკში 95 საშტატო ერთეული დამტკიცდა, მაშინ როდესაც 1917 წელს რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში 200-მდე მოხელე მუშაობდა.

¹ იქვე, ფურცელი 28.

სახელმწიფო ბანკის შემოტანილი ფულის და გატანილ სესხის ნაშთები 1920 წელს (ათასობით)¹

ცხრილი 3

| სახელმწიფო ჯგუფები | ენკენისთვის 1 | | შემოტანილი ფულის 100 მანეთზე გატანილი აქვს სესხი | ოქტომბრის 1 | | შემოტანილი ფულის 1000 მანეთზე გატანილი აქვს სესხი | ნოემბრის 1 | | შემოტანილი ფულის 1000 მანეთზე გატანილი აქვს სესხი | დეკემბრის 1 | | იანვარ-მარტის ფინანსური შემოტანილი ფული 1000 ფულა |
|---|--------------------|-------------------|--|---------------------|--------------------|---|------------------------|--------------------|---|-----------------------------|------------------------|---|
| | შემოტანილი ფული | გატანილი სესხი | | შემოტანი ლი ფული | გატანილ ი სესხი | | შემოტანი ლი ფული | გატანილ ი სესხი | | შემოტანი - ლი ფული | გატანი- ლი სესხი | |
| მთავრობის დაწესებულებანი | 223684 | - | - | 324587 | 1000 | 3 | 213552 | 1000 | 5 | 412339 | - | |
| სულ | 223684 | „ | « | 324587 | 1000 | 3 | 213552 | 1000 | 5 | 412339 | - | |
| ქალაქები და ეროვნები | 4254 | 17991 | 4229 | 1582 | 23414 | 14800 | 4052 | 64641 | 15963 | 1689 | 56954 | 33720 |
| კოოპერატივები და კოოპერაცი- ული ბანკი | 4250 | 3400 | 800 | 718 | 16593 | 23110 | 1817 | 38177 | 21011 | 3944 | 36694 | 9304 |
| საზოგადო დაწესებულებანი | 275 | 950 | 3455 | 3845 | 3002 | 781 | 3400 | 3002 | 883 | 2797 | 3002 | 1073 |
| სულ | 8779 | 22341 | 2545 | 6145 | 43009 | 6999 | 9269 | 105820 | 11417 | 8430 | 96650 | 11465 |
| ბანკები | 129443 | « | - | 112473 | 200 | 2 | 139621 | 1100 | 8 | 169463 | 893 | 5 |
| კერძო ფირმები | 42832 | 16604 | 388 | 76708 | 36642 | 478 | 31990 | 70813 | 2213 | 61679 | 70561 | 1144 |
| კერძო პირები | 7689 | 8462 | 1100 | 28598 | 57323 | 2004 | 11072 | 108018 | 9756 | 15660 | 77957 | 4978 |
| სულ | 179664 | 25066 | 140 | 217779 | 94165 | 432 | 182683 | 179931 | 985 | 246802 | 149411 | 605 |
| ჯამი | 412427 | 47407 | - | 548511 | 138174 | - | 405504 | 286751 | - | 667571 | 246061 | |

112

¹ სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 1316, ფურცელი 6.

ამრიგად, მიღებული კანონის მიხედვით, დამტკიცდა სახელმწიფო ბანკის საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა 1920 წლის 1 ივნისიდან 1921 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, რომლითაც შეიცვალა დამფუძნებელი კრების 1920 წლის 24 თებერვლის დადგენილებით განსაზღვრული ბანკის მუშაკთა საშტატო ჯამაგირებიც და შესაბამისი თანხები კი უნდა გაღებულიყო სახელმწიფო ბანკის შემოსავლებიდან.

ცხრილი 4

საქართველოს სახელმწიფო ბანკის შტატები და ხარჯთაღრიცხვა

(1920 წლის 1 ივნისი-1921 წლის 1 იანვარი)

| 1 | თანამდებობა და ხარჯის დანიშნულება | რიცხვი | თვითულის თვიურად | ყველას თვიურად | ყველას 1920 წლის ივნისის 1-დან 1921 წლის | შენიშვნა |
|----|-----------------------------------|--------|------------------|----------------|--|----------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | მმართველი | 1 | 25.000 | 25.000 | 175.000 | |
| 2 | მისი ამხანაგი | 1 | 22.000 | 22.000 | 154.000 | |
| 3 | გამგეობის წევრი | 2 | 20.000 | 40.000 | 280.000 | |
| 4 | ინსპექტორი | 1 | 16.000 | 16.000 | 112.000 | |
| 5 | ცენტრალური ბუხჰალტ. გამგე | 1 | 15.000 | 15.000 | 105.000 | |
| 6 | უფროსი ბუხჰალტერი | 1 | 14.000 | 14.000 | 98.000 | |
| 7 | კონტროლიორი | 1 | 12.000 | 12.000 | 84.000 | |
| 8 | უფროსი ბუხჰალტ. თანაშემწე | 1 | 10.000 | 10.000 | 70.000 | |
| 9 | ნაწილის გამგე | 6 | 10.000 | 60.000 | 420.000 | |
| 10 | უცხო ენების კორესპონდენტი | 1 | 10.000 | 10.000 | 70.000 | |
| 11 | ნაწილის გამგის უფრ. თანაშემწე | 9 | 8.000 | 72.000 | 504.000 | |
| 12 | კასირი | 2 | 8.000 | 16.000 | 112.000 | |
| 13 | კონტროლის თანაშემწე | 1 | 8.000 | 8.000 | 56.000 | |
| 14 | კასირის თანაშემწე | 2 | 7.000 | 14.000 | 98.000 | |
| 15 | მეარტელე | 1 | 7.000 | 7.000 | 49.000 | |
| 16 | უფროსი საქმისმწარმოებელი | 3 | 6.000 | 18.000 | 126.000 | |
| 17 | ნაწილის გამგის უმცრ. თანაშემწე | 6 | 6.000 | 36.000 | 252.000 | |
| 18 | მეარტელის თანაშემწე | 1 | 6.000 | 6.000 | 42.000 | |
| 19 | უფროსი მონაგარიშე | 1 | 6.000 | 6.000 | 42.000 | |
| 20 | უმცროსი საქმის მწარმოებელი | 3 | 5.000 | 15.000 | 105.000 | |
| 21 | უფროსი მანქანით გადამწერი | 1 | 3.500 | 3.500 | 24.500 | |
| 22 | მანქანით გადამწერი | 4 | 3.000 | 12.000 | 84.000 | |

| | | | | | | |
|-----------------------|---|----|-------|---------|-----------|---|
| 23 | მონგარიშე | 13 | 4.000 | 52.000 | 364.000 | |
| 24 | დამთვლელი | 8 | 4.000 | 32.000 | 224.000 | |
| ცხრილი 4 (გაგრძელება) | | | | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 25 | შოფერი | 1 | 3.500 | 3.500 | 24.500 | |
| 26 | მექანიკოსი | 1 | 3.500 | 3.500 | 24.500 | |
| 27 | კანტორის მოხელე | 4 | 3.500 | 14.000 | 98.000 | |
| 28 | ვეჭილი | 1 | 3.000 | 3.000 | 21.000 | |
| 29 | დაბალი მოსამსახურე (შიკრიკი, შვეიცარი, დარაჯი) | 16 | 2.200 | 35.200 | 246.400 | |
| 30 | მეზოვე | 1 | 2.000 | 2.000 | 14.000 | |
| | ჯამი | 95 | | 582.700 | 4.078.900 | |
| 31 | საბჭოს თავმჯდომარე | 1 | 6.000 | 6.000 | 42.000 | |
| 32 | საბჭოს წევრთა გასამრჯელო (20 სხდომა, 300 მან თვითეულს – 12 პირს) | | | 6.000 | 72.000 | |
| 33 | განმადებელი კომიტეტების წევრების გასამრჯელო (40 სხდომა, 200 მან თვითეულს – 10კაცს). | | | | 80.000 | |
| | ჯამი | | 6.000 | 12.000 | 194.000 | |
| 34 | საკანცელარიო ხარჯი | | | 50.000 | 600.000 | |
| 35 | სასტამბო ხარჯი | | | 50.000 | 600.000 | |
| 36 | ბინის მოვლა, განათება და გათბობა | | | | 200.000 | |
| 37 | საგზაო ხარჯი და ავტომობილის შენახვა | | – | – | 500.000 | |
| 38 | ინვენტარის განახლება და დამატებითი შეძენა: 2.000.000 მან, აქედან საამორტიზაციო 1920 წლისა | | – | – | 200.000 | |
| 39 | წვრილმანი ხარჯი (ჩაი, შაქარი, დაზღვევა, ნოტარიუსის და სასამართლოს ხარჯი) | | – | – | 250.000 | |
| 40 | რესპუბლიკის გარეშე წარმომდგენლობისათვის | | – | – | 500.000 | |
| 41 | საორგანიზაციო ხარჯი | | – | – | 100.000 | |
| | ჯამი | | | | 2.950.000 | |
| | სულ | | | | 7.222.900 | |

4.3. საბაჟო სისტემის შესახებ

1918 წლის 30 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი «საბაჟო დაწესებულებათა მოწყობისა»¹ აღნიშნული კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა ყველა საბაჟო დაწესებულება, რომელიც რუსეთმა დააარსა: «სახელდობრ ტფილისის პირველი ხარისხის საბაჟო, ბათუმის პირველი ხარისხის საბაჟო, ფოთის მეორე ხარისხის საბაჟო, საბაჟო საყარაულოები: გუდაუთის, ოლთის, ორჯოხის, ოჩამჩირის, ფსირტის, სოხუმის, საბაჟო ბინები: ანაკლიის, გაგრის, ახალი – გაგრის, ლიმანის და ამ დაწესებულებათა საერთო სამმართველო, საინსპექციო საბაჟო უწყება, საერთოდ 14 საბაჟო დაწესებულება.»¹

აღნიშნული საბაჟოების მუშა-მოსამსახურეები განთავისუფლდნენ. ზემოთ ხსენებული 14 საბაჟოს ნაცვლად, საქართველოს ტერიტორიაზე დაარსდა 19 საბაჟო, რომელთაც განაგებდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო მთავარი საბაჟოს მეშვეობით, კერძოდ: მთავარ საბაჟოს ცენტრალური მართვა-გამგეობის უფლებით ქ. თბილისში; პირველი ხარისხის საბაჟოს ქ. ფოთში; მეორე ხარისხის საბაჟოებს – ნატანებში, სოხუმში და მესამე ხარისხის საბაჟოებს – გუდაუთაში, ოჩამჩირეში, ათონში, ყულევში, ანაკლიაში, ფოილოში, ლაგოდეხში, ვორონცოვკაში, ნარლევანში, ბაკურიანში, აწყურში, აბასთუმანში, ოზურგეთში, დარიალში.²

ჩამოთვლილი საბაჟოების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე, აგრეთვე, ხარისხების შეცვლის უფლება ჰქონდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით. მთავარი და პირველი ხარისხის საბაჟოებს უფლება ჰქონდათ «ყოველგვარი საქონლის შემოტანისა და გატანის ნებართვებისა და მის

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №41, 13 სექტემბერი, 1918 წელი.

¹ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 87, ფურცელი 35.

² იქვე.

დაბაჟვისა.»¹ იგივე უფლება ჰქონდათ მეორე და მესამე ხარისხის საბაჟოებს, გარდა ერთი გამონაკლისისა «როდესაც საქონელს ესაჭიროება ქიმიური ანალიზი, როგორც არის სამკურნალო წამალი, სააფთიაქო და საღებავი მასალა.»²

ყოველი საბაჟო დაწესებულება ექვემდებარებოდა მთავარ საბაჟოს, რომელიც თვალყურს ადევნებდა მათ მუშაობას, მისი გამგე ინიშნებოდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის წარდგენის საფუძველზე მთავრობის მიერ.³

გაუქმდა საბაჟოების კრედიტი, ხოლო ახლად დაარსებული საბაჟოების შესანახად 1918 წლის ბოლომდე უნდა გაეღოთ სახელმწიფოს ხაზინიდან ხუთას ორმოცდასამი ათას ოცდახუთი მანეთი (543025), მათ შორის: მოხელეთა ჯამაგირებისათვის 48425 მანეთი და სხვა ხარჯისათვის 58. 775 მანეთი.⁴

მრავალი დაბრკოლება, შევიწროება გამოიარეს ახალგაზრდა რესპუბლიკაში შექმნილმა დაწესებულებებმა და განსაკუთრებით საბაჟო უწყებამ. როგორც უკვე აღინიშნა, რესპუბლიკის დაარსებას და შემოსაზღვრას თან მოჰყვა ახალ-ახალი საბაჟოების დაარსებაც. ხალხი ძნელად ეგუებოდა მოქმედ საბაჟო წესებს და კანონებს.

ახალი საბაჟოების შექმნასთან ერთად დამტკიცდა მოსამსახურეთა ახალი საშტატო განრიგები. საბაჟო უწყება გამოცდილი, კვალიფიციური კადრების დეფიციტს განიცდიდა. მებაჟეებს მძიმე სოციალურ პირობებში უხდებოდათ საქმიანობა. ახალ საზღვარზე ახალი საბაჟოების ნორმალურად მოქმედებას ხელს უშლიდა უბინაობა. ხშირად საბაჟოები ისეთ ადგილას იხსნებოდა, სადაც მებაჟეები ბინით არ იყვნენ უზრუნველყოფილნი, რკინიგზა ზოგჯერ ვაგონებსაც ვერ იმეტებდა მათთვის. მაგრამ მიუხედავად დაბრკოლებებისა ისინი

¹ იქვე.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე.

თავიანთ მოვალეობებს მაინც შეძლებისდაგვარად ასრულებდნენ დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის პირველ წლებში.

1918 წლის 30 აგვისტოს კანონის შესაბამისად ქვეყნის ტერიტორიაზე დაარსებული საბაჟოები სრულად ვერ მოქმედებდნენ და თუ მოქმედებდნენ ისიც დროგამოშვებით, განსაკუთრებით: აწყურის, ყულევის, ნადრევანის, ბაკურიანის და ახასთუმნის; მათი მოქმედების სფერო კი დიდი არ იყო და განისაზღვრებოდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებით, მაგრამ მუშაობას აორკეცებდა ის, რომ ფაქტობრივად საქართველო იყო კავკასიის ცენტრი, შემაერთებული აზია-ევროპისა და საქონლის ექსპორტ-იმპორტის გამტარებელი სხვა მეზობელ სახელმწიფოებშიც. სულ, 1918 წელს საბაჟოების მიხედვით ექსპორტირებულია 1198,4 ათასი ფუთი პროდუქცია 83958,5 ათ. მანეთისა (მათ შორის ყველაზე მეტი ღირებულების თბილისის, სოხუმის და ფოთის საბაჟოებიდან), 1919 წელს ანალოგიურმა მონაცემებმა შეადგინა: 4396,8 ათასი ფუთი და 378 098,4 ათასი მანეთი. 1918 წელს იმპორტმა შეადგინა 1936,6 ათასი ფუთი 121 392,8 ათასი მანეთით, 1919 წელს კი 3960,9 ფუთი 909 407,8 ათასი მანეთით (იხ. ცხრილი 1,2).

ქართული საბაჟოების მუშაობის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ყველაზე მეტი იმპორტული საქონელი შემოტანილია რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, ოსმალეთიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, იტალიიდან, სომხეთიდან და სხვ. საქართველოდან ყველაზე მეტი საქონლის ექსპორტი განხორციელებულია აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში, იტალიაში, ოსმალეთში, ინგლისში და ა. შ. (იხ. ცხრილი 3,4).

ცხრილი 1

გატანა და შემოტანა საბაჟოების მიხედვით 1918 და 1919 წ (ათასობით)¹

| როგის | საბაჟოები | 1 9 1 8* | | | | 1 9 1 9 | | | |
|-------|-----------|-------------|--------|-----------------|--------|-------------|--------|-----------------|--------|
| | | გ ა ტ ა ნ ა | | შ ე მ ო ტ ა ნ ა | | გ ა ტ ა ნ ა | | შ ე მ ო ტ ა ნ ა | |
| | | ფუთი | მანეთი | ფუთი | მანეთი | ფუთი | მანეთი | ფუთი | მანეთი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | |
| 1 | ანაკლია | - | - | 0,1 | 2,2 | 1,9 | 50,0 | 1,2 | 126,7 |

¹ სტატისტიკური კრებული (1909-1921წწ.), გვ. 54.

| | | | | | | | | | |
|----|-----------------|--------|---------|--------|----------|--------|----------|--------|----------|
| 2 | ახალციხე | - | - | - | - | 24,4 | 2564,7 | 1,3 | 215,3 |
| 3 | ახალი-ათონი | - | - | 3,5 | 342,3 | 0,1 | 40,0 | 3,2 | 183,2 |
| 4 | ბოგდანოვკა | - | - | - | - | 5,6 | 1652,0 | 2,2 | 630,9 |
| 5 | გაგრა | - | - | - | - | - | - | 2,5 | 1830,2 |
| 6 | გუდაუთა | - | - | 4,7 | 580,8 | 6,1 | 623,5 | 11,0 | 3412,5 |
| 7 | ვორონცოვკა | - | - | - | - | 33,6 | 8842,4 | 31,6 | 16192,7 |
| 8 | თბილისი | 178,3 | 26749,6 | 728,8 | 15318,5 | 2879,1 | 284338,1 | 2595,6 | 589646,1 |
| 9 | ლაგოდეხი | - | - | - | - | 4,1 | 2212,1 | 262,6 | 19419,5 |
| 10 | ნატანები | 9,0 | 744,7 | 6,9 | 2343,2 | 155,5 | 10780,4 | 116,3 | 18049,7 |
| 11 | ოზურგეთი | - | - | 0,3 | 77,7 | - | - | - | 2,6 |
| 12 | ოჩამჩირე | - | - | 20,4 | 757,2 | 15,8 | 952,8 | 13,9 | 10106,1 |
| 13 | სადახლო | - | - | - | - | 8,7 | 502,6 | 42,7 | 17836,2 |
| 14 | სალოღლი | 114,6 | 5112,6 | - | - | - | - | 22,4 | 3175,6 |
| 15 | სანაინი | - | - | 2,3 | 1028,7 | - | - | - | - |
| 16 | სოხუმი | 84,9 | 29865,8 | 89,2 | 18751,9 | 143,1 | 23760,3 | 66,8 | 45455,5 |
| 17 | ფოთი | 811,6 | 21505,8 | 1071,7 | 81475,5 | 1083,6 | 35097,4 | 566,6 | 118996,8 |
| 18 | ქუთაისი | - | - | - | - | 1,6 | 653,0 | 14,5 | 22471,6 |
| 19 | ყაზბეგი | - | - | - | - | 30,2 | 4691,0 | 59,7 | 17161,9 |
| 20 | წნორის წყალი | - | - | 8,7 | 714,8 | 3,2 | 1338,1 | 146,8 | 24494,7 |
| | სულ | 1198,4 | 83958,5 | 1936,6 | 121392,8 | 4396,8 | 378098,4 | 3960,9 | 909407,8 |

*) პირველი ნახევრის ცნობების უქონლობის გამო, მოყვანილია მხოლოდ 1918 წლის მეორე ნახევრის ცნობები.

ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში ჩართულნი იყვნენ მსხვილი სავაჭრო ფირმები, კერძოდ: ფორერის, გუმელის, კონკორდის, პობედას, რუსეთის საზოგადოება, ხომტარიას, შუსტოვის, კახელ მევენახეთა საზოგადოება «კახეთია», «ეკონომია», «1 ექსპორტი», «ოქროს ვერძი», სასურსათო სამინისტრო, «კოლონიანი», სარაჯევის ამხანაგობა, კერძო მოვაჭრეებიდან: «რილსკი», «კაპლანი», «ლემბერგი», კოზაკი, პოლიანსკი, ჯიქია, ბოკიელოვი, სოსინი, რობერტ დე რაია, ქართველი ებრაელები და მრავალი სხვანი. საქონლის ექსპორტ-იმპორტი ძირითადად ხორციელდებოდა რკინიგზით, ავტომობილებით, გემით და სხვ.

საქართველოში უმთავრესად შემოჰქონდათ შემდეგი საქონელი: კონიაკი, ყველი, კარაქი, მარილი, ტყავეულობა, ფართლეულობა, საგალანტერეო საქონელი, წუმწუმა, პაპიროსის ქაღალდი, თამბაქო, საპონი, ხილეულობა, ფქვილი, ნავთი, ზეთი, ბრინჯი, მაზუთი, შაქარი,

ნაღები, ხორცი, კარტოფილი, თაფლი, ქერი, საკლავი, ხორბალი, სიმინდი, ლეკური შალები, სანთელი, მზესუმზირას ზეთი, რკინეულობა, ხახვი, მაკარონი, შეკერილი ტანისამოსი, ღვინო, მედიკამენტები, ხის მასალა და ხის ნაწარმი, ლითონის ნაწარმი, საწერი ქაღალდი და სხვ. საქართველოდან გაჰქონდათ: ღვინო, მწვანელი, თხილი, ხილეულობა, ძველი ნოხები, შალეულობა, თუთუნის, ლობიოს, შაქარი, ძველი ოჯახური ნივთები, ტყლაპი, მდოგვი, ყავა, ბაწარი, ხის კოვზები და ლამპის შუშები, ხის «შპილკები», კასრები, ყუთები, შინაური ცხოველები და სხვა ადგილობრივი ნაწარმი (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 2

გატანა და შემოტანა 1920 წ. საბაჟოების მიხედვით (ათას ფუთ. და მანეთ.).¹

| რიგის | ს ა ბ ა ჟ ო ე ბ ი | გატანა | | შემოტანა | |
|-------|-------------------|--------|---------|----------|---------|
| | | ფუთი | მანეთი | ფუთი | მანეთი |
| | | 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ბათუმის | 1304 | 1261049 | 1024 | 2785846 |
| 2 | ბოგდანოვკის | 16 | 19360 | 3 | 5765 |
| 3 | გუდაუთის | 4 | 1653 | 19 | 14502 |
| 4 | ვორონცოვკის | 27 | 47891 | 24 | 96893 |
| 5 | თბილისის | 476 | 333220 | 691 | 1197563 |
| 6 | ლაგოდეხის | 3 | 49581 | 10 | 54783 |
| 7 | ნატანების | 113 | 7586 | 225 | 82127 |
| 8 | ონის | 1 | 1995 | 3 | 26341 |
| 9 | ოჩამჩირეს | 2 | 642 | 27 | 11182 |
| 10 | სადახლოს | 24 | 33223 | 81 | 74868 |
| 11 | სალოღლის | 6 | 91016 | 5 | 142832 |
| 12 | სოხუმის | 439 | 406446 | 117 | 69253 |
| 13 | ფოთის | 9904 | 266920 | 500 | 401523 |
| 14 | ქუთაისის | 3 | 25197 | 47 | 19632 |
| 15 | ყაზბეგის | 5 | 18166 | 70 | 36075 |

¹ სტატისტიკური კრებული (1909-1921 წწ.), გვ. 59.

| | | | | | |
|----|---------------------|-------|---------|------|---------|
| 16 | დანარჩენი საბაჟოები | 282 | 57000 | 166 | 179897 |
| | სულ | 12609 | 2620945 | 3012 | 5199082 |

გატანა

1999 წ. ქვეყნების და საქონლის მთავარი ჯგუფების მიხედვით (ათას ფუთ. და მან.).¹

ცხრილი 3

| როგის | ქვეყნები | საარსებო საგნები | | ნედლი და ნახევრ. დამუშავ. საგნები | | ცხოველები | | ნაწარმი | | დაუსახელებელი საგნები | | სულ | |
|-----------|------------------|------------------|----------|-----------------------------------|----------|-----------|----------|---------|-----------|-----------------------|----------|---------|-----------|
| | | ფუთ. | მანეთობ. | ფუთ. | მანეთობ. | ფუთ. | მანეთობ. | ფუთ. | მანეთობ. | ფუთ. | მანეთობ. | ფუთ. | მანეთობ. |
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 1 | ამერიკა | - | - | 70.0 | 490.0 | - | - | - | - | - | - | 70.0 | 490.0 |
| 2 | აზერბაიჯანი | 1964.7 | 94819.3 | 113.3 | 6246.2 | 0.9 | 663.8 | 306.4 | 48196.4 | 19.4 | 5044.4 | 24.04.7 | 154970.1 |
| 3 | ინგლისი | - | - | 452.0 | 1836.0 | - | - | - | - | - | - | 452.0 | 1836.0 |
| 4 | იტალია | 35.0 | 10845.0 | - | - | - | - | - | - | - | - | 35.0 | 10845.0 |
| 5 | საფრენგეთი | - | - | 2.3 | 1614.3 | - | - | 0.1 | 65.0 | - | - | 2.4 | 1679.3 |
| 6 | სომხეთი | 180.3 | 32224.6 | 296.3 | 4419.3 | 0.2 | 39.0 | 54.3 | 30268.8 | 1.2 | 572.6 | 527.3 | 67524.3 |
| 7 | ოსმალეთი | 24.1 | 6123.5 | 2.6 | 578.8 | - | - | - | - | - | - | 26.7 | 6702.3 |
| 8 | რუსეთი | 151.1 | 17861.3 | 205.9 | 15035.6 | - | - | 835.9 | 1872.2 | - | 1.4 | 392.9 | 34770.5 |
| 9 | დანარჩ. ქვეყნები | 229.9 | 37771.2 | 160.5 | 15934.8 | - | - | 81.3 | 42994.1 | 14.1 | 2581.2 | 485.8 | 99281.3 |
| | სულ | 2585.1 | 199644.9 | 1297.9 | 46155.0 | 1.1 | 702.8 | 470.8 | 123396.5 | 34.7 | 8199.6 | 4396.8 | 378098.8 |
| 1920 წელი | | | | | | | | | | | | | |
| 1 | ამერიკა | - | - | 665.8 | 45942.5 | - | - | - | - | - | - | 665.8 | 45942.5 |
| 2 | აზერბაიჯანი | 16.2 | 26058.7 | 66.0 | 17467.9 | - | 260.0 | 37.0 | 94988.7 | 1.0 | 1152.0 | 120.2 | 139927.3 |
| 3 | ბათომი | 32.1 | 19247.0 | 265.1 | 33427.6 | - | - | 35.2 | 149245.2 | 1.5 | 489.0 | 333.9 | 202408.8 |
| 4 | ბელგია | 22.8 | 22813.0 | 625.8 | 16063.5 | - | - | - | - | - | - | 648.6 | 38876.5 |
| 5 | გერმანია | 12.3 | 12327.0 | - | - | - | - | - | - | - | - | 12.3 | 12327.0 |
| 6 | დაღესტანი | 0.1 | 691.5 | - | - | - | - | 0.4 | 15327.9 | - | - | 0.5 | 16019.4 |
| 7 | ევგიპტე | 46.6 | 46157.0 | - | - | - | - | - | - | - | - | 46.6 | 46157.0 |
| 8 | ჯაქათალა | - | 63.2 | - | - | - | - | - | 2035.3 | - | - | - | 21098.4 |
| 9 | ინგლისი | 232.6 | 232441.1 | 5758.8 | 297497.1 | - | - | 4.7 | 12830.0 | - | - | 5996.1 | 532768.2 |
| 10 | ისპანია | - | - | 32.0 | 21000.0 | - | - | - | - | - | - | 32.0 | 21000.0 |
| 11 | იტალია | 6.4 | 8968.0 | 1883.5 | 83462.2 | - | - | 0.4 | 13505.1 | - | - | 1890.3 | 105935.3 |
| 12 | ნეტრ. ზონა | 20.9 | 26560.9 | 5.2 | 6286.2 | - | - | 1.4 | 17934.0 | - | 30.0 | 27.5 | 50811.1 |
| 13 | ოსმალეთი | 120.9 | 152443.6 | 102.4 | 63681.5 | 2.6 | 10010.0 | 31.2 | 556330.7 | - | - | 257.1 | 784465.8 |
| 14 | პოლონეთი | - | - | 35.7 | 146.4 | - | - | - | - | - | - | 35.7 | 146.4 |
| 15 | რუმინია | 0.7 | 2688.0 | 55.0 | 5500.0 | - | - | - | - | - | - | 55.7 | 8188.0 |
| 16 | რუსეთი | 12.0 | 11031.3 | 205.9 | 32068.8 | - | - | 3.9 | 36544.7 | - | - | 221.8 | 79644.8 |
| 17 | საბერძნეთი | - | 50.0 | 2.4 | 160.0 | - | - | 0.5 | 1125.0 | - | - | 2.9 | 1335.0 |
| 18 | საფრანგეთი | 1.0 | 3700.0 | 222.2 | 7.2356.4 | - | - | 2.3 | 43316.0 | - | - | 225.5 | 119372.4 |
| 19 | სომხეთი | 49.5 | 43176.8 | 14.2 | 6710.7 | 0.1 | 45.0 | 51.8 | 100941.1 | 0.6 | 874.0 | 116.2 | 151747.6 |
| 20 | ჰოლანდია | 1.3 | 1254.0 | 1682.2 | 127834.1 | - | - | - | - | - | - | 1683.3 | 129088.1 |
| 21 | დანარჩ. ქვეყნები | 99.0 | 84007.1 | 113.1 | 10479.9 | - | - | 24.9 | 38198.4 | - | - | 237.0 | 132685.4 |
| | სულ | 674.4 | 693678.2 | 11735.1 | 842084.8 | 2.7 | 10315.0 | 193.7 | 1072322.0 | 3.1 | 2545.0 | 12609.0 | 2620945.0 |

119

¹ სტატისტიკური კრებული (1909-1921წწ.), გვ. 55-57.

შენიშვნა: აქ და 46 ცხრილში ცალკე გამოყოფილია ბათუმი, ზაქათალა და ნეი.არ ზონა რადგან 1920 წ. პირველ თვეებში ბათუმი ინგლისის ხელში იმყოფებოდა, ხოლო ზაქათალა და ნეიტრ. ზონა 1920 წ. სადაო ტერიტორიებად ითვლებოდა ა საქართვე. და აზერბაიჯანს შორის, მეორე – საქართვე. და სომხეთს შორის.

შემოტანა
სახელმწიფოების და საქონლის მთავარი ჯგუფების მიხედვით (ათას ფუთ. და მან.).¹

ცხრილი 4

| რიგის | ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი | საარსებო საგნები | | ნედლი და ნახევრ. დამუშ. საგნები | | ცხოველები | | ნაწარმი | | დაუსახელებელი საგნ. | | სულ | |
|-------|------------------|------------------|----------|---------------------------------|----------|-----------|----------|---------|-----------|---------------------|----------|--------|-----------|
| | | ფუთ. | მანეთობ. | ფუთ. | მანეთობ. | ფუთ. | მანეთობ. | ფუთ. | მანეთობ. | ფუთ. | მანეთობ. | ფუთ. | მანეთობ. |
| | | 1 9 1 9 წ ე ლ ი | | | | | | | | | | | |
| 1 | აზერბაიჯანი | 1346.5 | 141162.8 | 876.3 | 68035.1 | 5.0 | 920.4 | 86.3 | 61752.4 | 5.4 | 21119.1 | 2319.5 | 292989.8 |
| 2 | ამერიკა | 7.5 | 2787.3 | - | 573.0 | - | - | - | 169.8 | - | - | 7.5 | 3530.1 |
| 3 | ანგლისი | 2.4 | 1246.6 | 5.2 | 2592.4 | - | - | 2.1 | 6121.1 | - | 40.0 | 9.7 | 10000.1 |
| 4 | იტალია | 10.8 | 2845.8 | 0.1 | 1259.9 | - | - | 6.2 | 36417.9 | - | 22.0 | 17.1 | 40545.6 |
| 5 | გერმანია | 0.5 | 28.1 | 0.2 | 400.2 | - | 6.3 | 0.9 | 5783.3 | - | 100.0 | 1,6 | 6317.9 |
| 6 | სომხეთი | 101.2 | 8885.8 | 15,6 | 2722.2 | 1.4 | 814.9 | 6.0 | 2439.9 | 0.2 | 409.3 | 124.4 | 15272.1 |
| 7 | სპარსეთი | 3.7 | 1125.4 | 0.4 | 2041.9 | - | - | 1.0 | 1713.9 | - | - | 5.1 | 4881.2 |
| 8 | საფრანგეთი | 0.3 | 168.9 | 1.0 | 4006.7 | - | - | 0.4 | 10390.0 | - | 141.9 | 1.7 | 14707.5 |
| 9 | ოსმალეთი | 38.6 | 24450.9 | 17.3 | 3887.9 | - | - | 11.8 | 10336.8 | - | 402.3 | 67.7 | 39077.9 |
| 10 | რუსეთი | 499.7 | 58250.1 | 163.4 | 35141.2 | 2.7 | 8980.3 | 58.8 | 33328.1 | 0.1 | 826.2 | 724.7 | 136525.9 |
| 11 | დანარჩ. ქვეყნები | 304.9 | 113664.2 | 170.2 | 53713.6 | 3.7 | 2386.8 | 199.8 | 173649.8 | 3.3 | 2145.3 | 681.9 | 345559.7 |
| | სულ | 2316.1 | 354615.9 | 1249.7 | 174373.1 | 12.8 | 13108.7 | 373.3 | 342103.0 | 9.0 | 25206.1 | 3960.9 | 909407.8 |
| | | 1 9 2 0 წ ე ლ ი | | | | | | | | | | | |
| 1 | ამერიკა | 107.6 | 975064.7 | 2.7 | 4865.4 | - | - | 9.0 | 81786.4 | - | - | 19.3 | 1061716.5 |
| 2 | აზერბეიჯანი | 321.7 | 91830.8 | 532.9 | 35101.2 | 0.1(130) | 2943.0 | 22.6 | 181852.5 | 0.1 | - | 877.4 | 311727.5 |
| 3 | ბათომი | 112.8 | 60166.0 | 22.6 | 15639.2 | - | 20.0 | 46.3 | 101554.7 | - | - | 181.7 | 177379.9 |
| 4 | ბელგია | - | - | - | 3.5 | - | - | 0.9 | 4890.0 | - | - | 0.9 | 4893.5 |
| 5 | გერმანია | - | 45.0 | 0.7 | 4215.0 | - | - | 13.6 | 86603.3 | - | - | 14.3 | 90863.3 |
| 6 | დალესტანი | 0.1 | 725.0 | 0.7 | 2962.1 | (2363) | 7414.0 | 0.8 | 19961.0 | - | - | 1.6 | 31062.1 |
| 7 | ზაქათალა | 8.3 | 16604.0 | 0.8 | 827.0 | (43) | 18121.0 | - | - | - | - | 9.1 | 35552.0 |
| 8 | ინგლისი | 28.1 | 51833.8 | 22.5 | 118442.3 | - | - | 104.8 | 230097.6 | - | - | 155.4 | 400373.7 |
| 9 | ისპანია | - | - | - | - | - | - | 0.6 | 1924.0 | - | - | 0.6 | 1924.0 |
| 10 | იტალია | 50.0 | 115898.1 | 36.7 | 151912.3 | - | - | 193.1 | 1451414.9 | - | - | 279.8 | 1719225.3 |
| 11 | ნეტრ. ზონა | 22.8 | 47724.1 | 1.6 | 1355.0 | 0.2(639) | 4666.4 | 0.8 | 4749.6 | - | - | 25.4 | 58495.1 |
| 12 | ოსმალეთი | 198.3 | 218888.6 | 3.1 | 14390.8 | (-8) | 79.0 | 14.4 | 77403.8 | - | - | 215.8 | 310762.2 |
| 13 | რუსეთი | 788.2 | 315517.3 | 23.1 | 31386.5 | (386) | 11570.0 | 37.6 | 54892.1 | - | - | 848.9 | 413365.9 |
| 14 | საბერძნეთი | 0.3 | 362.0 | - | 428.0 | - | - | 1.1 | 1450.5 | - | - | 1.4 | 2240.5 |
| 15 | საფრანგეთი | 10.0 | 31808.6 | 5.1 | 59461.9 | - | - | 12.2 | 99046.6 | - | - | 27.3 | 190317.1 |
| 16 | სომხეთი | 92.2 | 166802.4 | 31.5 | 9577.8 | (778) | 14600.0 | 19.1 | 63568.6 | 0.1 | - | 142.9 | 254548.8 |
| 17 | სპარსეთი | 24.3 | 10536.6 | 0.2 | 241.0 | - | - | 0.2 | 616.4 | - | - | 24.7 | 11394.0 |
| 18 | ფინლანდია | - | - | - | - | - | - | 3.2 | 9700.0 | - | - | 3.2 | 9700.0 |
| 19 | შვეიცარია | - | - | - | 200.0 | - | - | 0.4 | 1583.0 | - | - | 0.4 | 1783.0 |
| 20 | შვეიცია | - | - | - | - | - | - | 8.7 | 11844.2 | - | - | 8.7 | 11844.2 |

¹ სტატისტიკური კრებული (1909-1921 წწ.), გვ. 56-58

| | | | | | | | | | | | | | |
|----|---------------------|--------|-----------|-------|----------|-----------|---------|-------|-----------|-----|---|--------|-----------|
| 21 | ჩინეთი | 1.7 | 10660.9 | - | - | - | - | - | - | - | - | 1.7 | 10660.9 |
| 22 | დანარბ. ქვეყნები | 27.8 | 18449.7 | 5.6 | 5824.8 | (44) | 925.0 | 38.1 | 64053.5 | - | - | 71.5 | 89253.0 |
| | სულ | 1794.2 | 2132917.6 | 689.8 | 456833.8 | 0.3(4461) | 60338.4 | 527.5 | 2548992.7 | 0.2 | - | 3012.0 | 5199082.5 |

საგარეო ვაჭრობა საქართველოსი 1918-1920 წლებში ფუტობით.¹

| რიგის | საქონლის დასახელება | გ ა ტ ა ნ ა | | | შ ე მ ო ტ ა ნ ა | | |
|-------|--|-----------------------|---------|--------|-----------------------|---------|---------|
| | | ივლის ც დეკემბ. | 1919 | 1920 | ივლის ც დეკემბ. | 1919 | 1920 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | I. საარსებო საგნები | 401398 | 2585199 | 674352 | 134687 5 | 2316068 | 1794227 |
| 1 | ხორბალი | - | 301 | 1785 | 126325 | 124222 | 16941 |
| 2 | სიმინდი | - | 30906 | 2025 | - | 5705 | 64353 |
| 3 | ქერი | - | - | 732 | - | - | 84113 |
| 4 | დანარჩენი პურ. მარც | - | - | - | - | - | 783 |
| 5 | ფქვილი ხორბლის | 1030 | 29335 | 13621 | 17645 | 499702 | 198583 |
| 6 | « დანარჩ. პურეული | - | - | 947 | - | - | 618 |
| 7 | ბრინჯი | - | 20352 | 4964 | 600 | 130126 | 98075 |
| 8 | კარტოფილი | - | 10 | - | - | 1185 | 10441 |
| 9 | კარტოფილის ფქვილი | - | - | - | - | 6217 | 184 |
| 10 | მარილი | - | 47182 | 10135 | 769889 | 257987 | 853561 |
| 11 | ბოსტნეული ყოველი | 4900 | 75803 | 9311 | 52745 | 166727 | 2768 |
| 12 | ლიმონი და მანდარინი | - | - | 7051 | 3830 | 19815 | 8375 |
| 13 | ხილი ნედლი | 42897 | 1495066 | 93365 | 75449 | 248686 | 14047 |
| 14 | ხილი გამხმარი | - | 66242 | 2066 | 1288 | 210260 | 9774 |
| 15 | თხილი და კაკალი | - | 17864 | 21583 | - | 41309 | 11343 |
| 16 | ხორცი და ქონი ყოველი | - | 476 | - | - | 7029 | 628 |
| 17 | რძე და მისი ნაწარმი | - | 1417 | 51 | - | 65882 | 20904 |
| 18 | კვერცხი | - | - | - | - | - | 58 |
| 19 | შაქარი ნამტ. და ფხვ. | 17070 | 82988 | 6055 | 7668 | 114431 | 119186 |
| 20 | სახარინი | - | - | - | - | - | 31 |
| 21 | თაფლი | - | 350 | 37 | - | 797 | 1166 |
| 22 | საკონდიტრო ნაწ. ყოველი | 10 | 2727 | 1380 | - | 13760 | 1793 |
| 23 | თევზი ყოველგვარი | - | 24791 | 4135 | 7215 | 280759 | 168557 |
| 24 | ხიზილალა | - | 59 | 108 | 894 | 4128 | 245 |
| 25 | კონსერვები ყოველგვარი | - | 3356 | - | - | 411 | 3698 |
| 26 | ყოველგვარი. შემხ. საქმ. | 26200 | 692 | 4 | - | 1757 | 4862 |
| 27 | თამბაქო | 64026 | 265326 | 431363 | - | 17351 | 13 |
| 28 | თამბაქოს ნაწარმი | - | 26754 | 11236 | - | 53 | 10 |
| 29 | კაკაო | - | - | - | - | - | 1602 |
| 30 | ყავა | - | - | 70 | - | - | 3071 |
| 31 | ჩაი | 138314 | 16722 | 6052 | 26 | 3129 | 4783 |
| 32 | ღვინო | 6946 | 309340 | 20362 | 280538 | 68053 | 72318 |
| 33 | სპირტი და დანარჩ. სპირტიანი სას- მელი | 730 | 727 | 14282 | 2763 | 15902 | 12962 |
| 34 | ბორჯომის წყალი | 99275 | 43877 | 8293 | - | - | - |

¹ სტატისტიკური კრებული (1909-1921 წწ.), გვ. 66.

| | | | | | | | |
|----|---|--------|---------|----------|--------|---------|--------|
| 35 | დანარჩენი საარსებო საგნები | - | 22536 | 3339 | - | 11185 | 4381 |
| | II. ნედლი და ნახევრად დამუშავ. საგნები | 488197 | 1297859 | 11735124 | 348026 | 1249708 | 689773 |
| 36 | ხე-ტყე | - | 7591 | 240474 | - | 1881 | - |

ცხრილი 5 (გაგრძელება)

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|----|--|--------|---------|----------|--------|---------|-----------|
| 37 | შეშა | - | 3000 | - | - | - | - |
| 38 | თესლი ყოველგვარი | - | - | 3 | - | - | 73375 |
| 39 | ზეთი მცენარეულობის | - | 6936 | - | - | 81987 | 1004 |
| 40 | მცენარეული ყოველგვარი | - | 424 | 120 | - | 37707 | 1946 |
| 41 | თივა და ბზე | - | 4741 | 10669 | - | 1372 | 20934 |
| 42 | ბამბა | - | 5018 | - | - | 514 | 51 |
| 43 | ტყავი და ბეწვიანი | - | 14 | 46943 | 356 | 468 | - |
| 44 | « დამუშავებული | - | 42173 | 1192 | - | 65637 | 15002 |
| 45 | « დამუშავებელი | - | - | 581 | - | 2789 | - |
| 46 | ჯაგარი | - | - | 3420 | - | - | 147 |
| 47 | ძირტკბილა | - | - | - | - | - | - |
| 48 | აბრეშუმის პარკი და ძაფი | - | 6783 | 5197 | - | 53 | - |
| 49 | მატყლი | - | 51056 | 1800 | - | 3641 | 1712 |
| 50 | ცემენტი | - | 515 | 1038 | - | 18871 | 7063 |
| 51 | ცარცი, კირი და თიხა | - | 917 | 17012 | - | 2506 | - |
| 52 | ქვა უბრალო და წისქვილის | - | 97 | 771 | - | 2422 | 871 |
| 53 | ქვანახშირი | 483812 | 13922 | 676877 | - | 2474 | 5583 |
| 54 | ხის ნახშირი | - | 9060 | 5690 | - | 100 | 44 |
| 55 | შავი ქვა | - | 1030000 | 10506886 | - | - | - |
| 56 | რკინა უხმარი | - | - | 180 | - | 42946 | 7578 |
| 57 | ფოლადი | - | - | - | - | 143 | 534 |
| 58 | სპილენძი | - | - | 1133582 | - | 2845 | - |
| 59 | დანარჩენი ლითონი უხმარი | - | 8008 | - | - | 4343 | 3580 |
| 60 | ნავთი | 4385 | 70140 | 68539 | 299761 | 798081 | 454545 |
| 61 | ბენზინი | - | - | - | 6176 | - | 13619 |
| 62 | მანქანის ზეთი | - | 3641 | - | 1039 | - | 2321 |
| 63 | მაზუთი | - | 1512 | 126 | - | - | - |
| 64 | გოგირდი | - | 1049 | - | 28435 | - | - |
| 65 | შაბიამანი | - | 2019 | 196 | - | 70313 | 23048 |
| 66 | საღებავები | - | 35 | 3638 | - | 9543 | 3697 |
| 67 | ქიმიური და საფარმაც. საგნები | - | 5563 | 240 | - | 48922 | 23895 |
| 68 | სოდა ყოველგვარი | - | 4127 | - | 40017 | 8081 | - |
| 69 | წელები | - | - | - | - | - | - |
| 70 | დანარჩ. ნედლი და ნახევ. დამუშ. საგნ... | - | 19518 | 29951 | 677 | 13634 | 16812 |
| | III. ცხოველები | - | 1140 | 2712 | (1284) | 12836 | 270(4461) |
| 71 | ცხენი | - | 609 | 2712 | - | 20(271) | (109) |
| 72 | ძროხა | - | - | - | - | - | (82) |
| 73 | ცხვარი | - | - | - | - | - | (3353) |

| | | | | | | | |
|----|---|-------|---------|-------------|--------|--------|----------|
| 74 | დანარჩენი ცხოველები | - | 531 | - | (1284) | 12816 | 270(917) |
| | IV. საქარხნო-საფაბრიკო და ხელოსნობის ნაწარმი | 79281 | 478015 | 193725 | 8630 | 373261 | 527530 |
| 75 | აგური და კრამიტი | - | - | 5850(11200) | - | 26 | - |
| 76 | ფაიანსის ნაწარმი | - | - | - | - | 1767 | 841 |
| 77 | ფარფორის ნაწარმი | - | 10(339) | - | - | - | 806 |
| 78 | თიხისა და სხვა ჭურჭელი | - | 600 | 8861 | - | 688 | 1835 |
| 79 | ფანჯრის შუშები | - | - | 26(150) | - | - | - |

ცხრილი 5 (გაგრძელება)

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|-----|--------------------------------------|-------|--------|-----------|------|-------|--------|
| 80 | მინის ნაკეთობანი | - | 57360 | 1701(500) | - | 29262 | 11761 |
| 81 | ნაწარმი რკინის | - | 17921 | 911(30) | - | 7303 | 16625 |
| 82 | « სპილენძის | - | 3416 | 29 | - | 1729 | 4728 |
| 83 | « თუჯის | - | 3 | - | - | 998 | 212 |
| 84 | « ფოლადის | - | 112 | - | - | 474 | - |
| 85 | | - | 1857 | 392 | - | 933 | 258 |
| 86 | | - | - | - | - | 12478 | 1656 |
| 87 | მავთულის ნაწარმი | - | - | - | - | 18312 | 6426 |
| 88 | დარაჩენი ნაწარმი ლითონისა | - | 84 | 120 | - | 965 | 9783 |
| 89 | ხელოსნობის ნაწარმი | - | - | 4647 | - | - | 5961 |
| 90 | სასოფლ. სამ. მანქანები და ხელსაწყ. | - | - | 10610 | - | - | 11085 |
| 91 | მანქანები და მისი ნაწილები | - | 3944 | 160(332) | - | 3184 | - |
| 92 | საოჯახო ნივთები | - | 206453 | 61909 | - | 1982 | 10866 |
| 93 | სადურგლო ნაწარმი | 79281 | 44499 | 20061 | - | 16803 | 2258 |
| 94 | დანარჩენი ნაწარმი ხისა | - | - | - | - | - | 17593 |
| 95 | რეზინის ნაწარმი | - | - | - | - | - | 1556 |
| 96 | ქაღალდი და კარტონი | - | 94 | 3837 | - | 88301 | 23760 |
| 97 | ქაღალდის და კარტონის ნაწ. | - | 9121 | 92 | - | 18805 | 22904 |
| 98 | ქაღალდი პაპიროსის | - | 2802 | 763 | 3203 | 2098 | 6736 |
| 99 | ფეხსაცმელი ყოველგვარი | - | 1671 | 17 | 2050 | 670 | 7031 |
| 100 | ტყავის ნაკეთობანი | - | 4275 | 6 | - | 3060 | 2748 |
| 101 | თოკი და ბაწარი | - | 232 | - | - | 6902 | - |
| 102 | ბრეზენტი და ტომარა | - | 16102 | 660 | - | 6383 | 10215 |
| 103 | ტილო | - | 15 | - | - | 2435 | 186 |
| 104 | აბრეშუმის და ნახევ. აბრეშუმ. ქსოვილი | - | 127 | 6 | - | 1402 | 621 |
| 105 | ბამბის ქსოვილები | - | - | 1334 | 430 | 43341 | 122402 |
| 106 | შალის ქსოვილები | - | 681 | - | - | 1931 | 5991 |
| 107 | დანარჩენი მანუფაქტურა | - | 25983 | 399 | - | 11261 | 38806 |
| 108 | ნაბადი | - | 204 | 1434 | - | 965 | 1055 |
| 109 | ხალიჩები | - | 4444 | 33971 | - | 4821 | 5839 |
| 110 | ტანსაცმელი | - | - | 300 | - | 1261 | 5766 |
| 111 | საკოსმეტიკო საქ. | - | - | 117 | - | 6152 | 344 |
| 112 | საპონი კოსმეტიკის | - | - | 164 | - | - | 2738 |
| 113 | « სარეცხის | - | 16179 | 2189 | - | 23294 | 16164 |
| 114 | საგალანტ. საგნები | - | 25 | - | - | 5856 | 6965 |
| 115 | საკანც. ნივთები | - | 744 | 4312 | - | 12066 | 11013 |

| | | | | | | | |
|-----|---------------------------------|---|---------|---------|------|--------|---------|
| 116 | მათემატ. იარაღები და ელექტ. მოწ | - | 150 | 21 | - | 1217 | 38298 |
| 117 | დანის საქონელი | - | - | - | - | 406 | 1043 |
| 118 | პიანინო და როიალი | - | - | 1156(2) | - | - | - |
| 119 | დანარჩენი მუს. ინსტრუმენტები | - | 415 | 327(4) | - | 226 | 385 |
| 120 | ეტლები | - | 791(61) | - | - | 798(2) | 437 |
| 121 | ველოსიპედი და მოტოციკლი | - | - | - | - | - | 56(12) |
| 122 | ავტომობ. და მისი ხელსაწყო | - | 999(2) | 205 | - | 79 | 4326 |
| 123 | პოვოზკ. და სხვ. მიმოსვ. საშ. | - | - | 2407 | - | - | 55(11) |
| 124 | ნავი | - | - | - | 2757 | 677 | 9514 |
| 125 | სანთელი | - | 36 | - | - | 4688 | 2910 |
| 126 | წუმწუმა | - | 31201 | 2708 | 190 | 15834 | 84 |
| 127 | ფოტოგრაფ. მოწყ. | - | - | - | - | 177 | 1878384 |

ცხრილი 5 (გაგრძელება)

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|-----|-------------------------|---------|---------|----------|---------|---------|---------|
| 128 | დანარჩენი ნაკეთობა | - | 25465 | 22033 | - | 11071 | 56085 |
| | V. დაუსახელებელი | 230471 | 34682 | 3126 | 233115 | 9003 | 168 |
| | სულ | 1198347 | 4396895 | 12609039 | 1936646 | 3960876 | 3011968 |

შენიშვნა: ცხრილში არ შედის 1921 წ. სოხუმის საბაჟოთი გატანილი და შემოტანილი საქონელი. 1921 წ. ჯამებში შედის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შემოტანილი და გატანილი საქონელიც. ფრჩხილებში მოყვანილი რიცხვები აღნიშნავენ საქონლის რაოდენობას ცალობით.

საქონლის იმპორტმა იმატა ბათუმიდან, ფოთიდან, შავი ზღვის სხვა საბაჟოებიდან კი იკლო, რაც აიხსნება დენიკინთან ომებით. საერთოდ კი საქონლის ექსპორტ-იმპორტზე გავლენას ახდენს ადგილობრივი ბაზარი. სავაჭრო ოპერაციების გადიდება დამოკიდებულია საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე, მიმოსვლაზე, დაქირავებულთა ხელფასზე. იმპორტირებული საქონლიდან მიღებული შემოსავალი პერიოდულად იზრდებოდა. ასე მაგალითად, 1918 (მაისი) – 1919 (მაისი) წლებში საბაჟო და სხვა გადასახადების სახით შემოსულა 13,0 მლნ-მდე მანეთი (იხ. ცხრილი 6)²⁴⁴.

ცხრილი 6

| წელი | თვე | ბაჟი | სხვა გადასახადი |
|--------|------------|-----------|-----------------|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1918 წ | მაისი | – | 28 მ |
| « | ივნისი | 1306 01 | 940 მ 91 კ |
| « | ივლისი | 19814136 | 3839 მ 44 კ |
| « | აგვისტო | 48692489 | 233611 მ 64 კ |
| « | სექტემბერი | 115066408 | 324076 მ 95 კ |
| « | ოქტომბერი | 105358856 | 429307 მ 19 კ |
| « | ნოემბერი | 89395777 | 327329 მ 27 კ |
| « | დეკემბერი | 94699771 | 329597 მ 42 კ |
| 1919 | იანვარი | 62960865 | 243696 მ 30 კ |
| « | თებერვალი | 85254867 | 335296 მ 80 კ |
| « | მარტი | 89333003 | 472396 მ 12 კ |
| « | აპრილი | 141176661 | 573487 მ 51 კ |
| « | მაისი | 69934422 | 402395 მ 45 კ |
| | სულ | 921817316 | 3686002 მ 99 კ |

¹გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №220, 1 ოქტომბერი, 1919 წელი.

| | | | |
|--|------|--|-----------------|
| | ჯამი | | 12904176 მ 15 კ |
|--|------|--|-----------------|

ფინანსთა სამინისტროს ცნობების თანახმად,²⁴⁵ ირკვევა, რომ 1919 წლის ივნისიდან 1920 წლის 31 მაისამდე ქვეყნის ხაზინაში საბაჟო გადასახადის სახით შევიდა 40.890.188 მან, ნაცვლად პროგნოზირებული 24.500.000 მანეთისა ფაქტობრივად, აღნიშნული შემოსავალი იყო მეტი, რადგანაც თანხის ნაწილი უწყების მიმდინარე ხარჯებს მოხმარდა. ასეთი მატება დიდწილად განაპირობა ახალი საბაჟო ტარიფის შემოღებამ. ამ პერიოდში შემოსავლების მიხედვით პირველ ადგილზე იყო თბილისის (72.161.718 მან), მეორეზე ფოთის (6.098.836 მან), მესამეზე კი სოხუმის (2.110.927 მან) ხაზინა.

მიუხედავად საქართველოს საბაჟოების მიერ მიღებული მკაცრი ზომებისა კონტრაბანდისტები მაინც ახერხებდნენ ნებადაურთველად და უბაჟოდ საქონლის ჩვენს რესპუბლიკაში შემოტანასა და აქედან გატანას. კონტრაბანდისტები იღებდნენ საქონლის გამცვლელი კომიტეტისაგან ნებართვას ერთ რომელიმე საქონლის გატანაზე და ამ ნებართვით კი ცდილობდნენ გაეტანათ სხვა საქონელი. მაგალითად, თუთუნის ნაცვლად გაჰქონდათ საპირე ტყავი. რაც უცხოეთის ემელონებმა დაიწყეს საქართველოს ტერიტორიაზე მიმოსვლა, კონტრაბანდისტები მათთან კავშირში ეზიდებოდნენ კონტრაბანდულ საქონელს უმთავრესად სურსათის სახით. ასეთ ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდნენ უცხოელი ჯარისკაცებიც. ისინი აკრძალულ საქონელს აწყობდნენ თავიანთ ვაგონებში თავიანთთვის საჭირო სურსათის სახელწოდებით. ამის საწინააღმდეგოდ საბაჟოს მიერ ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები. მაგალითად, თუ თბილისიდან გასატან საქონელს აკონტროლებდნენ, იგივე საქონელს აკონტროლებდნენ ყველა მოსაზღვრე საბაჟოებიც. გარდა ამისა, საბაჟოს მოხელის მოსყიდვის თავიდან ასაცილებლად მთავარი საბაჟო მათ ხშირად უცვლიდა სამუშაო ადგილს. მთავარ საბაჟოს ჰყავდა აგენტურაც, რომელიც მას წინასწარ ატყობინებდა მოსალოდნელი კონტრაბანდის შესახებ.

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №155, 14 ივნისი, 1920 წელი.

ქართული საბაჟოების დაარსების დღიდან შედგა 600-ზე მეტი კონფისკაციური საქმე (შეფასებით 3 321 443 მ 78 კ), აქედან ნახევარზე მეტი შედგენილია მოქმედების ფარგლებში, სხვა კი მისი მოქმედების ფარგლებს გარეთ. ასეთი საქმეების ნაწილი სასამართლოს გადაეცა განსახილველად, უფრო დიდი ნაწილი კი განხილულია საბჭოს მიერ შემდგომი რეაგირებისათვის. ჯარიმების გადახდევინების შედეგად საკმაო თანხები შედიოდა ქვეყნის ხაზინაში. უფრო მეტად კონტრაბანდული იყო: შაქარი, მომპასი, ჩაი, მედიკამანტები, მაგარი სასმელები და ღვინო, ფართალი, კაკალი და თხილი, ერბო, თუთუნი, პაპიროსის ქაღალდი, საპონი, ტყავი, ფქვილი და სხვა წვრილმანი საქონელი. კონტრაბანდა ზოგჯერ შემთხვევით, ზოგჯერ კი სისტემატურ ხასიათს ატარებდა.

ამგვარად, ომიანობის დასრულებას, მეზობელ რესპუბლიკებში მშვიდობის დამყარების პირობებში, უსაფრთხო მიმოსვლის საზღვრებიც მტკიცედ იქნებოდა დაცული და საბაჟოების მოქმედებაც უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდებოდა.

4.4. სტატისტიკური აღრიცხვის ორგანოს და უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს შექმნის შესახებ

ყოველ ქვეყანაში უნდა არსებობდეს სპეციალური სტატისტიკური სამსახური, რომელიც თავს მოუყრის ეკონომიკის სფეროში მიმდინარე პროცესების ამსახველ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის სტატისტიკურ მაჩვენებლებს, რომელიც ქვეყნის მომავალი განვითარების პროგნოზირებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ასეთი მოთხოვნა, ბუნებრივია, გაჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებისთანავე.

სტატისტიკური სამსახურის დაარსებაზე მსჯელობა დაიწყო 1918 წლის 5 ნოემბრიდან საქართველოს პარლამენტში, კერძოდ, მას შემდეგ, რაც დაიწყო კანონპროექტის «აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული სტატისტიკის შედგენის» შესახებ განხილვა. მომხსენებელმა დ. ონიაშვილმა აღნიშნა, რომ «მიწათმოქმედების სამინისტრო თხოულობს

სტატისტიკური განყოფილების დაარსებას»²⁴⁶ ამავე სამინისტროს დაქვემდებარებაში. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს გამომსვლელებმა: თ. ღლონტმა, მ. მაჩაბელმა, პ. გელაშვილმა (მიწათმოქმედების მინისტრის მოადგილე), კ. ნინიძემ, თუმცა, ამ უკანასკნელის აზრით, მომავალში უმჯობესი იქნებოდა დაარსებულიყო «მუდმივი სტატისტიკური დაწესებულება»²⁴⁷.

განსხვავებული შეხედულებისა იყო გ. ვეშაპელი, რომელიც თვლიდა, რომ მიწათმოქმედების სამინისტრო ისედაც ვერ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას და დამატებითი ფუნქციების მინიჭება კი კიდევ უფრო გაართულებდა მის მუშაობას. ალ. ასათიანის აზრით, ამ სამსახურისათვის საჭირო თანხების გამოყოფა სახელმწიფო ხაზინას გაუჭირდებოდა. მანამდე დ. ონიაშვილმა მოითხოვა, რომ «გადაიდოს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებაში სამას ოთხმოცდა თერთმეტი ათას ექვსასი (391.600) მანეთი, აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის მოსაწყობად»²⁴⁸.

კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღეს. საბოლოოდ კი 15 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც მიწათმოქმედების სამინისტროსთან დაარსდა სტატისტიკის დროებითი ბიურო, რომლის ფუნქციონირებისათვის გამოიყო ზემოაღნიშნული თანხები. ამ სტრუქტურის საშტატო განრიგი განისაზღვრა შემდეგნაირად: ერთი გამგე (ხელფასი თვეში 900 მანეთი), ერთი სტატისტიკოსი (760 მანეთი), ერთი ინსტრუქტორი (650 მანეთი), ერთი კონტროლიორი (550 მანეთი).²⁴⁹

სტატისტიკურ სამსახურს დაევალა: 1917 წლის საადგილმამულო და სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების შემუშავება; მიწის ფონდის აღრიცხვა; მიწის ფონდის განაწილების ნორმების განსაზღვრა და სხვ.²⁵⁰

ამგვარად, დამოუკიდებელ საქართველოში პირველად შეიქმნა სტატისტიკის სპეციალური სამსახური განსაზღვრული ფუნქციებით,

¹ საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში), 56-ე სხდომა, 1918 წელი, გვ. 13.

² იქვე, გვ. 28.

³ იქვე, გვ. 36.

⁴ საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში), 61-ე სხდომა, 1918 წელი, გვ. 4.

⁵ იქვე, გვ. 3.

დაფინანსებით, მაგრამ არა დამოუკიდებელ უწყებად, არამედ ერთ-ერთი სამინისტროს შემადგენლობაში.

შემდგომი ნაბიჯი სტატისტიკური ორგანოს უფრო მაღალ რანგში აყვანის მიზნით განხორციელდა 1919 წლის 25 ივლისს, მას შემდეგ, რაც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი «ცენტრალური სასტატისტიკო კომიტეტის დაარსების»²⁵¹ შესახებ, რომლის მიხედვითაც დაარსდა «რესპუბლიკის ცენტრალური სასტატისტიკო კომიტეტი» (დამტკიცდა თანდართული დებულება),²⁵² მისი ფუნქციონირებისათვის გამოიყო «ყოველ წლიურად სახელმწიფო ხაზინიდან 1.099.800 მანეთი, დამტკიცდა საშტატო განრიგიც (იხ. ცხრილი 1)²⁵³.

დამფუძნებელ კრებაზე დიდი კამათი გაიმართა იმის შესახებ თუ ვის უნდა დაქვემდებარებოდა სტატისტიკის კომიტეტი. იურდიული და თვითმმართველობის, ასევე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიები, დამფუძნებელი კრების ცალკეული წევრები: ი. ფირცხალაიშვილი, ი. ირემაშვილი და ს. კედია, მოითხოვდნენ კომიტეტის მთავრობის დაქვემდებარებაში შეყვანას, რამეთუ იგი უფრო თავისუფალ ფუნქციონირებას შესძლებდა, ვიდრე რომელიმე ერთი სამთავრობო სტრუქტურის დაქვემდებარებაში. თუმცა, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის, აგრეთვე, დამფუძნებელი წევრის გ. ცისკარიშვილის მოსაზრებით, უფრო გამართლებულია კომიტეტის დაარსება მიწათმოქმედების სამინისტროსთან, რამეთუ ამ სამინისტროში დაგროვილი გამოცდილება ხელს შეუწყობდა აგრარული რეფორმის წარმატებით განხორციელებას²⁵⁴. საბოლოოდ, ასეთი პოზიცია იქნა გაზიარებული.

ცხრილი 1

«შტატი ცენტრალური სასტატისტიკო კომიტეტისა»

| თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა | თ ი თ ო ს | | ყ ვ ე ლ ა ს | |
|---|-----------|-----------|-------------|-----------|
| | თვეში | წელიწადში | თვეში | წელიწადში |
| ცენტრალური სასტატისტიკო კომიტეტის გამგე | 2.000 | 24.000 | 2.000 | 24.000 |
| ჯამი | | | 2.000 | 24.000 |

¹ კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, №12, 1919 წელი, გვ. 192.

² საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში), 61-ე სხდომა, 1918 წელი, გვ. 4.

³ იქვე, გვ. 195-197.

⁴ საქართველოს დამფუძნებელთა კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), 36-ე და 38-ე სხდომები, 1919 წელი, გვ. 5-7.

| | | | | |
|---|-------|--------|--------|-----------|
| განყოფილება საადგილმამულო, სასოფლო, სამეურნეო და ერობის სტატისტიკისა: | | | | |
| განყოფილების გამგე | 1.600 | 19.200 | 1.600 | 19.200 |
| 1 სტატისტიკოსი | 1.350 | 16.200 | 1.350 | 16.200 |
| 2 კონტროლიორი | 1.125 | 13.350 | 2.250 | 27.000 |
| 10 მონაგარიშე | 750 | 9.000 | 7.500 | 90.000 |
| ჯამი | | | 12.700 | 152.400 |
| განყოფილება შრომისა და ვაჭრობა-მრეწველობის სტატისტიკისა: | | | | |
| განყოფილების გამგე | 1.600 | 19.200 | 1.600 | 19.200 |
| 1 სტატისტიკოსი | 1.350 | 16.200 | 1.350 | 16.200 |
| 2 კონტროლიორი | 1.125 | 13.500 | 1.125 | 13.500 |
| 6 მონაგარიშე | 750 | 9.000 | 4.500 | 54.000 |
| ჯამი | | | 8.575 | 102.900 |
| განყოფილება სასურსათო და სატრანსპორტო სტატისტიკისა: | | | | |
| განყოფილების გამგე | 1.600 | 19.200 | 1.600 | 19.200 |
| 1 სტატისტიკოსი | 1.350 | 16.200 | 1.350 | 16.200 |
| 2 კონტროლიორი | 1.125 | 13.500 | 1.125 | 13.500 |
| 4 მონაგარიშე | 750 | 9.000 | 3.000 | 36.000 |
| ჯამი | | | 7.075 | 84.900 |
| განყოფილება მცხოვრებთა სტატისტიკისა და ქალაქებისა: | | | | |
| განყოფილების გამგე | 1.600 | 19.200 | 1.600 | 19.200 |
| 1 სტატისტიკოსი | 1.350 | 16.200 | 1.350 | 16.200 |
| 2 კონტროლიორი | 1.125 | 13.500 | 1.125 | 13.500 |
| 3 მონაგარიშე | 750 | 9.000 | 2.250 | 27.000 |
| ჯამი | | | 6.325 | 75.900 |
| კანცელარია: | | | | |
| 1 საქმისმწარმოებელი | 1.125 | 13.500 | 1.125 | 13.500 |
| 1 ექსპედიტორი | 825 | 9.900 | 825 | 9.900 |
| 1 გადაამწერი | 600 | 7.200 | 600 | 7.200 |
| 2 შიკრიკი | 600 | 7.200 | 1.200 | 14.400 |
| ჯამი | | | 3.750 | 45.000 |
| ცენტრალური სასტატისტიკო საბჭო: | | | | |
| 1 მდივანი | 600 | 7.200 | 600 | 7.200 |
| ჯამი | | | 600 | 7.200 |
| მომსახურება საგზაო ხარჯები | | | | |
| ბინის ქირა | | | | 3.000 |
| ტელეფონისა | | | | 9.000 |
| განათებისა | | | | 2.000 |
| გათბობისა | | | | 2.000 |
| წიგნსაცავის შექმნა, ჟურნალების დაბარება და სხვა | | | | 2.000 |
| საკანცელარიო ხარჯი | | | | 10.000 |
| მოულოდნელი ხარჯი | | | | 10.000 |
| ჯამი | | | | 49.900 |
| დაბეჭდვა მიმოხილვისა | | | | |
| ბლანკები და სხვა ხარჯი სტატისტიკისა | | | | 15.000 |
| ჯამი | | | | 95.000 |
| ადგილობრივი აგენტები | | | | |
| 17 მაზრისა და ქალაქის სტატისტიკოსი | 1.350 | 16.200 | 22.950 | 275.400 |
| დღიური და საგზაო მაზრის სტატისტიკოსებს (თვეში ათი დღის მუშაობის ვარაუდით 60 მან დღიურ სამუშაოვრდ) | 600 | 7.200 | 10.200 | 122.400 |
| 2 ქალაქის სტატისტიკოსი | 1.350 | 16.200 | 2.700 | 32.400 |
| 2 მოგზაური სტატისტიკოსი | 1.350 | 16.200 | 2.700 | 32.400 |
| ჯამი | | | 38.550 | 462.600 |
| სულ | | | 79.575 | 1.099.800 |

ვფიქრობ, რომ სტატისტიკური ორგანოს ერთი უწყების დაქვემდებარებებში მოქცევა გაუმართლებელია და მისი მუშაობა უფრო ეფექტური იქნება თუკი იარსებებს საერთოდ დამოუკიდებელი სახით.

დებულების შესაბამისად, რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტს განესაზღვრა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელოვანი სტატისტიკური სამუშაოების წარმოების ფუნქციები ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურების საერთო ხელმძღვანელობის პირობებში. კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავდა და ანთავისუფლებდა რესპუბლიკის მთავრობა. იგი ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა: 1. საადგილმამულო, სასოფლო სამეურნეო და ერობის სტატისტიკის; 2. შრომის და ვაჭრობა-მრეწველობის; 3. სატრანსპორტო და სასურსათო და 4. მცხოვრებთა და ქალაქთა სტატისტიკისა. განყოფილებათა გამგეებს ნიშნავდა და ანთავისუფლებდა მიწათმოქმედების მინისტრი სტატისტიკის კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით. სხვა მუშაკები ინიშნებოდნენ კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

ცენტრალურ სტატისტიკური კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა ცენტრალური სტატისტიკური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე, მოადგილე, განყოფილებათა გამგეები, თბილისის სტატისტიკური სამსახურის წარმომადგენელი, რესპუბლიკის ერობათა ერთობისა და ქალაქთა კავშირის მიერ არჩეული თითო წარმომადგენელი და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

სტატისტიკის საბჭოს კომპეტენციაში შედიოდა სტატისტიკის კომიტეტის წინადადებათა, სამუშაოების წარმოების პროგრამის ორგანიზაციის და ხარჯთაღრიცხვის შესახებ პროექტების, აგრეთვე, ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოების დაარსების და სხვა საკითხების განხილვა.

შემდგომში, ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის დაფინანსება გაიზარდა. ასე მაგალითად, 1920 წლის 20 თებერვალს

დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა მისი დაფინანსება 1671048 მანეთით, მუშაკთა რაოდენობა კი 63-ით²⁵⁵. ეს ადასტურებს, რომ უწყების ამოცანები გაიზარდა.

ამრიგად, დემოკრატიულ საქართველოში შეიქმნა დამოუკიდებელი ქვეყნისათვის აუცილებელი სტატისტიკური სამსახური, მაგრამ შეზღუდული უფლებებით და კომპეტენციით, რომელსაც არ გააჩნდა სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვებისათვის რეალური მექანიზმები, განსაკუთრებით კერძო სექტორიდან და იმთავითვე ცხადი იყო მისი მომავალი მუშაობის არაეფექტურობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკაზე განსაკუთრებულ მძიმე ზეგავლენას ახდენდა ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაციის ტემპების ზრდა და საერთოდ, ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. აუცილებელი იყო ქვეყანაში საკუთარი მრეწველობის, სამუშაო ძალების ამოქმედება, მოსახლეობის მოთხოვნილების დიდწილად საკუთარი რესურსებით დაკმაყოფილება. ქვეყნის სავაჭრო დეფიციტის დაძლევა და ფულის გაუფასურების შეჩერება.

ქვეყანაში გადაუდებელ აუცილებლობად იქცა ეკონომიკის გაჯანსაღება, მისი მომავალი განვითარების პროგნოზირება და ამ მიზნით – პროფესიონალთა ძალების გაერთიანება, მათი მუშაობის კოორდინირება. ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების გადასაწყვეტად მიზანშეწონილად ჩაითვალა უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს შექმნა, რომელსაც გარკვეულად დადებითი როლის შესრულება შეეძლო ამ მიმართულებით.

იმედოვნებდნენ, რომ უმაღლესი ეკონომიკური საბჭო ნაყოფიერად იმუშავებდა და ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე ეფექტურ ზემოქმედებას მოახდენდა. გათვალისწინებული იყო «საბჭოს» დადგენილებების სავალდებულო შესრულება (როგორც

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №56, 10 მარტი, 1920 წელი.

სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის მიერ), ამასთან თუ ასეთი დადგენილება ან მისი მოქმედება სადავო გახდებოდა, მაშინ იგი განიხილებოდა მთავრობის მიერ.

ეკონომიკური საბჭო უნდა ყოფილიყო უმაღლესი დაწესებულება, რომლის გარშემოც შეიკრიბებოდა რესპუბლიკის ყველა წამყვანი პროფესიონალი ძალა, რომლებიც შეადგენდნენ ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ (მათ შორის ფინანსურ) გეგმას. «საბჭოს» მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ კერძო სექტორის წარმომადგენლებსაც.

უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოში მუშაობის უკეთ კოორდინაციის მიზნით გათვალისწინებული იყო: სამი განყოფილება (წარმოების, ვაჭრობის, ფინანსების); უფლებანი; ოთხი სექცია (სახელმწიფო, მუნიციპალური, კოოპერატივების და კერძო «თაოსნობის» მეურნეობების); შემადგენლობა (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, მინისტრები, სახელმწიფო კონტროლიორი...); მუშაობის წესი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ორჯერ შეიქმნა პრეზიდენტთან არსებული «ეკონომიკური საბჭო», მაგრამ შედარება ცხადყოფს, რომ ამ უკანასკნელის ფუნქციები, კომპენტენცია აშკარად ვერ შეედრება «უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს» უფლება-მოვალეობებს, მაგრამ სამწუხაროა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში «საბჭოს მუშაობა არ ეწერა».

არქივში დაცული, მოპოვებული მასალების ანალიზით ირკვევა: პირველი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა და მოიწონა (1920წ. 9 სექტემბერი)²⁵⁶ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს დებულების პროექტი და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს გადასცა იგი (1920 წლის 28 ოქტომბერს)²⁵⁷ განსახილველად; მეორე, თავის მხრივ, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა (1920 წლის 1 ნოემბერი)²⁵⁸ პროექტი განსახილველად

¹სცსსა, ფონდი 1833; აღწერა 1, საქმე 78, ფურცელი 226.

²იქვე, ფურცელი 230.

³იქვე.

გადასცა საბიუჯეტო-საფინანსო და იურდიულ კომისიას...
ჯერჯერობით დოკუმენტი, თუ რა ბედი ეწია ამ საქმეს საბოლოოდ,
არ არის მიკვლეული.

უმაღლესმა ეკონომიკურმა საბჭომ ფუნქციონირება ვერ შეძლო,
რამეთუ სულ მალე საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ
ცნობილი მოვლენების გამო არსებობა შეწყვიტა. მიუხედავად ამისა,
«საბჭოს იდეები» აქტუალობას არ კარგავს. აქედან გამომდინარე
ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ არის საქართველოს საარქივო
მასალებში, ჩვენს მიერ მოპოვებული საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს დებულების
გამოქვეყნება (იხ. დანართი).

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებულია კვლევები ოთხი ძირითადი მიმართულებით: ქვეყნის ზოგადი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მთავრობის ეკონომიკური დეკლარაციები; სახელმწიფო მონოპოლიების შემოღება და აგრარული რეფორმა; სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება; სხვა ინსტიტუციური რეფორმები. კვლევის შედეგად მიღებულია შემდეგი დასკვნები:

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. პირველმა მსოფლიო ომმა მსოფლიოს, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას მძიმე დარტყმა მიაყენა: მოიშალა წარმოება, ფინანსური სისტემა, იმატა ინფლაციამ და ფასებმა, დაეცა მოსახლეობის ყიდვითუნარიანობა, გაუარესდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები. დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან საქართველოს მთავრობას უმწვავესი ფინანსურ-ეკონომიური კრიზისი უნდა დაეძლია, შეექმნა ეკონომიკის მართვის სათანადო ინსტიტუტების სისტემა, შემოეღო ეროვნული ვალუტა, ჩამოეყალიბებინა ეკონომიკური პოლიტიკის სწორი მიმართულებები. ჩატარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმებიც. მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ბოლო წლებშიც კი შეიქმნა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. ეკონომიკის განვითარებაზე მძიმედ ზემოქმედებდა ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაციის ზრდა, ინვესტიციების არასაკმარისობა, წარმოების არასათანადოდ განვითარება და ა.შ.;
2. დემოკრატიულ საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების სტრატეგიულ მიმართულებებად განისაზღვრა: ფინანსური მეურნეობის მოწესრიგება, დამოუკიდებელი ფულადი, მ. შ. საკუთარი ფულის მოჭრა და საბაჟო სისტემის შექმნა, სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება, ზოგიერთი სახის საქონლის

ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება, აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარება და სოფლის მეურნეობის აღორძინება, შიგა და საგარეო რესურსების მოზიდვა, საგადასახადო სისტემის სრულყოფა, მართვა-გამგეობის გამარტივება, სასამართლო რეფორმის დასრულება, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირება და შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა, კერძო ინსტიტუტების ხელშეწყობა, სპეკულაციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა და სხვ.;

3. სახელმწიფოს ბიუჯეტში მეტი თანხების მობილიზების მიზნით ქვეყანაში გამოცხადდა სახელმწიფო მონოპოლია: მარგანეცის (ჭიათურა), ფოთლოვანი თამბაქოს, მატყლის, აბრეშუმის პარკის (მაფის, ყაჭის) ექსპორტზე. ამასთან, სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა საბადოები (გარდა ქვიშისა, თიხისა, უბრალო სამშენებლო ქვისა), სამკურნალო მადნეული აბანოები, წყლები და ტალახები, გარდა ამისა, სახელმწიფო მონოპოლიას დაექვემდებარა: «სათამაშო ქაღალდები» (ლატარია...);
4. ვინაიდან საქართველო აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, სახელმწიფოს ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთ საფუძველს აგრარული რეფორმის სწორად წარმართვა წარმოადგენდა. აგრარული რეფორმა ორ ეტაპად წარიმართა: პირველი, მესაკუთრეებისათვის დადგენილ ნორმაზე მეტი მიწის ჩამორთმევა და მეორე, მიწის ფონდის დანაწილება და გლეხების საკუთრებაში სხვადასხვა ფორმით გადაცემა;
5. ეროვნულმა საბჭომ (1918 წ. 28 ივნისს) გადაწყვიტა სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის შემოღების აუცილებლობა. განსაზღვრა რომ: სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევდა ეროვნული საბჭო, იგი არ შედიოდა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში; სახელმწიფო კონტროლიორსა და მთავრობის შორის უთანხმოების საკითხებში, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა ეროვნული საბჭო. სახელმწიფოს კონტროლის

ფუნქციებად განისაზღვრა: წინასწარი, ფაქტობრივი და შემდგომი რევიზიების ჩატარება, ბიუჯეტის შედგენა-შესრულებაზე და ხაზინიდან გასაცემ თანხებზე კონტროლი. ამ სისტემაში კონტროლიორის თავმჯდომარეობით შეიქმნა «საერთო საკრებულო» გარკვეულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებით აღჭურვილი. კონტროლის პირველივე შემოწმებებმა ცხადყვეს სერიოზული დარღვევები სამხედრო, რკინიგზის, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში, რასაც მოჰყვა შესაბამისი რეაგირებაც;

6. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან დღის წესრიგში დადგა ეროვნული ვალუტის გამოშვების საკითხი, მაგრამ ამაოდ. მიმოქცევაში კვლავ რჩებოდა სხვადასხვა ვალუტა, მ. შ. «ამიერკავკასიის ბონები». საბოლოოდ, გადაწყდა ქართული «ბონების გამოშვება» (1919 წ. 12 ივლისი) დროებით, საკუთარი ფულის შემოღებამდე. ქართული ბონების გამოშვებით ამიერკავკასიის რესპუბლიკის ფორმალური ერთიანობა დაირღვა. იმატა ქართული ბონების ემისიებმაც, ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ «ბონი» არ გამოცხადდა ქვეყანაში ერთადერთ საგადასახდელო საშუალებად. საბოლოოდ, «ბონის» ღირებულება, სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორც საკუთარი, ასევე იმპორტირებული საქონლის მიმართ, სწრაფად დაეცა. ქვეყანამ იმ პერიოდში ვერ შეძლო საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღება;
7. დემოკრატიულ რესპუბლიკაში სახელმწიფო საბანკო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა მიენიჭა. რუსული კაპიტალით დაარსებული ბანკები რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა. მათ მიერ გაცემული ძირითადად მოკლევადიანი კრედიტები ვაჭრობის სფეროში მიმოიქცეოდა. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 31 დეკემბრის კანონით დაარსდა (გაიხსნა 1920 წ. ივლისს) საქართველოს სახელმწიფო ბანკი, რომლის ფუნქციებად

განისაზღვრა: ფულის მიმოქცევის გაადვილება; ვაჭრობა-მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოკლევადიანი სესხების მიცემა; ფულის სიმყარის განმტკიცება; თამასუქების განაღდება, ყიდვა-გაყიდვა; ანაბრების მიღება; უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა და სხვ. სახელმწიფო ბანკს მართავდა გამგეობა და საბჭო. ბანკმა გაწეული მუშაობის ანგარიში წარუდგინა დამფუძნებელ კრებას (1920 წ. 3 დეკემბერი);

8. ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონით (1918 წ. 30 აგვისტო) «საბაჟო დაწესებულებათა შესახებ» გაუქმდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა (14) საბაჟო და დაარსდა 19 საბაჟო, რომელთაც განაგებდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო მთავარი საბაჟოს მეშვეობით. არსებული მონაცემებით ცხადი ხდება, რომ საქონელთა ყველაზე მეტი რაოდენობა იმპორტირებულია: რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, იტალიიდან, სომხეთიდან, ხოლო ყველაზე მეტი საქონელი ექსპორტირებულია: აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში, იტალიაში, ოსმალეთში, ინგლისში. ყველაზე დიდი რაოდენობის საქონელი ექსპორტირებულია ფოთისა და სოხუმის საბაჟოებიდან, იმპორტის თვალსაზრისით გამოირჩეოდა ბათუმისა და ფოთის საბაჟოები;
9. სტატისტიკური სამსახურის დაარსებაზე მსჯელობა დაიწყო 1918 წლის 5 ნოემბრიდან საქართველოს პარლამენტში «აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული სტატისტიკური შედეგების» შესახებ კანონპროექტის განხილვისას. საბოლოოდ, მიწათმოქმედების სამინისტროსთან შეიქმნა სტატისტიკის დროებითი ბიურო (15 ნოემბერი), მის ფუნქციებში შევიდა: სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების შემუშავება; მიწის ფონდის აღრიცხვა და განაწილების ნორმების განსაზღვრა. შემდგომში დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონით «ცენტრალური

სასტატისტიკო კომიტეტი» (1919 წ. 25 ივლისი), იმავე სამინისტროს შემადგენლობაში ჩამოყალიბდა, რომელსაც განესაზღვრა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტატისტიკური სამუშაოების წარმოების ფუნქცია. ამ სამსახურის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა «ცენტრალური სტატისტიკური საბჭო»;

10. საარქივო მასალებზე მუშაობისას მივაკვლიეთ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს დებულებას, რომელიც პირველად გამოვაქვეყნეთ სრული სახით. «საბჭოში» გათვალისწინებული იყო: სამი განყოფილება (წარმოების, ვაჭრობის, ფინანსების); ოთხი სექცია (სახელმწიფო, მუნიციპალური, კოოპერატივების და კერძო მეურნეობების). «საბჭოს» დადგენილებები შესასრულებლად სავალდებულო იყო როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორებისათვის. თუმცა, უმაღლესმა ეკონომიკურმა საბჭომ ფუნქციონირება ვერ შეძლო, რამეთუ სულ მალე საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ცნობილი მოვლენების გამო, არსებობა შეწყვიტა.

დანართი

რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I/ საბჭოს დანიშნულება

რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს დანიშნულება:

- 1/ სახალხო მეურნეობის არსებული წეს-წყობილების შესწავლა და გამოკვლევა;
- 2/ თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებისამებრ მეურნეობის ახალი გზებისა და საშუალებების გამოძებნა;
- 3/ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა ეკონომიკური მუშაობის გაერთიანება;
- 4/ რესპუბლიკაში მეურნეობის გაღვივების და განვითარების მთლიანი გეგმის მწყობრი დამუშავება;
- 5/ სახელმწიფოს ფინანსური გეგმის დამუშავება.

II/ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს განყოფილებანი

უმაღლესი ეკონომიკური საბჭო შედგება სამი განყოფილებისაგან:

- ა/ წარმოების განყოფილება, ბ/ ვაჭრობა-აღებ-მიცემის განყოფილება, გ/ ფინანსების განყოფილება.
- 2/ თითოეული განყოფილება საკითხებს დამუშავების შემდეგ წარუდგენს საბჭოს დასადასტურებლად.

III/ წარმოების განყოფილების დანიშნულება

- ა/ მწარმოებელ ძალთა გამოკვლევა და შესწავლა, ბ/ მრეწველობის მოწყობის გეგმის დამუშავება და განხორციელება, გ/ სოფლის მეურნეობის პირობათა შესწავლა და ახალი წყაროების გამოძებნა, დ/ მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესება, ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის საქმის მოწყობა და განვითარება, ე/ კონცესიების პირობების განხილვა, შემუშავება და სხვა.

IV/ ვაჭრობა-აღებ-მიცემის განყოფილების დანიშნულება

ა/ შიგა და გარე ვაჭრობის ხელმძღვანელობა, გაძლიერება და განვითარება, ბ/ საბაჟო ტარიფებისა და საერთო საბაჟო საქმის მოწესრიგება, გ/ სხვადასხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულების პირობების დამუშავება, დ/ მომარაგების საქმის პირობების გაუმჯობესება და ახალი გზების გამოძებნა და სხვა.

V/ ფინანსური განყოფილების დანიშნულება

ა/ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა, ბ/ ბიუჯეტის მთლიანობის საშუალებების გამონახვა, გ/ რესპუბლიკის შემოსავლების გადიდებისა და სხვა ხარჯების შემცირების საშუალებების გამოძებნა, დ/ გადასახადთა სისტემის შესწავლა და გარდაქმნა, ე/ ქალაქების, ერობებისა და სახელმწიფოს ბიუჯეტის გადამიჯვნა, ვ/ ფულის ტრიალის გაუმჯობესება, კ/ შიგა და გარე სესხის აღების პირობების დამუშავება, ლ/ საკუთარი ფულის სისტემის შემოღება და სხვა ფინანსური საკითხის განხილვა.

VI/ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს უფლებანი:

ა/ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს დადგენილებანი სავალდებულოა ყველა უწყებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც აღნიშნულია მუხლში «გ». უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს დადგენილების განხორციელება ევალება საბჭოს პრეზიდიუმს; საბჭოს პრეზიდიუმს უფლება აქვს უშუამავლოდ აწარმოოს საქმეები, გ/ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს დადგენილებანი ძალაში შედის საბჭოს მიერ მათი დამტკიცების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბჭო ადგენს, რომ დადგენილება დაუყოვნებლივ ძალაში შედის.

თუ მიღებულ დადგენილებას რომელიმე უწყების ან სექციის წარმომადგენელი არ დაეთანხმება, მაშინ დადგენილება წარედგინება მთავრობას საბოლოოდ განსახილველად.

VII/ საბჭოს სექციები

საბჭო შედგება: 1/ სახელმწიფო მეურნეობის, 2/ მუნიციპალური მეურნეობის, 3/ კოოპერატივების მეურნეობის, 4/ კერძო თაოსნობის მეურნეობის სექციებისაგან.

VIII/ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობა

1/ უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი და მდივანი. 2/ საბჭოს თავმჯდომარე ინიშნება მთავრობის თავმჯდომარის მიერ, საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგს და მდივანს ირჩევს თვით საბჭო. 3/ საბჭოს სექციებს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი, მათ ირჩევს სექცია. 4/ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს შეადგენს მინისტრები: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მომარაგებისა და შრომის, მიწათმოქმედების და გზათა, სახელმწიფოს ბანკის მმართველი, სახელმწიფო კონტროლიორი, ორი წარმომადგენელი ქალაქთა კავშირისა, ორი – ერობათა კავშირისა, კოოპერატივთა კავშირისა, პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური ბიუროსი, ექვსი წარმომადგენელი ვაჭრობა-მრეწველობისა და საკრედიტო დაწესებულებებისა, რომელთაც წარმოადგენს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

5/ უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოს და მის სექციებს უფლება აქვთ, მოიწვიონ მცოდნე პირნი.

IX/ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს შიგა წესწყობილება

1/ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს სადავო დადგენილებანი განიხილება მთავრობის მიერ.

2/ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს სხდომა კანონიერად ჩაითვლება, თუ სხდომას დაესწრო არანაკლებ 7 წევრისა, რომელთა შორის ერთი მაინც იქნება უწყების წარმომადგენელი.

3/ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს წევრები ჯილდოს არ იღებენ.

4/ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს საქმის წარმოება ევალება საგანგებო კანცელარიას.

5/ ეკონომიკური საბჭო იკრიბება საქმის მოთხოვნილებისამებრ, მხოლოდ აუცილებლად, ერთჯერ მაინც კვირაში²⁵⁹.

¹სცსსა, ფონდი 1833; აღწერა 1, საქმე 78, ფურცლები: 228; 228; 229.

გამოყენებული ლიტერატურა

I. წიგნები, მონოგრაფიები, სტატიები, კრებულები

- რ. აბუთიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), თბილისი, 1991 წ.
- ს. ავალიანი, მიწისმფლობელობა საქართველოში, ტფ., 1920 წ.
- ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი, 1990 წ.
- ა. ათანელიშვილი, სოვეტოლოგები საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, თბილისი, «მერანი», 1991 წ.
- თ. ათანელიშვილი, ბონები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), თსუ შრომები, სერია «ეკონომიკა», 1-2, 2004 წ.
- თ. ათანელიშვილი, აგრარული რეფორმის ასპექტები საქართველოში (1918-1921), თსუ შრომები, სერია «ეკონომიკა», 1-2, 2005 წ.
- თ. ათანელიშვილი, უმაღლესი ეკონომიკური საბჭო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჟურნ. «სოციალური ეკონომიკა», 1, 2006წ.
- თ. ათანელიშვილი, სახელმწიფო კონტროლის ფუნქციონირება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921), ჟურნ. «სოციალური ეკონომიკა», 3, 2006 წ.
- ალ. ასათიანი, მიწის საკითხი საქართველოში, თბილისი, 1919 წ.
- რ. ასათიანი, პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს, თბილისი, «სიახლე», 2005 წ.
- რ. ასათიანი, საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწმყო, პერსპექტივა (მოკლე მიმოხილვა), თბილისი, «სიახლე», 2002 წ.
- რ. ასათიანი, კავკასიის ეკონომიკის ისტორიის ზოგიერთი ასპექტი და თანამედროვეობა, ჟურნ. «ეკონომიკა», 12, 1996 წ.

- ვლ. ახალაია, ი. ახალაია, გერმანია, თბილისი, «ენა და კულტურა», 2004 წ.
- ვლ. ახალაია, საქართველოს ელექტრიფიკაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, თბილისი, 1989 წ.
- ვ. ბახტაძე, საქართველოს საზოგადოებრივი ეკონომიკური აზრის ისტორიის ნარკვევები (XIX საუკუნის 60-90-იანი წლები), თბილისი, 1960 წ. (რუსულ ენაზე).
- ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბილისი, 2000 წ.
- ბ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში, თბილისი, «მეცნიერება», 1980 წ.
- ს. ბერიძე, 1917-1921 წლები საქართველოში, თბილისი, «სახელგამი», 1941 წ.
- გ. გამსახურდია, ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, თბილისი «მერიდიანი», 1997 წ.
- მ. გაფრინდაშვილი, საქართველოს ახალი ისტორია, თბილისი, 1995 წ.
- ფ. გოგიჩაიშვილი, წერილები, მოგონებები, თბილისი, 1993 წ.
- ფ. გოგიჩაიშვილი, ხელოსნობა საქართველოში, თარგმ. გერმ.-დან, თსუ გამომც., თბილისი, 1976 წ.
- რ. გოგობია, სოფლის მეურნეობრივი წარმოების ინტენსიფიკაცია, თბ., «მეცნიერება», 1975 წ.
- რ. გოგობია, აგრარული საკითხი და ერის ინტერესები, ჟურნ. «ეკონომიკა», 2, 1991 წ.
- ა. გრიგალაშვილი, ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის განვითარების მოკლე ისტორია, ჟურნ. «ეკონომიკა», 3, 2004 წ.
- პ. გრიგოლია, ქართული ფულის გამოშვების საკითხისათვის, ჟურნ. «ეკონომიკა», 7-8, 1991 წ.

- რ. გრძელიძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924), თბილისი, 1998 წ.
- ლ. გუგუშვილი, ხალხის მატერიალური მდგომარეობა საქართველოში 1918-1921 წლებში, ჟურნ. «ეკონომიკა», 5-6, 1992 წ.
- პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. 2, ნაწილი: I, II, თბილისი, «სახელგამი», 1956 წ.
- ვ. გურული, ნოე ჟორდანიას: პოლიტიკური პორტრეტი (1869-1953), თბილისი, «ინტელექტი», 1999 წ.
- ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა (1917-1921), თბილისი, 1998 წ.
- დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა 1918-1921 წწ., სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1990 წ.
- ს. დარიანი, საქართველოს ეკონომიკური განვითარება, თბილისი, «სორაპანი», 1920 წ.
- გ. დევდარიანი, მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში, ტფილისი, 1932 წ.
- ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, საქართველოს მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტის ავთანდილ სილაგამის საერთო რედაქციით, თბილისი, 2005 წ.
- დ. დიასამიძე, ა. ლაბარტყავა, საადგილმამულო რეფორმა და სოფლის მეურნეობის განვითარების გზები, ჟურნ. «ეკონომიკა», 1-3, 1996 წ.
- ლ. ემუხვარი, შენიშვნები მიწის კანონის შესახებ, ქუთაისი, 1918 წ.
- შ. ვეშაპიძე, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები, თბილისი, 1999 წ.
- შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბილისი, «მეცნიერება», 2001 წ.

- გ. თოდუა, ნიკო ნიკოლაძე და გლეხობის საკითხი, ჟურნ. «ეკონომიკა», 1-3, 1994 წ.
- გ. თოდუა, XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თსუ გამ., ნაწ., I, 1983 წ., ნაწ. II, 1987 წ.
- შ. თოქმაშაშვილი, შემოსავლების განაწილების თეორია, ისტორია და თანამედროვეობა, თბილისი, 1995 წ.
- ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბილისი, 1991 წ.
- ისტორიულ-პოლიტიკური ძიებანი, კრებული 1 (რედაქტორები მ. მაცაბერიძე, ა. მენტეშაშვილი), თბ., 1993 წ.
- ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921), თბ., «ნეკერი», 1997 წ.
- რ. კაკულია, ქართული ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1969 წ.
- რ. კაკულია, ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიისათვის რევოლუციამდელ საქართველოში, თბილისი, 1972 წ.
- კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა: წიგნი I, პარიზი, 1935 წ, წიგნი II, პარიზი, 1960 წ.
- კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, თბილისი, 1919-1920 წწ.
- კ. კაუცკი, სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 1920 წ.
- ჯ. კახნიაშვილი, სოციალ-დემოკრატიული ეკონომიკური ექსპერიმენტი დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წწ.), «საქართველოს ეკონომიკა» XXI საუკუნის კარიბჭესთან: პრობლემები, პერსპექტივები, თბილისი, «სიახლე», 2000 წ.
- მ. კვარაცხელია, ილია ჭავჭავაძე საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა შესახებ, თბილისი, თსუ გამომც., 1998 წ.

- მ. კვარაცხელია, ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა, თბილისი, «თბილისი», 2001 წ.
- ა. კიკვაძე, საქართველოს ისტორია XIX-XX სს., ნაწილი II, თბილისი, 1959 წ.
- ნ. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, თბილისი, 1997 წ.
- პ. კოლუაშვილი, შ. ბენია, აგრარული სექტორის ეკონომიკური ეფექტიანობის მართვა და ავროსაკრედიტო სისტემის ფორმირება, ჟურნ. «ეკონომიკა», 3-4, 2005 წ.
- გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1995 წ.
- ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. 7, თბილისი, 1921 წ.
- მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის სათავეებთან, თბილისი, 1999 წ.
- ილ. მირცხულავა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში (1900-1917), თბილისი, 1964 წ.
- ილ. მირცხულავა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1921 წლებში, სადოქტორო დისერტაცია, 1963 წ.
- ლ. მიქელაძე, XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის I მეოთხედის ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1998 წ.
- გ. მეგრელიშვილი, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრი, თბილისი, 1959 წ. (რუსულ ენაზე).
- გ. მეგრელიშვილი, ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 1960 წ.
- გ. მშვილდაძე, სააქციო საზოგადოების ისტორიიდან საქართველოში, ჟურნ. «ეკონომიკა», 10-12, 1995 წ.

- კ. ორაგველიძე, ქართველი მენშევიკების აგრარული რეფორმა, ტფილისი, «პარტგამომცემლობა», 1935 წ.
- ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2002 წ.
- გრ. ჟვანია, როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, თბილისი, 1992 წ.
- ნ. ჟორდანიას, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1990 წ.
- ნ. ჟორდანიას, ჩემი წარსული, თბილისი, 1990 წ.
- მ. რეხვიაშვილი, ნ. რეხვიაშვილი, საქართველოს ისტორია, ქუთაისი, 2000 წ.
- ლ. სალარიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წ.წ. დისერტაცია, 1994 წ.
- გ. საითიძე, ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917), თბილისი, 2005 წ.
- ლ. სანიკიძე, მესამე დასის საქართველო, თბ., «მერანი», 1989 წ.
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბილისი, 1990 წ. (შემდგენელი ე. გურგენიძე).
- საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის კარიბჭესთან. პრობლემები, პერსპექტივები, გამომც. «სიახლე», თბილისი, 2000 წ.
- საქართველოს ისტორია (XX საუკუნე), თბილისი, 2003 წ.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბილისი, 1972 წ.
- საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1992 წ.
- საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიშები), 1918-1919 წწ.
- საქართველოს პარლამენტის მიწის კანონები, ტფილისი, 1918 წ.
- ა. სილაგაძე, ვ. გურული, ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები, თბილისი, 2001 წ.

- ა. სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1996 წ.
- ა. სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2002 წ.
- ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაძე, თ. ბასილაია, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი, 2001 წ.
- ც. სეხნიაშვილი, ეკონომიკის ისტორია, თბილისი, თსუ გამომც., ნაწ. I, 2000 წ.; ნაწ. II, 2005 წ.
- სტატისტიკური კრებული (1909-1921), ტფილისი, 1923 წ.
- ა. სურგულაძე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917-1921), თბილისი, 1954 წ.
- ა. სურგულაძე, კ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991 წ.
- ნ. ტყემელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864-1920), თბილისი, თსუ გამომც., 1958 წ.
- ა. ფარსადანიშვილი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1914-1917 წლებში, თბილისი, 1974 წ.
- ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), თბილისი, 2006 წ.
- ო. ქემელაშვილი, მოსაზრებები აგრარული რეფორმის შესახებ, ისტორიის ფურცლები, ჟურნ. «ეკონომიკა», 9-10, 1992 წ.
- შ. ქისტაური, ეროვნული ვალუტა (წარსული, დღევანდელი, მომავალი), თბილისი, 1993 წ.
- შ. ქისტაური, თ. ხორგუაშვილი, ფინანსური მეცნიერება საქართველოში (წარსული, აწმყო, მომავალი), გორი, 2003 წ.
- გ. ღამბაშიძე, ინგლისისა და აშშ აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ (1919), თბილისი, 1964 წ.

- დ. შენგელია, ვაჭრობა საქართველოში (1918-1921 წწ), ჟურნ. «ეკონომიკა», 6-7, 1993 წ.
- რ. შენგელია, ჟ. წიკლაური, ჟურნალ «ეკონომიკის» პირველი ნომრები ეროვნული მრეწველობის განვითარების პერსპექტივების შესახებ, ჟურნ. «ეკონომიკა», 9, 2005 წ.
- შ. შეყლაშვილი, გრ. წიწილაშვილი, გრ. მარგიანი, ივ. მელიქიძე, ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა საუკუნის მანძილზე, თბ., 1997 წ.
- ნ. შველიძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (1864-1921), თბილისი, 1967 წ.
- ე. ჩადუნელი, მიწის კერძო საკუთრების დაკანონება დაუშვებელია, ჟურნ. «ეკონომიკა», 4-5, 1994 წ.
- ვ. ჩანტლაძე, სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები, თბილისი, 1959 წ.
- კ. ჩარკვიანი, ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, თბილისი, 1970 წ.
- ალ. ცერცვაძე, გერმანული კაპიტალი საქართველოში XIX-XX სს მიჯნაზე, ჟურნ. «სოციალური ეკონომიკა», 6, 1999 წ., გვ. 107-119.
- ალ. ცერცვაძე, გერმანული კაპიტალის მონაწილეობა საქართველოს მანგანუმის მრეწველობაში, ეკონომიკის აქტუალური საკითხები, თსუ სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, XIII გამოშვება, «თსუ გამომც.» 2000 წ., გვ. 3-7.
- გ. ჭანუყვაძე, ქართული ეკონომიკური აზრის რექტროსპექტივა (1918-1970), თბილისი, 2001 წ.
- ნ. ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა, თბილისი, 1996 წ.
- შ. ჯაფარიძე, ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (1918-1921), ბათუმი, 1994 წ.

ჯ. ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი I, თბილისი, 1997 წ.

ბ. ხომერიკი, აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა, თბილისი, 1920 წ.

ბ. ხომერიკი, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე, თბილისი, 1920 წ.

ბ. ხომერიკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური მიმოხილვა, ისტორიის ფურცლები, ჟურნ. «ეკონომიკა», 1, 1993 წ.

М. Блауг, Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994 г.

Всемирная история экономической мысли: т. 1., М., 1987 г.

М. Коноторов, С. Сметанин, История экономики, Москва, 1999 г.

История мировой экономики, под ред. Г. Поляка и А. Марковой, Москва, 1999 г.

И.И. Мирцхулава, Аграрно-крестьянский вопрос в Грузии в 1900-1921 гг, Тб. 1978 г.

В. Ойкен, Основы Национальной экономий, თარგმ. გერმ-დან, М., 1996 г.

Вლაუგ მარკ, ეკონომიკ თპეორე ინ დეტროსპექტ, ვოლ. 1, ჩამბრიდგე, 1978.

შპუმპეტერ ჟ. ისტორე ოფ ეკონომიკ ანალესის, N.Y., 1954

II. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალები, ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ჩანაწერები

– ფონდი 1825, აღწერა 1 –

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტი;

– ფონდი 1833, აღწერა 1 –

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების საარქივო მასალების აღწერა;

– ფონდი 1836, აღწერა 1 –

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი 1917-1919 წწ.;

საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიშები), 1919-1921 წწ.

საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიშები), 1918-1919 წწ.

ეროვნული საბჭო (სტენოგრაფიული ანგარიშები), 1917-1918 წწ.

– Фонд 1861, оп.1 –

Управление по делам меньшевистского правительства Грузии;

– Фонд 1891, оп.1 –

Министерство финансов торговли и промышленности Грузинской Демократической Республики;

– Фонд 1915 –

Министерство земледелия Грузинской Демократической Республики 1918-1921 гг.

– Фонд 1940. оп.1 –

Опись архивных материалов Государственного контроля Грузинской Демократической Республики.

III. ჟურნალ-გაზეთები

გაზეთი «ალიონი» (1918 წ.);

გაზეთი «ერთობა» (1917-1921 წწ.);

გაზეთი «საქართველო» (1917-1921 წწ.);

გაზეთი «საქართველოს რესპუბლიკა» (1918-1921 წწ.);

გაზეთი «სახალხო საქმე» (1918-1921 წწ.);

გაზეთი «მიწა» (1920-1921 წწ.);

«სასოფლო გაზეთი» (1920-1921 წწ.);

ჟურნალი «საქართველოს ეკონომისტი» (1918 წ.);

ჟურნალი «საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა» (1920-1921 წწ.);

ჟურნალი «საქართველოს სტატისტიკური მოამბე» (1921 წ.).